

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

НАЦИОНАЛЬНАЯ ПАРЛАМЕНТСКАЯ
БИБЛИОТЕКА ГРУЗИИ

THE NATIONAL PARLIAMENTARY
LIBRARY OF GEORGIA

შრომები

ТРУДЫ

PROCEEDINGS

11(61)

თბილისი - ТБИЛИСИ – TBILISI

2006

სარედაქციო კოლეგია:

ზ. აბაშიძე (*რედაქტორი*), გ. გაბუნია (*მდივანი*), ლ. ზამბახიძე, ლ. თაქთაქიშვილი, გ. თაყნიაშვილი, ვ. კვაჭანტირაძე, ვ. კვიციანიშვილი, ც. კოჭლაშვილი,
ა. ლორია, მ. ოძელი (*რედაქტორის მოადგილე*), ლ. საყვარელიძე,
მ. სულთანაშვილი, ჟ. ქვათაძე, თ. ჩხენკელი, ე. ჯგერენაია

Редакционная коллегия:

З. Абашидзе (*редактор*), Г. Габуниа (*секретарь*), Э. Джгереная, Л.Замбахидзе,
Ж. Кватадзе, Ф. Квачантирадзе, В. Кикилашвили, А. Лория, М. Одзели (*зам. редактора*), Л. Сакварелидзе,
М. Султанишвили, Г. Такниашвили, Л. Тактакишвили, Т. Чхенкели

Editorial board:

Z. Abashidze (*editor*), T. Chkhenkeli, G. Gabunia (*secretary*), E. Jgerenaia, V. Kikilashvili,
J. Kvatadze, F. Kvachantiradze, A. Loria, M. Odzeli, (*deputy editor*), L. Sakvarelidze,
M. Sultanishvili, G. Takniashvili, L. Taktakishvili, L. Zambakhidze

*კრებული იბეჭდება ალექსანდრე დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრის
ფინანსური მხარსაჭერით*

ეძღვნება
საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკის 160 წლისთავს

Посвящается
160-летию Национальной Парламентской
Библиотеки Грузии

Dedicated
to the 160 Anniversary of the National Parliamentary Library
of Georgia



ლ ა ლ ი ყ ა უ ლ ა შ ვ ი ლ ი

სამეცნიერო-პოპულარული წიგნი საქართველოში 1921 წლამდე

თანამედროვე უმაღლესი სკოლის ბიბლიოთეკებში თავმოყრილი ლიტერატურის ჩამონათვალი საკმაოდ მრავალფეროვანია. აქ იგი წარმოდგენილია მათი დანიშნულების, შინაარსისა და იმ მიზან-ამოცანების გათვალისწინებით, რომელთაც იგი ემსახურება. მათგან განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სასწავლო-პედაგოგიურ ლიტერატურას, რომლის ერთ-ერთ ძირითად სახეს სამეცნიერო-პოპულარული წიგნი წარმოადგენს.

ბიბლიოთეკის ფონდში გამორჩეული ადგილი უკავია მეცნიერების ცალკეული დარგების, ახალი სამეცნიერო აღმოჩენების, პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის უმნიშვნელოვანესი თემებისადმი მიძღვნილ გამოცემებს, რომლებშიც პოპულარულ, ხშირად, არასპეციალის-ტისთვის იოლად მისაწვდომ ენაზე, მიმზიდველად და საინტერესოდაა წარმოდგენილი სიღრმისეული თეორიულ-პრაქტიკული საკითხები. სამეცნიერო-პოპულარულ ლიტერატურას მიეკუთვნება ცალკეულ სერიებად გამოცემული წიგნები, რომელთაც ხშირად ბროშურის სახე აქვს და დიდი ტირაჟითაც გამოირჩევა. ასეთი ლიტერატურა სტუდენტთა შორის საკმაოდ დიდი პოპულარობით სარგებლობს.

მე-19 საუკუნიდან საქართველოში ფართოდ გაიშალა საგანმანათლებლო მოღვაწეობა, რაც ხელს უწყობდა ხალხში მეცნიერული ცოდნის გავრცელებას, კულტურული დონის ამაღლებას და მჭიდროდ იყო დაკავშირებული სამეცნიერო-პოპულარული წიგნის გამოცემასთან.

სამეცნიერო-პოპულარული წიგნის სახე განისაზღვრება სამი პირობის ერთობლიობით: შინაარსით, მიზნობრივი დანიშნულებითა და მკითხველის ვინაობით.

შინაარსი გულისხმობს სამეცნიერო-პოპულარულ წიგნში მეცნიერების ძირითადი კანონების გადმოცემას. ვიწრო სპეციალური ცოდნა არ შეადგენს ასეთი სახის წიგნის საგანს.

მიზნობრივი დანიშნულება ნიშნავს სამეცნიერო ცოდნის პროპაგანდასა და გავრცელებას ხალხში მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების მიზნით.

მკითხველის ვინაობა აზუსტებს სამეცნიერო-პოპულარული წიგნის მიზნობრივ დანიშნულებას, ე. ი. მკითხველის რომელი კატეგორიისთვის არის განკუთვნილი ესა თუ ის წიგნი. არსებობს სხვადასხვა მოსაზრება მკითხველთა დაჯგუფების შესახებ, რომელთაგან ყველაზე მისაღებია მკითხველთა ორი ჯგუფის გამოყოფა. ეს ჯგუფებია: 1. მოუმზადებელი მკითხველი (რომელშიც ბავშვებიც იგულისხმებიან) და 2. ცოდნის გარკვეული დარგის არასპეციალისტი მკითხველი. აქედან გამომდინარე, სამეცნიერო-პოპულარული წიგნი შეიძლება იყოს ორი სახის: 1. საგანმანათლებლო სამეცნიერო-პოპულარული და 2. საინფორმაციო სამეცნიერო-პოპულარული. პირველი სახის წიგნი განკუთვნილია მკითხველთა ფართო

წრისათვის, ხოლო მეორე – იმ სპეციალისტებისთვის, რომლებიც დაინტერესებულნი არიან მონათესავე სამეცნიერო დარგებით.

სამეცნიერო-პოპულარულ წიგნად მიიჩნევა ისეთი ლიტერა-ტურული ნაწარმოები, რომელიც მოიცავს ცნობებს თეორიული ან ექსპერიმენტული გამოკვლევების შესახებ მეცნიერებაში, კულტურასა და პრაქტიკულ საქმიანობაში მეცნიერული ცოდნის გავრცელების მიზნით და დაწერილია მკითხველისთვის ადვილად გასაგებ ენაზე; ე. ი. სამეცნიერო-პოპულარული წიგნი უნდა იყოს აქტუალური, კონკრეტული და თხრობის სტილით ადვილად გასაგები.

სამეცნიერო-პოპულარული წიგნის გამოცემა საზღვარგარეთის ქვეყნებში, კერძოდ, რუსეთში მე-18 საუკუნეში დაიწყო. საქართველოში ასეთი სახის ლიტერატურის გამოცემა მე-19 საუკუნის 40-იანი წლებიდან იწყება და ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის – პლატონ იოსელიანის სახელს უკავშირდება. 1841 წელს იგი აირჩიეს «საქართველოში სასოფლო და მანუფაქტურული წარმოებისა და ვაჭრობის განვითარების ხელშემწყობი საზოგადოების» წევრად. ამ პერიოდში იგი დაინტერესდა მთარგმნელობითი მუშაობით და 1842 წელს ზედიზედ გამოსცა რუსულიდან თარგმნილი რამდენიმე წიგნი მკითხველთა ფართო წრისათვის. მიუხედავად იმისა, რომ წიგნები ძველი ქართულით იყო დაწერილი, რაც ფართო გამოყენების შესაძლებლობას არ იძლეოდა, თავად ფაქტი, ფართო მკითხველთა ინტერესების გათვალისწინებისა, მეტად მნიშვნელოვანია.

მე-19 ს. 60-იანი წლებიდან იზრდება ქართველი ინტელიგენციის დაინტერესება მეცნიერული ცოდნის პოპულარიზაციით, რამაც ხელი შეუწყო სამეცნიერო-პოპულარული წიგნების გამოცემას. მკაცრი საცენზურო პირობების მიუხედავად, ქართველმა მწერლებმა და საზოგადო მოღვაწეებმა დაიწყეს ამ სახის წიგნების გამოცემა და ხალხში გავრცელება. ხალხის განათლებისათვის ამ აუცილებელ მოვლენას გვერდი ვერ აუარა დიდმა ილიამ. 1862 წელს მან დაწერა სტატია – «საქართველოს მოამბეზე», რომელშიც იგი ეხება განათლებისა და ლიტერატურის ურთიერთმიმართებას, რომ პოპულარული ლიტერატურა უნდა იყოს მაკავშირებელი ხიდი მეცნიერებასა და ხალხს შორის, რათა განვითარდეს და ამადლდეს ცხოვრების დონე. პირველი სამეცნიერო-პოპულარული წიგნი – «ამბები ძველი დროის ხალხებზე» – 1866 წელს გამოიცა [3: 113].

70-იან წლებში, სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურის გამოცემის თვალსაზრისით, განსაკუთრებულ ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა გამომცემლობა «კავკასიის სამედიცინო საზოგადოება».

1888 წელს შეიქმნა «ქართული წიგნის გამომცემელთა ამხანაგობა». მისი წევრები იყვნენ ცნობილი ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწენი: არჩილ დარეჯანაშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, ილია ჭავჭავაძე, ილია წინამძღვრიშვილი და სხვანი, რომელნიც თვითონ წერდნენ და გამოსცემდნენ პოპულარულ წიგნებს. ამხანაგობის მიზანი იყო, დროულად მიეწოდებინა მკითხველი საზოგადოებისთვის აუცილებელი წიგნები. მათ გახსნილი ჰქონდათ 20-ზე მეტი პუნქტი გამომცემული წიგნების გასავრცელებლად.

1896 წელს დააარსდა გამომცემლობა «ახალი მკითხველი», რომელიც, ძირითადად, პოპულარულ ლიტერატურას გამოსცემდა. ამ ორი გამომცემლობის შემწეობით სამეცნიერო-პოპულარული წიგნის გამოცემამ საქართველოში ორგანიზებული სახე მიიღო.

80-90-იან წლებში გამოცემული სამეცნიერო-პოპულარული წიგნები შინაარსობრივად მრავალფეროვანია და მოიცავს ისეთ დარგებს, როგორცაა:

ისტორია, ასტრონომია, მედიცინა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები და სხვ. ყოველი ახალი წიგნის მიზანი იყო, სრულყოფილად წარმოეჩინა და მიეახლოებინა ქართველ საზოგადოებასთან მსოფლიო მეცნიერების მიღწევები.

თვით ტერმინი – «სამეცნიერო-პოპულარული წიგნი» – მე-20 ს. დასაწყისიდან გამოიყენება. ასეთი სახის ლიტერატურას, თავდაპირველად, «სახალხო წიგნებს», «ხალხისათვის სასარგებლო საკითხავ წიგნს» ან «პოპულარულ ლიტერატურას» უწოდებდნენ, ხოლო შემდეგ ზაქარია ჭიჭინაძემ შემოიტანა ტერმინი – «სახალხო სამეცნიერო წიგნი». მისი გამოკვლევა – «ქართული სახალხო სამეცნიერო წიგნები», – რომელიც 1903 წ. გამოიცა [3: 265], არის პირველი სამეცნიერო ნაშრომი ქართულ წიგნმცოდნეობაში, რომელშიც გაანალიზებულია სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურის მდგომარეობა და მისი განვითარების პერსპექტივები საქართველოში. გამოკვლევა წარმოადგენს ქართული სახალხო წიგნების მოკლე ისტორიას. მის შესავალში განხილულია, თუ რა მდგომარეობა იყო მე-19 ს. დასაწყისში. «ამ დროს სრულებით არ ბეჭდავდნენ სახალხო წიგნებს, თუმცა ეს მეტად დიდ საჭიროებას შეადგენდა. ქართველი ერისათვის მაშინ ერთი უბრალო ანბანის წიგნიც არ იყო» [1: 6].

სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურის გამოცემის საქმეში განსაკუთრებულია ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების როლი. მან შეძლო სამეცნიერო-პოპულარულ გამოცემათა მწყობრი სისტემის შექმნა. პოპულარული წიგნები ინტენსიურად გამოდიოდა მე-20 ს. დასაწყისშიც, კერძოდ, 1921 წლამდე. აღსანიშნავია, რომ თუ აქამდე თარგმნილი ლიტერატურა სჭარბობდა, საუკუნის დასაწყისში გაიზარდა ქართულ ორიგინალურ ნაწარმოებთა რაოდენობა, რომელთა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია ზ. ჭიჭინაძის, პ. უმიკაშვილის, კ. გვარამაძის, ივ. გომართელის, მ. წინამძღვრიშვილის, ივ. როსტომაშვილის გამოცემებს [2: 11]. ამდენად, 1921 წლამდე საქართველოში მეცნიერული ცოდნის გავრცელების გარკვეული ტრადიცია შეიქმნა.

Л. КАУЛАШВИЛИ

НАУЧНО-ПОПУЛЯРНАЯ КНИГА В ГРУЗИИ ДО 1921 ГОДА

Резюме

В книжном фонде библиотеки современной высшей школы особое место занимает один из видов учебно-педагогической литературы – научно-популярная книга. В Грузии издание научно-популярной книги началось в 40-ых годах XIX века и называлось "Народная книга". Ее издание было связано с народно-просветительской работой, в которой активно участвовала передовая интеллигенция того времени под руководством Ильи Чавчавадзе. До 1921 года в Грузии создавалась определенная традиция распространения научного знания среди населения.

L. KAULASHVILI

POPULAR-SCIENTIFIC BOOK IN GEORGIA TILL 1921

Summary

Popular-scientific book among the main examples of literature of educational-pedagogical profile occupies a special place in the list of book fund in modern high school libraries. Publishing of popular-scientific book began in the 40-ies of XIX century in Georgia. It was called Popular Book, because it was connected with the development of popular-educational activity, that involved the leading intelligentsia of that time at the head of which was Ilia Chavchavadze. Before 1921 tradition of scientific education was created.

ლიტერატურა - ЛИТЕРАТУРА - REFERENCES

1. მარუშაძე ია (ზ. ჭიჭინაძე). ქართული სახალხო სამეცნიერო წიგნები. – თბ., 1903. – გვ. 35.
2. მაცაბერიძე ვ. ქართული სახალხო წიგნების შემდგენელ-გამომცემელნი. – თბ., 1977. – გვ. 104.
3. ქართული წიგნი, ბიბლიოგრაფია: ტ. 1. – თბ., 1941. – გვ. 560.

მ ა ი ა დ ი ა ს ა მ ი ძ ე

რამდენიმე საკითხი პირველნაბეჭდი (1743წ.) ქართული ბიბლიის ისტორიიდან

მაღალი ოსტატობით შესრულებულ ბიბლიის ქართულ თარგმანს მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. ბიბლიურ წიგნთა ქართულ ენაზე გადმოღება, როგორც ვარაუდობენ, ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელებისთანავე დაუწყიათ ქართველებს [1: 412-414; 2: 113]. ბიბლიის მთლიანი ტექსტი, სამწუხაროდ, მხოლოდ გვიანდელი IX-XIII სს. ხანის ხელნაწერებმა შემოგვინახეს.

ბიბლიის ქართულმა ვერსიებმა საუკუნეთა მანძილზე რედაქტორ-გამმართველთა ხელში მრავალჯერ განიცადეს შესწორება, რის გამოც ჩვენამდე თავდაპირველი სახით ვერ მოაღწიეს. დროისა და ეპოქების ცვალებადობასთან ერთად იცვლებოდა ენობრივი და ლიტერა-ტურული თვალსაზრისები. ქართულ მწიგნობრულ სკოლებში, ეპოქე-ბის შესაბამისად, ხდებოდა არსებული ლიტერატურული მემკვიდრე-ობის გადამუშავება ახალი სტილის მიხედვით. საქართველოში შექმნილი მძიმე პოლიტიკური ვითარების გამო, დროთა განმავლობაში, მრავალი ხელნაწერი დაიკარგა, ბევრი დაზიანდა და განადგურდა.

XVII საუკუნის ბოლოსა და XVIII საუკუნის დასაწყისში, ქართული სტამბის დაარსებასთან დაკავშირებით დღის წესრიგში დადგა ბიბლიურ წიგნთა მოძიებისა და შეკრების საკითხი. მოწინავე ქართველმა საზოგადოებამ ფართოდ გაშალა მეცნიერული და ლიტერატურული საქმიანობა ბიბლიურ ტექსტთა შესაკრებად და მოსაწესრიგებლად. ამ მამულიშვილურ საქმეს სათავეში ჩაუდგა მეცნიერი და მწიგნობარი, მრავალი კულტურულ-მეცნიერული და სახელმწიფოებრივი რეფორმის ავტორი, შესანიშნავი სახელმწიფო მოღვაწე – ვახტანგ VI. სტამბის დაარსება ერთ მიზანს ისახავდა: ეკლესიებში გაეცვრცელებინათ მღვდელთმსახურებისთვის საჭირო წიგნები, ქართველი ხალხისთვის მიეწოდებინათ გამართული და შესწორებული სასულიერო ლიტერატურა. ვახტანგ VI-ის სტამბაში, ძირითადად, სწორედ, საეკლესიო წიგნებს ბეჭდავდნენ. სტამბის მოქმედების პერიოდში გამოიცა კიდევ

სხვადასხვა სახის საეკლესიო ლიტერატურა, მაგრამ ამ საქმიანობაში ჩაბმულ მოღვაწეთა სანუკვარ ოცნებას ქართული «ბიბლიის» მთლიანი ტექსტის ბეჭდურად გამოცემა წარმოადგენდა. პოლიტიკური ძნელბედობის გამო ქართული ბიბლიის ტექსტი „ქვეყანათა ჩვენთა არღარა იპოვებოდა ერთად შეკრებული, არამედ წიგნად წიგნადი იყო და რომელნიმე დაკარგული და დაკლებულ» [3:1]. რაც მოიპოვებოდა, „იგინიცა უთავოდ და უმუხლოდ და მწერალთა მიერ განრყვნილნი» [4:იქვე].

ქართული ბიბლიის ტექსტის მოძიებას, შევსებასა და რედაქტი-რებას ქართველ მოღვაწეთა რამდენიმე თაობის ხანგრძლივი შრომა დასჭირდა.

წიგნთა შეკრება დაუწყიათ სულხან-საბა ორბელიანის მამის, ქართლის მდივანზეგის, ქართული კულტურის მოამაგის – ვახტანგ ორბელიანის ბრძანებით [5:168;]. ორბელიშვილთა ოჯახში ბიბლიის რამდენიმე ნუსხა დაიწერა (H-1207, H-885, A-179). ბიბლიის ტექსტზე მომუშავე პირველი მეცნიერი კი სულხან-საბა ორბელიანი ყოფილა, რომელსაც დიდი და ხანგრძლივი შრომა გაუწევია ქართული «ბიბლიის» სრული ტექსტის აღსადგენად [6:98-116; 7:188-270] იგულისხმება ტექსტის სწორება, რედაქტორული შენიშვნები, რაც უკლებლივ არის გათვალისწინებული ე. წ. «მცხეთურ ხელნაწერში» (A-51), რომელიც იწერებოდა და მზადდებოდა, როგორც სასტამბოდ განკუთვნილი დედანი.

დღესდღეობით გარკვეულია, რომ ბიბლიურ წიგნთა დაძებნა, შეკრება-შევსება, რედაქტირება და მუხლებად და თავებად დაყოფა სწორედ სულხან-საბა ორბელიანის შრომატევადი საქმიანობის ნაყოფია [8:8]. იგი ვახტანგ VI-სთან ერთად შეუდგა კიდევ ბიბლიის ტექსტის ბეჭდვას, მაგრამ მოასწრო მხოლოდ წინასწარმეტყველთა წიგნებისა და ახალი აღთქმის ტექსტის გამოცემა, რომელიც ლუკას სახარებაზე წყდება.

ორბელიშვილთა პარალელურად ქართული ბიბლიის გამოცემაზე მოსკოვში ზრუნავდა მეფე არჩილიც, რომელიც სასტამბო მოღვაწეობას მოსკოვის მახლობლად სოფელ ვსესვიატსკოეში შეუდგა. ქართული შრიფტი მან ამსტერდამელ ცნობილ ოსტატს - ნიკოლოზ კიშს შეუკვეთა 1685 წელს [9: 176]. თავად კი შეკრიბა და გადაამუშავა მოსკოვს თანწაღებული ბიბლიური წიგნები. ამ საქმეში მას თანადგომასა და დახმარებას ძმისწული - ვახტანგი უწევდა, რომელიც ბიძას საქართველოდან თხოვნისამებრ უგზავნიდა საჭირო მასალებს (არჩილის ბიბლიოლოგიური მოღვაწეობის შესახებ ცნობებს გვაწვდის 1743 წელს მოსკოვში ბაქარ ბატონიშვილის მიერ დაბეჭდილი «ბიბლიის» წინასიტყვაობა, საიდანაც ვგებულობთ, რომ „მოენება (არჩილს - მ. დ.) რუსულსა დაბადებასა ზედა განმართვად და გასწორებად. ხოლო... განემართა და შეეწყო თვინიერ მუხლთა თავად-თავად. ხოლო მაკაბელი თვით ეთარგმნეს და ზირაქი აგრეთვე. და დიდნი შრომანი დაედუნნეს და დიდნი ჭირნი მოეთმინნეს მუშაკობასა ამას შინა») [10]. სამწუხაროდ, არჩილის განზრახვა მის სიცოცხლეშივე ვერ აღსრულდა. მან მხოლოდ „დავითნის» დაბეჭდვა მოახერხა მოსკოვში 1705 წელს.

ვერც ვახტანგ VI-მ შეძლო ბიბლიის სრული ტექსტის გამოცემა. „არცაღა მას სცა ჟამმან და დრომან ამაომან და ქცევადმან და დაუშთა მასცა ეგრეთვე შეუსრულებლად»[11].

ქართული „ბიბლიის» სრული ტექსტის გამოცემის პატივი წილად ხვდა ვახტანგის ძეს - ბაქარ ბაგრატიონს. 1743 წელს მოსკოვში მან საკუთარი ხარჯით ქართული ბიბლიის სრული ტექსტი გამოაქვეყნა. ამ მოვლენას უდიდესი პოლიტიკური და კულტურული მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ხალხის ისტორიაში (ამ

მამულიშვილური საქმის განხორციელების დროს ბაქარს მხარში ედგნენ ქრისტეფორე გურამიშვილი, კარის მღვდლები - ფილიპე და დავითი, მდივანი - მელქისედეკ კავკასიძე. ბიბლიის ბეჭდვის საქმეში მონაწილეობდნენ: ათანასე თბილელი, დ. ციციშვილი, არქიეპისკოპოსი - იოსებ სამეხელი).

ბაქარი და მისი თანამოაზრენი სახელმძღვანელოდ იღებდნენ არჩილის მიერ მომზადებულ ქართული ბიბლიის ტექსტს. ბიბლიის ტექსტი მოსკოვის სინოდის სტამბაში უნდა დაბეჭდილიყო. სინოდის გადაწყვეტილებით, ქართველებს ბიბლიის ტექსტის დაბეჭდვის ნება მიეცემოდათ იმ შემთხვევაში, თუ ქართულ ტექსტს სლავური ბიბლიის მიხედვით ჩაასწორებდნენ. ამ გარემოებამ ბიბლიის დაბეჭდვა რამდენიმე ხნით კვლავ გადაავადა.

არჩილის მიერ შეკრებილი და ერთად თავმოყრილი ბიბლიის ტექსტი ბაქარის კომისიას, კერძოდ კი, ვახუშტის - სლავური ბიბლიის მიხედვით ჩაუსწორებია.

ბიბლიის ბეჭდვა 1743 წლის 1 მაისს დასრულდა. ტირაჟის სიმცირის გამო (300 ცალი) წიგნი მაშინვე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა.

1745 წელს ბაქარმა თხოვნით მიმართა სინოდს, რათა გაცემულიყო ნებართვა ასი ცალი ბიბლიის საქართველოში გაგზავნის შესახებ, იქაური ეკლესია-მონასტრების საჭიროებისათვის, მაგრამ სინოდმა არ დააკმაყოფილა ეს თხოვნა. ბაქარის მიერ ყუთში ჩალაგებული და გასაგზავნად გამზადებული ცალების საქართველოში წამოღების ნება სინოდმა ბაქარის გარდაცვალებიდან თერთმეტი წლის შემდეგ, 1761 წელს დართო ქართველებს [12:227].

ჩვენთვის ცნობილი არ არის, თუ რა ბედი ეწია ქართული ბიბლიის საქართველოში გამოსაგზავნ ასსავე ცალს. ზოგი ჟამთა სიავის გამო დაიკარგა, ბევრი კი გადარჩა და საქართველოს სხვადასხვა წიგნთსაცავებსა და ბიბლიოთეკებშია დაცული.

ეროვნული ბიბლიოთეკის იშვიათ გამოცემათა განყოფილებაში ბაქარის ბიბლიის 21 ეგზემპლარია დაუნჯებული. მათ შორის ერთ-ერთი საინტერესო ცალია K36/609. საინვენტარო დავთარში წიგნი რეგისტრირებულია 1935 წლის 5 მაისს. ეროვნულ ბიბლიოთეკაში წიგნი შემოსულია ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფონდთან ერთად.

ეგზემპლარის აღწერილობა: ბიბლია, მოსკოვი, 1743 (36X26). ყდა ხის, ყავისფერტყავადაკრული, მოტვიფრული. ყდის ხე მარცხენა მხარეს მთელ სიგრძეზე გატეხილია, ყუა მოტვიფრულია, დაყოფილია შვიდ სეგმენტად. თითოეულის ცენტრში ყვავილებია, კუთხეებში - ორნამენტები. ფორზაცად გამოყენებულია მოყვითალო ფერის ქაღალდი. ამავე გვერდზე დაცულია ქ.შ.წ.კ.გ. საზოგადოების საკლა-სიფიკაციო ნიშანი, ნომერი 5797 და თეგი.

წიგნში ნაბეჭდი ტექსტი იწყება მე-11 გვერდიდან. წინა ტექსტი 1-10 გვერდზე აღდგენილია ხელნაწერით. რგ (163)-დან რჟც (198) გვერდამდე ფურცელთა ქვედა კიდეები რესტავრირებულია მოყვი-თალო ფერის ქაღალდით და აღდგენილია ხელნაწერით. გვ. რჟთ(199)-დან სლა (231)-მდე კვლავ აღდგენილია ხელნაწერით. აღდგენილი ტექსტი შესრულებულია ლამაზი მხედრული ხელით, რომელიც გამოირჩევა მკვეთრი და მოქნილი მოხაზულობით.

წიგნი დეფექტურია. აკლია სახარება და სამოციქულო (პუგ [793]-ჩი [1010] გვ.)

აღდგენილი ნაწილი წიგნისა, ნაბეჭდისგან განსხვავებით, ყველგან მხედრული ანბანითაა წარმოდგენილი ციფრები - არაბულით. აღმდგენელს გამოყენებული აქვს ყავისფერი და ცისფერი მელანი. ძირითადი ტექსტი ნაწერია ყავისფერი მელნით, ხოლო ცისფრით გამოყოფილია ნაბეჭდში მსხვილი შრიფტით აწყობილი ადგილები.

თავფურცელი და ყველა სხვა გვერდი აღდგენილია ზუსტად ისე, როგორც ნაბეჭდ ტექსტშია. აღდგენილია თავფურცლის მეორე გვერდიც ბაგრატოვანთა გერბითურთ, შესაბამისი წარწერებით. აღდგენილი სარჩევის ყოველ სათაურს კი სომხური შესატყვისი აქვს მიწერილი:

მინაწერები:

1. წინ ჩართულ სუფთა ფურცელზე აღმდგენლის ხელით: „ქ. წმიდაო ეკლესიაო კაცხისავ, მცირე ესე ნამუშაკვეი ჩემი დაბადება შეიწირე რუსეთით და მეოხ მეყავ მეუღლით, ძით და ასულით [ულ]” (13).

2. აღდგენილი თავფურცლის ტექსტის დასასრულს იმავე ხელით: „წმიდაო მართლმორწმუნე კათოლიკეთა ეკლესიაო, მცირე ესე ნამუშაკვეი დაბადება შეიწირე ახალციხით და მეოხ მეყავ მეუღლით, ძით და ასულით იოანე სტეფანეს ძე ნებიერიძეს. ამინ. განვაახლე 1862წ 3/3 სამზღუარსა შინა სამცხისასა.”

3. „უძღვნი ქ.შ.წ.კ.გ. საზოგადოებას კ. რაფიელ ნებიერიძე”. იქვე მონოგრამაა R.N. ანალოგიური წარწერა მონოგრამითურთ დაცულია ჩოდ[1074] გვერდზეც.

4. მ [40] გვერდის ბოლოს ყავისფერი მელნით აღმდგენლის მინაწერია: „დიდება შენდა ღმერთო, რ[ამეთუ] ღირს მყავ მე განხილვად შესაქმისა ამის, რ[ომელი] ვსთარგმნე შემოწმებითა ნამდვილთა ბიბლიათა თანა; კუალად ჯერ არს ჩემდა განმეორებით განხილვაი მისი, რათა თვინიერ შეცდომისა ეგოს იგი საუკუნოდ. ახალციხელი იოანე სტ. ნებიერიძე”.

5. აღდგენილი 209-ე გვ. ბოლოს: „დიდი განხილვა უნდა ამ ხუცურს დაბადებასა და მსურს შემოწმება სხუათა ბიბლიათა თანა და მოსპოლვად ცდომილებათა და განმართუად მათთა. ივ.სტ.ძე ნებიერიძე ახალციხელი”.

6. ბოლო აუნუსხავ გვერდზე აღმდგენლის ხელით „დაიბეჭდა 1742”.

როგორც მინაწერებიდან ირკვევა, ახალციხელ ივანე ნებიერიძეს ბიბლიის ტექსტის რედაქციული შესწორება განუზრახავს. აღდგენითი, სარედაქციო და ლექსიკოლოგიური სამუშაო მას ბაქარის ბიბლიის ამ ეგზემპლარშივე ჩაუტარებია მე-19 საუკუნის 60-იან წლებში. სწორებისას იგი ფრთხილად ეკიდება ძირითად ტექსტს. არასწორად მიჩნეულ ადგილს გადახაზავს და სტრიქონის ზემოთ წერს საკუთარ ვარიანტს. გარდა იმისა, რომ ტექსტი ნასწორებია ლექსიკურად და ტექსტობრივად, მასში შეტანილია აგრეთვე ორთოგრაფიული და პუნქტუაციური შესწორებანიც. განსაკუთრებულ ყურადღებას კი იქცევს არშიებზე შესრულებული სამეწიფანო ქართულ-სომხურ-რუსული მინაწერები, რომლებიც შინაარსობრივად რამდენიმე ჯგუფად იყოფა.

ბიბლიის აღნიშნულმა ეგზემპლარმა გაცნობისთანავე აღძრა ჩვენში ინტერესი. კვლევა-ძიებით დადგინდა, რომ ი. ნებიერიძის მიერ ჩასწორებული ძველი აღთქმის ტექსტი წარმოადგენს ‘ბიბლიის’ ტექსტზე მუშაობის ნიმუშს მე-19 საუკუნეში და მას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქართული ‘ბიბლიის’ ტექსტის რედაქტირების ისტორიისათვის [14].

ბიბლიის აღნიშნულ ეგზემპლარს სხვა მრავალი საინტერესო საკითხიც უკავშირდება, მაგრამ წინამდებარე წერილში მხოლოდ იმ მინაწერთა განხილვით შემოვიფარგლებით, რომელთა შესწავლა ნათელს ჰყენს ამ წიგნის ისტორიასთან დაკავშირებულ ზოგიერთ საკითხს.

1. მე-40 გვერდის ბოლოსა და 209-ე გვერდის ქვედა არშიაზე დაცულია ი. ნებიერიძის ორი მინაწერი:

პირველის შინაარსი ასეთია: „დიდება შენდა ღმერთო, რამეთუ ღირს მყავ მე განხილვად შესაქმისა ამის, რ[ომელი] ვსთარგმნე შემოწმებითა ნამდვილთა ბიბლიათა თანა; კუალად ჯერ არს ჩემდა განმეორებით განხილვაი მისი, რათა თვინიერ შეცდომისა ეგოს იგი საუკუნოდ. 'ხოლო მეორესი კი: „დიდი განხილვა უნდა ამ ხუცურს დაბადებასა და მსურს შემოწმება სხუათა ბიბლიათა თანა და მოსპოლვად ცდომილებათა და განმართუად მათთა». ამ ორი მინაწერის მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ბიბლიის ტექსტში რედაქტორული სამუშაოს ჩატარება ი. ნებიერიძის თავდაპირველ მიზანს არ წარმოადგენდა. მას დეფექტური წიგნი ჰქონია ხელთ და მისი აღდგენა განუზრახავს. დეფექტური ადგილების შესავსებად მიუმართავს ბაქარის ბიბლიის სხვა სრული ცალისათვის (ამაზე მიუთითებს სიტყვასიტყვით გადმოწერილი ტექსტი, თავფურცელი და ორიგინალთან მაქსიმალურად მიახლოებული გერბის მოხატულობა) და დაუწყია ნაკლები ადგილების ხელნაწერით შევსება. მხოლოდ და მხოლოდ მუშაობის პროცესში მისულა იმ დასკვნამდე, რომ „დიდი განხილვა უნდა ამ ხუცურს დაბადებასა» და შეცდომათა მოსპობის მიზნით, განუზრახავს ტექსტის შემოწმება და განმართვა სხვაენოვან ბიბლიათა მიხედვით. ეს გადაწყვეტილება მიუწერია კიდევ მის მიერ აღდგენილი ტექსტის ბოლოს. რაც შეეხება მეორე მინაწერს, მართალია ის უფრო ადრე, მე-40 გვერდზეა დაცული, მაგრამ ქრონოლოგიურად შედარებით გვიანდელია. შესრულებულია მას შემდეგ, რაც რედაქტორმა დაამთავრა შესაქმის, ანუ მოსეს ხუთწიგ-ნეულის შემოწმება და კვლავაც აპირებს თავისი საქმიანობის გაგრძელებას, რათა „თვინიერ შეცდომისა ეგოს იგი საუკუნოდ».

2. ყურადღებას იქცევს თავფურცლის წინ ჩართულ ცარიელ ფურცელზე დაცული შემდეგი ანდერძ-მინაწერი: „ქ. წმიდაო ეკლესიაო კაცხისავ, მცირე ესე ჩემი ნამუშავეი დაბადება შეიწირე რუსეთით და მეოხ მეყავ მეუღლით, ძით და ასულით(ულ)». ულ(430)=1312+430= 1742წ. [15].

მიუხედავად იმისა, რომ მინაწერი ი. ნებიერიძის ხელით არის შესრულებული, თარიღი 1742 წ., ბუნებრივია, გამორიცხავს მისი ავტორობის შესაძლებლობას. ეს გარემოება კი გვაფიქრებინებს, რომ მინაწერი რედაქტორის მიერ დაზიანებული დედნიდან არის გადმოწერილი. თუ ეს ვარაუდი სწორია, მაშინ, ვინ შეიძლება იყოს ანდერძის ავტორი?

ჩვენ საშუალება გვქონდა სხვადასხვა წიგნთსაცავებში ბაქარის «ბიბლიის» რამდენიმე ეგზემპლარს გავცნობოდით. ანალოგიური მინაწერები «ბიბლიის» სხვა ცალებზეც იქნა აღმოჩენილი. მინაწერთა ავტორად ბაქარ ბატონიშვილი გვევლინება. საილუსტრაციოდ რამდენიმე მაგალითს მოვიყვანთ:

1. მიუბოძეთ წმიდა ესე დაბადება ყიზლარელის იაკობის მღრდლის შვილს - გაბრიელს მთავარსა, საქართველოს მეფის ბაქარის მოსახსენებლად (ეროვნ. ბიბლიოთეკა K33/609).

2. წმიდა ესე დაბადება საქართველოს მეფის ბაქარის ნაჭირნახულევი მისი ნეტარხსენებული სულის მოსახსენებლად ფიტარეთის დეკანოზს - შიოს მიუბოძეთ [16: 89].

3. ქ. გიბოძეთ ესე დაბადება მეფის ბაქარის ნაჭირნახულევი წინამძღვარს მოსეს, სულისა მის საოხად და მოსახსენებლად (ხელნაწ. ინსტ. ჯ3112).

4. მიუბოძეთ წმიდა ესე დაბადება საქართველოს მეფის ნაჭირნახულევი მის მოსახსენებლად... მამუკა ქავთარისშვილს (ხელნაწ. ინსტ. ჯ 139).

5. ქ. წმიდა ეკლესიავ მღვიმისავ, მცირე ესე ნამუშავეი ჩემი დაბადება შემოგწირე რუსეთით, რათა მეოხ მეყო მეუღლით, ძით და ასულით (ხელნაწ. ინსტ. A- 455).

6. ქ. წმიდაო ეკლესიაო ნინოწმიდისავ, მცირე ესე ნამუშაკვეი ჩემი დაბადება შეიწირე რუსეთით და მეოხ მეყავ მეუღლით, ძით და ასულით (ეროვნ. ბიბლიოთეკა K74/609).

7. ქ. სიონთა ღვთისმშობელო, სასოო ჩემო, მცირე ესე ნამუშაკვეი დაბადება შეიწირე რუსეთით და მეოხ მეყავ მეუღლით, ძით და ასულით (უნივერსიტეტი, F19837).

8. ქ. სამების ეკლესიაო, მცირე ესე ნამუშაკვეი ჩემი დაბადება შეიწირე რუსეთით და მეოხ მეყავ მეუღლით, ძით და ასულით (უნ., F 19840).

9. ქ. წალკას წმიდასა ეკლესიასა შემოგწირავ მცირესა ამას ნამუშაკვესა ჩემსა დაბადებასა რუსეთით და მეოხ მეყავ მეუღლით, ძით და ასულით (უნ., F19835).

ზემომოყვანილი მინაწერებიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ მსგავს წარწერებს ბაქარის ბრძანებით უკეთებდნენ მოსკოვიდან საქართველოში საჩუქრად გამოსაგზავნ ეგზემპლარებს. ამასთან, კერძო პირთათვის განკუთვნილი ანდერძის ტექსტი განსხვავდებოდა ეკლესია-მონასტრებისთვის განკუთვნილ წიგნთა ანდერძებისგან.

ჩვენს განსახილველ ეგზემპლარზე დაცული მინაწერიც ბაქარის ანდერძის ტიპიური მაგალითია.

თუ დავუკვირდებით, ბაქარის არც ერთი ანდერძი დათარიღებული არ არის. ჩვენს შემთხვევაში კი ანდერძს მიწერილი აქვს თარიღი ულ(1742), რომელიც მრგვალ ფრჩხილშია ჩასმული. თუ განსახილველი ანდერძი ბაქარს ეკუთვნის, გაუგებარია მისი 1742 წლით დათარიღება (თავფურცლის მონაცემების მიხედვით ხომ წიგნი 1743 წელს დაიბეჭდა).

ჩვენი ვარაუდით, თარიღი მინაწერზე ი. ნებიერიძის მიერ არის დამატებული. ამის საფუძველს გვაძლევს «ბიბლიის» ბოლოსიტყვაობის დასასრულს მისი ხელით შესრულებული მინაწერი: „დაიბეჭდა 1742 წ.” ეს მინაწერი ი. ნებიერიძეს ბიბლიის ბოლოსიტყვაობიდან გადმოუღია, სადაც ნათქვამია, რომ „ქრისტეს აქეთ ჩღმბ MB(1742) სეკტემბერსა ზ (7) განსრულდა». როგორც ჩანს, ი. ნებიერიძემ ბაქარის ანდერძს ულ(1742) ამიტომ მიაწერა. 1742 წლის სექტემბერი კი მიაწინებებს იმ თარიღს, როდესაც ვახუშტის გამოსაცემად გამზადებული ბიბლიის ხელნაწერი „სესვენწკის” სტამბაში ჩაუბარებია დასაბეჭდად [17:56].

ამრიგად, როგორც ვხედავთ, ბაქარის «ბიბლიის» აღნიშნულ ეგზემპლარზე დაცული მინაწერები მრავალ საინტერესო ფაქტს წარმოაჩენენ და ნათელს ჰფენენ „ბაქარის ბიბლიის” ისტორიასთან დაკავშირებულ საკითხებს.

М. ДИАСАМИДЗЕ

НЕСКОЛЬКО ВОПРОСОВ ИЗ ИСТОРИИ ПЕРВОПЕЧАТНОЙ ГРУЗИНСКОЙ БИБЛИИ 1743 ГОДА

Резюме

В статье рассматривается один из экземпляров Грузинской Библии, напечатанной в Москве в 1743 году. Книга хранится в Отделе Редких Книг Грузинской Национальной библиотеки (K36/609). Указанный экземпляр отредактирован деятелем из Ахалцыха Иванэ Небиеридзе. После изучения многочисленных приписок стало ясно, что все экземпляры так называемой «Бакаровской Библии» украшались приписками царевича и посвящались грузинским монастырям.

Приписки царевича Бакара выявляют интересные факты из истории Первопечатной Грузинской Библии.

M. DIASAMIDZE

SOME FACTS FROM THE HISTORY OF THE FIRST PRINTED (1743) GEORGIAN BIBLE

Summary

The article is about the one of the interesting copies of the Georgian Bible printed in Moscow in 1743. The book is kept at the Department of Manuscripts and Rare Books at the National Library of Georgia (K36/609). After the study of the so cold «Bakar's Bible», it turned out, that the copies of the First Printed Bible were provided with the Prince Bakar's dedications to Georgian churches and monasteries. These inscriptions reveal many interesting facts from the history of the first printed Georgian Bible.

ლიტერატურა - ЛИТЕРАТУРА - REFERENCES

1. კეკელიძე კ. ძველი ქართული ლიტ. ისტორია:ტ. 1. - თბ., 1980.
2. დანელია კ. რამდენიმე საკითხი ბიბლიის უძველესი ქართული თარგმანის ისტორიიდან. - თსუ შრომები, ტ. 183, თბ., 1978.
3. ბიბლია. - მოსკოვი, 1743. - (ბაქარის წინასიტყვაობა).
4. იქვე.
5. შარაშიძე, ქრ. პირველი სტამბა საქართველოში. - თბ., 1955.
6. მეტრეველი ელ. „მცხეთის ბიბლიის» «იგავთა წიგნის» წყაროების შესწავლისათვის. მრავალთავი, VII. - თბ., 1980.
7. აბულაძე ილია. სულხან-საბა ორბელიანის სომხური წყაროები // შრომები, 2. - თბ., 1976., გვ. 188-270.
8. მცხეთური ხელნაწერი:ნაწ. 1 / ტექსტი გამოსაცემად მოამზადა ელ. დოჩანაშვილმა. - თბ., 1981. - გვ. 8.
9. შარაშიძე ქრ. დასახ. ნაშრომი, გვ. 176.
10. ბიბლია. - მოსკოვი, 1743. - (ვახუშტის ბოლოსიტყვაობა).
11. ბიბლია. - მოსკოვი, 174. - (ვახუშტის წინასიტყვაობა).
12. ყუბანეიშვილი ს. რუსულ-ქართული კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან მე-18 საუკუნეში // ლიტ. ძიებანი:ტ. 10. - თბ., 1956. - გვ. 227.
13. ულ[430]=1312+430=1742 წ.
14. ამ საკითხის შესახებ უფრო დაწვრილებით იხ. მ. დიასამიძის სადისერტაციო ნაშრომი: „ი. ნებიერიძის ცხოვრება და შემოქმედება». - თბ., 1993.
15. მინაწერი სტატიიდან:სიხარულიძე ფრ.: «ბაქარის ნაჭირნახულები» // საბჭოთა ხელოვნება, 1980, №8, გვ. 89.
16. სიხარულიძე ფრ. მოსკოვის ქართული კულტურის ცენტრის ისტორიიდან. - თბ., 1990.

ნ ი ნ ო ხ ვ ე დ ე ლ ი ძ ე

ივანე კერესელიძე
ქართული მწიგნობრობის მოამაგე

ქართული კულტურის გამოჩენილი მოღვაწის, ივანე კერესელიძის სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლა დაემთხვა საქართველოს რთულ ისტორიულ პერიოდს.

მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს საქართველოს ისტორიაში ახალი ხანა დაიწყო. 1801 წლის 16 თებერვალს სიონის საკათედრო ტაძარს სადამსჯელო რაზმი შემოარტყეს და რუსეთის იმპერიის ნაბოძები კეთილდღეობის მოტრფიალე ქართველი თავადაზნაურობის დახმარებით, წაიკითხეს იმპერატორ პავლეს მანიფესტი, რომელმაც საბედისწერო როლი ითამაშა საქართველოსა და ქართველი ერის ცხოვრებაში. ამ მოვლენამ ფარდა ახადა მეფის რუსეთის კარგა ხნის საიდუმლო განზრახვას: ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებასა და ქვეყნის რუსეთთან შეერთებას. ამავე წლის 12 სექტემბერს, პავლეს მემკვიდრის – იმპერატორ ალექსანდრე პირველის ხელმოწერით მანიფესტი ოფიციალურად გამოქვეყნდა, ქართლ-კახეთის სამეფო „საქართველოს გუბერნიად“ გამოცხადდა. ფაქტობრივად, საბოლოოდ გადაწყდა საქართველოს სამეფოს გაუქმებისა და მისი რუსეთთან შეერთების საკითხი [1: 262]. ამ დოკუმენტით, ერთმორწმუნე რუსეთი თითქოსდა მფარველობას უცხადებდა საქართველოს, ვალდებულებას კისრულობდა დაეცვა მაჰმადიანურ სახელმწიფოთა ხელყოფისაგან დაეფარა იგი და აღმოსავლელ დამპყრობთა თარეშს საბოლოოდ მოღებოდა ბოლო საქართველოს მიწა-წყალზე.

სინამდვილეში, მეფის რუსეთმა ქვეყანა კოლონიად გადააქცია; ტაძრებში აიკრძალა მშობლიურ ენაზე წირვა-ლოცვა, წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების გამოცემა. დაიხურა ეროვნული სკოლები და ძველი ქართული სტამბა. სამეფო კარის წარმომადგენლები და ფეოდალური არისტოკრატია იმთავითვე ჩამოაშორეს სახელმწიფო მმართველობას და, უნდობლობა-უკმაყოფილების გამო, რუსეთში გაისტუმრეს. მეფის რუსეთის მიერ დანიშნული ხელისუფალნი ქართველი ერის მიმართ აშკარა თვითმპყრობელურ, რუსიფიკატორულ პოლიტიკას ატარებდნენ. ქვეყნის მართვა-გამგეობა, მართლმსაჯულება და სასამართლო საქმე რუსულად, მოსახლეობისათვის გაუგებარ ენაზე წარმოებდა.

ეს ვითარება ცარიზმმა და მისმა საეკლესიო უწყებამ – საეგზარქოსომ ძირძველი ქართული ეკლესიის მოსასპობად და კოლონიური პოლიტიკის განსახორციელებლად გამოიყენეს. ავტოკეფალიის გაუქმების დღიდან ძლიერდებოდა საუკუნეების მანძილზე დაგროვილი და კანონით ხელშეუხებელი ქართული საეკლესიო ქონების, მისი მიწა-წყლისა და ნაგებობების, ხელოვნებისა თუ საეკლესიო-საკულტო აურაცხელ ძეგლთა და განძეულობათა, სულიერი და ნივთიერი კულტურის ეროვნულ ფასე-ულობათა ხელყოფა. ქართული მწიგნობრული სამონასტრო კერების დაკნინებასთან ერთად ნადგურდებოდა მისი მნიშვნელოვანი ნაწილი.

დამპყრობელი მთავრობა შეგნებულად აღვივებდა ეროვნულ შუღლს თავისი მზაკვრული გეგმის შესასრულებლად და მკვიდრ ნიადაგს ამზადებდა ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის განსამტკიცებლად.

საქართველოს მრავალსაუკუნოვან სისხლიან თავგადასავალს ეკატერინე მეორისაგან წამოსული ცნობილი ფორმულაც დაერთო თან: „გადავამუშაოთ ქართველები ისე, რომ სული რუსული იყოს, სხეული კი – ქართული“ [2: 6]. ეს იყო სახელმწიფო აპარატის სახელმძღვანელო დევიზი, რომელმაც განსაზღვრა ქართველი ერის ბედ-იღბალი ანექსიის შემდეგ.

ქართველი ინტელიგენცია არ ურიგდებოდა ცარიზმის უღელს და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის იბრძოდა მასობრივი აჯანყებებითა და შეთქმულებებით. ეროვნული მოძრაობა მხოლოდ დროებით წყდებოდა და კვლავ

ახალი ძალით იფეთქებდა ხოლმე. 1832 წლის შეთქმულების მარცხმა ბოლო მოუღო მეფის რუსეთის წინააღმდეგ ყოველგვარ „ურჩობას“ და ქართველი ფეოდალური არისტოკრატია კარგა ხნით იმპერატორისადმი ერთგულების გზით წაიყვანა.

ცარიზმის „გამარუსებელი“ პოლიტიკა, რომელმაც სავსებით უარყო ქართული ენა და ეროვნული სკოლები, სულ უფრო მკაფიოდ იჩენდა თავს. მეფის რუსეთის ბიუროკრატიულმა ხელისუფლებამ ქართველ ფეოდალთა ზოგიერთ წარმომადგენელს ნაციონალური გრძნობები იმდენად შეურყია, რომ თავად-აზნაურული ფენის მრავალ წარმომადგენელს საამაყოდ მიაჩნდა ცნობილი ისტორიული გვარების რუსულად გადაკეთება. არისტოკრატიულ წრეებში პოლემიკაც კი იმართებოდა მშობლიური ენის შესახებ და მისი სიყვარული სათაკილოდ მიაჩნდათ; „ქართული ენა ვის ახსოვდა, ქართველ მწერლებს ვინ აქცევდა ყურადღებას... ზოგს ტუტუცად მიაჩნდათ და ზოგს გიჟად... ქართულს ენაზე არას კითხულობდნენ... ისეთი ოჯახებიც ასობით იყო, სადაც ქართული ყოველისფერი იგმობოდა, იდევენებოდა და თვით მასხრად იყო გამხდარი“ – წერდა ნიკო ნიკოლაძე [3].

მე-19 ს-ის 40-იან წლებს უნდა ეკუთვნოდეს ქართული ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილის მიერ დაწერილი ისტორიული მნიშვნელობის ფურცელი, ე. წ. „გამოცხადება“, რომელიც ერთგვარი მოწოდებაა და მომხიბლავი ჰიმნივით ჟღერს, ქართული ენისა და წიგნის, რუსთველისეული ტრადიციების აღდგენა-განახლებისათვის. ამ ეროვნული მნიშვნელობის დოკუმენტში ვკითხულობთ: „...აწინდელი საქართველო, – იმერეთის გუბერნია ოდესმე ყვავილოვნებდა სწავლითა და ხელოვნებითა... ახლა იგი ჰსდგას კვალად მისივე განათლებისა ხარისხსა ზედა, ვითარცა იპოვებოდა ჟამსა მტერთაგან შეწირებისასა და ვიდრე უადრესსაცა, უზრუნველობისა გამო ჩვენისა, აწ სადღა არიან ჩახრუხაძენი, განა შავთელნი, რუსთველნი და პეტრიწნი, სადღა ისმის ტკბილხმოვანება ბესიკისა... მშვენივრად საეკლესიო წერილნი, დამცველნი ჩვენის ენისა აღმკობილნი კვლავ ვერ გაუთალხებია დროსა“ [4: 397].

მრავალტანჯულ, მაგრამ სულით უძლეველ ქართველ ხალხს, რომელსაც მარადიული ღვთაებრივი საუნჯე – „ენა, მამული, სარწმუნოება“ აბადია, ამ მძიმე გაჭირვების ჟამს, ღირსეული მამულიშვილები მოევლინენ. მათ, სამაგალითო ცხოვრებითა და მოღვაწეობით, კიდევ უფრო გააღვივეს ერში არსებული თავისუფლების ნაპერწკალი და მომავლისადმი ურყევი რწმენა განამტკიცეს.

სწორედ ასეთ ქართველთა ღირსეული წარმომადგენელი იყო ივანე კერესელიძე.

ივანე კერესელიძე მე-19 საუკუნის 50-60-იანი წლების ქართული კულტურის ცენტრალური ფიგურა იყო. თვალსაჩინო პუბლიცისტი და მწე-რალი მრავალმხრივ საქმიანობას ეწეოდა: წერდა ლექსებს, მოთხრობებს, პიესებს, კრიტიკულ-პუბლიცისტურ წერილებს, გამოკვლევებს, თარგმნიდა მეცნიერულ და მხატვრულ თხზულებებს. ქართული თეატრის აღორძინების პირველ წლებში იგი სხვადასხვა როლში გამოდიოდა სცენაზე და მრავალ საზოგადოებრივ-საქველმოქმედო წამოწყებას ედგა სათავეში.

მან დიდი როლი ითამაშა იმდროინდელი საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. გიორგი ერისთავის შემდეგ იგი სათავეში ჩაუდგა ქართულ თეატრსა და ჟურნალს – „ეროვნული კულტურის ორივე დედაბოძს“, რომელთაც უანგაროდ შეაღია მთელი სიცოცხლე.

ივანე კერესელიძემ ჩამოაყალიბა ქართული დაწყებითი სკოლის დაარსების პროგრამა და დაასაბუთა მშობლიურ ენაზე სწავლების აუცილებლობა. ეს იყო დედა ენისათვის ბრძოლის დასაწყისი, რომელიც შემდგომში – 70-80-იან წლებში გაჩაღდა.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი ღვაწლი ქართული წიგნისა და ჟურნალ-გაზეთების გამოცემის საქმეში. რითაც ფასდაუდებელი სამსახური გაუწია ქართული ბეჭდვითი სიტყვის დამკვიდრებასა და გავრცელებას.

ივანე კერესელიძის დაბადების თარიღის შესახებ ორგვარი მოსაზრება არსებობს: ცნობილი ისტორიკოსის ზაქარია ჭიჭინაძის ცნობებით, ივანე დაიბადა 1827 წლის 10 ნოემბერს თბილისში, იმერელი აზნაურის ივანე იოსების ძე კერესელიძის ოჯახში.

მამამისი – ივანე იოსების ძე კერესელიძე იმერეთიდან გადმოსახლებულა თბილისში და ბატონიშვილების კარზე მსახურობდა მამულის გამგებლად. აქ ის იმდენად დიდი სიყვარულით, პატივისცემითა და ნდობით სარგებლობდა, რომ მიწერ-მოწერა ჰქონდა ალექსანდრე ბატონიშვილთან სპარსეთში. მაგრამ ბატონიშვილის მომხრეებმა ივანეს რუსების მიმხრობაში დასდეს ბრალი და მთიულეთში სიციოცხლეს გამოასალმეს [5: 5].

ნ. თედორაძის ცნობების მიხედვით, ივანე კერესელიძე 1829 წლის 10 ნოემბერს დაიბადა, 28 ნოემბერს კი ჩვილი ანჩისხატის ტაძარში თეკლე ბატონიშვილმა მონათლა.

მისივე მონაცემებით, ივანეს მამა – ივანე იოსების ძე კერესელიძე – სამეგრელოს აზნაური – თბილისში გადმოსულა საცხოვრებლად. სამოქალაქო სამსახურში ყოფნის პერიოდში, თიანეთის მაზრაში სოფელ არდოტში ოქროს მადანი აღმოუჩენია და მთავრობისათვის უცნობებია, რის გამოც იგი ხევსურებს მოუკლავთ [6: 520].

იმის შესახებ, თუ ამ ორი თარიღიდან, რომელი შეესაბამება სი-ნამდვილეს, მეტყველებს საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის საარქივო მასალებში დაცული სააქტო ჩანაწერი, რომელშიც ვკითხულობთ:

„Иван Кереселидзе, рожден у дворянина Ивана Иосифова, сына Кереселидзева, с законной женой его Анной Моисеевою 10 ноября и крещен 28 числа тово же месяца 1829 года в Тифлисском анчисхатском соборе священником Давидом Месхиевым при восприемнике гражданине Коние Мелкипове” [7].

ამრიგად, ჩვენ ხელთ გვაქვს სარწმუნო საბუთი, რომლის თანახმადაც დაბადების თარიღად 1829 წლის 10 ნოემბერი უნდა მივიჩნიოთ.

სხვადასხვა წყაროების მიხედვით, ივანე კერესელიძის მამად მოხსენებულია ივანე იოსების ძე კერესელიძე. საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში დაცულ საარქივო ჩანაწერებში მივაკვლიეთ მეტად საინტერესო დოკუმენტს – 1853 წლის 9 მარტს, სამეგრელოს მთავრის, დავით დადიანის მიერ გაცემულ მოწყალებას, ივანე კერესელიძის აზნაურობის შესახებ, სადაც ნათქვამია:

„მიეცა ესე აზნაურს ივანე იოანეს ძეს კერესელიძეს თხოვნისაებრ მის კერესელიძისა მასზედა, რომელ როგორადაც ჰსჩანს განხილვისაგან, პაპა ზემოხსენებულის კერესელიძისა აზნაური იოსებ კერესელიძე ჰსცხოვრობდა რა ჩემს სამთავროში ირიცხებოდა კეთილშობილთ რიცხვში, შემდგომ რავდენისამე ჟამისა მოკუდარა რა, არა დაუტყვევია არა რაი ნათესავი შვილის მეტი იოანესი, რომელიცა გასული ქ. ტფილისს და სადაცა ყოფილა რა ოცდაათ წლამდე, მოუკლავს ხევსურთა მის იმპერატორების დიდებულების სამსახურის საქმეზე, და დაუტყვევია მხოლო შვილი სახელდობ ივანე, რადგანაც აწ მიმმართა მე თხოვნითა შვილისშვილმან აზნაურის იოსებ კერესელიძისამან, რათა მიეცეს ჩემგან მოწმობა აზნაურობის შთამომავლობისა, ამისათვის ვაძლევ ამა მოწმობას მას აზნაურს ივანე კერესელიძეს

მასზედ, რომელ იგი ნამდვილად წარმომდინარეობს სამეგრელოს აზნაურთაგან და ვითარცა გავრცელებასა ზე სამსახურისა მათის იმპერატორების დიდებულისა, ვითარცა აზნაურსა არა რაი დამაბრკოლებელი მიზეზი შთამომავალთა არა აქვს რა, რომელსა ზედაცა ხელისმოწერითა ჩემითა და დასმითა ჩემისა ღერბისათი ვამტკიცებ 1853 წელსა 9 მარტის თვესა სასახლესა შინა ზუგდიდს.

მთავრის მეგრელიისა დადიანი” [8].

(ორთოგრაფია და სტილი დაცულია)

მწერლის დედა – ანახანუმ ტუსიშვილი, თეირანში დაიბადა, წარმოშობით სოფელ მატანიდან (ამჟამად ახმეტის რაიონი) იყო და თეკლე ბატონიშვილის კარზე „ბატონის ქალის გამგედ“ მსახურობდა. ზემოთ მოყვანილ საარქივო ჩანაწერში კი იგი ანნა მასიევადაა მოხსენებული [9: 7].

ივანე მამის გარდაცვალების დროს ერთი წლის იყო. უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილ დაობლებულ ოჯახს დახმარების ხელი თეკლე ბატონიშვილმა გაუმართა. მისმა მფარველობამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ივანეს აღზრდა-ჩამოყალიბებაში. სასულიერო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, 1843 წელს, თეკლე ბატონიშვილის შემწეობით, იგი თბილისის გიმნაზიაში მიიღეს, რაც დიდი წყალობა იყო სწავლას მოწყურებული ჭაბუკისათვის, გიმნაზიაში სწავლის უფლება ხომ მხოლოდ თავადაზნაურთა შვილებს ჰქონდათ (როგორც ზემოთაა აღნიშნული, აზნაურობის შესახებ მოწყალება ივანემ მხოლოდ 1853 წელს მიიღო თავადი დადიანისაგან.).

ნიჭიერი, შრომისმოყვარე და მოკრძალებული ბავშვი დიდი გულისხმიერებით ისმენდა დედობრივი სიყვარულით აღსავსე მოხუცი ქალბატონისა და მისი ვაჟის, ალექსანდრე ორბელიანის დარიგებებს. მათი ნატვრა იყო ივანე კარგი ყმაწვილი გამოსულიყო, შეეყვარებინა ქართული მწიგნობრობა და თვითონაც მწიგნობარი დამდგარიყო. „რასაც იგინი მარიგებდნენ მეც იმას ვინერგავდი გულშიო“ – იხსენებდა შემდგომში ივანე [10: 9]. ამ დარიგებებს მართლაც დიდი ზეგავლენა ჰქონდა ივანეს ცხოვრებაზე, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე მშობლიური ენისა და ბეჭდვითი სიტყვის განმტკიცება-განვითარებას შეაღია.

1850 წელს ივანემ წარმატებით დაასრულა გიმნაზია. სწავლას მოწყურებული ახალგაზრდა განათლების გაგრძელებაზე ოცნებობდა, მაგრამ ეკონომიური პირობებისა და ატესტატის უქონლობის გამო, სწავლის გაგრძელება კი არა სამსახურში მოწყობაც ვერ მოახერხა. აზნაურობის საბუთის არარსებობის გამო ატესტატი არ მისცეს, მაგრამ როგორც წარჩინებული აბიტურიენტი, დროებით გიმნაზიაშივე დატოვეს ზედამხედ-ველად და ქართული ენის მასწავლებლად [11: 520]. შემდეგ, ასევე დროებით დიდი წვალეებით მოეწყო თბილისის საგუბერნიო სამმართველოში კანცელარიის დაბალ მოხელედ, მაგრამ საბუთების უქონლობის გამო, აქედანაც გაათავისუფლეს. უატესტატოდ და უსამსახუროდ დარჩენილი, ყოველმხრივ შევიწროებული ივანე იძულებული გახდა, გამოთხოვებოდა თავის საყვარელ ქართულ თეატრსა და მეგობართა წრეს და 1851 წელს სამოღვაწეოდ ზუგდიდში გადასულიყო, სადაც, ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანების რეკომენდაციით, სამეგრელოს მთავარმა დავით დადიანმა და მისმა მეუღლემ ეკატერინე ჭავჭავაძემ მიიწვიეს შვილების აღზრდელად [12: 678]. დადიანების ოჯახში ივანემ დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. იქ გატარებულმა წლებმა, ეკატერინე და ნინო ჭავჭავაძეებთან მეგობრობამ, მათი მდიდარი ბიბლიოთეკის გაცნობამ, ოჯახის ქართველ და უცხოელ მეგობრებთან

ურთიერთობამ, დიდი როლი შეასრულა ივანეს საზოგადოებრივ-კულტურული ინტერესების ჩამოყალიბებაში.

ივ. კერესელიძისა და ჭავჭავაძის ასულების მეგობრულ დამოკიდებულებაზე მეტყველებს ივანეს პორტრეტი, რომელიც დებს ერთად დაუხატავთ ზუგდიდში [13: 68].

დადიანებისაგან უხვად დასაჩუქრებულმა ივანემ თბილისში დაბრუნების შემდეგ მთელი თავისი უძრავ-მოდრავი ქონება ეროვნული კულტურის განვითარებას მოახმარა.

უმდიდრესი ტრადიციების მქონე მშობლიურ ქალაქში ივანეს ფეოდალური საქართველოს დროინდელი მწიგნობრული კულტურის კვალიც აღარ დახვდა. „მივიწყებული იქმნა მწერლობაცა და თეატრიც, მწერლობის ხმა აღარსად ისმოდა, ჩვენი საზოგადოება მიყრუებული იჯდა“ – წერდა პეტრე უმიკაშვილი [14].

ზაქარია ჭიჭინაძის სიტყვებით რომ ვთქვათ: „მწიგნობრობის საქმე სულ უკუდმა იყო დაყენებული, ქართული წიგნები თავგების სახრელად იყო გამხდარი. თუმცა ბევრი არაფერი იბეჭდებოდა, მაგრამ რაც იბეჭდებოდა, ისიც თითქმის ოხრად რჩებოდა და მისი ხელში ამღები არავინ იყო, რის მეოხებითაც გამომცემელიც ყოველთვის ზარალში იყო. მაშინ კაცს კაი გული უნდა ჰქონოდა, რომ ყველა ესენი დაეთმინა, საკუთარი შრომის გარდა ფულიც უნდა ეხარჯა და ყოველივე ზარალი და სიდუხჭირე უნდა დაეთმინა, მხოლოდ იმიტომ, რომ მომავლისათვის ქართული მწიგნობრობის ასპარეზი განმტკიცებულიყოს ქართველთ შორის“ [15: 9].

1832 წლის შეთქმულების მარცხის შემდეგ, სოლომონ დოდაშვილის ციმბირში გადასახლებით, მისი გაზეთისა და სტამბის დახურვით, საქართველოში კარგა ხნით მოისპო ქართული სტამბისა და ბეჭდვითი სიტყვის არსებობა. მისი მდიდარი სტამბა კი „უჩინრად გამქრალა და მოსპობილა“ [16: 168]. მხოლოდ ორი ათეული წლის შემდეგ, 1852 წელს მოახერხა გიორგი ერისთავმა თბილისში პატარა, ქართული სტამბის გახსნა, სადაც ჟურნალ „ცისკარს“ გამოსცემდა [17: 521]. მაგრამ, სამწუხაროდ, ჟურნალი მალე დაიხურა და სტამბაც დაიკეტა.

ივანე კერესელიძეს კარგად ესმოდა, რომ ამ ვითარებაში ქართული ენა, წიგნი და მწიგნობრობა პოლიტიკური ბრძოლის მთავარი იარაღი, ეროვნული მთლიანობის, მისი შეგნების მთავარი მასულდგმულებელი და გამაერთიანებელი ძალა, კაცობრიობის მიერ საუკუნეების მანძილზე შექმნილი ცოდნის დაუფლების, მშობლიური კულტურისა და აზროვნების განვითარების, საზოგადოების უკეთესი მომავლისათვის ბრძოლის საუკეთესო საშუალება იყო. სწორედ ამიტომ ჩაუდგა ის სათავეში საგამომცემლო საქმიანობას.

ქართული წიგნის ბეჭდვაზე ივანე ჯერ კიდევ გიმნაზიაში სწავლისას ოცნებობდა. 1852 წელს ბავშვობის ოცნება აისრულა და „ყრმათა მეგობარი“ გამოსცა, რომელიც რუსული წიგნის ქართულ თარგმანს წარმოადგენდა, მაგრამ რაკი ეს გამოცემა არქაული ენით იყო ნათარგმნი, 1853 წელს კვლავ გადააკეთა და ხელახლა გამოსცა სახელწოდებით: „საკითხავი წიგნი ახალ-მოსწავლეთა ყრმათათვის“, რომელსაც „ანბანი ქართული წარუმძღვარა. იგი შემდეგ კვლავ განმეორებით დაიბეჭდა 1855 და 1861 წლებში.“

1853 წლიდან ივანემ მთელი სერიოზულობით მოჰკიდა ხელი თავისი ოცნების განხორციელებას – ქართული წიგნის ბეჭდვას.

მიუხედავად მძიმე პოლიტიკური და ეკონომიკური პირობებისა, მან მტკიცედ გადაწყვიტა 1854 წელს დახურული გიორგი ერისთავის „ცისკრის“ აღდგენა-განახლება, რომელმაც უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა ჩვენი საზოგადოების

ეროვნული შეგნების ჩამოყალიბება-განმტკიცებაში, ქართული მწერლობისა და სალიტერატურო ენის განვითარებაში.

ივანემ თავისი მიზნები სხვა ახლობლებთან ერთად ალექსანდრე ორბელიანსაც გაანდო, რომელმაც დიდი დახმარება და თანადგომა გაუწია. ორბელიანების მზრუნველი ხელი ივანეს ახლაც არ მოჰკლებია. ალექსანდრემ ერთი პატარა წიგნიც გამოსცა სახელწოდებით – „ქართული ენისათვის“, რომლითაც ქართველებს ევედრებოდა: „აბა, შეხედეთ სხვებსა, რა გვარად ეხმარებიან თავიანთ ენის მწიგნობრობასა“. ივანეს თანამოაზრეთა შეკრებებიც ალექსანდრეს სახლში იმართებოდა, სადაც საბოლოოდ გადაწყდა „ცისკრის“ აღდგენა-განახლება. დიმიტრი ყიფიანს მიანდეს პროგრამის შედგენა, რომელიც საბოლოოდ, ძველის მსგავსად, უბრალოდ, ყოველგვარ პოლიტიკურ-ეკონომიკურ და სოციალურ-ფილოსოფიურ საკითხთა გარეშე იქნა შედგენილი, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, ადვილი შესაძლებელი იყო რუსიფიკატორული პოლიტიკის გამტარებელ ხელისუფალთაგან ჟურნალის გამოცემაზე ნებართვის მიუღებლობა. სინამდვილეში კი პროგრამა მეტად მრავალფეროვანი იყო; მეცნიერებისა და ლიტერატურის თითქმის ყველა დარგი ჰპოვებდა მის ფურცლებზე სათანადო ადგილსა და გამოხმაურებას, იმდროინდელ საქართველოში ერთადერთი ჟურნალის რედაქტორს სხვაგვარად არც შეეძლო მოქცეულიყო, რადგან „ცისკარი“, უძველესი ქართული კულტურის დაცვისა და სამშობლოს უკეთესი მომავლის მისაღწევ ერთადერთ საიმედო იარაღს წარმოადგენდა.

ჟურნალის გამოცემის უფლება გიორგი ერისთავმა 1854 წლიდან გადასცა ივანე კერესელიძეს, რომელმაც მისი განახლება მხოლოდ 1857 წელს მოახერხა.

ამ საქმისადმი ხელისუფლების დამოკიდებულება ნათლად ჩანს საარქივო წყაროებში.

ივანემ ჟურნალის გამოცემის ნებართვა ხელისუფლებისაგან ჯერ კიდევ 1854 წლის 14 ივლისს მოითხოვა [18: 27].

1855 წლის 17 იანვარს მან განმეორებით მიმართა განცხადებით თბილისის სამხედრო გუბერნატორს, პოლკოვნიკ ნიკოლოზ კოლიუბაკინს, რომლითაც „ცისკრის“ გამოცემის განახლებასა და ჟურნალის რედაქტორობის ნებართვას ითხოვდა, ამ განცხადების საფუძველზე, კოლიუბაკინს შუამდგომლობა აღუძრავს ამიერკავკასიის სამოქალაქო მმართველობის უფროსის თანამდებობის აღმასრულებლისადმი, კერესელიძისათვის სტამბის გახსნის ნებართვის მიცემის შესახებ, რომელშიც ნათქვამია:

„...Ныне попечитель Кавказского учебного округа уведомляет меня, что если благонадежность надзирателя Кереселидзе в настоящем случае предполагается в нравственности и характере Кереселидзе, то в этом отношении он заслуживает самый лучший отзыв и что Кереселидзе хотя и не имеет собственных денег но пользуется кредитом.

Соображая отзыв этот господина попечителя Кавказского учебного округа с 356 стат. 2 тома губернских учреждений и не находя препятствия к удовлетворению просьбы Ивана Кереселидзе, я имею честь покорнейше испрашивать ходатайства в пр-ства о дозволении ему иметь типографию при редакции журнала, предполагаемого им к изданию с 1 января 1855 года.

Полковник Колюбакин “ [19].

1855 წლის 22 იანვრით თარიღდება ამიერკავკასიის სამოქალაქო მმართველობის უფროსის, გენერალ-ლეიტენანტ რაუტის მოხსენება, კავკასიის სამოქალაქო ნაწილის

მმართველისადმი, კერესელიძისათვის ჟურნალის რედაქციასთან განსაკუთრებული სტამბის (რუსულ, აღმოსავლურ და ფრანგულ ენებზე) გახსნის ნებართვის მიცემის შესახებ [20].

საგამომცემლო საქმიანობის ერთ-ერთ უმთავრეს სირთულეს სტამბის უქონლობა წარმოადგენდა, რის გამოც ივანემ საკუთარი საგამომცემლო ბაზის შექმნა გადაწყვიტა და ძველი, კარგა ხნის წინ დახურული „ცისკრის“ სტამბის შესყიდვის შესახებ თხოვნით გიორგი ერისთავს მიმართა. ეს უკანასკნელიც დაეთანხმა და 900 მანეთად მორიგდნენ, მაგრამ ივანემ სტამბის ღირებულების ერთბაშად გადახდა ვერ მოახერხა და თავდა-პირველად მხოლოდ 300 მანეთი გადასცა გ. ერისთავს.

პრიმიტიული, ხისაგან დამზადებული, ძველნაკეთი დაზგა, რომელიც მეფისნაცვლის სტამბის ნაწილს შეადგენდა და ვორონცოვისაგან მიიღო ერისთავმა საჩუქრად, ივანემ დიდი სიხარულით მოაწესრიგა, გაცვეთილი ასოები შეცვალა, ხის დანჯღრეული დაზგა ააწყო და ბეჭდვა გააჩაღა. ხელისმომწერთა რიცხვიც 200-მდე გაიზარდა და რედაქტორს ვალის გადახდის იმედი გაუჩნდა, მაგრამ გ. ერისთავმა დარჩენილი ვალის დაუყოვნებლივ გადახდა მოსთხოვა და დროებით ჟურნალის ბეჭდვაც შეაჩერებინა. ივანემ დიდი გაჭირვებით ნაშოვნ 300 მანეთი მიუტანა ერისთავს და სტამბის „ახსნა“ სთხოვა. „ამოწყობის ნება მომეცი, რომ დრო მაინც არ დავკარგო, როცა ფულს მოგიტან, მაშინ მომეცით ბეჭდვის ნებაო“ – ემუდარებოდა ივანე, მაგრამ გ. ერისთავი ვერ დაითანხმა.

დიდი მცდელობის მიუხედავად, ივანემ ფული ვერსად იშოვა, საგო-ნებელში ჩავარდნილმა აღარ იცოდა რა მოეხერხებინა, როდესაც ღამის 10 საათზე კარზე ზარი დარეკეს, უცხო კაცმა მას წერილი გადასცა და თვითონ სიბნელეში გაუჩინარდა. ეს წერილი ივანესათვის ნამდვილი ღვთის წყალობა იყო, რადგან მას 300 მანეთი ახლდა და გიმნაზიის მასწავლებელი – შესტაკოვიჩი უგზავნიდა, საქმიანობას უწონებდა და ამხნევებდა. მეორე დილით გახარებულმა ივანემ ფული გიორგი ერისთავს გადასცა და სტამბა „ახსნევინა“ [21: 9].

ალ. ორბელიანმა კვლავ გაუმართა ხელი ივანეს და რედაქცია საკუთარ სახლში, არქიელის მოედანზე მოათავსებინა.

საქართველოს სსრ ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივის ფონდებში დაცულ პოლკოვნიკ კოლიუბაკინის შუამდგომლობაში კავკასიის სამოქალაქო სამმართველოს უფროსისადმი 1855 წლის 25 აპრილის ნათქვამია: „ი. კერესელიძემ ა. წ. 16 აპრილს მომმართა თხოვნით, რომ მისი ჟურნალის ნებართვამ შეიძლება დაიგვიანოს, მას კი უკვე შეუძენია სტამბა და ახლავე მოითხოვს სტამბის გახსნის უფლებას“ [22].

ამავე წლის 30 აპრილითაა დათარიღებული ამიერკავკასიის სამოქალაქო სამმართველოს უფროსის გენერალ-ლეიტენანტ რაუტის მოხსენება კავკასიის მეფისნაცვლისადმი კერესელიძისათვის სტამბის გახსნის ნებართვის შესახებ [23].

საარქივო წყაროების რაოდენობისა და შინაარსის მიხედვით ირკვევა, რომ ივანე კვლავ განაგრძობდა ჩინოვნიკებისათვის სტამბისა და ჟურნალ „ცისკრის“ აღდგენა-განახლების ნებართვის გამოთხოვნას, რომელიც მხოლოდ ნოემბრის ბოლოს მიიღო.

1855 წლის 29 ნოემბრით თარიღდება გრაფ ორლოვის მოხსენება ქართულ ჟურნალ „ცისკრის“ გამოცემის ნებართვის მიცემის შესახებ [24: 142].

ამ მოხსენებაზე იმავე წლის 30 ნოემბრის თარიღით, იმპერატორის ხელით მიწერილია რეზოლუცია: „Согласен“ [25: 143].

„ცისკრის“ გამოცემის განახლებას კიდევ ერთი წელი დასჭირდა და ჟურნალის რედაქტორობის ნებართვა ივანემ საბოლოოდ 1856 წლის დამლევს მიიღო.

1857 წლის პირველი იანვრიდან გამოსვლა დაიწყო „ცისკარმა“. ეს ჟურნალი 1863 წლამდე ქართულ ენაზე ნაბეჭდი ერთ-ერთი პერიოდული გამოცემა იყო, რომელმაც მთელი ქართველი ინტელიგენციის ყურადღება მიიქცია. მის შესახებ პეტრე უმიკაშვილი წერდა: „ცისკრის“ გამოსვლა ჩვენის ლიტერატურის ბნელ ცაზე მართლა დილის წინამორბედს ცისკრის ვარსკვლავსა ჰგავს. მუდამ თვე თითო დაბეჭდილის წიგნის გამოსვლა ისეთ იშვიათს საქმეს შეადგენდა, რომ აქამდის არავის ენახა... მოხდა ბეჭდვითი დაახლოება მწერლისა, ამავე ბეჭდვის მაღლით მკითხველიც მწერალს დაუახლოვდა” [26].

„ცისკრის“ მნიშვნელობის შესახებ გაზეთი „ივერია“ მოგვიანებით წერდა: ივანე კერესელიძის „ცისკრის“ დაარსებით „ჩვენი ცხოვრების ახალი ხანა დაიწყო, როდესაც საზოგადოება და მწერლობა მოქმედებას იწყებს მხოლოდ თავის გულით და თავის იმედით და არა სხვის მოლოდინით” [27].

„ცისკარმა“ უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა... სალიტერატურო ენისა და მწერლობის განვითარებაში. ილიას სიტყვებით, რომ ვთქვათ: „ცისკარმა“ აკვნობა გაუწია ყმაწვილ მწერლებს” [28: 221].

ივანემ ჟურნალის გარშემო შემოიკრიბა ქართველი მწერლები: გრიგოლ, ვახტანგ და ალექსანდრე ორბელიანები, ლავრენტი არდაზიანი, დიმიტრი ყიფიანი, გრიგოლ რჩეულიშვილი, რაფიელ ერისთავი, დანიელ ჭონქაძე, მიხეილ თუმანიშვილი, ბარბარე ჯორჯაძე, გრიგოლ დადიანი (კოლხიდელი), მამია გურიელი, ანტონ ფურცელაძე, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, გიორგი წერეთელი და სხვები. პირველად ამ ჟურნალის ფურცლებზე იხილა საზოგადოებამ ნიკოლოზ ბარათაშვილის, ალექსანდრე ჭავჭავაძისა და სხვათა ნაწარმოებები, რომლებითაც დამშვენებულია მეცხრამეტე საუკუნის ქართული სიტყვაკაზმული მწერლობა.

ჟურნალის ერთ-ერთ ნომერში ივ. კერესელიძე წერდა: „რედაქციას იმდენი ღონისძიება არა აქვს, რომ ვისმეს მისცეს შრომისათვის ფასი და ვისაც ჰსურს შეეწიოს თავის სამშობლო ენას და გამოგზავნის თავის ნაწერს, ჩვენ მივიღებთ და დავბეჭდავთ დიდის მაღლობით თვინიერ ყოვლისა სასყიდელისა, უამისოდ კი, თუ ფიქრად აქვსთ ფასის მიღება, ვთხოვ ნუ შეწუხდებიან თავიანთი სტატიების გამოგზავნით” [29: 12].

ეკონომიურ სიდუხჭირეს პოლიტიკური ბრძოლის სირთულეც ემატებოდა. 1857 წლიდან „ცისკართან“ დაარსებულ ქართული ლიტერატურის მოყვარულთა არალეგალურ წრეს ივანე კერესელიძე მეთაურობდა. მას ბრძოლა უხდებოდა, რიგორც ოფიციალურ, ისე არაოფიციალურ ცენზურ-რასთან. „ცისკარში“ დაბეჭდილი „სალაყბო ფურცლები“, რომელსაც ავტორი „მოლაყბის“ ფსევდონიმით აქვეყნებდა, ყოველთვის პოლიტიკური სიმახვილით, პროგრესულ-დემოკრატიული აქტუალობით გამოირჩეოდა. ამ „ფურცლებმა“ ახალი სიცოცხლე შეიტანეს განახლებულ „ცისკარში“. ამას ილია ჭავჭავაძის მიერ 1858 წელს გიორგი სულხანიშვილისათვის მიწერილი წერილიც მოწმობს, რადგან პირველად სწორედ ის მიუჩნევია „მოლაყბედ“. „ამას, წინათ – წერდა ილია – მგონი შენი სტატიები იყო „ცისკარში“ და მოლაყბედ აცხადებდი შენს თავს, შენ იყავი, თუ სხვა, პირფერობით არ ვიტყვი, კარგი რამ იყო. რაც კი შეეხება ენას, სწორედ ფენომენი იყო ჩვენს ჰორიზონტზე. აზრითაც არ იყო დასაწუნი. დასაწუნი – მეთქი? დასაწუნი კი არა, ძლიერ მოსაწონიც იყო. რა მახვილად დაეცა მოლაყბე ქართველობას, რა კარგად დაიწყო ქართველობის უბედურებაზე დაცინება... რა სიხარულით ვკითხულობდი მარტივ სიტყვასა კარგის გულიდამ გამოსულს. უნდა გენახა, რა სიჩქარით

გადადიოდა ხელში ის ბედნიერი „ცისკრის“ ნომრები, სადაც მოლაყბის ფურცლები ბრწყინავდნენ” [30: 290].

ივანეს გარდა „მოლაყბის“ ფსევდონიმით „ცისკარში“ იბეჭდებოდნენ: მიხეილ თუმანიშვილი, გიორგი სულხანიშვილი და ლავრენტი არდაზიანი, მაგრამ მათ, მიხ. თუმანიშვილის გარდა, მხოლოდ რამდენიმე წერილი აქვთ გამოქვეყნებული, ძირითადად კი, მათი ავტორი ივ. კერესელიძე იყო.

საქვეყნო სატკივართ შეწუხებული გამომცემელი ჟურნალის საშუალებით ცდილობდა ხალხში სამშობლოს წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობა განემტკიცებინა და მშობლიური ენის სიყვარული გაედვიძებინა, ირგვლივ გამეფებული წყვილი გაეფანტა და ახალი ცხოვრებისაკენ მიმავალი გზა გაეკვალა. ათეული წლის შემდეგ, კი თვითონვე ჩამორჩა. ეს ჩამორჩენა პირველ რიგში ცხადია, ახალმა თაობამ შეამჩნია და განგაშიც ატეხა, რომელიც რედაქციისაგან ჟურნალის ყოველმხრივ დახვეწასა და გარკვეულ პროგრესულ იდეებს მოითხოვდა. ივანეს კი ხშირად საყვედურობდნენ, „მიმართულება“ არ გაქვსო, რასაც გულდაწყვეტილი მწერალი ასე პასუხობდა: „ჩემი მიმართულება ბეჭდვა იყო, რომ ქართველთ შორის ბეჭდვითი სიტყვა განმეგრცო“ [31: 14].

და მართლაც, ივანე კერესელიძე თავის სტამბაში სისტემატურად ბეჭდავდა „სახალხო წიგნებს“. 1855 წლის მიწურულს გამოიცა მისი პროზაული ნაწარმოებები – „მწყემსის სიყვარული“ და „ნაობარი სოფელი“, რომლებიც იმ დროისათვის საკითხავ წიგნთა შორის საკმაო პოპულარობით სარგებლობდნენ.

1856 წელს ივანემ გამოსცა პატარა სახელმძღვანელო სახელწოდებით: „ანბანი ახალმოსწავლეთა ყრმათათვის“. წიგნი პრიმიტიული და მეთოდურად გაუმართავი იყო, მაგრამ იმ ხანად, როდესაც მშობლიური ენის შესასწავლად სხვა უკეთესი სახელმძღვანელო არ მოიპოვებოდა, საკმარის სამსახურს უწევდა წერა-კითხვის შესწავლის მსურველთ და დიდი მოთხოვნებითაც სარგებლობდა, რისი დამადასტურებელიცაა ის ფაქტი, რომ ეს წიგნი ზედიზედ სამჯერ გამოიცა (1856, 1858, 1862 წწ.) და კარგად შეასრულა მასზე დაკისრებული როლი მშობლიური ენის შესწავლისა და განმტკიცების საქმეში.

გამომცემელი სტამბის შესანარჩუნებლად არაფერს ზოგავდა. 1859 წელს ივანემ სტამბა საკუთარი სახლის ფლიგელში განათავსა, ალექსანდრეს ქუჩაზე (ამჟამად ნინოშვილის №13-ში), რომელსაც ნიკოლოზ ბერძენიშვილი დაწვრილებით აღწერდა და გაკვირვებას გამოთქვამდა: „ერთ ბეწვა სტამბაში... წარმოგიდგებათ სტამბის ღარიბი, სუსტი პაროდია. შეიხედეთ: პატარა ოთახი, ორი ვიწრო ფანჯრით მკრთალად გაშუქებული, იტევს სტამბას მისი მოწყობილობით. ვაი-უბედურებით მოჭუჭყულად არც თუ ახალი მოწყობილობისა და მტკიცე სიმაგრის საბეჭდი დაზგაც, რომელიც მუშაობისას საბრალო ჭრიალს გამოსცემს, საღებავის ასაზელი მაგიდაც, შრიფტის კასაც და მუშებიც, ორი თუ სამი... ახალგაზრდა, ცოცხალი ბიჭები, რომლებიც აქაც ისევე გულმოდგინედ ფართიფურთობენ, როგორც ერთი წლის წინ ვენახებში ვაზებთან... განა ამ ბიჭებს შეეძლოთ წარმოედგინათ, რომ ბედი... გუტენბერგის ხელოვნების ტაძარში მოიყვანდათ?... ადამიანები, რომლებიც მეზადეებად, მევენახეებად ემზადებოდნენ, მოხვდნენ წყნარ, მაგრამ მათთვის მეტად უცნაურ წიგნისმბეჭდაობის სახელოსნოში“ [32: 10].

იმის წარმოსადგენად, თუ რამდენად დიდ სირთულეს წარმოადგენდა ბეჭდვითი საქმის წარმოება და თითოეული ნაბეჭდი ერთეულის შექმნა, განვიხილოთ იმდროინდელი სტამბის აღწერილობა და სტამბის მუშაკთა საქმიანობა. სტამბა ორ უმთავრეს განყოფილებას მოიცავდა: „ასოთამწყობსა“ და „საბეჭდავს“. პირველ

მათგანში მოთავსებული იყო ასოების ცალ-ცალკე ჩასალაგებელი პატარ-პატარა უჯრებად დაყოფილი, ერთ მხარეს დაქანებული და ფეხებზე დამაგრებული ახდილი ყუთები, რომლებშიც ასოთამწყობი „შრიფტის კასიდან“ ამოკრეფილი ასოებით, ადგენდა ასაწყობი ტექსტის სიტყვებს, დაზგაზე დამაგრებული ხელნაწერის მიხედვით და აწყობდა „ასასხმელში“. ათიოდე სტრიქონის აწყობის შემდეგ ასასხმელი „კუთხიანზე“ გადაჰქონდა. აქ თანდათან, სტრიქონების მთელი სვეტის, საბოლოოდ კი გვერდის აწყობა ხდებოდა და წარმოიქმნებოდა „ანაწყობი“. ამის შემდეგ, იგი „საბეჭდავზე“ გადაჰქონდათ, ეს იყო გუტენბერგის დროინდელი „პრეზის საბეჭდავი“ მანქანა, რომელიც მარტივ, ოთხკუთხა დაზგას წარმოადგენდა. „დამბეჭდავი კაცი“ ანაწყობს შავი საღებავით – „წამლით“ ფარავდა და მასზე თითო თაბახის ფურცელს ათავსებდა. მძიმე სარქველის დაჭერით ფურცელზე ანაწყობის კვალი რჩებოდა და ტექსტი იბეჭდებოდა. სარქველის ზემოთ ან ქვემოთ ამოდრავება ჭახრავის საშუალებით ხდებოდა. ასოთამწყობი ასოების ამოწყობის დროს ხშირად უშვებდა შეცდომებს, რომლებიც სანიმუშოდ ჩანდა დაბეჭდილ ფურცელზე. მათი გასწორების მიზნით, თავდაპირველად ტექსტი ერთ ცალად იბეჭდებოდა, რომელსაც სტამბის ან გამომცემლობის მიერ დაქირავებული პირი – კორექტორი ასწორებდა. უსახსრობის გამო კორექტორული შეცდომების გასწორება ხშირად თვით ავტორს, გამომცემელს ან სტამბის რომელიმე თანამშრომელს უხდებოდა. გასწორებული ფურცელი ჯერ ასოთამწყობს უბრუნდებოდა ანაწყობის შესასწორებლად, ხოლო შემდეგ მბეჭდავს – სანიმუშო ფურცლის დასაბეჭდად. ამის შემდეგ კვლავ კორექტორს უბრუნდებოდა პირველი გასწორებისას დარჩენილი შეუმჩნეველი ან ასოთამწყობის მიერ დაშვებული ახალი შეცდომების გასასწორებლად. მეორედ გასწორების შემდეგ, კორექტორი ფურცელზე წააწერდა – „დაიბეჭდოს“ და სტამბაც, ამის შემდეგ შეუდგებოდა ბეჭდავს. საბოლოოდ, დაბეჭდილი თაბახის ერთი ეგზემპლარი კვლავ კორექტორს უბრუნდებოდა და თუ რამდენჯერმე გასწორებულ ნიმუშში, კვლავ გაიპარებოდა შეცდომა, ანაწყობის შესწორებას აზრი აღარ ჰქონდა, რადგან ფურცლები მთლიანად დაბეჭდილი იყო. ასეთ შემთხვევაში კორექტორი ცალკე ფურცელზე აღნუსხავდა, თუ რომელ სტრიქონში, რა შეცდომა იყო დაშვებული და როგორ უნდა გასწორებულიყო. მას წიგნისა, თუ ჟურნალის ბოლო გვერდზე მიაბეჭდავდნენ ხოლმე.

ამრიგად, დაბეჭდილ თაბახის ფურცლებს, ამკინძავი აღნუსხული გვერდების თანმიმდევრობით რვეულებად კეცავდა, ძაფით კერავდა და შემდეგ ერთმანეთზე დამაგრებით წიგნად კინძავდა. თითოეულ წიგნს, უფრო სქელი ქაღალდისაგან დამზადებულ კანს აკრავდა, რომელზედაც დაბეჭდილი იყო წიგნის სახელი, ავტორი, შემდგენელი, მთარგმნელი, გამომცემელი, სტამბის მფლობელის გვარი და სახელი, გამოცემის თარიღი და წიგნის ფასი. დაზიანებისაგან უკეთ დაცვის მიზნით, წიგნს სქელი ქაღალდის ყდებს უკეთებდნენ, ტყვავისა და კოლენკორის ზურგით [33: 52-61].

სტამბაში ივანე უმთავრესად მუშაობდა, დროდადრო სტამბის მუშეებიც ჰყავდა, რომელთაგან ზოგი უფასოდ ემსახურებოდა, ზოგიც დაქირავებული იყო. უსახსრობის გამო, ხშირად ხელფასის მიცემას ვერ ახერხებდა და სოფელ-სოფელ შეგროვილ სურსათს უნაწილებდა მათ. მუშეები სტამბას ტოვებდნენ და ივანელა იყო „ასოთამწყობი, მბეჭდავი, კორექტორი, ამკინძავიცა და ყველა სახის სამუშაოს შემსრულებელი“ [34]. მაშინაც კი, როდესაც ასოთამწყობები ჰყავდა, წუთითაც არ შეეძლო სტამბის დატოვება, რადგან ისინი გაუწაფავნი იყვნენ [35]. ამ დროს მისი დამხმარე და შემწე ნინო უზნაძე იყო.

თეატრში მუშაობისას ივანეს თავდავიწყებით შეუყვარდა იმ დროს სახელგანთქმული მომღერალი და მოცეკვავე, ნინო უზნაძე [36]. 1857 წლის 14 ივნისიდან იგი ივანეს მეუღლე და მეგობარი გახდა და მასთან ერთად ეწეოდა ოჯახური ცხოვრებისა, თუ საზოგადოებრივი მოღვაწეობის მძიმე ჭაპანს. მათი ოჯახი თბილისის ლიტერატურულ-კულტურული ცხოვრების ცენტრად გადაიქცა, სადაც თავს იყრიდნენ ქართული ლიტერატურისა და კულტურის საჭირობოტო საკითხებზე მოსალაპარაკებლად ამ საქმის ენთუზიასტები. „1859 წელს ქართველი საზოგადოება აქ შეხვდა გამოჩენილ ფრანგ მწერალს, ალექსანდრე დიუმას, რომელმაც გულთბილი სტრიქონები მიუძღვნა გულუხვ მასპინძელსა და მის ლიტერატურულ სალონს“ [37: 16].

ივანე კერესელიძის ოჯახის ყველა წევრი სტამბის უფასო თანამშრომელი იყო. ამ მხრივ ივანე თავისი ოჯახით ქართული კულტურისა და ლიტერატურისათვის უანგარო, თავდადების შთამაგონებელ მაგალითს წარმოადგენდა.

ივანესა და ნინოს სამი შვილი ჰყავდათ: ელენე (ლიზა – 1858 წლის 15 ნოემბერს დაიბადა), სოფიო (1860 წლის 8 ნოემბერს დაიბადა და ბავშვი გრიგოლ ორბელიანმა მონათლა) და გიორგი (1865 წლის 28 სექტემბერს დაიბადა) [38].

დიდი წვალებით ნაშოვნი მოძველებული საბეჭდი დაზგა ხშირად ფუჭდებოდა, მესამე წელს კი ისე დაიმსხვრა, რომ მისი შეკეთება თითქმის შეუძლებელი გახდა, მაგრამ ივანემ კვლავ მოახერხა და საკუთარი ხარჯებით, როგორც იქნა, ხის დანჯღრეული დაზგა ისე ააკოწიწა, რომ მან ორი-სამი თვე კიდევ იმუშავა [39: 175-176].

გამომცემლის განუწყვეტელი საზრუნავი ახალი მოწყობილობის შეძენა იყო. ამ მიზნით ხშირად მიმართავდა დახმარებისათვის საზოგადოებას, რომლის მოწინავე, მშობლიური კულტურის გულშემატკივარი ნაწილიც ივანეს მოწოდებებს უყურადღებოდ არ ტოვებდა. ამის მიუხედავად, ამ ურთულესი საქმის გაძლოა დიდ თანხასა და ძალისხმევას მოითხოვდა.

1859 წელს გამოვიდა ივანე კერესელიძის „ლექსთა კრების“ I წიგნი, ხოლო 1878 წელს „ლექსების“ II წიგნი. ამავე წელს გამოიცა „ლექსები“, ხოლო 1860 წელს – მის მიერვე შედგენილი „ჯიბით სატარებელი კალენდარი“.

თანამემამულეებს ივანე გულწრფელად უმხელდა სტამბის გასაჭირს, უცხოელებთან კი ამაყად ეჭირა თავი: ასე მცირე ხელისმომწერთა იმედით ჟურნალს როგორ გამოსცემო, გაცეცხულა ალექსანდრე დიუმა, როცა ივანეს უთქვამს „600 ხელისმომწერი მყავსო“, სინამდვილეში კი მხოლოდ 60 ხელისმომწერი ჰყავდა, რის შესახებაც ივანე სევდიანი ირონიით იხსენებდა: „ბევრი არ მომიტყვილებია... მხოლოდ ერთი ნოლი მივუმატეო“ [40: 17].

ასეთი ვაი-ვაგლახით დაარსებულ „ცისკარს“ შემდეგ წელსაც დიდი გაჭირვება დაატყდა თავს. თითქმის ყოველ ნომერში ემუდარებოდა რედაქტორი მკითხველს – გამოეწერა „ცისკარი“ და კვლავ დახურვისაგან გადაერჩინა იგი.

ივანემ სტამბის გამართავად, გიორგი მუხრანსკის დახმარებით, მთავრობას 1000 მანეთი „გამოსთხოვა“. ამ თანხის საშუალებით მან ცოტა ამოისუნთქა, მაგრამ, მალე კვლავ გაუჭირდა, რადგან „მაშინდელი შემოსავალი გასავალს ვერასდროს დაფარავდა, რედაქცია ლატაკად იყო“ [41].

1861 წელს უსახსრობის გამო ჟურნალი კვლავ დახურვის საფრთხის წინაშე დადგა. მთავრობისაგან შემწეობის მოსაპოვებლად ივანემ განიზრახა, „ცისკართან“ ერთად გამოეცა ახალი სასოფლო-სამეურნეო ორგანო – ჟურნალ „ცისკრის“ დამატება –

„გუთნის-დედა“ და ამ გზით მიღებული თანხა ორივე რედაქციისათვის გამოეყენებინა.

იოსებ მამაცაშვილის დახმარებით, მთავრობამ „გუთნის-დედის“ გამოსაცემად, ივანეს მართლაც დაუნიშნა 1200 მანეთი და გამომცემლობა წელში გაიმართა. ასე დაარსდა „გუთნის-დედა“ – პირველი სასოფლო-აგრონომიული ხასიათის ორგანო, რომელიც 1861-1876 წლებში გამოდიოდა, ქვესათაურით: „ადგილმამულის მართვის ფურცელი“ [42].

უნდა აღინიშნოს, რომ „გუთნის-დედის“ დაარსების თარიღად 1862 წლის 1 იანვარი მიიჩნეოდა. საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდებში, ამ ჟურნალის 1862 წლის კომპლექტში მივაკვლიეთ 1861 წლის 15 დეკემბერს გამოსულ მის პირველ ნომერს, რომელიც „ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფიის“ შემდგენელს, გიორგი ბაქრაძეს შეუმჩნეველი დარჩენია [43: 4].

მის ფურცლებზე იბეჭდებოდა 60-70-იანი წლების საქართველოსა და სხვა ქვეყნების სოფლის მეურნეობის მდგომარეობის ამსახველი ვრცელი მასალები, მთავრობის განკარგულებები, ეკონომიკის საკითხები, სასოფლო-სამეურნეო გამოცდილებები, რჩევები, სახელმძღვანელო სტატიები და თარგმანები სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებიდან. „გუთნის-დედა“ სასოფლო-სამეურნეო ჟურნალის გამოცემის პირველი მცდელობა იყო, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს მოსახლეობისათვის. ამის შესახებ, ივ. კერესელიძე წერდა: „ხალხში დიდი მნიშვნელობა აქვს ადგილ-მამულის მართვის წარმოებასა. ადგილ-მამულის მართვა არის უპირველესი და უმთავრესი საგანი კეთილ მდგომარეობისათვის მრთელის ხალხისა. ეს არის ის იმედი, რომლითაც ყოველი სახელმწიფო მოელის აღყვავებასა“ [44: 2].

ჟურნალ-გაზეთებს ივანე მეტი რაოდენობით ბეჭდავდა, ვიდრე ხელისმომწერთაგან ჰქონდა დაკვეთილი, ზედმეტ ეგზემპლარებს უფასოდ არიგებდა ხალხში, რათა წიგნისა და განათლებისადმი სიყვარული აღედრა მათში [45: 39].

ხელისმომწერთა მოსაპოვებლად სად არ ნახავდა კაცი ამ დაუდგრომელ „მოხეტიალე რედაქტორს“, რომელსაც მთელი საქართველო კარდაკარ ჰქონდა შემოვლილი.

ივანეს ისეთ ადგილებშიც კი მიჰქონდა ქართული წიგნი და ჟურნალ-გაზეთები, სადაც ქართულ ენაზე ნაბეჭდი მანამდე არავის ენახა. ხელმომწერთაგან აგროვებდა ხორბალს, ღვინოს, სიმინდს, ჩამოჰქონდა თბილისში, თვითონ ჰყიდდა ბაზარში და ასე ანაღდებდა თანხას.

ხშირად ხელისმომწერნი ფასის ანაზღაურებას ვერ ახერხებდნენ, თანხის ნახევარი აუკრეფავი რჩებოდა და რედაქტორს თავად უხდებოდა ხარჯების დაფარვა.

ქართულ წიგნებსა და ჟურნალ-გაზეთებს ივანე საქართველოს ყველა კუთხეში ავრცელებდა. მას სხვადასხვა მხარეში ჰყავდა კორესპოდენტ-გამავრცელებლები და ხშირად აღნიშნავდა მათ დამსახურებას. 1860 წლის მაისის ნომერში ივანე მადლობით იხსენებდა ელიზბარ ერისთავსა და გაბრიელ მამაცაშვილს, „რომელნიცა გვეწვეიან ყოველწლივ ხელისმომწერთ მოპოებით ქართლის მხრივ“. ასეთივე მუშაობას ეწეოდნენ სამეგრელოში რაფიელ ერისთავი; კახეთში – ბარბარე ჯორჯაძე; იმერეთში – დიმიტრი ბაქრაძე, გიორგი ლოლობერიძე, იოსებ მამაცაშვილი; გურიაში – ლევან გურიელი და სხვები.

მთავარმართებლისაგან მიღებული დახმარება მალე დაიხარჯა და ივანე ვალში ჩავარდა. იგი შემდგომში ზაქარია ჭიჭინაძეს უამბობდა: „მე მეურნეობის მცოდნე

სერებრიაკოვს მივმართე და „გუთნის-დედაში“ თანამშრომლობა შევთავაზე. მან ამისათვის წელიწადში ხუთასი მანეთი მოითხოვა, რისი საშუალებაც მე არ მქონდა. ბოლოს მითხრა: შენი მამული, რომელიც ელისაბედის ქუჩაზე მდებარეობს, მომიციდე და შრომას იმაში გამოგიქვითავო. ასე მოვრიგდით. 400 საჟენი მიწა 1000 მანეთად დავუმტკიცე, აქედან 500 მანეთი „გუთნის-დედის“ გამომიბარა და 500 მანეთი უნდა მოეცა, მაგრამ მეოთხე თვეს იგი გარდაიცვალა, ვერც 500 მანეთი მივიღე... მამულიც მის ნათესავებს დარჩა საკუთრებად” [46: 14].

ასეთ პირობებში უხდებოდა მუშაობა რედაქტორს. ახალგაზრდა ენთუზიასტი თვითონ იყო ჟურნალისტიც, რედაქტორიც, ასოთამწყობიც, მბეჭდავიც, კორექტორიც, ამკინძავიცა და დამტარებელიც, მაგრამ გულს მაინც არ იტეხდა, რადგან მისი რწმენით, ქართველი ხალხისთვის აუცილებელი იყო სასოფლო-სამეურნეო განათლების მიღება და მიწათმოქმედების აღორძინება. გაზეთის თვითოეული ნომრის გამოცემა აუტანელ წამებად გადაექცა, მეგობრების დახმარება ვეღარ წვდებოდა გაზრდილ ვალებს. „გუთნის-დედის“ გამოცემის ხარჯების გამო, იგი იძულებული გახდა, მუქთად გაეყიდა სტამბა და მამულები თბილისსა და ბოგვში [47: 52].

„გუთნის-დედას“ ივანე კერესელიძე 1872 წლამდე რედაქტორობდა. ამ დროისათვის სტამბა, ძირითადად, „ცისკრისა“ და „გუთნის-დედის“ გამოცემით იყო დაკავებული. ხელისმომწერთა რაოდენობა მკვეთრად მცირდებოდა და მთელი ხარჯები გამომცემელს აწევებოდა მხრებზე. ზარალის დასაფარავად მან სახლი და მამულები გაყიდა თბილისსა და ბოგვში, მაგრამ, მაინც ვერა გააწყო რა. 1870 წლის მარტში, ივანე იძულებული გახდა, სტამბა სამი წლით, იჯარით მარტირუზიანცისათვის გადაეცა, რომელმაც იგი კუკიაზე განათავსა, მირზოევის სახლში. ამ ფაქტმა, უფრო გაართულა ჟურნალის გამოცემა. 1873 წელს მარტში ივანემ ვალის გასტუმრება მოახერხა და „სტამბის ყოველი კუთვნილება, გარდა ასოებისა, კვლავ დაიბრუნა, ხელახლა გამართა, ახალი ასოები ჩამოასხმევინა” [48] და ბეჭდვა განაახლა – დაქირავებულ სახლში „სალდათის ბაზარში, იარმუკაზე” [49]. გამომცემლის სიხარული ხანმოკლე აღმოჩნდა, სრულიად უსახსროდ დარჩენილმა ივანემ სტამბა ვერასგზით ვეღარ შეინარჩუნა და იმავე წლის ბოლოს, თავის ყოფილ მოსწავლეს – ექვთიმე ხელაძეს მიჰყიდა პირობით, რომ სტამბის ფასში მისთვის „ცისკარი“ უნდა დაებეჭდა. ექვთიმემ სტამბა ბებუთოვის სახლში განათავსა ხანის (ამჟამად გ. ტაბიძის) ქუჩაზე [50: 144]. ვალებში ჩაფლულმა ივანემ, სტამბის გამოსყიდვა ვეღარ შესძლო და სტამბას სულ მალე ჟურნალიც მიჰყვა. უსახსრობას ზედ დაერთო ავადმყოფობა და 1875 წლის 5 ივნისს, ივანემ კავკასიის საცენზურო კომიტეტში, განცხადება შეიტანა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო „ცისკრის“ გამოცემის დროებითი შეწყვეტის შესახებ [51]. მისი თხოვნა დააკმაყოფილეს. ამრიგად, 18 წლის არსებობის შემდეგ, 1875 წლის მეორე ნახევრიდან, „ცისკარი“ დაიხურა და რედაქტორ-გამომცემელს აურაცხელი ვალები დაუტოვა. სიკვდილის უკანასკნელ წელს იგი ჟურნალის განახლებას შეეცადა, მაგრამ ამაოდ. კავკასიის საცენზურო კომიტეტმა და ბეჭდვითი საქმის სამმართველომ 1892 წლის 7 დეკემბერს მისი თხოვნა არ დააკმაყოფილა [52: 29].

ამ ვალებში ჯერ სახლი (თბილისში, ყოფ. ალექსანდრეს, ამჟამად ნინოშვილის ქ. N15), შემდეგ კი ავეჯიც წვრილ-წვრილად გაიყიდა და კერესელიძის ოჯახი ქუჩაში დარჩა. ხუთი თვის უბინაობით გატანჯულმა ივანემ დიდი წვალებით იშოვა ავჭალაში ორი პატარა ოთახი, თვეში 15 მანეთად [53].

1870 წლის 21 თებერვალს, ივანეს გარდაცვალა დედა. მძიმე შრომამ, ნერვიულობამ, მოუსვენარმა ცხოვრებამ და ფიქრმა მწერლის მეუღლეს დააუძლურა, 1878 წლის 21 თებერვალს 36 წლის ასაკში გარდაიცვალა ნინო. ივანემ მეორედ იქორწინა გიორგი ამილახვრის ასულ ანასტასიაზე [54], რომელმაც ობლები გაუზარდა და საკმაო მზითვიც შეუტანა ოჯახში.

ქართული სასტამბო-საგამომცემლო საქმის ისტორიკოსმა ზაქარია ჭიჭინაძემ, ორგვარი მოსაზრება გამოთქვა კერესელიძის სტამბის მნიშვნელობის შესახებ. ერთ მათგანში იგი აღნიშნავდა: ივანეს „დიდი შეცდომა იყო საკუთარი სტამბის გახსნა“, რომელიც „რიგზე ვერ მოაწყო, დიდ ზარალს აძლევდა და სხვის სტამბაში, რომ ებეჭდა თავისი ჟურნალი, ამდენი ზარალი არ მოუვიდოდა“ [55: 23].

პირადად ივ. კერესელიძისათვის, შესაძლოა, მართლაც ასე სჯობდა, მაგრამ, ჟურნალის არსებობის შესანარჩუნებლად, უდავოდ, საკუთარი სტამბა იყო საჭირო, ამ ჭეშმარიტებას ზაქარია ჭიჭინაძეც აღიარებს თავის ნაშრომში: „ცისკარი“, რომ სხვა სტამბაში დაებეჭდათ, „ისე ძვირი დაჯდება, რომ მის ხარჯს ღარიბი რედაქცია თავის დღეში ვერ აიტანდა, ვერ გაუძლებდა“ [56].

ყოველივე ამის მიუხედავად, ივანე მაინც ჟურნალის აღდგენაზე ოცნებობდა და, მოითქვა თუ არა ოდნავ სული, 1887 წელს სასოფლო-სამეურნეო გაზეთი „ცისკარი“ დააარსა, მაგრამ ცენზურისაგან ათვალისწინებისა და უსახსრობის გამო, ახალი ვალები დაატყდა თავს და მწერალი ულუკმაპუროდ დარჩა. სიცოცხლის უკანასკნელ წელს მან კიდევ ერთხელ სცადა „ცისკრის“ აღდგენა, მაგრამ ამაოდ.

ავადმყოფი, გაღატაკებული, მაგრამ სულით მტკიცე და უკანასკნელ წუთამდე ლიტერატურით გატაცებული ადამიანის დაუვიწყარი პორტრეტი შემოგვინახა აკაკი წერეთელმა თავის „ორ შეხვედრაში“: „...სუფრაზე ნელ-ნელა გამხიარულდა ივანე - წერდა აკაკი - დაავიწყდა დარდები, ჩამოაგდო საუბარი საზოგადო საქმეებზე და სრულიად შეიცვალა. ძველად ბერძნებს სწამდათ; რომ ხანდახან განგებ ჩამოდიან ღმერთები და მათ რჩეულ კაცებს შვენივს უმატებენო. სწორედ მართალია, როცა კაცი მაღალი, ღვთიური რამეთი არის გატაცებული, მაშინ მისი შინაგანი ძლიერება გარეგანათაც იხატება და მშვენივაც ემატება...“ [57].

უსახსრობის, მძიმე შრომის, ნერვიულობისა და ცენზურისაგან გატანჯულმა ივანემ სიცოცხლის უკანასკნელი წლები, სოფელ ბოგვში გაატარა, სადაც მისი ხშირი სტუმარი ზაქარია ჭიჭინაძე იყო, რომელიც მწერლის მოგონებებს იწერდა.

1892 წლის 19 დეკემბერს ივანე ფულის საშოვნელად გამოვიდა სახლიდან. ძლიერ ყინვაში, მსუბუქად ჩაცმული, დაუძლურებული მოხუცი საბედისწეროდ გაცივდა და ფილტვების ანთებით დაავადდა. მრავალ-ჭირნახულმა ავადმყოფობას ვეღარ გაუძლო და 21 დეკემბერს, ღამის 2 საათზე გარდაიცვალა ავლაბრის ერთ მიყრუებულ ქუჩაზე, ნაქირავებ ბინაში, რომელიც გაღატაკებულ თავშესაფარს უფრო წააგავდა (ეჩმიაძინის, ამჟამად არმაზის, ქუჩაზე მდებარე ნაზაროვის სახლში). ივანე კერესელიძე დაკრძალეს დიდუბის ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში, 26 დეკემბერს, შაბათს, დღის 1 საათზე [58].

მისი დაკრძალვის დღეს, გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“ წერდა: „კერესელიძის სახელი არასოდეს დაავიწყდება ქართველ საზოგადოებას, რადგან მისი სახელი დაკავშირებულია ქართული ლიტერატურისა და მწერლობის აღორძინებასთან“.

„აი, დასაწყისი ჩვენი მოძრაობისა, დავიხსოვოთ, რომ მოძრაობის სათავე ის იყო“ – ამ სიტყვებით გამოეთხოვა ქართული კულტურის ამაგდარს პეტრე უმიკაშვილი.

ილია ჭავჭავაძის „ივერია“ წერდა: „საუკუნოდ დარჩება ჩვენი განათლების ისტორიაში სახელი ამ მწერლობის პირველ მოღვაწესი და ქართული ჟურნალ-გაზეთის პიონერისა“.

და მართლაც, ივანემ მთელი სიცოცხლე ქართული კულტურის სამსახურში გაატარა. სტამბის ტექნიკური აღჭურვა და მასალით უზრუნველყოფა ურთულესი საქმე იყო, განსაკუთრებული ყურადღება კი საშრიფტო მეურნეობას ექცეოდა.

ივანე დღენიადაგ წიგნის ტექნიკური გაფორმებისათვის ზრუნავდა და შრიფტის განუწყვეტელ ძიებაში იყო. ჟურნალ „ცისკრის“ პირველი ნომრის ბოლო გვერდზე გამოქვეყნებული მცირე მოცულობის განცხადებით იგი ერთგვარი მობოდიშებით მიმართავდა მკითხველს: „რედაქცია წამკითხველისაგან მოითხოვს მოტევებასა, უკეთუ ჰპოვებენ რისამე ნაკლულოვანებასა პირველს გამოცემულს წიგნში. რაც რომ შეიძლება ჰქონოდა რედაქციას, არ დაუზოგავს ტოპოგრაფიის გამართვისათვის. ლექსებში ნაცვლად „უ“ ხმარებულია „ვ“, რადგან იმ ზომის ასო ვერ მოხერხდა ტიპოგრაფიაში, და არც თავი ასოები არიან თავთავის ალაგს ნახმარნი იმავე მიზეზით, მაგრამ ეს კი უნდა განუცხადო საყვარელთა წამკითხველთა, რომ რედაქცია დიდის ღონისძიებას მოიხმარებს ამ ჟურნალის წარმატებისათვის“ [59].

1857 წლის აპრილის ნომერში ის იუწყებოდა: ასოები „დაცვდა“ და იმდენი საშუალება არ გვაქვს, რომ გავაახლოთო. რედაქტორი შრიფტის მუდმივ ძიებაში იყო, ხშირად სცვლიდა ასოებს, ცდილობდა, ახალი, ადვილად წასაკითხი და ქართული ანბანის შესატყვისი შრიფტი შეერჩია. ივანე მეგობრების შეწევნით ახალ-ახალი შრიფტის დაკვეთას გზავნიდა, რათა, რაც შეიძლება, ლამაზი, ეფექტური ანაბეჭდი მიეღო (ციცეროს სხვადასხვა სახეობა, ნახევარმუქი ციცერო, პეტიტისა და ციცეროს სახეცვლილებანი) [60].

1857 წლის ბოლოს პეტერბურგის აკადემიიდან მიიღო „ჩინებული ასოები“ (აკადემიური შრიფტი), რის შესახებაც აღტაცებით სწერდა რაფიელ ერისთავს: „ოხ! რაფიელ! რა ასოებია, ხუთგვარი. აქამდინ თავ ასოებს არა ვხმარობდით წერტილის შემდგომ, ახლა ეგ კანონიც სისრულეში მოვა“ [61: 538-545].

საზოგადოების მოწინავე ნაწილი ივანეს მოწოდებებს უყურადღებოდ არ ტოვებდა. ქართველ სცენისმოყვარეთა მიერ შეგროვილი თანხით მას 1859 წელს „ასოების“ კვლავ შეცვლა მოუხერხებია. ამ ფაქტის გამო ივანე მადლობას უცხადებდა: თადეოზ გურამიშვილს, გრიგოლ დადიანს, კონსტანტინე დადიანს, იაკობ ზუბალაშვილს, გრიგოლ ორბელიანს, ალექსანდრე ორბელიანს, დიმიტრი ყიფიანსა და დავით ციციშვილს. და განაგრძობდა: „ჩვენი სტამბაც ახლა თითქმის ყოველმხრივ სრულია, გარდა პრეზისა, რომლისაცა გამოწერის იმედი დამყარებულია ზემოხსენებულთა მსგავს პირთზედ“ [62].

ქართული სამწიგნობრო ტრადიციის გულშემატკივართა საქველ-მოქმედო თაოსნობას კეთილი ნაყოფი გამოუღია და „ხელისმომწერთ ღონისძიებით“, ივანემ ლონდონიდან გამოიწერა „პრეზის საბეჭდავი მაშინა“, რომელიც საქართველოში პირველად იქნა შემოტანილი.

„თავ ასოებად“ იყენებდა ასომთავრულს, 1861 წლიდან ყდასა და სატიტულე ფურცელზეც სწორედ ეს ასოებია გამოყენებული. ამავე წლიდან მთელი მასალა აწყობილია „აკადემიური შრიფტით“.

თავდაუზოგავი შრომითა და უზარმაზარი მონდომებით, სტამბის საქმე ისე კარგად წავიდა, რომ 1862 წელს ივანე რაფიელ ერისთავს სწერდა: „ჩვენი გაწყობილი ტიპოგრაფია პირველიაო“ [63: 541].

მას განზრახული ჰქონდა გაეუმჯობესებინა წიგნის ტექნიკური და მხატვრული გაფორმება, დაებეჭდა ფოტოსურათები და ილუსტრაციები, რისთვისაც სტამბაში მხატვარ-ლითოგრაფი მოუწვევია, მაგრამ უსახსრობისა და ტექნიკური ბაზის მოუწყობლობის გამო, სამწუხაროდ ეს შესანიშნავი სურვილიც აუსრულებელი დარჩა. მაშინ, ხომ ფოტოგრაფია ის იყო ფეხს იდგამდა ჩვენში და შესაძლებელია, ამ გზით მაინც გადარჩენილიყო ნიკოლოზ ბარათაშვილის, ლავრენტი არდაზიანისა და სხვათა პორტრეტები.

დიდ ნაკლად უნდა ჩაითვალოს კორექტურული შეცდომები, რაც ზოგჯერ ტექსტის შინაარსს გაუგებარს ხდიდა. ამ ნიადაგზე რედაქტორსა და ავტორს ბევრჯერ მოსვლიათ უსიამოვნება. ივანეს უსამართლოდ მიაჩნდა ეს საყვედურები და მკაცრ პასუხს აძლევდა მათ ავტორებს. იგი წერდა: „ვისაც ესმის ტიპოგრაფიის გარემოება, ის არ დაგვძრახავს ამისთვის. ...ჩვენცა შეგვიძლიან ვიყოლიოთ კორექტორი, გარნა სამწუხაროდ, ღონისძიება არ გვაძლევს ნებას. სადაც კორექტორი ჰყავთ, იქ რამდენიმე ათასის ხელისმომწერის იმედითაც არიან და არა ჩვენსავით რამდენიმე ოცი ჰყავთ“ [64].

დაგეშილთვალნიანი უმაღური მკითხველი გამომცემელს საყვედურობდა: „საკუთარი სახელებისათვის დიდრონი ასოები არა აქვს, შრიფტი ნამეტანი მსხვილია, შეცდომები ბევრია შიგა, ქალაღდი ვერ არის კარგი“ [65].

არადა, საგამომცემლო საქმისადმი ასეთი თავდაუზოგავი ღვაწლის მიუხედავად, უკმაყოფილო მკითხველს, ქალაღდის ხარისხსაც რომ უწუნებდა ივანეს, სულაც არ სურდა გაეთვალისწინებინა, რამხელა სირთულესთან იყო დაკავშირებული ქალაღდის მოპოვება.

ქალაღდის წარმოების იმდროინდელ წესს კი დავით კარიჭაშვილი შემდეგნაირად აღწერს: ქალაღდის ნახმარი, უვარგისი ქსოვილისაგან ამზადებენ, რომლის შეგროვებაც შემოსავლიან ხელობად იყო ქცეული და ბევრი ამ საქმიანობით ირჩენდა თავს და მათ „მეჭინჭეებს“ ეძახდნენ. „მეჭინჭეებისაგან“ შეძენილ „ჭინჭებს“, ვაჭრები უფრო ძვირად აზარებდნენ ქალაღდის ფაბრიკას. აქ ქსოვილის დახარისხება, გასუფთავება, გაუფერულება და დანაკუწება ხდებოდა, წყლით სავსე დიდ ვარცხლში „ფერსოს“ მჭრელი დანების ტრიალით. მიიღებოდა ფაფისმაგვარი მასა, რომელსაც მეტი სითეთრის შესაძენად ქლორს (გაზის სახით), ხოლო ფერადი ქალაღდის დასამზადებლად შესაფერის საღებავს უმატებდნენ.

ფაფისაგან ორგვარ ქალაღდს ამზადებდნენ. პირველს – „გამჟვანავს“ უწოდებდნენ, რომელსაც საგამომცემლო საქმეში – საბეჭდად, ან შესახვევად იყენებდნენ. მეორე სახის ქალაღდს „მკვრივს“ ანუ სწორს უწოდებდნენ და მეღნით საწერად იყენებდნენ. მისი დამზადებისას ფაფას წებოს უმატებდნენ, რაც მას, პირველისაგან განსხვავებით, სიმკვრივეს ანიჭებდა. ქალაღდის ფაფას ქვის სწორ ფიცარზე ასხამდნენ და ზემოდან ასეთივე ფიცარს ადებდნენ, ფაფა გამრობისა და გახმობის შემდეგ ქალაღდის ფურცლად გადაიქცეოდა.

ქალაღდის დასამზადებლად, ქსოვილის გარდა, ხესაც იყენებდნენ. მაგრამ დაბალი ხარისხის გამო, ხის მასალისაგან მიღებული ქალაღდი საგამომცემლო საქმისათვის არ გამოდგებოდა. მას საშაქრედ ან შესაფუთად იყენებდნენ. საწიგნე და საწერი დანიშნულების ქალაღდის დასამზადებლად ფაფას მხოლოდ 25% ხის ფხვნილს უმატებენ [66: 01].

იმდროინდელ საქართველოში ქალაღდი, ძირითადად, რუსეთიდან შემოდიოდა, დარიალის ხეობის გავლით.

1855 წლიდან 1860 წლამდე, ანუ მთელი ხუთი წლის განმავლობაში ივანე კერესელიძის ახლად აღდგენილ სტამბაში, სულ რამოდენიმე და ისიც მცირე მოცულობის წიგნი დაიბეჭდა, ზოგიერთი მათგანი 2-5 თაბახს არ აღემატებოდა. ეს, რასაკვირველია, ცოტაა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ იმ ვითარებაში საგამომცემლო საქმიანობა დიდ ეკონომიკურ სირთულეებთან იყო დაკავშირებული, წიგნების ასე მცირე რაოდენობით გამოცემის მიზეზი გასაგები გახდება.

ივანე კერესელიძემ დაგვიტოვა მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა – მრავალი ლექსი, მოთხრობა, პიესა და პუბლიცისტურ-კრიტიკული წერილი.

მე-19 საუკუნის 50-იან წლები, როდესაც ივანეს პირველი თხზულებები დაიწერა, რომანტიზმიდან რეალიზმზე გადასვლის გარდამავალ პერიოდს წარმოადგენდა. მის ზოგიერთ ნაწარმოებს ემჩნევა რომანტიზმის გავლენა, მაგრამ მთელ შემოქმედებაში თავიდანვე სჭარბობდა რეალისტური ნაკადი, რომელიც ცხოვრების წინსვლასთან ერთად თანდათან მტკიცდებოდა, ხოლო ილიასა და აკაკის სამწერლო ასპარეზზე გამოსვლის შემდეგ საბოლოოდ გაბატონდა.

ივანე საქართველოს თავისუფლებისათვის მებრძოლი შემოქმედი იყო და ღრმად სწამდა პოეტური სიტყვის ძალა, რომლის ძირითად დანიშნულებად ხალხისა და სამშობლოს სამსახური მიაჩნდა. პუბლიცისტურ წერილებსა თუ ლექსებში იგი ახალგაზრდობას უნერგავდა ეროვნული სიამაყისა და მშობლიური ქვეყნის ერთგულებას. ივანე ძლიერ განიცდიდა სამშობლოს მდგომარეობას და კარგად ესმოდა, რა იყო საჭირო მისი ბედნიერებისათვის. როგორც პრაქტიკული მოღვაწეობით, ისე მხატვრული შემოქმედებით, ივანე ცდილობდა, სარგებლობა მოეტანა თავისი ხალხისა და ქვეყნისათვის, გაეღვიძებინა თანამემამულეებში პატრიოტული გრძნობა და დაერაზმა ისინი ქვეყნის ნათელი მომავლის გამოსაჭედად.

მის შემოქმედებაში განსაკუთრებული სიძლიერით იგრძნობოდა სოციალური უთანასწორობის მხილება და მისი დაგმობის ტენდენციები. ივანე მთელი არსებით ყოველთვის დაჩაგრულთა მხარეზე იყო.

მისი ლექსების გაცნობა გვარწმუნებს, რომ ივანე ხალასი პოეტური ნიჭით იყო დაჯილდოებული და, ხელსაყრელ პირობებში, გაცილებით მეტის გაკეთება შეეძლო. პოეტურ სრულყოფას მან შემოქმედებითი მუშაობისათვის აუცილებელი პირობების უქონლობის გამო ვერ მიაღწია; სათანადოდ ვერ ზრუნავდა ლექსის მხატვრულ ღირებულებაზე, გულმოდგინედ არ ეძებდა რითმას, მოხდენილ ეპითეტს, შესატყვის გამოთქმას. ავტორი იძულებული იყო, დღენიადაგ, შეუსვენებლივ ემუშავა მორიგი ნომრისა, თუ ცენზურის მიერ აკრძალული ადგილის შესავსებად. ყოველდღიური აუცილებლობით ნაკარნახევი, სახელდახელოდ შექმნილი ნაწარმოებები პირდაპირ ასოთამწყობის ხელში გადადიოდა.

ნაკლოვანებების მიუხედავად, მისმა პოეზიამ სათანადო ყურადღება დაიმსახურა, მკითხველს გულში სწვდებოდა ლექსების ხალასი გრძნობა, პოეტური განწყობა, სოციალური შინაარსი და სიახლისადმი სწრაფვა. მართალი გულიდან ამოხეთქილმა პოეტურმა სიტყვამ გზა გაიკვლია ხალხში და მისი ლექსები „ქართული სიმღერა“, „სიმღერა“, „ჩემო თვალის სინათლე“ პოპულარულ სიმღერებად იქცნენ.

ივანე კერესელიძის ენა, პლატონ იოსელიანის ენისაგან განსხვავებით, იყო ხალხური, „მდაბიოთა ენა“. ამის გარდა კერესელიძის წიგნები თითქმის სულ იაფფასიანი იყო, რომელთა ნაწილს იგი უფასოდ არიგებდა ხალხში, რისთვისაც მათ განსაკუთრებით მდაბიო ხალხი ეტანებოდა, ამ მხრივ აღსანიშნავია ანბანის წიგნები და პირველდაწყებითი სახელმძღვანელოები. ხშირად წიგნებს წერა-კითხვის

უცოდინარი ხალხიც ეტანებოდა და სწორედ ამიტომ იყო, გამომცემელი წიგნებს ანბანსაც ურთავდა, იგი ხომ სახელმძღვანელოს მოვალეობასაც ასრულებდა.

ამრიგად, ივანე კერესელიძის ცხოვრება ქართული მწიგნობრობის სიყვარულსა და თავდადებაში გაილია. 1889 წელს ნიკო ნიკოლაძე წერდა: „პირდაპირ განსაცვიფრებელია მასშტაბი იმ შრომისა, რომელიც 1857–1887 წლებში ი. კერესელიძემ მოახმარა ქართულ ჟურნალისტიკასა და ლიტერატურას“ [67: 397].

მისი ცხოვრების საზრისი ქართული ბეჭდვითი სიტყვის მსახურება იყო და ამიტომაც წერდა მასზე ზაქარია ჭიჭინაძე: „ჩვენი ჟურნალ-გაზეთების გამოცემის დაწყების მამად იგი ითვლება, და ამ ჯილდოს მას ვერავინ წაართმევს“.

მან გააცოცხლა ქართული წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთის გამოცემა. ივ. კერესელიძის მთელი ცხოვრება სამშობლოსათვის სიყვარულის ახსნა იყო. ქართული მწიგნობრობისათვის მსხვერპლად შეწირული და საქვეყნო სატკივართ შეწუხებული ჭეშმარიტი მამულიშვილი უზარმაზარი პასუხისმგებლობითა და გულწრფელობით აკეთებდა საქვეყნო საქმეს, იმ გაუკუღმართებულ და წამხდარ დროში, როცა „სტამბის გამართვა და წიგნების ბეჭდვა უფრო ძნელი საქმე იყო, ვიდრე ახლა რკინიგზის გაყვანა“ [68].

იმხანად, როდესაც „ქართული წიგნები ბუზების საკითხავად იყო მიტოვებული“, მაშინდელი არისტოკრატია „უცხოურად ბუტბუტებდა“ და მშობლიურ ენას ივიწყებდა, ქართული წიგნის გავრცელება „დიდის ვაივაგლახით ხდებოდა“ და ისიც ძლიერ მცირე რაოდენობით. გამომცემელს, ხშირად მარტოდმარტო, უმძიმეს პირობებში უხდებოდა გზის გაკვლევა. ივანე საოცარი სირთულეებით მიუყვებოდა ღირსეული წინაპრებისაგან ოდესღაც გაკვალულ ბილიკს, რომელიც ველურ ბუჩქნარს დაეფარა, და თანამემამულეებს ევედრებოდა, თუ არ დამემგზავრებით, უკან მაინც გამომყევით, რომ ბილიკი არ დაიკარგოს. მართლაც, ამ ბილიკს დიდი ილია დაადგა „ახალ თაობასთან“ ერთად, და ღვთის მადლითა და ქართველი ერის ნიჭიერების წყალობით ბილიკი, უმშვენიერეს ასპარეზად გადაიქცა.

Н. ХВЕДЕЛИДЗЕ

ИВАН КЕРЕСЕЛИДЗЕ - ПОПЕЧИТЕЛЬ ГРУЗИНСКОЙ ПИСЬМЕННОСТИ

Резюме

Иван Кереселидзе является центральной фигурой грузинской культуры 50-60-ых годов XIX-ого столетия. Выдающийся публицист и писатель, возглавлял множество общественно-благотворительных начинаний.

Он сыграл большую роль в тогдашней грузинской социально-экономической, культурной и политической жизни. Возглавил грузинский театр, возобновил журнал «Цискари» и учредил первую сельско-хозяйственную газету «Гутнис-деда».

Иван Кереселидзе сформулировал программу основания грузинской начальной школы, обосновал необходимость обучения на родном языке.

Особенно значительной является его заслуга в деле распространения и упрочения грузинского печатного слова, в издании грузинских книг и журналов. Популярностью пользовались «Народные книги» и учебники его издания, которые сыграли важную роль в обучении и укреплении родного языка.

N. XVEDELIDZE

IVANE KERESSELIDZE GEORGIAN BOOKISH PATRON

Resume

Ivane Kereselidze was an outstanding person of Georgian culture in the 50-60s of the 19th century. As well-known publicist and writer, he organized and headed various social-charity undertakings.

He played the great role in social-economic, cultural and political life in those days Georgia. He headed the Georgian theatre, renewed the journal "Tsiskari", and founded the first agricultural newspaper "Gutnis-Deda".

Ivane Kereselidze formed the program of Georgian Primary School foundation and once more, proved the necessity of studying on the native language.

His merit is especially useful for publishing the Georgian book and periodicals, which did an unvalued role for spreading and consolidation of the printing work in Georgia.

His textbooks and "Folk Books" published by him were constantly used, and played an important role in learning and strengthening Georgian as a native language.

ლიტერატურა - ЛИТЕРАТУРА - REFERENCES

1. ჯანაშია ს., ბერძენიშვილი ნ. საქართველოს ისტორია. - თბ.: მეცნიერება, 1990.
2. მახარაძე ა. ქართული რომანტიზმი. - თბ.: თსუ. - 1982.
3. ცისკარი. - 1858. - № 7.
4. იოსელიანი ა. ქართული მწიგნობრობის, წიგნისა და სტამბის ისტორიის საკითხები. - თბ.: მეცნიერება, 1990.
5. ზ. ა. [ჭიჭინაძე ზ.]. ივ. ივ. კერესელიძე 1829-1893. - თბ.: სტ. გუტენბერგი, 1902
6. საისტორიო მოამბე. № 11-12. - თბ., 1960.
7. საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურის მუზეუმი. საბ. №17475-ბ. დედანი, ხელნაწერი.
8. საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურის მუზეუმი. საბ. №17472-ბ. დედანი, ხელნაწერი.
9. ზ. ა. [ჭიჭინაძე ზ.]. ივ. ივ. კერესელიძე 1829-1893. - თბ.: სტ. გუტენბერგი, 1902
10. იხ. იგივე ნაშრომი.
11. საისტორიო მოამბე. № 11-12. - თბ., 1960.
12. კალანდაძე ალ. ქართული ჟურნალისტიკის ისტორია. - თბ.: განათლება, 1984.
13. ომეგა. - 2001. - № 1.
14. ივერია. - 1893. - № 4.
15. ზ. ა. [ჭიჭინაძე ზ.]. ივ. ივ. კერესელიძე 1829-1893. - თბ.: სტ. გუტენბერგი, 1902.
16. ნიკოლოზ ბესარიონის ძე ლოლობერიძე და ქართული სტამბა 1627-1913 წ. - თბ.: სორაპანი, [წ. არ.].
17. საისტორიო მოამბე. 11-12. - თბ., 1960.
18. ცისკარი. - 1857. - № 4.
19. საქართველოს სსრ ცენტრალური საისტორიო არქივი. ფონ.3. საქ. 4107. ფურ. 1-2. დედანი. ხელნაწერი.
20. საქართველოს სსრ ცენტრალური საისტორიო არქივი. ფონ.3. საქ. 4107. ფურ. 3. ხელნაწერი.
21. ზ. ა. [ჭიჭინაძე ზ.]. ივ. ივ. კერესელიძე 1829-1893. - თბ.: სტ. გუტენბერგი, 1902.
22. საქართველოს სსრ ცენტრალური საისტორიო არქივი. ფონ.3. საქ. 4107. ფურ. 4. დედანი, ხელნაწერი.
23. საქართველოს სსრ ცენტრალური საისტორიო არქივი. ფონ. 3. საქ. 4107. ფურ. 5. შვეული. ხელნაწერი.
24. გუგუშვილი პ. ქართული ჟურნალისტიკა: ტ. 1: საზოგადოებრივი აზრის ისტორიისათვის. - თბ.: სახელგამი, 1941.
25. იხ. იგივე ნაშრომი.
26. უმიკაშვილი პ. // ივერია. - 1893. - № 4.
27. ივერია. - 1893. - № 4.

28. ჭავჭავაძე ი. თხზულებათა სრული კრებული 10 ტომად: ტ. 3. – თბ.: სახელგამი, 1953.
29. ცისკარი. – 1868. - № 12.
30. გამეზარდაშვილი დ. ქართული ლიტერატურისა და კრიტიკის ისტორიიდან: წ. 3. - თბ.: საბჭოთა საქართველო, 1975.
31. ზ. ა. ჭიჭინაძე ზ.]. ივ. ივ. კერესელიძე 1829-1893 . - თბ. : სტ. გუტენბერგი, 1902.
32. ქართული ლიტერატურის კრიტიკის ისტორიისათვის: ტ. 1 : ქრესტომათია. – თბ.: სამეც.- მეთოდ. კაბ-ტი , 1954.
33. კარიჭაშვილი დ. წიგნის ისტორია. - ტფ.: ქ.შ.წ.-კ. გამავერც. საზ. გამოცემა: არ. ქუთათელაძის სტ. – 1903.
34. საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი. საბ. № 13457.
35. ცისკარი. – 1868 . - № 10.
36. საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი. საბ. N 1747. დედანი, ხელნაწერი.

37. ქართული ლიტერატურის კრიტიკის ისტორიისათვის: ტ. 1: ქრესტომათია. – თბ.: სამეც.- მეთოდ. კაბ-ტი, 1954.
38. საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი. საბ. № 1747. დედანი, ხელნაწერი.
39. ჭიჭინაძე ზ. ნიკოლოზ ბესარიონის ძე ლოლობერიძე და ქართული სტამბა 1627-1913 წ. - თბ.: სორაპანი , [წ. არ.].
40. ზ. ა. [ჭიჭინაძე ზ.]. ივ. ივ. კერესელიძე 1829-1893. - თბ.: სტ. გუტენბერგი, 1902. - 48 გვ.
41. იხ. იგივე ნაშრომი.
42. საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი. იხ. საბ. №47. დედანი, ხელნაწერი.
43. ბაქრაძე გ. ქართული პერიოდიკა 1819-1945: ბიბლიოგრაფია. - თბ.: წიგნის პალატის გამომცემლობა, 1946.
44. გუთნის-დედა. – 1861. - 15 დეკ. (№ 1).
45. კალანდაძე ალ. ივანე კერესელიძე. - თბ.: საბჭოთა საქართველო, 1959.
46. ზ. ა. [ჭიჭინაძე ზ.]. ივ. ივ. კერესელიძე 1829-1893 . - თბ. : სტ. გუტენბერგი, 1902.
47. ქაჯაია ვ. სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები: კრებული 1. - თბ., 1953.
48. ცისკარი. – 1873. - № 3-4.
49. ცისკარი . – 1873 . - № 5-6.
50. გუგუშვილი პ. ქართული ჟურნალისტიკა: ტ. 1: საზოგადოებრივი აზრის ისტორიისათვის. - თბ.: სახელგამი, 1941.
51. საქართველოს სსრ ცენტრალური საისტორიო არქივი. ფონ. 480. ნაწ. 1. საქ. № 195. ფურ. 1.
52. ზ. ა. [ჭიჭინაძე ზ.]. ივ. ივ. კერესელიძე 1829-1893. - თბ. : სტ. გუტენბერგი, 1902.
53. იხ. იგივე ნაშრომი.
54. საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურის მუზეუმი. საბ. № 17477-ბ. დედანი, ხელნაწერი.
55. ზ. ა. [ჭიჭინაძე ზ.]. ივ. ივ. კერესელიძე 1829-1893. – თბ.: სტ. გუტენბერგი, 1902.
56. იხ. იგივე ნაშრომი.
57. კვალი. – 1893. - № 2.
58. კავკაზი . – 1892. - № 341.
59. ცისკარი . – 1857. - №1.
60. ცისკარი. – 1861. - № 9-11.
61. ლიტერატურული მემკვიდრეობა: წ. 1 . - ტფ.: სახ. უნ-ტის. გამ-ბა, 1935.
62. ცისკარი . – 1859. - № 4.
63. ლიტერატურული მემკვიდრეობა: წ. 1. - ტფ.: სახ. უნ-ტის გამ-ბა, 1935.
64. ცისკარი. – 1858. - № 12.
65. ცისკარი. – 1862. - №11.
66. კარიჭაშვილი დ. წიგნის ისტორია. - ტფ.: ქ.შ.წ.-კ. გამავერც. საზ. გამოცემა: არ. ქუთათელაძის სტ., 1903.
67. იოსელიანი ა. ქართული მწიგნობრობის, წიგნისა და სტამბის ისტორიის საკითხები: წ. 1. - თბ.: მეცნიერება, 1990.
68. ივერია . – 1893 . - № 4.

ნ ი ნ ო გ ო მ ა რ თ ე ლ ი

შუა საუკუნეების ევროპის ხელნაწერთა მხატვრული გაფორმების ისტორიიდან

წიგნი შუა საუკუნეების ხანის ადამიანისთვის არა მარტო ცოდნის ან თაყვანისცემის, არამედ ესთეტიკური ტკბობისა და აღფრთოვანების წყაროს წარმოადგენდა. შუა საუკუნეების ხელნაწერები და წიგნები იმკობოდა სხვადასხვა სახის მინიატურებითა და ნახატებით. ხშირად, წიგნები მშვენივლოდა ფერადი რუბრიკებით (ტექსტების სათაურებით, ფიგურული ფრჩხილებით, რითაც ხდებოდა ერთი აზრის მეორისგან გამოყოფა), ინიციალებით, დეკორატიული ბაფთებით, ნაირსახეობის ქსოვილებით, ასევე ხდებოდა ხელნაწერთა მინდვრის არშიებითა და ჩარჩოებით შემკობაც [1: 25].

მონასტრებში ხელნაწერთა შემქმნელი, იმავდროულად, მხატვარიც იყო. თავდაპირველად ტექსტი გადაიწერებოდა შავი მელნით, შემდეგ სინგურით. შედარებით უფრო ღია ფერის მინით (აქედან მომდინარეობს მინიატურის სახელწოდება, რაც «წითლად შეღებილს» ნიშნავს) იწერებოდა წიგნის ან ხელნაწერის ცალკეული თავების სათაურები. ხშირად, ხდებოდა მთავრული ასოს მოხატვაც. მოგვიანებით, ამ საქმეს ხელი მოჰკიდა ე.წ. რუბრიკატორმა (ლათინური სიტყვიდან – რუბერ – წითელი). თუ მონასტერში მინიატურების მომხატველი არ იყო, მას სხვა მონასტრიდან იწვევდნენ. შემდგომ უკვე გაჩნდა სპეციალური გადამწერი სახელოსნოები, რომლებიც აერთიანებდნენ გადამწერსა და მხატვარს, თუმცა, წიგნის გადაწერა ზოგჯერ ერთ სახელოსნოში ხდებოდა, გაფორმება კი მეორეში. სახელოსნოში მხატვრების გარდა, იყვნენ ორნამენტალისტებიც, რომელთაც ევალებოდათ არშიებისა და დეკორატიული ჩარჩოების მოხატვა. სახელოსნოების მეთაურებად ითვლებოდნენ ოსტატები, რომლებიც ხელნაწერში სპეციალურად ტოვებდნენ ხოლმე თავისუფალ ადგილს მინიატურების, რუბრიკებისა და ინიციალებისათვის. მინიატურები სრულდებოდა ოსტატის მიერ და მისივე მითითებით ხდებოდა შექმნილი მინიატურის მოხატვა, რის შემდეგაც ილუმინატორი (გამფერადებელი მხატვარი) მას შესაბამისად აფერადებდა [2: 58-59]. ხანდახან, ეს უკანასკნელი ნებსით თუ უნებლიეთ, ცვლიდა ოსტატის მიერ მითითებული დავალების შინაარსს. მაგალითად, ბრიტანეთის ნაციონალურ მუზეუმში დაცული XIV საუკუნის ერთ-ერთი ხელნაწერის – «რომანი ალექსანდრეს შესახებ»_მინიატურაზე, ოსტატის დავალებით, მხატვარმა დახატა ალექსანდრე მაკედონელის ბრძოლა ციკლოპთან (ცალთვალა კიბოსთან). ილუმინატორმა კი, მხატვრის ამ «შეცდომის» გამოსწორების მიზნით, ციკლოპი ორთვალა გამოსახა. ილუმინატორისაგან ხელნაწერი გადადიოდა მომვარაყებელთან, რომელიც ინიციალებისა თუ მინიატურების გვერდით სპეციალურად დატოვებულ თავისუფალ ადგილს ჯერ დაგრუნტავდა, მერე კი ოქროთი დაფერავდა. შემდეგ ხელნაწერი ისევ ოსტატთან ბრუნდებოდა სახელოსნოში, სადაც ხდებოდა სურათის მელნით გამოყვანა და შეცდომების გასწორება [3: 115].

ერთნაირი წიგნების (ფსალმუნები, ლოცვანი) დამზადების დროს ხელოსნები იყენებდნენ სპეციალურ ნიმუშებს, რის მიხედვითაც ახდენდნენ მინიატურების კოპირებას.

მანუსკრიპტები მნახველს აოცებდნენ ფერთა შეხამებითა და მრავალფეროვნებით. ისინი დღემდე ინარჩუნებენ ბრწყინვალეობას. ამის ახსნა საღებავების დამზადებისა და პერგამენტზე მოხატვის ხელოვნებაში უნდა ვეძიოთ. კითხვაზე, რისგან და როგორ მზადდებოდა შუა საუკუნეებში საღებავები, პასუხს ვიღებთ დღემდე შემორჩენილი იმდროინდელი ტრაქტატებიდან, რომელთაგან ერთ-ერთი ყველაზე ადრინდელი ნიმუშია VIII საუკუნის დამლევისა და IX საუკუნის დამდეგს შექმნილი ტრაქტატი «ხელოვნებისა და საღებავების შესახებ». მისი ავტორი იტალიელია, სავარაუდოდ – მხატვარი, რომელიც თავადვე ქმნიდა საღებავებს. ხსენებული ტრაქტატი, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია X-XII საუკუნეების ხელნაწერის სახით და პირველად გამოქვეყნდა XVIII საუკუნეში, მეტად მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს დაზგური, კედლის და მინიატურული მხატვრობის ტექნიკის შესახებ.

X საუკუნით თარიღდება სამხრეთ ჰესენის ბენედიქტური მონასტრის აბატ თეოფილეს ტრაქტატი. მასში მოცემულია უაღრესად საყურადღებო ცნობები მხატვრული ხელოსნობის ტექნოლოგიურ ნიუანსებზე. ხსენებული სასულიერო პირი ზედმიწევნით ზუსტად აღწერს საღებავთა შემადგენლობას და იძლევა მათი ხმარების წესებს. შემთხვევითი როდია, რომ ეს ტრაქტატი მომდევნო საუკუნეებში რამდენჯერმე გადაიწერა. ასევე აღსანიშნავია, რომ აბატის უშუალო მითითებებით სარგებლობდნენ ჩენინო ჩენინი, რაფაელ ბორჩინი, ჯორჯო ვაზარი და სხვა ცნობილი მხატვრები. თეოფილეს ტრაქტატი სამი წიგნისაგან შედგება. პირველ წიგნში საუბარია არა მარტო პერგამენტსა და ქაღალდზე მინიატურული მხატვრობის მეთოდების შესახებ, არამედ, კედლისა და დაზგური ფერწერის შესრულების საინტერესო დეტალებზე, აგრეთვე ტყავისა და ხის მასალის შეღებვის ტექნოლოგიის ხერხებზეც. აბატი დაწვრილებით მოგვითხრობს, როგორი საღებავებით უნდა დაიხატოს თვალი, ბავშვის თმა, მოხუცებული ადამიანის სახე, ტანსაცმელი და ა.შ. რაც შეეხება თეოფილეს დანარჩენ ორ წიგნს, მათში მოცემულია კერამიკის, მინის, მეტალისა და მისი შენაერთების დამზადების მეტად საინტერესო და ორიგინალური ხერხები [4: 15-17].

შუა საუკუნეების დროინდელი ტრაქტატებიდან განსაკუთრებით ძვირფასია XI საუკუნის ნურსიელი ბენედიქტელი ბერის ტრაქტატი, რომელმაც ჩვენამდე მხოლოდ ფრაგმენტების სახით მოაღწია. ეს ტრაქტატი, რომელშიც ბევრი საყურადღებო მასალაა დაცული, ბერნის ანონიმის სახით პირველად 1888 წელს გამოქვეყნდა და სპეციალისტთა მაღალი შეფასება დაიმსახურა. მსგავსი ტრაქტატები მრავლად იქმნებოდა შემდგომშიც. სწორედ მათზე დაყრდნობით არის შესაძლებელი იმის ზუსტად წარმოდგენა, თუ როგორ წარმოებდა შუა საუკუნეებში საღებავების დამზადება და რა მეთოდებით ხდებოდა მათი მოხმარება [1: 31-32].

XIII საუკუნემდე საღებავების შემკვრელ მასალად, ძირითადად, კვერცხის ცილა, მოგვიანებით კი - ალუბლის, ქლიავის, ნუშის ხეების გუმფისის ხსნარები გამოიყენებოდა, რომელთაც ამატებდნენ სხვადასხვა საღებავს. გარდა ამისა, შემკვრელ საშუალებად იხმარებოდა: თაფლი, შაქარი, შარდი, ღვინო, ძმარი, აგრეთვე ხილისა და მცენარეების ნაყენი.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ზოგიერთი საღებავის სახელწოდება მისი მოპოვებისა და დამზადების ადგილიდან მომდინარეობს. მაგალითად, რუანის, ესპანური მწვანე საღებავი და ა.შ. ამიტომაც იყო, რომ ევროპის ამა თუ იმ რეგიონში ხელნაწერთა და მინიატურათა ორნამენტების გამოსახვისას ფერთა შეხამება ხშირად მარტოოდენ მხატვრისა და შემკვეთის გემოვნებით თუ ნებასურვილით არ განისაზღვრებოდა.

შუა საუკუნეებში, ხელნაწერების მხატვრულად გაფორმებისას, ყველაზე გავრცელებულ ფერად წითელი ითვლებოდა. ამ ფერით სრულდებოდა რუბრიკები (ტექსტური თუ ფიგურალური), ინიციალები და მას ხშირად იყენებდნენ მინიატურათა მოსახატავადაც. წითელი საღებავის დამზადება ხდებოდა მცენარეული და მინერალური პიგმენტების მეშვეობით. მინერალურ წითელ საღებავს სურინჯი და სინგური წარმოადგენდნენ. სინგური მიიღებოდა ვერცხლისწყლის ძლიერად გახურების გზით და თავსდებოდა მოჭიქულ ჭურჭელში. ამის შესახებ დაწვრილებით მოგვითხრობს აბატი თეოფილე. სურინჯი წარმოიქმნებოდა ტყვიის თეთრას გახურების შედეგად. განსაკუთრებული შეფერილობის კამკამა წითელი ფერის მისაღებად ხდებოდა სურინჯისა და სინგურის განსაზღვრული პროპორციებით ერთ-მანეთთან შერევა. წითელი საღებავი ასევე მიიღებოდა სუროსა და ბრაზილიური ხისგან, რომლის წვენს ამატებდნენ შარდს ან შაბს. როგორც აღვნიშნეთ, წითელი საღებავის შემკვრელად, ძირითადად, კვერცხის ცილა გამოიყენებოდა, რომელსაც, საღებავის სიკაშ-კაშისათვის, ხანდახან გულსაც უმატებდნენ ხოლმე [5: 29-30].

ირლანდიურ ხელნაწერებში, წითელი ფერის გარდა, ფართოდ გამოიყენებოდა ყავისფერი, ყვითელი და მწვანე ფერებიც. სწორედ ამ ფერთა შეხამებით გამოირჩევა კონტინენტის სხვადასხვა ტერიტორიაზე მცხოვრებ ირლანდიელ ოსტატთა მიერ შექმნილი წიგნები.

შუა საუკუნეების ტრაქტატები მოგვითხრობენ მწვანე საღებავის დამზადების ტექნოლოგიაზეც. მის მისაღებად, უმთავრესად, გამოიყენებოდა მალაქიტის ბალახი და ნაირსახეობის მწვანე მიწა. მათ შემაკავშირებელს ცილა წარმოადგენდა. მწვანე ესპანური საღებავის დასამზადებლად მოჭიქულ ჭურჭელში ასხამდნენ ძმარს, ღვინოს ან შარდს და მასში ათავსებდნენ სპილენძის ფირფიტებს, რომლებიც დაფარული იყო შაბით, გვარჯილით ან მარილით. თავდახურულ ჭურჭელს, მისთვის განსაკუთრებული ტემპერატურის შენარჩუნების მიზნით, ორმოცი დღის განმავლობაში ტოვებდნენ ნაკელში. ვადის ამოწურვისთანავე ფირფიტებზე ჩნდებოდა ღია ფერის მწვანე ნადები, რომელზეც ტყვიის თეთრას ან ჟანგმიწის დამატების შემდეგ მიიღებოდა სხვადასხვა შეფერილობის მწვანე საღებავი.

ყვითელი საღებავი მზადდებოდა გოგირდოვან დარიშხანთან, ზაფრანასა და თევზის ნალველთან ჟანგმიწის შერევით. შუა საუკუნეების ერთ-ერთი ტრაქტატის ავტორი აღნიშნავს, რომ ყვითელი საღებავის მისაღებად გოგირდოვანი დარიშხანი (აურიპიგმენტი) კარგად უნდა გახსნილიყო წებოვან ხსნარში ან ღვინოში. განსხვავებული ყვითელი ფერის მისაღებად, უცნობი ავტორის რეცეპტით, ხსნარს უნდა დამატებოდა ხარის, თხის ან თევზის ნალველი. რაც შეეხება ბერნელი ანონიმი ოსტატის ტრაქტატში აღწერილ ყვითელი საღებავის დამზადების ტექნოლოგიას, მისი მიხედვით შესაბამის მცენარეთა ფესვების, ზაფრანის ღეროსა და მისივე ყვავილისგან შემდგარ ნარევ მასას უმატებდნენ შაბიან წყალს, ცოტა ხნით აჩერებდნენ, შემდეგ კი ხდებოდა მისი წამოდულება.

ორნამენტისა და მინიატურების ხატვისას განსაკუთრებული დატვირთვა ლურჯ ფერს ეკისრებოდა, რომელიც XIII-XIV საუკუნეების ფრანგი და ფლანდრიელი მხატვრების საყვარელ ფერად ითვლებოდა. ადრეული ხანის ტრაქტატთა ავტორები ლურჯი ფერის მისაღებად მხატვრებს სთავაზობდნენ, რამდენიმე ფენად დალაგებულ ტყვიის თეთრასათვის დაემატებინათ ღიღილოს წვენი. XIV-XV საუკუნეებში ლურჯი საღებავი მზადდებოდა ლაზურიტისგანაც (ლილაქვა), რომლის დანაყვის შედეგად წარმოქმნილ ფხვნილს ურევდნენ ცვილს, ფისს, ხოლო რამდენიმე

დღის შემდეგ მიღებულ მასას თუთქს (წყალში გახსნილ ნაცარს) ამატებდნენ და აჩერებდნენ. გარკვეული ვადის გასვლისთანავე ხსნარი ლურჯ შეფერილობას იძენდა. მისი შემდგომი სრულყოფისათვის საღებავს ცილას ან გუმფისს უმატებდნენ. ლურჯი საღებავი ასევე მიიღებოდა კალისა და ვერცხლისგანაც. კერძოდ, კალის ან ვერცხლის ფირფიტები თავსდებოდა მოჭიქულ ჭურჭელში და იფარებოდა ძმრით. ოცდათხუთმეტი-ორმოცი დღის შემდეგ ფირფიტებზე ჩნდებოდა ლურჯი ფერის ნადები, რომელსაც ცალკე აგროვებდნენ და უმატებდნენ ცილას და გუმფისს.

თეთრი ფერის მისაღებად გამოიყენებოდა ტყვიის ფირფიტები, რომლებსაც ძმრიან ან ღვინიან ჭურჭელში ათავსებდნენ.

ხელნაწერს განსაკუთრებულ ელფერს, სიმდიდრესა და ბრწყინვალეობას მატებდა ოქროთი დაფერვა. მოოქროვების იმდროინდელ ტექნოლოგიათა აღწერას შუა საუკუნეებში შექმნილი ტრაქტატები მნიშვნელოვან ადგილს უთმობდნენ. როგორც ირკვევა, თავდაპირველად ხდებოდა ხელნაწერისთვის საჭირო მასალათა ზედაპირის დაგრუნტვა თაბაშირით ან ცარცით. მას ემატებოდა მცირეოდენი წყალი, წებო და ეს გამზადებული ნარევი თავსდებოდა იმ ადგილზე, რომელიც ოქროთი უნდა დაფარულიყო. ამას მოსდევდა დაგრუნტული ფენის ფაქიზად გაპრიალება, ხოლო გრუნტის მეორე ფენას უმატებდნენ ცილას, რომელიც წებოს სიმტკიცეს განაპირობებდა. ამის შემდეგ, ოქროს ფირფიტებიდან ტრაფარეტის მიხედვით იჭრებოდა საჭირო ფიგურები და ფაქიზად ლაგდებოდა შერჩეულ ადგილზე. გაშრობის შემდეგ კვლავ ხდებოდა მისი გაპრიალება. ხანდახან ოქროზე ამოიკაწრებოდა სხვადასხვა სახის ორნამენტები. მხატვრობის ამგვარი ხელოვნება, რომელსაც საფუძველი XIV საუკუნეში ჩაეყარა, როგორც ირკვევა, იმხანად ყველაზე ხშირად იტალიაში ვლინდებოდა. აქვე დავძენთ, რომ ვინაიდან ოქრო საკმაოდ ძვირად ღირებულ ლითონს წარმოადგენდა, შუა საუკუნეების ოსტატებმა მისი შემცვლელის ძიება გადაწყვიტეს და არცთუ უშედეგოდ. სულ მალე, ოქროს ნაცვლად, დაიწყეს კალის გამოყენება, რომელიც ზაფრანით ფერადდებოდა და თან ფისითა და ლაქით იზილებოდა. შუა საუკუნეების ევროპაში ამგვარივე ტექნოლოგიით ზოგიერთ საღებავსაც ამზადებდნენ [6: 27-31].

ხელნაწერი წიგნების გაფორმებისა და შემკობის ტექნიკა ევროპის ქვეყნებში სხვადასხვაგვარად ვითარდებოდა. ხელნაწერთა გარეგნული გაფორმება, ხშირ შემთხვევაში, მის შინაარსზე იყო დამოკიდებული. სამეცნიერო ტრაქტატები უაღრესად სადად ფორმდებოდა: მსხვილი წითელი ინიციალი, წითელი რუბრიკა და აქა-იქ იშვიათად წითელი და ლურჯი ფერის მცირე ინიციალები. ლოცვანი, ფსალმუნები და ბიბლია იმკობოდა მინიატურებითა და ინიციალებით. მოგვიანებით, სხვადასხვა სახის წიგნებიც მშვენივრად მინიატურებით.

ადრეულ შუა საუკუნეებში (V-VIII სს.) ხელნაწერთა შემკობა ნაკლებად ხდებოდა. მათში მხოლოდ წითელი ფერის ინიციალები გამოიყოფოდა, რომლებსაც VI საუკუნეში ცხოველთა და ფრინველთა ფიგურებით ამკობდნენ. მომდევნო საუკუნეში ინიციალის ზომა გაიზარდა, გაჩნდა უცხო ორნამენტი. სავარაუდოდ, იგი პირველად იტალიაში დაიბადა, კერძოდ, კასიოდორეს სკრიპტორიუმში, სადაც თევზის გამოსახულება ხელნაწერის დამამზადებელ ამ სახელოსნოს სიმბოლოს აღნიშნავდა. ირლანდიურ ხელნაწერებში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ინიციალის შესასრულებლად, წითლის გარდა, მწვანე და ყვითელი საღებავიც გამოიყენებოდა [6: 37-39].

VII საუკუნეში ორნამენტი საგრძნობლად გართულდა. ირლანდიური ხელნაწერების სათაურში შავი ფერით გამოყვანილი ასოები იმხანად ფერადდებოდა,

ძირითადად, ყვითელი და მწვანე საღებავებით, რაც ძალზე ეფექტურ სურათს ქმნიდა. მოგვიანებით, სათაურის შემკობის მსგავსი მეთოდი კონტინენტზეც გავრცელდა, თუმცა, აქ, ირლანდიურისგან განსხვავებით, მხოლოდ წითელი საღებავი დომინირებდა.

ადრეულ ხანაში მნიშვნელოვანი დეკორატიული დატვირთვის ფუნქცია რუბრიკებმა შეიძინა. სურინჯისა და სინგურის მკვეთრი ფერი ეფექტურად იკვეთებოდა საერთო ტექსტის ფონზე, რომელზეც ასოები შავი ან ყავისფერი მელნით იყო შესრულებული. X საუკუნიდან ფართო გავრცელება ჰპოვა ლურჯი და წითელი რუბრიკების გამოყენებამ, რითაც ერთი აზრის მეორისგან გამოყოფა ხდებოდა.

VII საუკუნის დამლევიდან, როდესაც ინიციალების ორნამენტაცია იწყება, ევროპის მრავალ ქვეყანაში საკუთარი ორნამენტული სტილი მკვიდრდება. მაგალითად, ხმელთაშუა ზღვისპირა ქვეყნებისთვის დამახასიათებელი იყო მოწნული, ხვეული ორნამენტები, რომლებშიც ინიციალის მთავარი კონტური თეთრი მარგალიტისებრი წერტილებით არის შემკული. საფრანგეთსა და იტალიაში გავრცელდა გომეტრიულ ფორმასთან შეხამებული მცენარეული ორნამენტი, სკანდინავიის ქვეყნებში კი ცხოველთა ორნამენტი სჭარბობდა, რომელიც ინგლისელი ოსტატებისგან ირლანდიელმა მხატვრებმა გადაიღეს და არნახულ სილამაზესა და სრულყოფამდე დახვეწეს.

ირლანდიური ორნამენტი ადრეული შუა საუკუნეების მხატვრობის ერთ-ერთი ყველაზე ბრწყინვალე ხელოვნების ნიმუშია. მასში ხმელთაშუა ზღვისპირა კულტურის ელემენტები შერწყმულია კოპტურთან, სირიულსა და კელტურთან. ეს სტილი იმხანად ფართოდ გავრცელდა კონტინენტზე არსებული მრავალრიცხოვანი ირლანდიური მონასტრებისა და მათში მოღვაწე ბერების წყალობით. ირლანდიური წიგნის ორნამენტი აერთიანებს გამოყენებითი ხელოვნების მთელ რიგ ისეთ დარგებს, როგორცაა საიუველირო, მოზაიკური და საფეიქრო. მართალია, ხელნაწერთა შინაარსი რელიგიურია, მაგრამ მათი დეკორი საერთო ხასიათს ატარებს. ირლანდიურ ხელნაწერთა ორნამენტი, თითქოსდა, ძვირფასი ქვების შერწყმით მიღებულ გამოსახულებას წარმოადგენს. ორნამენტზე ხშირად არის აღბეჭდილი ლეგენდებიდან და მითებიდან გადმოღებული ფანტასტიკური ცხოველები. ამ ხელნაწერებში, რომელთაგან ზოგიერთი ნამდვილი შედეგია, მკაფიოდ იგრძნობა დახვეწილი გემოვნება, უსაზღვრო ფანტაზია, ნახატთა მაღალხარისხოვანი საშემსრულებლო ხელოვნების კულტურა. ორნამენტების გამოსახვისას ჭარბობს თეთრი, წითელი, ცისფერი, ყვითელი ფერები, აგრეთვე, იასამნისფერი და ყავისფერი, რომლებიც, მთლიანობაში, ფერთა შეხამების ერთიან ულამაზეს გამას ქმნის. ზოგი ოსტატი კონტურის ახლოს თეთრ ზოლს ტოვებდა, რითაც ორნამენტს მეტ რელიეფურობას ანიჭებდა და ამით მინანქრის ხელოვნებასთან აახლოვებდა. ამასთან ერთად, ირლანდიურ ხელნაწერთა ორნამენტები ყურადღებას იპყრობს დინამიურობით, მოქნილობითა და სიფაქიზით. აღსანიშნავია, რომ დაახლოებით 800 წელს გადაწერილი ერთ-ერთი ამგვარი ხელნაწერი დაცულია რუსეთის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში (მოსკოვი) (Lat., F. v. I. №8).

შუა საუკუნეების ორნამენტული ხელოვნების განვითარებაში თავისი შტრიხი შეიტანა გოთურმა პერიოდმა. XII საუკუნიდან თითოეული წიგნის თავფურცელი იწყებოდა დიდი ინიციალით. ხშირად, პირველი ინიციალი მთელ გვერდს მოიცავდა. საშუალო ზომის ინიციალებით ხდებოდა ცალკეული თავების, ხოლო მცირე ზომის ინიციალებით – წინადადებების დაწყება. ისინი, ძირითადად, წითელი ან ლურჯი ფერით სრულდებოდა. XII საუკუნიდან დასაბამი მიეცა ინიციალის გარშემო

დატოვებული თავისუფალი ადგილის შევსებას მცენარეული ორნამენტითა და გრაფიკული გამოსახულებებით, რასაც, მოგვიანებით, ეროვნული ელემენტები დაემატა.

XIII საუკუნის საფრანგეთში შექმნილ ხელნაწერებზე მანამდე საყოველთაოდ მიღებული ცისფერის, ოქროსფერისა და მწვანე ფერის ფონის ნაცვლად, დამკვიდრდა ე.წ. «კვადრილიო» (ფერადი კუბოკრული ფონი), რომელიც XIV საუკუნეში ვაზის ოქროსფერი ფოთლების ორნამენტით შეიცვალა. IX-X საუკუნეების გერმანულ ცხოველთა ორნამენტი XII საუკუნეში მცენარეთა ორნამენტმა შეცვალა. XIV საუკუნის ჩეხეთში დამკვიდრდა ე.წ. ხალიჩისებრი ორნამენტი, რაც ამ ქვეყნის თავისებურებად უნდა მივიჩნიოთ. იქაური ხელნაწერების მუქ ცენტრალურ ფონზე ეფექტურად ხდებოდა ღია ფერის ფართო ფოთლებიანი მცენარეების გამოსახვა. იტალიურ ხელნაწერთა ინიციალებში, თევზებისა და ცხოველების გამოსახულებათა გვერდით, უკვე გვხვდება თავდაპირველად სტილიზებული, შემდეგ კი უფრო რეალისტური იერსახის მქონე ადამიანთა ფიგურები. იტალიელი ოსტატები და მათი მიმდევარი სხვა ევროპელი მხატვრები, ინიციალებთან ერთად, ქმნიდნენ სხვადასხვა სახის მინიატურებსაც, რომლებზეც ისინი, ხანდახან, ამა თუ იმ ორდენის ბერებსაც გამოსახავდნენ [7: 27-39].

ხელნაწერის გვერდზე ინიციალების თავისუფალმა განთავსებამ და ორნამენტური ხელოვნების განვითარებამ დაბადა არშია, შემდეგ კი – ჩარჩო. არშიების შესრულების ხელოვნებით განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ საფრანგეთში მოღვაწე ოსტატები. XIII საუკუნიდან ინიციალმა უკვე მინდორზე გადაინაცვლა. ამ პერიოდიდან ხელნაწერი გვერდის შემკობა ხშირად ხდებოდა მცენარეული ორნამენტით, ხოლო გვერდის კიდეების დაფარვა გროტესკული ფიგურებით, კერძოდ, ჟონგლიორებით, აკრობატებით, მაიმუნებით, კატებით, ფრთოსანი გველეშაპებით. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ იმხანად ხელნაწერთა გვერდების შემკობისას მაინც მრავალრიცხოვანი პაროდისტული ან კომიკური სიუჟეტების გამოყენება სჭარბობდა. ხელოვნების ეს ფორმა, სახელწოდებით «დროლერიე» (ფრანგულად «გასართობს» ნიშნავს), მართალია, ინგლისში ჩაისახა, მაგრამ ფართო გავრცელება საფრანგეთში ჰპოვა [8: 21-22].

XIII საუკუნიდან საფრანგეთში ვრცელდება ე.წ. «აბსტრაქტული» არშია. XIV საუკუნეში ხელნაწერის გვერდის კიდეებზე მკვიდრდება ფოთლებისა და სუროს ტოტების, ასევე ვაზის გრაფიკული გამოსახულებები. ამგვარმა არშიამ ტექსტის გარშემო მთელი მინდორი დაიკავა. არცთუ იშვიათად, სვეტებს შორისაც ჩნდება და ერთგვარი ჩარჩოს ფუნქციასაც ასრულებს. XV საუკუნიდან ჩარჩომ უფრო მკვეთრი და ცოცხალი დატვირთვა შეიძინა. იგი უკვე მთელ მინდორს იკავებს და ხშირად ყვავილებისა და ნაყოფის გამოსახულებით არის წარმოდგენილი, თუმცა, ზოგიერთ ხელნაწერს მათ ნაცვლად ამშვენებს პეპლების, ბაყაყების, მაისის ხოჭოების, ლოკოკინებისა და ფარშევანგების მაღალოსტატურად შესრულებული ნახატები. აქვე დავძენთ, რომ ფრანგულ არშიას ენათესავება ფლამანდიური, თუმცა, ის ნაკლებად მკვეთრი და მიმზიდველია.

სრულიად განსხვავებულია იტალიურ ხელნაწერთა არშიები, რომლებისთვისაც დამახასიათებელია მცენარეთა ფოთლების მოხატულობა, ოქროსფერი ხვეულები, გაბნეული ხელნაწერი ფურცლის მინდორზე, საიდანაც წვრილი შავი ხაზები სხივებად იფანტება. XII საუკუნიდან იტალიურ არშიებში ჩნდება მედალიონები, რომელთა შუაგულში გამოსახულია გედები, ფარშევანგები, მოგვიანებით კი მათ პორტრეტებიც დაემატა. XIV-XV საუკუნეებში ფლორენციული სახელოსნოები,

რომელთა ხელნაწერების არშიებზე სჭარბობს მცენარეული ორნამენტები, გამოირჩეოდა მათში ჩაწნული ფრინველებისა და პეპლების ნატიფი სურათებით. მოგვიანებით, არშიები გადაიქცა ჩარჩოებად, რომლებიც ხან სვეტებს, ხან კი სხვა არქიტექტურულ დეტალებს წარმოადგენდა. XV საუკუნის იტალიურმა ორნამენტმა სერიოზული გავლენა მოახდინა საფრანგეთში, გერმანიაში, პოლონეთსა და ევროპის მთელ რიგ სხვა ქვეყნებში წარმოებულ ხელნაწერთა გაფორმებაზე. კერძოდ, სტილიზებულ ცხოველთა გამოსახულებიანი რომანული პერიოდის ინიციალები ფილიგრანული, რთული მცენარეული გამოსახულებებით შეიცვალა. XV საუკუნეში სიუჟეტური მინიატურის ინიციალი არშიას დაუკავშირდა, ხოლო ხელნაწერის ძირითადი ტექსტის განთავსება ჩარჩოში მოხდა. გერმანულ ხელნაწერებში ფართოდ გამოიყენებოდა არშიაც და ჩარჩოც. ისინი ხშირად ჭრელი, ფერად-ფერადი ყვავილებით, ფოთლებით, გეომეტრიული ფიგურებით იმკობოდა, თუმცა, არშიების დასამშვენებლად უპირატესობა მაინც ნარშავის ფოთლების გამოსახულებას ენიჭებოდა. ჩეხური ხელნაწერების არშიები მსხვილი ღეროებით იყო მორთული, ფონად კი ოქროსფერის, ღვინისფერისა და ლურჯ ფერთა გამა გამოიყენებოდა. აქა-იქ გვხვდება აგრეთვე ყვავილებისა და ფრინველთა გამოსახულებანიც. ყოველი არშია ხელნაწერს გარკვეულ მოხატულობას სძენდა [9: 19-20].

შუა საუკუნეების ხელნაწერთა ყველაზე ღირშესანიშნავ და შთამბეჭდავ შემამკობელს მინიატურა წარმოადგენდა, რომლის ჩასახვისა და განვითარების ისტორიაც შუა საუკუნეების მხატვრობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი, კოლორიტული ნაწილია.

ადრეულ პერიოდში ტექსტების გადაწერა და დეკორის ხელოვნება ეკლესიის ხელში იყო მოქცეული. XII საუკუნეში ხელნაწერთა მხატვრული გაფორმებისთვის პირველი საერო სახელოსნოებიც ჩნდება. გადამწერები ან რუბრიკატორები თავადვე ამკობდნენ ხელნაწერებს, მაგრამ სკრიპტორიუმებში ზოგჯერ მაინც იწვევდნენ მხატვრებს, რომელთა ვინაობაც, იშვიათი გამონაკლისის გარდა, უცნობი რჩებოდა. ზოგიერთი მათგანის სახელს ვხვდებით სახელოსნოების მფლობელთა ჩანაწერებში, კერძო მიმოწერასა და ოფიციალურ დოკუმენტებში, საიდანაც იმასაც ვგებულობთ, თუ დამკვეთი პირნი როგორ და რა პირობით უკვეთდნენ მხატვარს ამა თუ იმ ხელნაწერი წიგნის გაფორმებას. იმხანად, ევროპულ ქალაქებში მრავლად იყო ისეთი სახელოსნო, სადაც ხდებოდა ხელნაწერთა ილუსტრირება. XIV საუკუნეში მაღალი ხელოვნებით განსაკუთრებით ჩრდილოეთ საფრანგეთისა და ფლანდრიის სახელოსნოები გამოირჩეოდნენ. ამ ორი ქვეყნის ტერიტორიულმა სიახლოვემ განაპირობა კიდევაც ე.წ. ფრანკო-ფლამანდიური სტილის შექმნა [9: 22-23].

შუა საუკუნეების დროინდელ სახელგანთქმულ ფრანგ მხატვართა შორის, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ჟან პიუსელი, რომელიც «დროლერიეს» ხელოვნების თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო. მისი მინიატურები აღსავსეა ექსპრესიითა და გამომსახველობით. XV საუკუნის დამდეგს პარიზში მოღვაწეობდნენ ძმები პოლ, ჟან და ჰერმან ლიმბურგები, რომელთა მიერ შექმნილი ილუსტრაციები ფრანკო-ფლამანდიური სტილის მინიატურული მხატვრობის შედეგებადაა მიჩნეული. მათვე მიაკუთვნებენ ჰერცოგ ჟან ბერიელის ცნობილ «ლოცვანს», რომელიც ამჟამად კონდეს მუზეუმშია დაცული. იმდროინდელ მხატვარ-მინიატურისტებისგან უნდა გამოვყოთ აგრეთვე ჟან ფუკე და სიმონ მარმიონი. ჟან ფუკემ (დაახ. 1420-1481) შესანიშნავად შეუხამა ერთმანეთს იტალიური და ფრანკო-ფლამანდიური მინიატურული მხატვრობის ორი განსხვავებული სტილი. იგი სამართლიანად მიიჩნევა ადრინდელი რენესანსის ხელოვნების ერთ-ერთ

ფუძემდებლად საფრანგეთში. რუსეთის ეროვნულ ბიბლიოთეკაში (სანკტპეტერბურგი) ინახება ჟან ფუკეს მიერ შესრულებული მარტინ ლეფრანის თხზულების შესანიშნავი მინიატურები, ხოლო რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკაში დაცულია მის სახელოსნოში დამზადებული თერთმეტი მინიატურა. გარდა ამისა, ფუკეს ეკუთვნის რელიგიურ და ისტორიულ სიუჟეტებზე შექმნილი წიგნების მინიატურები, რეალისტური პორტრეტები და რელიგიური კომპოზიციები. აქვე უნდა მოვიხსენიოთ ნეაპოლისა და სიცილიის მეფე რენე ანჟუელი (1409-1480), პოეტი და მხატვარი გვირგვინოსანი, რომლის მიერ მოხატულ და ილუსტრირებულ ნაშრომთა შორის საგანგებოდ გამოირჩევა «შეყვარებული ამურის გული» [7: 19].

XIV საუკუნის იტალიაში წიგნის ილუსტრირების ყველაზე მნიშვნელოვანი ცენტრები იყო მილანი, სიენა და ფლორენცია, რომელთაც XV საუკუნიდან ფერარაც შეემატა. ცნობილი იტალიელი მხატვრები წიგნების ილუსტრირებას შეგირდებს ავალებდნენ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათზე გარკვეულ ზეგავლენას მაინც ახდენდნენ. მაგალითად, XIV საუკუნეში ბოლონიასა და მილანში შესრულებულ მინიატურებზე იგრძნობა ჯოტოს (1266/1267-1337) გავლენა, ხოლო ფლორენციასა და ფერარაში XV საუკუნის შუა ხანებში შექმნილ მინიატურებს ამკარად ატყვია გირლანდაიოსა (დი ტომაზო ბიგორდი (1449-1494) და ვეროკიოს (ანდრეა დი მიკელე ჩონი (1435/1436-1488) ხელწერისთვის წაბაძვის კვალი. იტალიური ხელნაწერი წიგნების ცნობილ ილუსტრატორებად მიჩნეულნი არიან: ნიკოლო დი ჯაკომო და სიმონე მარტინი – სიენიდან, ლორენცო მონაჩი – ფლორენციიდან, თადეო კრიველი და გულელმო გირალი – ფერარადან. იტალიური წიგნის მინიატურა მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ევროპის სხვა ქვეყნებში შექმნილი მინიატურებისგან თავისი რეალიზმითა და დაზგურ ფერწერასთან სიახლოვით, რითაც განისაზღვრებოდა კიდევ მისი მხატვრული ღირებულება.

XIII საუკუნიდან კონტინენტზე მასობრივად ჩნდება დღის გარკვეულ მონაკვეთში წასაკითხად გამიზნულ ლოცვათა სპეციალური წიგნები, რომელთაც ევროპის, თითქმის, ყველა ქვეყანაში არსებული სკრიპტორიუმები ამზადებდნენ, თუმცა, განსაკუთრებული პოპულარობა მათ საფრანგეთსა და ფლანდრიაში მოიპოვეს. ამგვარი «ლოცვანი» განკუთვნილი იყო საერო პირთათვის და, როგორც ირკვევა, ნებისმიერი ასაკისა და სოციალური მდგომარეობის მქონე ქალბატონთათვის ის ერთობ სასურველ საჩუქრად ითვლებოდა. ეს «ლოცვანი» მრავლად იყო დამშვენებული ილუსტრირებული მინიატურებით, რომლებიც, ერთგვარად, ავსებდნენ ტექსტებს.

ლოცვათა წიგნებში თავდაპირველად კალენდრებსაც ათავსებდნენ. თითოეულ თვეს ამკობდა ტრადიციული სიუჟეტის ერთი მინიატურა, რომლის თავზეც შესატყვისი ზოდიაქოს ნიშანი იყო გამოსახული. კალენდრის ყოველი თვე გასაოცარი რეალისტური სურათებითა და სცენებით იყო წარმოდგენილი და მნახველზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა. კალენდარს მოსდევდა უხვად ილუსტრირებული ბიბლიური ტექსტები, შემდეგ – ფსალმუნები და ლოცვანი, რასაც ბოლოს ერთვოდა სხვადასხვა წმიდანთა ლოცვები, მათივე გამოსახულებებით [7: 29-33].

რელიგიური ხასიათის წიგნებთან ერთად საერო წიგნების ილუსტრირებაც წარმოებდა, მათ შორის – ქრონიკების, სამეცნიერო ტრაქტატებისა და ლიტერატურული ნაწარმოებების. ტრაქტატები მედიცინის შესახებ დასურათებული იყო სამედიცინო ინსტრუქციებითა და სამკურნალო მცენარეებით; თხზულებებს სამხედრო საქმის შესახებ ამშვენებდა არბალეტების, სხვადასხვა საბრძოლო იარაღების, სამხედრო ბანაკების გეგმების, ბრძოლების ამსახველი სურათები და სხვ.

საერო ლიტერატურის წარმომოხასთან ერთად შეიქმნა ილუსტრაციის ახალი ტიპი, რომლის მიხედვითაც მინიატურები არა მარტო «მოგვითხრობენ», არამედ გვართობენ კიდევ. შუა საუკუნეებში შექმნილ ნაწარმოებთა შორის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და მკითხველისთვის საყვარელი რომანი უხვად ილუსტრირებული «ვარდის რომანი» იყო, რომლის ავტორებად ითვლებიან გიომ დე ლორისა და ჟან დე მიონი. ამ ლიტერატურული ნაწარმოების სასიყვარულო თემატიკამ, სიუჟეტის უბრალოებამ, მისმა ადვილად გასაგებმა პოეტურმა ფორმამ და თხრობის საინტერესო მანერამ მას არნახული პოპულარობა მოუტანა. ხდებოდა მისი გადაწერა, რომანს უმღერდნენ მენესტრელები. თუმცა, იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ხალხს მოუწოდებდნენ ამ მხატვრული ქმნილების პერსონაჟთა გაკიცხვისა და თავად წიგნის განადგურებისკენ. პარიზის უნივერსიტეტის კანცლერი ჟარსონი წერდა: «კეთილგონიერო ადამიანებო! გამოსტაცეთ ეს საშიში წიგნი თქვენს ჭაბუკებსა და ქალიშვილებს. მე რომ გამაჩნდეს «ვარდის რომანის», თუნდაც, ერთადერთი ეგზემპლარი... ვამჯობინებდი მის დაუყოვნებლივ დაწვას». ხსენებული რომანის ყველაზე ადრინდელი ხელნაწერი 1270 წელს მიეკუთვნება. სანკტ-პეტერბურგის სახელმწიფო ერმიტაჟის ბიბლიოთეკაში ინახება ამ ნაწარმოების XV საუკუნით დათარიღებული ერთი ეგზემპლარი, რომელშიც 106 მაღალხარისხოვანი მინიატურაა ჩართული.

რუსეთის ეროვნული ბიბლიოთეკის (სანკტ-პეტერბურგი) იშვიათ გამოცემათა ფონდში დაცულია მეტად საინტერესო «დიდი ფრანგული ქრონიკა», რომელიც უხვად არის დამშვენებული ილუსტრაციებით. ქრონიკა იწყება ფრანკთა წარმომობის ხანიდან და მთავრდება შარლ V-ის მეფედ კურთხევის (1364წ.) სცენების აღწერით. ტექსტს თანდართული აქვს ოთხმოდგამდე დიდი და საშუალო ზომის მინიატურა. ეს ქრონიკა სამართლიანად არის მიჩნეული შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპის მატერიალური კულტურის ენციკლოპედიად. მისი საშუალებით მკითხველი ეცნობა იმდროინდელ არქიტექტურას, საბრძოლო იარაღსა და აღჭურვილობას, ტანსაცმელს, ნაგებობათა ინტერიერის გაფორმების ხელოვნებას და სხვ. მასში ხატოვნად არის აღწერილი კარლოს დიდის ცხოვრება და მოღვაწეობა, მის მიერ გატარებული საგარეო პოლიტიკა, როლანდის ბრძოლა რონსელვანის ხეობაში, მეფე ხილპერიკის მმართველობა, ლუი IX-ის გვირგვინკურთხევის სცენები, ფილიპ II ოგიუსტის მეფობა, ბურგუნდიის ჰერცოგების _ ფილიპ კეთილისა და შარლ თამამის საგმირო საქმენი და ა.შ. ქრონიკაში მინიატურების უმრავლესობა შესრულებულია სახელმძღვანელო ფრანგი ოსტატის _ სიმონ მარმიონის (1425-1489) მიერ. ეს ხელოვანი ცნობილი იყო არა მარტო როგორც მინიატურების შემქმნელი, არამედ როგორც დაზგური ფერწერის დიდოსტატი და ბურგუნდიის ჰერცოგ ფილიპ კეთილის კარის მხატვარიც. «დიდი ფრანგული ქრონიკის» მინიატურების უმეტესობას კარგად აქვს შენარჩუნებული პირვანდელი ხასხასა ფერი. ცალკე აღებული თითოეული მინიატურა აღიქმება დამოუკიდებელ სურათად, რომელიც შუა საუკუნეების ევროპის ისტორიის ცალკეულ ეპიზოდებს მოგვითხრობს [10: 19-27].

წიგნებისგან განსხვავებით, ოფიციალური დოკუმენტების, სიგელებისა და დავთრების გაფორმება ძალიან სადად ხდებოდა. სიგელის ძირითად მორთულობას «პარაფი» (ფრანგულად «ხვეულ ხელმო-წერას» ნიშნავს) წარმოადგენდა, რომელიც ნოტარიუსის ნიშანი იყო და დოკუმენტის ტექსტის ქვეშ კეთდებოდა. რაც შეეხება ბეჭედს, იგი სიგელის მარცხენა მხარეს ზონარით მაგრდებოდა.

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ხანის ხელნაწერთა მორთულობამ და

მინიატურებმა მნიშვნელოვნად განაპირობეს ევროპული მხატვრობის შემდგომი განვითარება. დაზგური ფერწერის წარმოქმნამდე დიდი ხნით ადრე მხატვრები პატარა, მინიატურული სურათების შექმნისათვის იღვწოდნენ. ისინი თავიანთი ნამუშევრებით შუა საუკუნეების ხელოვნების ამ შესანიშნავი ნიმუშებით ამკობდნენ ხელნაწერებს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ იმდროინდელ ხელნაწერთა მოხატულობამ დიდი გავლენა იქონია გვიანდელი ხანის წიგნების მხატვრულ გაფორმებაზე.

შუა საუკუნეების ევროპული ხელნაწერების შესწავლა საშუალებას გვაძლევს, სარწმუნო ინფორმაცია მივიღოთ იმ პერიოდის ევროპული კულტურის, ადამიანთა ინტელექტუალური ცხოვრების, მათი ინტერესებისა და ძირითად მისწრაფებათა შესახებ. რაც შეეხება თავად ხელნაწერებს, ისინი ევროპელთა მაღალი ესთეტიკური გემოვნების, დიდი ინტელექტის, დახვეწილი კულტურის, ხელოვნებისადმი ფაქიზი დამოკიდებულებისა და დაულალავი შემოქმედებითი გარჯის უტყუარი დამადასტურებელი ქმნილებებია. მართალია, მათი უმრავლესობა მეტ-ნაკლებად შესწავლილია, მაგრამ ხელნაწერი წიგნების გარკვეული ნაწილი ჯერ კიდევ ელის თავის პირუთვნელ შემფასებელს.

Н. ГОМАРТЕЛИ

**ИЗ ИСТОРИИ ХУДОЖЕСТВЕННОГО ОФОРМЛЕНИЯ РУКОПИСЕЙ
СРЕДНЕВЕКОВОЙ ЕВРОПЫ**

Резюме

Значение средневековой рукописной книги, как литературного, исторического, художественного и материального памятника, общеизвестно. Изучение в совокупности всех этих вопросов, связанных с происхождением книги (кодекса) и ее истории, составляет задачу комплексного кодикологического исследования рукописной книги.

Украшения и миниатюры средневековых рукописей в Западной Европе послужили источником, из которого затем разлился широкий поток европейской живописи. Задолго до того, как появилась станковая живопись, над маленькими, миниатюрными картинками трудились художники, украшавшие не только много роскошных, но и более скромных книг (кодексов) замечательными произведениями средневекового искусства. Почти все богатые знания материального быта народов средневековой Западной Европы почерпнуты из миниатюр рукописных книг.

N. GOMARTELI

**TO THE HISTORY OF ILLUMINATED MANUSCRIPTS
IN MIDDLE AGE EUROPE**

Summary

The illuminated manuscripts occupy a huge role in the cultural heritage of Middle Age Europe. Monks in the monasteries made copies of the books in their care - both religious and secular manuscripts. Although some have thought the term `illuminated` to be strictly applicable only to those manuscripts where the painting is enhanced by the use of gold or

silver, it is now more widely used of any manuscript with decoration more elaborate than simple colored initials. The brilliant pictures that illustrate and accompany the texts in a manuscripts are called miniatures, not only because they are small, but because the Latin word *miniare* (the color with red lead) has been used since the Middle Ages to describe these illustrations. The miniatures are painted in luminous colors and often have gold highlights or backgrounds that shimmer in the light. Some miniatures share the page with text; others fill the page and are surrounded by elaborate borders. The production of Bibles was the place where the arts of the monastic scribes, and later artists, flowered. Just as Biblical text is open to many different interpretations, the illumination of that text was intended to pose the same allusive and meditative possibilities. In an illuminated manuscript, the complexity of the decoration was intended to mirror the complexity of the biblical passages the decoration illustrates. The decoration carried into the text depicted continuity between the words and the decoration, a continuity that suggests that the illuminated religious manuscript is an attempt to convey the beauty of God's message to mankind. In the interlacing and interweaving of the bodies of snakes and lions, of peacock and fishes, chalices and vines the painters intended to represent some aspect of Christ's life: the snake representing rebirth and, at the same time, Original Sin; the peacock representing the incorruptibility of Christ.

Many different artists and craftsmen were needed to produce each manuscript, including an illuminator to decorate the manuscript, and a bookbinder to bind the sections together. The manuscript books from this period represent the height of the art of decoration. They did contribute much more to the advancement of intellectual tradition and art in the Europe. Beginning in the thirteenth century, professional artisans working in commercial centers across Europe created an increasing number of manuscripts. The increased importance of the written word, led to a gradual proliferation in the production of illuminated books that reached a peak in the 14th and 15th centuries. Many of the famous artists who painted altarpieces and frescoes as well as leading painters during the first quarter of the fifteenth century in Europe, headed scriptoriums in the monasteries where they were involved in the decoration of choir-books. Inevitably, illuminated manuscripts had a great impact on the tradition of decoration of books.

ლიტერატურა - ЛИТЕРАТУРА - REFERENCES

1. Мокрецова И. П. Материалы и техника западноевропейской средневековой книжной живописи. – М., 1968.
2. Киселёва Л. И. О чём рассказывают средневековые рукописи. – Л., 1978.
3. Малов В. Н. Происхождение современного письма. - М., 1995.
4. Добиаш-Рождественская О. А. История письма в средние века. - М.-Л., 1986.
5. Valentine L. N. Ornament in medieval manuscripts. - London, 1995.
6. Thompson J. W. The medieval library. - Chicago, 1989.
7. Bland D. A. History of book illustration. - London, 1999.
8. Романова В. Л. Рукописная книга и готическое письмо во Франции в XIII-XIV вв. // Средние века: вып. 19. - М., 1961.
9. Thompson D.V. The materials and techniques of medieval painting. - New York, 1996.
10. Чернова Г.А. Миниатюры Больших французских хроник.- М., 1960.
11. Киселёва Л.И. Готический курсив XIII-XV вв.- Л., 1984.
12. Романова В.Л. Рукописная книга – ценный памятник средневековой городской культуры (об особенностях книжного оформления во Франции в XIII-XV вв.)// Европа в средние века.- М., 1972.
13. Wardrop J. The script of humanism. Some aspects of humanistic script 1460-1560.- Oxford, 1993.

საინფორმაციო ტექნოლოგიები -
- ИНФОРМАЦИОННЫЕ ТЕХНОЛОГИИ -
- INFORMATION TECHNOLOGY

დავით მჭედლიშვილი

საბიბლიოთეკო სისტემა ИРБИС64
(დანერგვის გეგმა)

ბიბლიოთეკის ავტომატიზაციის სისტემა ИРБИС64 წარმოადგენს ძირითადი საბიბლიოთეკო პროცესების ინტეგრირებულ გადაწყვეტას და გამოიყენება სხვადასხვა ტიპის ბიბლიოთეკებისათვის.

მომხმარებელთა საერთო რაოდენობა: 896 (2004 წლის მონაცემებით)

საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას შემენილი აქვს ИРБИС64-ის შემდეგი მოდულები:

საბიბლიოთეკო სისტემა ИРБИС64-ის დანერგვის ეტაპები

1. მოსამზადებელი სამუშაოები

მოდული: ადმინისტრატორი, კატალოგიზატორი, მკითხველი, წიგნის გაცემა

- 1.1. დოკუმენტაციის ამობეჭდვა
- 1.2. პროგრამისტების მიერ სისტემის გარჩევა
- 1.3. სისტემური მენიუების თარგმნა/ლოკალიზაცია
- 1.4. ადმინისტრაციის პროგრამების ლოკალიზაცია
- 1.5. ადმინისტრირების ფუნქციების განსაზღვრა
- 1.6. ადმინისტრატორის ინსტრუქციის შემუშავება
- 1.7. სერვერის კონფიგურაცია და გაშვება

2. მკითხველთა რეგისტრაციის ავტომატიზაცია

მოდული: კატალოგიზატორი

- 2.1. მონაცემთა ბაზის კონფიგურაცია და მოდიფიცირება
- 2.2. სამუშაო არის თარგმნა/ლოკალიზაცია
- 2.3. სამუშაო ინსტრუქციის შემუშავება
- 2.4. თანამშრომლების მომზადება
- 2.5. ტესტირება და ექსპლუატაციაში გაშვება

3. კატალოგიზაცია / მკითხველის ავტომატიზაცია

მოდული: კატალოგიზატორი, მკითხველი

- 3.1. მონაცემთა ბაზის კონფიგურაცია და მოდიფიცირება
- 3.2. სამუშაო არეების თარგმნა/ლოკალიზაცია
- 3.3. ბაზის კონვერტირების ცხრილების მომზადება
- 3.4. სამუშაო ინსტრუქციის შემუშავება
- 3.5. თანამშრომლების მომზადება

- 3.6. ბაზების კონვერტირება
- 3.7. ტესტირება და ექსპლოატაციაში გაშვება

4. ვებ ინტერფეისის ამუშავება

მოდული: *Web-ИРБИС*

- 4.1. დოკუმენტაციის ამობეჭდვა
- 4.2. პროგრამისტების მიერ სისტემის გარჩევა
- 4.3. ვებ გვერდების თარგმნა და ლოკალიზაცია
- 4.4. სამუშაო ინსტრუქციის შემუშავება
- 4.5. თანამშრომლების მომზადება
- 4.6. ტესტირება და ექსპლოატაციაში გაშვება

5. Z39.50 სერვერის ამუშავება

მოდული: *Z64 სერვერი*

- 5.1. დოკუმენტაციის ამობეჭდვა
- 5.2. პროგრამისტების მიერ სისტემის გარჩევა
- 5.3. სისტემის ლოკალიზაცია
- 5.4. სამსახურის პოლიტიკის განსაზღვრა
- 5.5. ინსტრუქციის შემუშავება
- 5.6. სერვერის კონფიგურაცია და გაშვება

თანამშრომელთა მომზადება მოხდება ორ ნაწილად:

1. ავტომატიზაციის განყოფილებაში პროგრამისტების მიერ არსებული სასწავლო ჯგუფის თანამშრომელთა მომზადება
2. სასწავლო ჯგუფის მიერ უშუალოდ სისტემასთან მომუშავე ბიბლიოთეკარებისთვის სასწავლო კლასების მომზადება და სწავლება.

ძირითადი ეტაპების ჩატარებისა და დანერგვის შემდეგ უკვე არსებულ მონაცემთა ბაზებზე დაყრდნობით, დაიწყება მუშაობა ავტორიტეტული ფაილებისა და რუბრიკატორების შესაქმნელად.

სამუშაო ჯგუფი

საბიბლიოთეკო სისტემა ИРБИС64-ის დანერგვისთვის საჭიროა შემდეგი სპეციალისტები:

პროგრამისტი

- ერთ-ერთი პოპულარული პროგრამირების ენის ცოდნა (C/C++, Delphi).
- უცხო პროგრამების გარჩევის გამოცდილება.
- მზა პროგრამების გაქართულების გამოცდილება.
- ქსელური პროტოკოლების ცოდნა (TCP/IP, HTTP, FTP).

· 8 / 16 ბიტანი სტანდარტული კოდირებების ცოდნა (UNICODE, UTF-8).

პროგრამისტი - საბიბლიოთეკო გამოცდილებით (2 პროგრამისტი)

- CDS/ISIS-თან მუშაობის გამოცდილება. ფორმატირების ენის ცოდნა.
- საბიბლიოთეკო სტანდარტების ცოდნა (ISBD, UNIMARC, RUSMARC)
- ბაზებს შორის მონაცემთა გაცვლის გამოცდილება (ISO 2709).
- უცხო პროგრამების გარჩევის გამოცდილება.
- 8 / 16 ბიტანი სტანდარტული კოდირებების ცოდნა (UNICODE, UTF-8).

- ერთ-ერთი პოპულარული პროგრამირების ენის ცოდნა.
- სასწავლო ჯგუფის თანამშრომელთა მომზადება.

ვებ პროგრამისტი

- ვებ პროგრამირება (HTML, JavaScript, PHP).
- ქსელური პროტოკოლების ცოდნა (HTTP, FTP, Z39.50).
- ვებსერვის Apache-ს ნაწილობრივ ცოდნა.
- უცხო პროგრამების გარჩევის გამოცდილება.
- 8 / 16 ბიტის სტანდარტული კოდირების ცოდნა (UNICODE, UTF-8).

სასწავლო ჯგუფი (3 მასწავლებელი)

- ბიბლიოთეკარებისთვის სამუშაო ინსტრუქციის შემუშავება.
- ბიბლიოთეკარებისთვის სასწავლო კლასების მომზადება და სწავლება.

საბიბლიოთეკო სტანდარტების სპეციალისტი (კონსულტანტი)

· ბიბლიოგრაფიული აღწერილობის საერთაშორისო და ეროვნული სტანდარტების ცოდნა (ISBD).

- საბიბლიოთეკო სტანდარტების ცოდნა (UNIMARC, RUSMARC).

ქართულ-რუსული ენის სპეციალისტი (ფილოლოგი)

- ქართული და რუსული ენების ცოდნა.
- რუსულენოვანი დოკუმენტაციების გარჩევა პროგრამისტებთან ერთად.
- ნათარგმნი მასალის შემოწმება.
- ქართულენოვანი სამუშაო ინსტრუქციების შემოწმება.

სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი

- სამუშაო ჯგუფის და ტექნიკური უზრუნველყოფის შერჩევა.
- ეტაპების სამუშაო გეგმების შემუშავება.
- სამუშაოების კოორდინირება.
- სისტემის მწარმოებელთან და მომხმარებლებთან ურთიერთობა.
- საჭიროების შემთხვევაში სპეციალისტების მოწვევა.
- ბიბლიოთეკის დირექციასთან ეტაპობრივი ანგარიშგება

სამუშაო ინვენტარი

სამუშაო ჯგუფისთვის უნდა შეიქმნას სამუშაო ადგილები და შესაბამისი სამუშაო პირობები (მაგიდა, სკამი, კომპიუტერი, საკანცელარიო ინვენტარი, და სხვა).

ტექნიკური უზრუნველყოფა

- 4 კომპიუტერი პროგრამისტებისთვის.
- 3 სამუშაო კომპიუტერი სასწავლო ჯგუფისათვის.
- 4 კომპიუტერი და საწერი დაფა სასწავლო კლასისთვის.
- 1 პორტატული კომპიუტერი სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელისთვის.
- 2 პრინტერი და ქაღალდი დოკუმენტაციების, სამუშაო მასალის და ინსტრუქციების ამოსაბეჭდად.

· 1 უწყვეტ რეჟიმში მომუშავე მონაცემთა ბაზების სერვერი ИРБИС64-ის სერვერისთვის

კომპიუტერული ტექნიკა

დასახელება	რაოდ.	ერთ. ფასი USD	სულ ფასი USD	სულ ფასი GEL
სამაგიდო კომპიუტერი P4 3.0Ghz, 1 G b DDR2 RAM, 120 G b HD, 17" Monitor, 256 Video Card, 10/100 Network Card, CD-RW, Sound, Keyboard, Mouse, UPS 800 VA <i>პროგრამისტებისთვის</i>	4	1326,00	5 304,00	9 547,20
სამაგიდო კომპიუტერი P4 2.8Ghz, 512 Mb DDR2 RAM, 80 G b HD, 17" Monitor, 128 Video Card, 10/100 Network Card, CD-RW, Sound, Keyboard, Mouse, UPS 650 VA <i>საინჟინერო ჯგუფისთვის</i>	3	1009,00	3 027,00	5 448,60
სამაგიდო კომპიუტერი P4 2.66Ghz, 512 Mb DDR2 RAM, 80 G b HD, 17" Monitor, Integrated Video, 10/100 Network Card, CD-ROM, Sound, Keyboard, Mouse, UPS 650 VA <i>საინჟინერო კლასისთვის</i>	4	850,00	3 400,00	6 120,00
პორტატული კომპიუტერი Intel Core Duo T2 300 2.0, 15" WXGA+ 1280x 800, 512Mb, 80 G b HD, 10/100 Network Card, DVD-CDRW <i>ჯგუფის ბელშელანელიებისთვის</i>	1	1795,00	1 795,00	3 231,00
HP HC64-ის მონაგეშთა ბაშეშის სერვერი Intel Xeon 3.0Ghz, 1 G b RAM, 2x 120 G b HD, 17" Monitor, 10/100/1000 Network Card x 2, CD-RW, Keyboard, Mouse, UPS 1500 VA	1	3000,00	3 000,00	5 400,00
პრინტერი HP LaserJet 1022	2	230,00	460,00	828,00
ფლეშ მეხსიერება 1 G B Jet Flash USB 2.0 <i>სამუშაო ჯგუფისთვის ინფორმაციის გადასაცემად</i>	6	50,00	300,00	540,00
ქსელური მოწყობილობები (პაბი, ქსელის კაბელი, კონექტორები, სკოპები. რაოდენობა განისაზღვრება სამუშაო ადგილების მიხედვით)		100,00	100,00	180,00
			17 386,00	31 294,80

ფასები მოცემულია მიახლოებით სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით ლარის კურსი დოლართან მიმართებაში: 1,80

საოფისე ინვენტარი

დასახელება	რაოდ.	ერთ. ფასი	სულ ფასი
კომპიუტერული მაგიდა <i>სამუშაო ჯგუფისათვის და სასწავლო კლასისათვის</i>	12		
საოფისე სკამი <i>სამუშაო ჯგუფისათვის და სასწავლო კლასისათვის</i>	12		
საბეჭდი ქაბალდი 80 გრ. (შეკვრა) <i>სამუშაო მასალების და ინსტრუქციების ამოხაბეჭდად</i>	20		
საკანცელარიო ინვენტარი, საწერი დაფა <i>სამუშაო ჯგუფისათვის და სასწავლო კლასისათვის</i>			

სამუშაოს შესრულების ვადები

ეტაპობრივად სამუშაო გადანაწილდება 12 თვეზე. ათვლა დაიწყება შემდეგნაირად მოსამზადებელი სამუშაოების დაწყებისთანავე:

ეტაპები	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
1. მოსამზადებელი სამუშაოები	x	x	x	o								
2. მკითხველთა რეგისტრაციის ავტომ.				x	x	o						
3. კატალოგიზაცია / მკითხველის ავტომ.						x	x	x	x	o		
4. ვებ ინტერფეისის ამუშავება										x	o	
5. Z39.50 სერვერის ამუშავება											x	o

[x] - ძირითადი სამუშაო პერიოდი

[o] - დამატებითი პერიოდი სწავლებისათვის

ИРБИС64-ის დანერგვის შემდეგი მხარდაჭერა

დანერგვის შემდეგ, სამუშაო ჯგუფი 1 წლის მანძილზე აკვირდება ИРБИС64-ის მუშაობას და ასწორებს გაპარულ ხარვეზებს. ბიბლიოთეკის მოთხოვნებიდან გაგომდინარე კორექტირებას უკეთებს მონაცემთა ბაზებს და სამუშაო არეებს.

ИРБИС64-ის სერვერი განთავსებული იქნება ცალკე კომპიუტერზე (მონაცემთა ბაზების სერვერზე), რომელიც დაცულ რეჟიმში ჩართული იქნება ინტერნეტში გარე მომხმარებლებისათვის. ადმინისტრირებას გაუწევს მთავარი ადმინისტრატორი და ადმინისტრატორის ასისტენტი (პროგრამისტები საბიბლიოთეკო გამოცდილებით). ადმინისტრირება მოხდება 1.5 ეტაპზე შემუშავებული ფუნქციების მიხედვით.

Д. Мchedlishvili

ИРБИС 64

Резюме

Система автоматизации библиотек – ИРБИС содержит следующие рабочие модули: каталогизатор, книговыдачу и читателя. Также содержит интерфейс для выхода в интернет, опытную версию баз данных и документацию в файлах.

Переход на систему – ИРБИС должен происходить поэтапно: тестированием каждого автоматизированного рабочего места.

В процессе локального тестирования было успешно установлено 3 рабочих модуля системы. Во время установки WEB и Z39.50 интерфейсов возникли проблемы из-за существующих пробелов в документации и некорректной работы ресурса.

В программе до конца не учтена поддержка UNICODE-а, что создает трудности в переводе продукта на грузинский язык.

Данные проблемы можно решить при тесном сотрудничестве с разработчиками и пользователями ИРБИС 64.

D. Mchedlishvili

IRBIS 64

Summary.

The System of Library Automation – IRBIS contains following working modules: cataloguer, book delivery and the reader. It also contains the interface for the internet connection, demo version of databases and the documentation in files.

Transition to the system – IRBIS should occur step by step by testing each automated workplace.

During the local testing three working modules were successfully installed. While the installation of WEB and Z39.50 interfaces, there arose some problems because of the existing blanks in the documentation and the incorrect work of a resource.

The support of UNICODE is not fully considered. Thus the difficulties in translation of a product into the Georgian language.

The existing problems can be solved at close cooperation with the creators and users of IRBIS 64.

გ ი ო რ გ ი ვ ა რ ა მ ი შ ვ ი ლ ი

ციფრული ბიბლიოთეკის პროგრამული უზრუნველყოფის - «გრინსტუნის» დანერგვა საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში

1. მიზანი და ისტორია

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ბეჭდური გამოცემების ელექტრონულმა არქივმა (<http://www.nplg.gov.ge/ic/>) 2000 წელს დაიწყო ქართული მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურის ელექტრონული ბიბლიოთეკის შექმნა. შეიქმნა ციფრული ბიბლიოთეკა, რომელიც იმ დროისათვის მოიცავდა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს“, „ახალ აღთქმას“ და რამდენიმე სხვა ნაწარმოებს. ტექნოლოგიურად ელ. ბიბლიოთეკის შექმნა საკმაოდ შრომატევადი და ხანგრძლივი პროცესი იყო. თითოეული ნაწარმოებისთვის იქმნებოდა სტატიკური ვებ-გვერდების ნაკრები. ასეთი კოლექციის ძირითადი მოუხერხებლობა, ნაწარმოებებში ძეგლის არარსებობა და ახალი ნაწარმოების დამატება, სირთულე იყო.

2004 წლის დასაწყისში, UNESCO-ს მოსკოვის ოფისის პროექტის ფარგლებში, ბეჭდური გამოცემების ელექტრონულმა არქივმა დაიწყო პროექტის - „ქართული კლასიკური ლიტერატურის ანთოლოგია“- განხორციელება. პროექტი ითვალისწინებდა ელექტრონული კოლექციების შესაქმნელად ახალი ტექნოლოგიის დანერგვას და გამოყენებას. შეიცვალა ტექსტების „გაციფრების“ ტექნოლოგია. ხელით აკრეფის ნაცვლად, დაინერგა პროგრამული უზრუნველყოფა „ქორის თვალი“, რომელმაც უზრუნველყო დასკანირებული გვერდების ამოცნობა და ტექსტურ ფორმატში გადაყვანა. ამან თავის მხრივ შეამცირა ნაწარმოებების „გაციფრებისთვის“ საჭირო დრო. ელექტრონული კოლექციების შესაქმნელად შეირჩა Greenstone Digital Library Software (GSDL).

2. Greenstone-ის ციფრული ბიბლიოთეკის პროგრამული უზრუნველყოფა (GSDL)

Greenstone არის პროგრამული პაკეტი, რომელიც უზრუნველყოფს ელექტრონული კოლექციების შექმნასა და გავრცელებას, როგორც ინტერნეტში, ასევე კომპაქტ დისკებზე. იგი შექმნილია ახალი ზელანდიის ვაიკატოს უნივერსიტეტის „ციფრული ბიბლიოთეკის“ პროექტის ფარგლებში და Human Info NGO-ს მხარდაჭერით. Greenstone არის უფასო, ღია კოდის, GNU ლიცენზიის მქონე პროგრამული უზრუნველყოფა. მისი გადმოწერა შესაძლებელია პროექტის ვებ-გვერდიდან - <http://www.greenstone.org/>. გრინსტონის მიზანია ბიბლიოთეკების, უნივერსიტეტების და სხვა საგანმანათლებლო თუ კულტურული დაწესებულებების თანამშრომლებს საკუთარი ციფრული კოლექციების მარტივად ფორმირების საშუალება მისცეს. UNESCO-ს პარტნიორობის პროგრამის ფარგლებში, ციფრული ბიბლიოთეკები რადიკალურად ცვლიან სხვადასხვა საგანმანათლებლო თუ კულტურულ ორგანიზაციებს შორის ინფორმაციის მიწოდებისა და შექმნის შესაძლებლობებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით. განსაკუთრებით კი, განვითარებად ქვეყნებში. Greenstone შექმნილია და ვრცელდება როგორც 2000 წელს მიღწეული სამმხრივი საერთაშორისო შეთანხმების პროდუქტი.

Greenstone-ის პროგრამული უზრუნველყოფა არის სრულყოფილი სისტემა სხვადასხვა ტიპის მილიონობით დოკუმენტისგან შემდგარი ციფრული კოლექციების შესაქმნელად და გამოსაქვეყნებლად. მისი მეშვეობით შექმნილი ტიპიური ბიბლიოთეკა შეიძლება შეიცავდეს დამოუკიდებლად ორგანიზებული კოლექციების საკმაო რაოდენობას, თუმცადა ამ კოლექციებს ბევრი საერთო თვისება ექნებათ. საკმაოდ მარტივი და მოსახერხებელია ამ კოლექციების ახალი მასალით შევსება და მისი თავიდან გადაწყობა. ძეხვის სისტემა, როგორც ავტორის თუ ნაწარმოების სათაურის მიხედვით, ასევე ნაწარმოებების ტექსტში ცალკეული სიტყვებითაც კი ახორციელებს ძიებას. ნაწარმოებები კოლექციებში ანბანურადაა დალაგებული და მათი წაკითხვა ღილაკზე ერთი დაჭერითაა შესაძლებელი. ასევე შესაძლებელია დოკუმენტების თემატიკის თუ თარიღების მიხედვით დახარისხება. Greenstone-ის უპირატესობად შეიძლება ჩაითვალოს მასში სრულტექსტოვანი ძეხვის (Full Text) არსებობა, რომლის გამოყენებითაც შეიძლება არამარტო ცალკეული სიტყვის, არამედ მთელი აბზაცის ძეხვა კოლექციაში. აღწერილობის სხვადასხვა საერთაშორისო სტანდარტთან ერთად, Greenstone-ში რეალიზებულია Dublin Core სტანდარტის მხარდაჭერა, რაც სრულყოფილი კოლექციის შექმნის საშუალებას იძლევა. ამას გარდა, Greenstone-ში შესაძლებელია ახალი სტანდარტის განსაზღვრა და

აღწერილობის ველების დამატება-შეცვლა. GSDL შესაძლებელია დადგეს როგორც ვებ-ბიბლიოთეკა, რაც ზედმეტი პრობლემების გარეშე მისი, როგორც ვებ-რესურსის გამოყენების საშუალებას იძლევა. იგი მხარს უჭერს ოპერაციული სისტემების თითქმის ყველა გავრცელებულ პლატფორმას, მაგ. Windows, UNIX.

აღსანიშნავია, რომ გრინსტონის ციფრულ ბიბლიოთეკაში ჩადებულია Z39.50 განაწესის (პროტოკოლის) მხარდაჭერა. ეს ფაქტი საკმაოდ მნიშვნელოვანია, ციფრული ბიბლიოთეკისთვის, რადგან, Z39.50 განაწესის მეშვეობით სხვადასხვა ციფრული ბიბლიოთეკები ერთმანეთში ცვლიან ინფორმაციას და ერთიან ქსელში ერთიანდებიან.

3. სამუშაოს აღწერა

სამუშაოების დასაწყის ეტაპზე გრინსტონის სამომხმარებლო ინტერფეისში გათვალისწინებული არ იყო ქართული ენის მხარდაჭერა. გადაწყდა GSDL-ის ქართული სამომხმარებლო ინტერფეისის შექმნა. გრინსტონის შემქმნელებთან თანამშრომლობით, თარგმნის დაწყებიდან ორი თვის შემდეგ შესაძლებელი გახდა ქართული ენის ჩართვა გრინსტონის სამომხმარებლო ინტერფეისის თარგმანთა სიაში. უნდა აღინიშნოს, რომ გაციფრების „პროცესი“ საკმაოდ სწრაფად მიდიოდა ახალდანიერგული ტექნოლოგიის ხარჯზე, რომლის არსიც წიგნების გვერდების სკანირება სკანირებული გვერდების ამოცნობაში „ქორის თვალის“ პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენება იყო. UNESCO-ს პროექტის ფარგლებში იგეგმებოდა ქართული კლასიკური ლიტერატურის ანთოლოგიის კოლექციის შექმნა, რომელშიც შევიდოდა „ჩვენი საუნჯის“ ოცტომეულის ციფრული ანალოგი.

კოლექციისათვის, დოკუმენტების მომზადების შემდეგ, დაიწყო მუშაობა ამ დოკუმენტების „გაცოცხლებაზე“. დოკუმენტები იყო Microsoft Office Word-ის (doc) ფორმატში. დოკუმენტებისათვის მეტამონაცემების მისაწერად გამოყენებულ იქნა გრინსტონის საბიბლიოთეკო ინტერფეისი (GLI Greenstone Librarian Interface). მეტამონაცემების შეტანის პროცესის დასრულების შემდეგ, განისაზღვრა კლასიფიკატორები ნაწარმოების ავტორების და ნაწარმოებების სათაურების ანბანური სიით დასალაგებლად.

აღსანიშნავია, რომ გამოყენებულ იქნა პროგრამული კლასიფიკატორი GenericList, რომელიც თავდაპირველად, Greenstone-ის ავტორებმა სპეციალურად აღნიშნული კოლექციისათვის შექმნეს და მხოლოდ შემდეგ დაემატა Greenstone-ის ახალ ვერსიებს. კოლექციისათვის შერჩეულ იქნა შემდეგი ინდექსები: ტექსტი, ავტორი და სათაური.

კოლექციის პირველ გამოცემაში მთელი მეტაინფორმაცია ტრანსლი-ტირებული იყო (ქართული დასახელებები ლათინური ანბანით). აღნიშნული ტრანსლიტერაცია სპეციალურად გაკეთდა ქართული კლასიკური ლიტერატურის ინტერნეტში პოპულარიზაციის მიზნით. კოლექციაში შევიდა 2056 ნაწარმოები. იგი აიგო გრინსტონის 2.50 ვერსიაზე. ამ ვერსიაში ბოლომდე არ იყო ქართული ენის მხარდაჭერა, მაგრამ მიუხედავად ამისა, 2.50 ვერსიაში ქართული ინტერფეისი ხელოვნურად იყო ჩასმული. აღნიშნულ ვერსიაში აღმოჩნდა ტექსტში გაფართოებულ მიეხასთან დაკავშირებული რამდენიმე პრობლემა, მაგრამ GSDL-ის შემქმნელებთან

თანამშრომ-ლობით, ეს პრობლემები 2.51 ვერსიაში მოგვარდა. რადგან გრინსტოუნის 2.51 ვერსიაში ქართული ენა ოფიციალურად იყო ჩართული, გადაწყდა კოლექციის მეორე გამოცემის შექმნა 2.51 ვერსიაზე. „ქართული კლასიკური ლიტერატურის ანთოლოგიის“ მეორე გამოცემას დაემატა ასამდე ახალი ნაწარმოები. ამას გარდა, სხვადასხვა შესწორებები შევიდა დალაგების ფორმატში და ავტორების სიის გამოტანის ველში. ასევე დაიხვეწა ძიების მექანიზმი და ანბანური საძიებელი.

2005 წლის ზაფხულში გადაწყდა კოლექციას დამატებოდა საუკუნეების კლასიფიკატორი, რომელიც დააღაგებდა ავტორების მოღვაწეობას საუკუნეების მიხედვით. აღსანიშნავია, რომ ძეგლის მექანიზმს დაემატა სიტყვის დაბოლოებების შეკვეცა, მაგ. საძიებო სიტყვით „საქართველო“ სრულტექსტოვანი ძიების ჩატარების დროს მოიძებნება ისეთი დოკუმენტები, რომელთა ტექსტიც შეიცავს კონკრეტულ სიტყვას. მაგ. „საქართველოს“, „საქართველოსთვის“, „საქართველომ“ და ა. შ.

ამჟამად კოლექციის დათვალიერება შესაძლებელია საუკუნეების მიხედვით დალაგებული ავტორების სიითაც. აგრეთვე კოლექციას დაემატა ავტორთა ბიოგრაფიები ფოტოებით. მზადების პროცესშია ნაწარმოებების გვერდებად (სექციებად) დაყოფის მექანიზმი, რომელიც გაამარტივებს კოლექციის დოკუმენტების დათვალიერებას. ამჟამად კოლექციაში თითო ნაწარმოებს ერთი გვერდი შეესაბამება და, ნაწარმოების მოცულობიდან გამომდინარე, ზოგ შემთხვევებში ამ გვერდზე შეიძლება ასიათასობით ხაზი იყოს, რაც მოსახერხებელია. კოლექციის სამომხმარებლო ინტერფეისი ქართული ენის გარდა არის ინგლისურ, რუსულ, ფრანგულ და ესპანურ ენებზე, რაც კოლექციის დათვალიერებას მოსახერხებელს ხდის უცხოელი მნახველისათვის.

ყურადღებას იმსახურებს გრინსტოუნის ძეგლის მექანიზმი. მას აქვს როგორც მარტივი, ასევე გაფართოებული ძეგლის შესაძლებლობა. გაფართოებული ძეგლის დროს შესაძლებელია რამდენიმე საძიებო სიტყვის ლოგიკური ოპერატორებით ! (არ), &(და), | (ან) დაკავშირება.

4. კოლექციის ახლანდელი მდგომარეობა

ამ დროისათვის შექმნილია „ქართული კლასიკური ლიტერატურის ანთოლოგიის“ ორი კოლექცია. ერთში ავტორებისა და სათაურების სია ლათინური ტრანსლიტერაციითაა, ხოლო მეორეში - ქართული ანბანით. სხვა მხრივ კოლექციები იდენტურია. თითოეული მათგანი შეიცავს 2138 ნაწარმოებს. ორსავე კოლექციაში არის საუკუნეების კლასიფიკატორი და მისი დათვალიერება შესაძლებელია საუკუნეების მიხედვითაც. ძეგლის მექანიზმის ყველა შესაძლებლობა მაქსიმალურადაა რეალიზებული. მომხმარებლის ინტერფეისი, როგორც ზემოთ აღინიშნა, არის ქართულ, ინგლისურ, რუსულ, ფრანგულ და ესპანურ ენებზე.

5. სამომავლო გეგმები

სამომავლოდ, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ბეჭდური გამოცემების ელექტრონული არქივი კოლექციაში 500-მდე დოკუმენტის დამატებას გეგმავს. ამას გარდა, ეტაპობრივად უნდა შევიდეს საქართველოს პარლამენტის

ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცული თითქმის ყველა ბეჭდური გამოცემა. ასევე იგეგმება საგანმანათლებლო დაწესებულებებში შემდგომში მათი გავრცელების მიზნით, კოლექციის გამოცემა CD/DVD დისკებზე.

Г. ВАРАМИШВИЛИ

**ВНЕДРЕНИЕ GREENSTONE - ПРОГРАММНОГО ОБЕСПЕЧЕНИЯ ДЛЯ ЦИФРОВЫХ
БИБЛИОТЕК В НАЦИОНАЛЬНОЙ БИБЛИОТЕКЕ ПАРЛАМЕНТА ГРУЗИИ**

Резюме

Эта статья описывает процесс и историю создания электронных коллекций Национальной библиотеки Парламента Грузии (НБПГ) с помощью GSDL (Greenstone Digital Library). В работе также описаны основные характеристики GSDL.

G. VARAMISHVILI

**GREENSTONE DIGITAL LIBRARY SOFTWARE
IMPLEMENTATION IN NATIONAL PARLIAMENTARY LIBRARY OF GEORGIA (NPLG)**

Resume

This article describes the process and history of building Digital collections of the National Parliamentary Library of Georgia (NPLG) using Greenstone Digital Library software. Also, main points of the GSDL are described in this work.

literatura - ЛИТЕРАТУРА - REFERENCES

1. Greenstone digital library software Users Guide, 2004 // <http://prdownloads.sourceforge.net/greenstone/User-en.pdf>.
2. Greenstone digital library software Developers Guide, 2004 // <http://prdownloads.sourceforge.net/greenstone/Develop-en.pdf>.
3. Greenstone - Open-Source Digital Library Software D-Lib Magazine, October 2001, Volume 7 Number 10 // <http://www.dlib.org/dlib/october01/witten/10witten.html>.

ი ა გ ო რ გ ი შ ე ლ ი

**საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის ვებ-საიტის ანალიზი და ბიბლიოთეკების
ვებ-საიტების შეფასების კრიტერიუმები**

ინტერნეტი უსაზღვრო ინფორმაციის წყაროა მასში ნებისმიერ მსურველს შეუძლია როგორც სამეცნიერო შრომის, ისე საკუთარი ნააზრევის მიზნობრივი გამოქვეყნება. სამწუხაროდ, ამ ზღვა ინფორმაციაში ქართული ინფორმაციის წილი ძალიან მცირეა. ინტერნეტი ყველაზე მარტივი და ეფექტური საშუალებაა ქართული ბიზნესის, მეცნიერების, კულტურის და ა.შ. პოპულარიზაციისათვის. საქართველოში

დღეს თითზე ჩამოსათვლელია ისეთი ვებ-რესურსები, რომლებიც ინფორმაციული ღირებულებით თუნდაც საშუალოდ მაინც გაუტოლდება განვითარებული ქვეყნის სტანდარტებს. მსოფლიოში, ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, არანაკლები ყურადღება ეთმობა საიტის შინაარსის (კონტენტის) განვითარებასაც. ქართული კონტენტი დღესდღეობით საკმაოდ სავალალო მდგომარეობაშია.

2006 წლის 15 მაისიდან 21 ივნისამდე, საუკეთესო ქართული ინტერნეტ გვერდის გამოსავლენად, ორიგინალური ქართული ინტერნეტ რესურსების ზრდისა და ქართული ინტერნეტ კონტენტის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოში ტარდებოდა (ყოველწლიური) ინტერნეტ კონკურსი. მისმა ორგანიზატორებმა სამომავლო გეგმად ისეთი ერთიანი კრიტერიუმების ჩამოყალიბება დაისახეს, რომელთა საშუალებითაც ქართული ინტერნეტისადმი განისაზღვრება არა მხოლოდ პროფესიონალების, არამედ მთლიანი საზოგადოების დაინტერესება. (<http://www.topsite.ge>)


კონკურსში მონაწილეობა მიიღო 900-მდე საიტმა, მათ შორის იყო საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ვებ-საიტიც. (<http://www.nplg.gov.ge>)

წარმოდგენილ საკონკურსო ნომინაციებში (საინფორმაციო რესურსები; კულტურულ-საგანმანათლებლო რესურსები; გასართობი და საკომუნიკაციო რესურსები; კორპორატიული რესურსები; საბავშვო რესურსები; ელექტრონული სერვისები და კომერცია; ინოვაციური რესურსები; სახელმწიფო, არასამთავრობო და რეგიონალური რესურსები) საკონკურსო ნამუშევრების შეფასების ძირითადი კრიტერიუმები იყო:

1. საერთო აღქმა - მხატვრული შეფასების მახასიათებელი;
2. ერთსახეობა - სტილისტური მდგრადობის მახასიათებელი - პირველი და მომდევნო გვერდების დიზაინის სტილისტური ერთსახეობა;
3. ნავიგაციის სიმარტივე - ერგონომიულობის შეფასების მახასიათებელი - ნავიგაციის ერთსახეობა საიტის პირველ გვერდზე და იერარქიის შემდგომ დონეებზე არსებულ გვერდებზე;
4. დიზაინი - რესურსის გაფორმების შემოქმედებითი მახასიათებელი პროექტის ინფორმაციის და გრაფიკის აღქმა;
5. სოციალური მნიშვნელობა - რესურსის მნიშვნელობა საზოგადოებისთვის;
6. მოხმარების ინტენსიურობა - რესურსის ყველაზე გასაგები სტატისტიკური მახასიათებელი;
7. შინაარსი - რესურსის ინფორმაციული შიგთავსის მახასიათებელი (საზოგადოებრივი მნიშვნელობა, აქტუალურობა, ოპერატიულობა, მხატვრული სტილისტიკა, თემის სრულად დაფარვა);
8. ბიზნეს-მოდელი - რესურსის ოპტიმალურობის მახასიათებელი (მისი ბიზნეს-მოდელის), საიტების შესაბამისობა მათ წინაშე დასმულ მიზნებთან;
9. ტექნოლოგიები - web-ის უახლესი შესაძლებლობების ადეკვატური გამოყენება. სხვადასხვა ბროუზერში ნახვის საშუალება;
10. ნოვაცია - ტექნიკური სიახლეები, რომლებიც ამაღლებს ნაყოფიერებას, ინფორმაციისა და სერვისების მოხმარების მოხერხებულობას.

შეფასება, რა თქმა უნდა, ერთგვაროვანი ვერ იქნება, რადგან სხვადასხვა მომხმარებელი მას თავისებურად აღიქვამს. ასევე კრიტიკული შეფასება დამოკიდებულია იმაზე, თუ რისთვის არის განკუთვნილი საიტი და რომელი აუდიტორიისთვისაა იგი გამიზნული. მაგ., თუ საიტი ფლემ ანიმაციის დემონსტრირებისათვის შეიქმნა, მაშინ ჩამოტვირთვისას დიდი დროის დახარჯვა

გამართლებულია. ასევე კომერციული პროექტები უფრო მკაცრ ტესტირებას საჭიროებს, ვიდრე კერძო პროექტები. ეროვნულ ინტერნეტ კონკურსზე, რესურსის შეფასებისას, კრიტერიუმების პრიორიტეტულობას სხვადასხვა ნომინაციაში ამ ნომინაციის სპეციფიკა განსაზღვრავდა. საპრიზო ადგილების გარდა კონკურსში დარეგისტრირებული საიტებიდან ნომინაციების მიხედვით ტოპ ათეულში შესული საიტებიც გამოვლინდა. მათ შორის აღმოჩნდა ეროვნული ბიბლიოთეკის ვებ-საიტიც (<http://www.nplg.gov.ge>), რომელიც კულტურულ-საგანმანათლებლო ნომინაციის ტოპ ათეულში შევიდა და შესაბამისი სერტიფიკატი მოიპოვა. ეს იყო პირველი მცდელობა ბიბლიოთეკის საიტის შეფასებისა საქართველოში.



ნომინაცია კულტურულ-საგანმანათლებლო რესურსები

- <http://lib.ge>
- <http://www.jsi.ge>
- <http://www.nplg.gov.ge>
- <http://www.geoculture.net>
- <http://saingilo.iatp.ge>
- <http://www.hangebi.ge>
- <http://kalkhaberzarnadze.ge>
- <http://www.kutaisi.com.ge>
- <http://www.folk.ge>
- <http://www.opera.ge>

ბიბლიოთეკების ვებ-საიტების ანალიზის განსაკუთრებული მეთოდები არ არსებობს, იგი მოიცავს იმ ზოგად კრიტერიუმებს, რითაც სარგებლობენ ვებ-საიტების შეფასების დროს.

მსოფლიოში არსებობს ბიბლიოთეკის ვებ-საიტების შეფასების გამოცდილება. მაგ., 2006 წლის მაისში ჩატარდა რუსეთის საჯარო ბიბლიოთეკების ვებ-საიტების კონკურსი (<http://www.library.ru/1/madb/konkurs/public/konkurs.php>).

საქართველოში ჯერ ადრეა საბიბლიოთეკო საიტების კონკურსების ჩატარება, რადგან სულ რამდენიმე ბიბლიოთეკას აქვს საკუთარი ვებ-საიტი, ანუ საბიბლიოთეკო კონტენტი მწირია.

ყველა ბიბლიოთეკა, დაწყებული ეროვნული ბიბლიოთეკით და დამთავრებული რეგიონული ბიბლიოთეკით (ქუთაისის სამეცნიერო-უნივერსალური ბიბლიოთეკა <http://sulk.iatp.org.ge>), ფოთის ცენტრალური ბიბლიოთეკა <http://pcl.iatp.org.ge>), მისწრაფვის, წარადგინოს საკუთარი თავი და რესურსები გლობალურ ქსელში, სადაც მკაფიოდ უნდა ჩანდეს ის, რის ნახვასაც მოელის მისგან დაშორებული მკითხველი. სპეციალიზებული ბიბლიოთეკების ვებ-საიტები განკუთვნილია გამიზნული აუდიტორიისთვის, ანუ სამედიცინო, საბავშვო, ტექნიკური თუ სხვა ბიბლიოთეკით დაინტერესებული მკითხველისთვის. საჯარო ბიბლიოთეკის ვებ-საიტი ვალდებულია, მოემსახუროს მოსახლეობის ყველა ფენას, პრიორიტეტების გარეშე.

კომერციული საიტებისაგან განსხვავებით, საბიბლიოთეკო საიტი შეიძლება დიდ შთაბეჭდილებას ვერ ახდენდეს სილამაზით და დიზაინის ტექნიკური შესრულებით, მაგრამ უნდა ასრულებდეს ბიბლიოთეკის ძირითად მისიას: ხელმისაწვდომი გახადოს მომხმარებლისთვის ბიბლიოთეკის ფონდები და ინფორმაცია გამოცემების შესახებ. ბიბლიოთეკის საიტზე, გარდა ბიბლიოთეკის შესახებ ზოგადი ინფორმაციისა, განთავსებული უნდა იყოს ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგები, ბიბლიოთეკაში დაცული იშვიათი და ხშირად გამოყენებადი დოკუმენტები, წიგნები ციფრული სახით, რეფერატული და ანალიტიკური მიმოხილვები სხვადასხვა გამოცემების შესახებ.

სხვადასხვა რეკომენდაციაზე და არასაბიბლიოთეკო ვებ-საიტების შეფასების მეთოდებზე დაყრდნობით, ბიბლიოთეკის ვებ-საიტის შეფასების კრიტერიუმები 4 ბლოკად შეიძლება დაიყოს:

1. საიტის შინაარსი (კონტენტი);
2. დიზაინი და ერგონომიურობა;
3. ტექნოლოგია;
4. სისტემურობა.

ანუ ბიბლიოთეკების საიტების ანალიზის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს არის თუ არა ვებ-საიტზე განთავსებული:

1. ბიბლიოთეკის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია (ისტორია, სტრუქტურა, რესურსები, მომსახურება, საკონტაქტო ინფორმაცია);
2. მასალები, რომლებმაც შეიძლება მომხმარებელთა ფართო წრე დაინტერესოს (წიგნების და სტატიების სრული ტექსტები, გაციფრებული გამოცემები ა.შ.);
3. რეგიონალური ინფორმაცია (თუ ბიბლიოთეკა რეგიონალურია);
4. სიახლეების ბლოკი და მისი განახლების სიხშირე;
5. ონ-ლაინ ელექტრონული კატალოგის არსებობა და/ან კორპორატიულ კატალოგებთან მიერთების საშუალება;
6. დამატებითი საბიბლიოთეკო-საინფორმაციო სერვისები (ვირტუალური ცნობა, დოკუმენტების ელექტრონული მიწოდება და ა.შ.);
7. ინტერაქტიული ურთიერთობის ფორმები (ფორუმი, სტუმრის წიგნი, გამოკითხვები, თამაშები, ვიქტორინები);

8. მომხმარებლისთვის სასარგებლო საიტების ლინკები;
 9. ინფორმაცია სხვადასხვა ენებზე;
 10. ორთოგრაფიული შეცდომების არარსებობა;
 11. ინფორმაციის რეგულარული განახლება;
 12. რესურსებთან ხელმისაწვდომობის სისწრაფე;
 13. სხვადასხვა ბროუზერებში საიტის კორექტურული ჩვენება;
 14. ვიზუალური ინფორმაციის მოხერხებული გამოსახვა;
 15. განყოფილებების სტილის ერთსახეობა;
 16. მოხერხებული ნავიგაცია (საერთო მენიუ, საიტის რუკა, მიება საიტზე, უკან დასაბრუნებელი ღილაკები);
 17. მეტამონაცემების არსებობა და კორექტულობა (გვერდის დასახელება, საკვანძო სიტყვები, აღწერა, ალტერნატიული ინფორმაცია, აღწერა Dublin Core¹ (<http://dublincore.org/> , http://ru.wikipedia.org/wiki/Dublin_Core);
 18. საიტზე შემომსვლელთა რიცხვის დაფიქსირება (უნიკალური კომპიუტერების რაოდენობა/ნაწილი გვერდების რაოდენობა).
- განვიხილოთ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ვებ-საიტი (www.nplg.gov.ge) და ვნახოთ როგორ შესაბამისობაშია იგი ამ კრიტერიუმებთან:


Dublin Core¹ -მეტამონაცემების სტანდარტი. უზარმაზარი დიაპაზონის ქსელური ინფორმაციის მარტივი და ეფექტური აღწერა

- განყოფილებების სტილის ერთსახეობა გამოიყენება მომხმარებლის ორიენტაციისათვის: თუ გვერდის სტილი იცვლება, მომხმარებელი თვლის, რომ ის სხვა საიტზეა. სტილის ერთსახეობა არ ჩანს ბიბლიოთეკის განყოფილებების ვებ-გვერდებზე, რაც მოითხოვს ამ მიმართულებით დამატებითი სამუშაოების ჩატარებას.
- განყოფილებაში – „დახმარება და რჩევები” კარგი იქნებოდა კითხვის დასმის საშუალების არსებობა, თუ ეს კითხვა შესაბამისი პასუხით მოხვდებოდა „ხშირად დასმული შეკითხვების” განყოფილებაში, სადაც უბრალო ჩამონათვალთან ერთად იქნებოდა საძიებელიც.
- ღონისძიებების ბლოკში ჩატარებული სამუშაოები უმჯობესია არქივის სახით იყოს, ხოლო აქცენტი სიახლეებზე, ანონსზე, დაგეგმილ ღონისძიებებზე გაკეთდეს.
- სასურველია ეროვნული ბიბლიოთეკის საიტის ინგლისური და რუსული ვერსიების არსებობა;
- საძიებო რობოტებს მეტაინფორმაცია უადვილებს მუშაობას, ამიტომ Dublin Core-ის მხოლოდ ერთი ელემენტი title – „დასახელება” არ არის საკმარისი.
- რამდენადაც ეროვნული ბიბლიოთეკა საქართველოს სხვა ბიბლიოთეკებისათვის მეთოდურ ცენტრს წარმოადგენს, კარგი იქნებოდა საიტზე განთავსებულიყო ბიბლიოგრაფიული და მეთოდური მასალები, ანუ ინფორმაცია, რითაც აუცილებლად დაინტერესდებოდნენ საბიბლიოთეკო ან პედაგოგიური პროფილის სპეციალისტები. მაგ., უკრაინის პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას აქვს საცნობარო სამსახური, რომელიც სპეციალიზირებულია და ბიბლიოთეკარების შეკითხვებს პასუხობს.
- სასარგებლო ინტერნეტ რესურსების სიები (ანუ ვებლიოგრაფია) ხშირად უნდა მოწმდებოდეს და ახლით ივსებოდეს, რადგან ინტერნეტი განუწყვეტლივ იცვლება და დროდადრო რესურსების „სიცოცხლისუნარიანობას” შემოწმება სჭირდება.

· მომხმარებელი უფრო კმაყოფილი დარჩება, თუ საიტის თითოეულ დოკუმენტზე პუბლიკაციის ან განახლების თარიღი იქნება მითითებული.

· ნავიგაცია მოუხერხებელია, რადგან პირველი გვერდიდან სასურველ გვერდზე გადასასვლელად ზედმეტ ნაბიჯებს ვდგამთ, ზედმეტ გვერდებზე შევდივართ. საჭირო ინფორმაციის მოპოვებისათვის 3 დაწკაპუნება საკმარისი უნდა იყოს. მოხერხებულ ნავიგაციას ინტერნეტ აუდიტორიის 30%-სთვის აქვს მნიშვნელობა, რადგან სწორედ შემომსვლელთა ეს რაოდენობა ნახულობს კონკრეტულ საიტს, რადგან წინასწარ იცის, დანარჩენი 70% სასურველ საიტზე საძიებო სისტემებიდან ხვდება. ბიბლიოთეკის ყველა ვებ-გვერდს უნდა ჰქონდეს საერთო მენიუ, რათა მომხმარებელს გაუადვილდეს ორიენტაცია.

· „სტატისტიკის მთვლელები“ საიტზე შემომსვლელთა რაოდენობის დაფიქსირების საშუალებას იძლევიან. ხშირად ვებ-საიტების კონკურსის ორგანიზატორების აუცილებელი მოთხოვნაა, რომ კონკურსში მონაწილე საიტებს პირველ გვერდზე განთავსებული ჰქონდეთ რომელიმე სტატისტიკური მთვლეელი. ეროვნული ბიბლიოთეკის საიტის სტატისტიკური მთვლეელი დამალულია და მას მომხმარებელი ვერ ხედავს, რაც საიტის განვითარებისთვის არ არის ხელსაყრელი. 2006 წლის მაისში ეროვნულმა ბიბლიოთეკამ კულტურული ღონისძიებების განყოფილების ინიციატივით წიგნის ფესტივალზე წარადგინა ბიბლიოთეკის ვებ-საიტი. ბოლო პერიოდში ეროვნული ბიბლიოთეკის ინტერნეტ აუდიტორიის რიცხვმა იმატა, რაზეც მიუთითებს სტატისტიკური მთვლეელი:



დღეისათვის ინტერნეტი ქართული პროდუქციის პოპულარიზაციისათვის, ინვესტორების და ტურისტების მოსაზიდად, ევროპულ და სხვა ქვეყნების ბაზრებზე გასასვლელად ყველაზე იაფ და ხელმისაწვდომ ინსტრუმენტს წარმოადგენს, შესაბამისად, ძალიან მომრავლდა პერსონალური და სამოყვარულო საიტების რაოდენობა, რომელთა უმრავლესობა ზოგად კრიტერიუმებს ვერ აკმაყოფილებს.

სწორედ ამის გამოც ძალზე აუცილებელია ვიცოდეთ ვებ-საიტების/გვერდების ხარისხის შეფასების კრიტერიუმები, რომ მოძიებული ინფორმაცია მაქსიმალურად შეესაბამებოდეს სასურველ მიზნებს. შემდეგი მინიშნებები დაგეხმარებათ განასხვაოთ საეჭვო საიტი კარგისაგან.

1. ვებ-საიტის მისამართში არის (~) და პროცენტის (%) ნიშნები;
2. ავტორის, ორგანიზაციის ან დაწესებულების სახელი არ არის მითითებული;
3. ელექტრონული და საფოსტო მისამართი არ არის მითითებული;
4. გვერდი არ ახლდება. ნახეთ, განახლების ბოლო თარიღი;
5. არის ორთოგრაფიული და გრამატიკული შეცდომები;
6. ავტორი არ არის პრობლემის ექსპერტი. ჩაატარეთ ძიება ავტორზე და მოიძიეთ საძიებო სისტემებში მაგ., www.google.com -ში მისი ნაშრომები;
7. შეამოწმეთ, რომელი ვებ-საიტებიდანაა გაკეთებული ბმულები ამ ვებ-საიტზე, და ასევე, მათი სანდოობა

ვებ-საიტების/გვერდების შეფასებისთვის შეგიძლიათ გამოიყენოთ შემდეგი რეკომენდაციები:

1. Evaluating Web Pages: Techniques to Apply & Questions to Ask. <http://www.lib.berkeley.edu/TeachingLib/Guides/Internet/Evaluate.html>
UC Berkeley წარმოგვიდგენს ვებ დოკუმენტების შეფასების საკმაოდ სრულ ჩამონათვალს.
2. Five criteria for evaluating Web pages. - <http://www.library.cornell.edu/olinuris/ref/research/webcrit.html>
კორნელის ბიბლიოთეკის ვებ-საიტების შეფასების 5 კრიტერიუმი (Olin and Uris Libraries, Cornell University)
3. Evaluation Criteria - <http://lib.nmsu.edu/instruction/evalcrit.html>
(Susan E. Beck, New Mexico State University Library).
4. Критерии оценки web-сайтов - <http://www.russdesign.ru/?section=ss2&id=133>

И. ГОРГИШЕЛИ

ОБЗОР ВЕБ-САЙТА ГРУЗИНСКОЙ НАЦИОНАЛЬНОЙ БИБЛИОТЕКИ И КРИТЕРИИ ОЦЕНКИ ВЕБ-САЙТОВ БИБЛИОТЕК

Резюме

Количество веб-сайтов в Грузии возрастает с каждым годом, большая их часть по качеству не вызывает одобрения.

Разумеется, оценка сайта не всегда однозначна, так как разные пользователи воспринимают его по-своему. Также критическая оценка зависит от предназначения сайта и целевой аудитории. Единой обобщающей методики оценки именно библиотечных веб-сайтов не существует, тем более в Грузии, где только несколько

библиотек имеет свой веб-сайт. При оценки сайтов библиотек принимаются те критерии, по которым оцениваются веб-сайты разной тематики, среди которых главным является содержание (или контент) сайта; дизайн; технологичность; системность.

В 2006 году состоялся конкурс лучших грузинских веб-сайтов, в котором участвовал веб-сайт Грузинской Национальной библиотеки (<http://www.nplg.gov.ge>) и в культурно- просветительной номинации вошел в топ-десятку.

По сравнению с коммерческими сайтами, веб-сайт библиотеки может и не впечатлять своим техническим исполнением и дизайном, но он должен исполнять главную миссию библиотеки: сделать общедоступными фонды библиотеки.

На сайте библиотеки, кроме информации о библиотеке, должны находиться электронные каталоги, редкие и часто используемые документы, оцифрованные книги, рефераты и аналитические обзоры о разных изданиях и др. Представленный интернет-ресурс в целом должен быть качественным, надежным и полезным.

I. GORGISHELI

REVIEW OF THE WEB-SITE OF THE NATIONAL LIBRARY GEORGIA AND THE CRITERIA OF THE ESTIMATION THE WEB-SITES OF LIBRARIES

Summary

The quantity of web-sites in Georgia increases every year, most part of which does not deserve qualitative approval.

Of course, the estimation of a site is not always unequivocal, for different users perceive it in their own way. Also the critical estimation depends on applicability of a site and a target audience. There are no special methods of analysing the web-sites of libraries, especially in Georgia, where only a few libraries have got their own Web-sites. When estimating the web- sites of libraries the following criteria are accepted: the contents of the web-site, design, technology, systemic character.

In order to reveal the best Georgian web-site, the national internet competition was held in 2006, in which the web-site of the National library of Georgia (<http://www.nplg.gov.ge>) entered the Top-10 of cultural-educational nomination.

In contrast to commercial sites, the web-sites of libraries may not be impressive by their workmanship and design, but they should implement the main mission of libraries: to achieve the accessibility of library stocks for users.

It should be noted that, apart from the general information on the library, the electronic catalogues, rare and frequently used documents, the digitized books, abstracts and analytical reviews of different editions, etc. should be located on the web-site of the library. In general, the represented internet resource should be qualitative, reliable and useful.

ლ ე ლ ა ნ ა ნ უ ა შ ვ ი ლ ი

ამერიკის ბიბლიოთეკები და OCLC

2005 წლის მაისში OCLC (Online Computer Library Center - კომპიუტერული საბიბლიოთეკო ცენტრი) მასპინძლობდა ბიბლიოთეკართა პროფესიული მომზადების პროგრამის მონაწილეებს. ეს იყო მეტად დაძაბული, საინტერესო 4-კვირიანი პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა ლექცია-სემინარებს საინფორმაციო ტექნოლოგიების, საბიბლიოთეკო მენეჯმენტის, ბიბლიოთეკებს შორის გლობალურ თანამშრომლობასა და სხვა თემებზე.

პროგრამის უდიდესი ნაწილი ხორციელდებოდა OCLC-ის შტაბბინაში. ამავე დროს, პროგრამა ითვალისწინებდა ვიზიტებს პროფესიულ ორგანიზაციებსა და სხვადასხვა ტიპის ბიბლიოთეკებში როგორც ოჰაიოს შტატში, ისე მის ფარგლებს გარეთ. კერძოდ, ჩვენ ვეწვიეთ ოჰაიოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას და ამავე უნივერსიტეტის სადეპოზიტო ბიბლიოთეკას, ფრანკლინის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას, კოლამბასის საქალაქო ბიბლიოთეკას, ოჰაიოს შტატის ვესტერვილის საჯარო ბიბლიოთეკას. აგრეთვე გვქონდა ვიზიტები ამერიკის საბიბლიოთეკო ასოციაციასა და ამერიკის თეოლოგიური ბიბლიოთეკების ასოციაციაში ქ. ჩიკაგოში, ილინოისის უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო-საინფორმაციო სკოლასა და მორტენსონის საერთაშორისო საბიბლიოთეკო განათლების ცენტრში ურბანა ჩემპეინში. ვმონაწილეობდით ჩიკაგოს საჯარო ბიბლიოთეკის „თანამშრომელთა დღის“ ღონისძიებაში, სადაც გვქონდა პრეზენტაციები ჩვენი (მონაწილეთა) ქვეყნების საბიბლიოთეკო სისტემების შესახებ. ბოლოს ვესტუმრეთ კონგრესის ბიბლიოთეკას, სადაც შევხვდით და ვესაუბრეთ კატალოგიზაციისა და მასალების ელექტრონულ ფორმატში გადატანის განყოფილებების ხელმძღვანელებს.

OCLC (კომპიუტერული საბიბლიოთეკო ცენტრი) უდიდეს საბიბლიოთეკო კონსორციუმს წარმოადგენს. მისი მიზანია, უზრუნ-ველყოს ბიბლიოთეკებში თავმოყრილი ინფორმაციის საყოველთაო ხელმისაწვდომობა მსოფლიოს მასშტაბით. დღეისათვის მსოფლიოს 96 ქვეყნის 53548 ბიბლიოთეკა იყენებს OCLC-ის სერვისებს საბიბლიოთეკო მასალების მოძიების, შეძენის, კატალოგიზაციის, ბიბლიოთეკათშორისი სესხებისა თუ ელექტრონულ ფორმატში წარმოდგენის პროექტების განხორციელების მიზნით. OCLC-ის მსოფლიო კატალოგი წარმოადგენს მსოფლიოში უდიდეს ბიბლიოგრაფიულ მონაცემთა ბაზას. მასში წარმოდგენილია 70 მლნ.-ზე მეტი უნიკალური ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი 400-ზე მეტ ენაზე. მათ შორის კატალოგში წარმოდგენილია ჩანაწერები ლათინური, ჩინური, კორეული, არაბული, ბერძნული, ებრაული, სლავური დამწერლობებით. OCLC-ის მსოფლიო კატალოგს ყოველ 10 წამში ემატება ახალი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი. ყოველ 4 წამში ივსება OCLC-ის ბიბლიოთეკათშორისი სესხების შეკვეთის ფორმა. ყოველივე ეს ხორციელდება OCLC-ის მიერ დამუშავებული უახლესი საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და სერვისების საშუალებით, რომელსაც ემსახურება OCLC-ის 1000 სპეციალისტი, მათ შორის 800 – დუბლინის შტაბ-ბინაში. ეს ციფრები ნათლად მეტყველებს ამ საბიბლიოთეკო კონსორციუმის საქმიანობის მასშტაბებზე. OCLC ისწრაფვის, რომ კიდევ უფრო გააფართოოს თავისი საქმიანობის არეალი და მოიცვას ის ქვეყნებიც, რომელთაც მდიდარი საბიბლიოთეკო მემკვიდრეობა გააჩნიათ, თუმცა ჯერ კიდევ არ არიან წარმოდგენილნი მსოფლიო კატალოგში.

OCLC-ის პროფესიული განვითარების პროგრამა, ალბათ, იმ მიზანსაც ემსახურება, რომ მარკეტინგის ჯგუფის სპეციალისტებმა პირველწყაროდან შეიტყონ, რამდენად მომზადებულია ნიადაგი განვითარებად ქვეყნებში OCLC-ის სერვისების დასაწერად. პროგრამის მონაწილეებს გვიხდებოდა მსგავს კითხვებზე პასუხების

გაცემა სემინარებისა და დისკუსიების, პრეზენტაციებისა თუ შეხვედრების დროს, რომლებსაც ესწრებოდნენ OCLC-ის სხვადასხვა განყოფილებების წარმომადგენლები.

OCLC-ის სერვისები

<http://www.oclc.org/services/>

დღეს ამერიკაში თუ მის ფარგლებს გარეთ წარმოუდგენელია დიდი ბიბლიოთეკების მუშაობა OCLC-ის სერვისების გარეშე. რას სთავაზობს OCLC ბიბლიოთეკებს? შეუძლებელია ამ მოკლე დროში სრულად გავანალიზოთ OCLC-ის ყველა სერვისი, მითუმეტეს, ინტერნეტის და შესაბამისი პაროლების გარეშე, მაგრამ შევეცდებით ზოგადად მიმოვიხილოთ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი სერვისები.

Connexion - კატალოგიზაციის ინტეგრირებული სისტემა

<http://connexion.oclc.org/>

ბიბლიოთეკები ამ სისტემას იყენებენ ახალი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერების შესაქმნელად, ანუ კატალოგიზაციის მიზნით. სისტემაში წარმოდგენილი ღრ ფორმატის მზა ფორმები და დაწვრილებითი ინსტრუქციები იძლევა სწრაფი კატალოგიზაციის საშუალებას. სისტემა კოპირებითი კატალოგიზაციის საშუალებასაც იძლევა. ჩონჩხიონ აადვილებს ბიბლიოგრაფიული ჩანაწერების გავრცელებას OCLC-ის წევრ ბიბლიოთეკებს შორის, რაც ზოგავს კატალოგიზაციის რუტინული პროცედურებისათვის საჭირო დროს და ხარჯებს. კოოპერაციული კატალოგიზაციის არსი და მნიშვნელობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ თუკი რომელიმე კონკრეტული საბიბლიო-ოთეკო ერთეულის კატალოგიზაცია უკვე განხორციელდა რომელიმე ქვეყნის რომელიმე ბიბლიოთეკაში, შესაბამისი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი ხელმისაწვდომია დანარჩენი ბიბლიოთეკებისთვისაც, აქედან გამომდინარე, აღარ არის საჭირო ამ ერთეულის ხელახალი კატალოგიზაცია. ამიტომ, სასურველია სხვადასხვა ქვეყანაში გამოყენებული კატალოგიზაციის სტანდარტების შეჯერება, რათა შესაძლებელი იყოს სხვა ბიბლიოთეკაში შექმნილი ჩანაწერის კოპირება ადგილობრივ კატალოგში. თუ ბიბლიოთეკა არ ახდენს მასალების კატალოგიზაციას და ესაჭიროება მხოლოდ 7000-მდე ერთეულის კოპირებითი კატალოგიზაცია წელიწადში, მას შეუძლია გამოიწეროს შედარებით მარტივი სერვისი **CatExpress**, საიდანაც შესაძლებელია მზა ბიბლიოგრაფიული ჩანაწერების კოპირება.

Cataloging Partners Program - კატალოგიზაციის პარტნიორობის პროგრამა.

<http://www.oclc.org/catalogingpartners/default.htm>

OCLC-ს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები წიგნების დისტრიბუტორ კომპანიებთან. თუ ბიბლიოთეკას გამოწერილი აქვს ეს სერვისი, მაშინ იგი მასალებს იძენს OCLC-ის პარტნიორი დისტრიბუტორისაგან და, შეკვეთის შესრულებისთანავე, ბიბლიოთეკა OCLC-გან ღებულობს MARC-ფორმატში წარმოდგენილ სრულყოფილ ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერებს, რომლებიც შექმნილია მოცემული ბიბლიოთეკის კატალოგიზაციის პოლიტიკის მოთხოვნების შესაბამისად. ამერიკის ბიბლიოთეკებისათვის ეს სერვისი განსაკუთრებით ხელსაყრელია არაინგლისურენოვანი, ან არაწიგნადი ფორმატის მასალების შეძენისას.

Custom Cataloging – შეკვეთით კატალოგიზაცია

<http://www.oclc.org/customcataloging/default.htm>

ბიბლიოთეკები იყენებენ ამ სერვისს, თუ არ ჰყავთ კატალოგიზაციის სპეციალისტი, ან არა აქვთ სათანადო დროის რესურსი. ასეთ შემთხვევაში მათთვის კატალოგიზაციას ასრულებს OCLC.

Dewey Decimal Classification - დუის ათწილადი კლასიფიკაცია

<http://www.oclc.org/dewey/default.htm>

დუის ათწილადი კლასიფიკაციის სრულ და შემოკლებულ გამოცემებს რეგულარულად სრულყოფს და განახლებს OCLC. 2003 წელს გამოიცა დუის ბოლო 22-ე სრული გამოცემა, ხოლო შემოკლებული მე-14 გამოცემა გამოიცა 2004 წელს. გარდა ამის, OCLC-მ განავითარა ამ კლასიფიკატორის კომპიუტერული ვერსია, WebDewey, რომელიც ინტერნეტშია განთავსებული და რომელიც გაცილებით უფრო პრაქტიკულია მოხმარების თვალსაზრისით, ვიდრე მისი ოთხტომეული ბეჭდვით ფორმატში.

NetLibrary

<http://www.oclc.org/netlibrary/default.htm>

OCLC-ის NetLibrary უზრუნველყოფს საუნივერსიტეტო, საქალაქო, სასკოლო და სპეციალურ ბიბლიოთეკებს ელექტრონული მასალების კოლექციით, რომელიც მოიცავს ასობით საგნობრივ კატეგორიას, მათ შორის მასალებს ტექნოლოგიების, ბიზნესის, ეკონომიკის თემებზე, აგრეთვე საცნობარო და მხატვრულ ლიტერატურას. ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული წიგნების ყველაზე მდიდარი კოლექცია. NetLibrary თანამშრომლობს მსოფლიოს წამყვან გამომცემლობებთან, რათა გააფართოოს თავისი რესურსები და მოიცვას უცხოენოვანი ლიტერატურა, მონაცემთა ბაზები, ჟურნალები და აუდიო წიგნები.

FirstSearch

<http://www.oclc.org/firstsearch/default.htm>

FirstSearch წარმოადგენს მდიდარ კოლექციას, რომელიც მოიცავს პერიოდული გამოცემების ინდექსების ათეულობით მონაცემთა ბაზას და 10 მილიონზე მეტ სრულტექსტოვან სტატიას. OCLC-ის ეს რესურსი დიდი პოპულარობით სარგებლობს აშშ-ში და მის ფარგლებს გარეთ.

WorldCat Resource Sharing

<http://www.oclc.org/resourcesharing/default.htm>

პროგრამაში ჩართულ 7000-ზე მეტ ბიბლიოთეკას საშუალება აქვს, ისესხოს და გაასესხოს მასალები ბიბლიოთეკათმორისი სესხების კომპიუტერული პროგრამა Illiad-ის საშუალებით. სისტემა საშუალებას იძლევა, სწრაფად განხორციელდეს სესხების პროცედურები, მკითხველებს კი შეუძლიათ სისტემის საშუალებით თვალი ადევნონ თავიანთი დაკვეთის შესრულებას.

WebJunction

<http://www.oclc.org/webjunction/default.htm>

OCLC-ის კიდევ ერთი საინტერესო სერვისია, რომელიც დამუშავდა ბილ გეიტსის ფონდის მხარდაჭერით. ეს ვებსაიტი ეძღვნება ახალ საინფორმაციო ტექნოლოგიებს და ბიბლიოთეკართა მომზადებას და განკუთვნილია, უმთავრესად, იმ

ბიბლიოთეკებისათვის, რომლებიც ჩამორჩებიან ტექნოლოგიების თვალსაზრისით. ვებსაიტზე შეხვდებით საინტერესო სტატიებს, ინსტრუქციებს. ბიბლიოთეკარებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ ფორუმში ან აირჩიონ და გაიარონ სასწავლო კურსი მათთვის საინტერესო სფეროში. აქ წარმოადგენილი სერვისების დიდი ნაწილი უფასოა.

QuestionPoint

<http://www.oclc.org/questionpoint/>

QuestionPoint წარმოადგენს კონგრესის ბიბლიოთეკის გლობალური საცნობარო ქსელისა და OCLC-ის ერთობლივ პროექტს. მისი ინტერფეისი თარგმნილია 10 ენაზე და გამოიყენება მსოფლიოს 10 ქვეყნის 1000 ბიბლიოთეკაში. ეს არის 24 სთ-იანი ვირტუალური საცნობარო სერვისი, სადაც მკითხველებს შეუძლიათ დასვან ნებისმიერი საცნობარო ხასიათის კითხვა და მიიღონ კომპეტენტური პასუხი ბიბლიოთეკარისაგან. ამ სერვისში გაერთიანებული თითოეული ბიბლიოთეკა ვალდებულია, უზრუნველყოს სერვისში ჩართული ბიბლიოთეკების მკითხველთა მომსახურება კვირაში 10 საათის განმავლობაში. ბიბლიოთეკებს შორის ასეთი თანამშრომლობის შედეგად, მკითხველები სარგებლობენ 24 საათიანი მომსახურებით.

მსგავსი საბიბლიოთეკო სერვისები წარმოადგენს მცდელობას, რომ საინფორმაციო ბუმის ეპოქაში ბიბლიოთეკებმა შეინარჩუნონ და გააძლიერონ თავიანთი ფუნქციები. დღეს სულ უფრო მეტად გაისმის ამერიკელი ბიბლიოთეკარების შემოფოთება იმის შესახებ, რომ გარკვეულ საფრთხეს წარმოადგენს ისეთი საძიებო სისტემების აღზევება, როგორცაა Google და Yahoo. პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ კომპიუტერზე მიჯაჭვული ახალგაზრდობის დიდი ნაწილი ვეღარ ხედავს ბიბლიოთეკების ფუნქციას და მნიშვნელობას. ამის საპასუხოდ, OCLC ცდილობს, ითანამშრომლოს ზემოხსენებულ კომპანიებთან. ასეთი თანამშრომლობის გამოხატულებაა ის, რომ OCLC-ის მსოფლიო კატალოგში წარმოადგენილი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერები დღეს იძებნება Google-ის და Yahoo-ს საშუალებით. ძიების შედეგი უზრუნველყოფილია ინტერნეტ ბმულით OCLC-ის მსოფლიო კატალოგისაკენ. აქ კი Find in a Library ინტერფეისის საშუალებით მომხმარებელს შეუძლია გაიგოს, რომელ ბიბლიოთეკაშია მისთვის საინტერესო წიგნი.

CONTENTdm

<http://www.oclc.org/contentdm/default.htm>

CONTENTdm წარმოადგენს ელექტრონული კოლექციის მართვის პროგრამას, რომელიც უზრუნველყოფს ინტერნეტში ელექტრონული ბიბლიოთეკის ორგანიზებას, მართვას, გამოქვეყნებას და მოძიებას.

OCLC-ის კვლევითი პროექტები

<http://www.oclc.org/research/projects/default.htm>

OCLC ახორციელებს მთელ რიგ კვლევით პროექტებს. მოკლედ მიმოვიხილავთ ზოგიერთ მათგანს:

ავტომატური კლასიფიკაციის კვლევითი პროექტი

http://www.oclc.org/research/projects/auto_class/default.htm

პროექტის მიზანია ელექტრონული დოკუმენტების ავტომატური კლასიფიკაციის პროგრამის შექმნა. პროგრამა გამოყენებული იქნება კაცობრიობის კულტურული მემკვიდრეობის კლასიფიკაციისათვის, რათა ეს კოლექციები ხელმისაწვდომი გახდეს მსოფლიოსათვის ელექტრონული მედიის საშუალებით. OCLC იკვლევს რამდენად შესაძლებელია არსებული კლასიფიკაციის სისტემების იმგვარი ადაპტაცია, რომ ისინი გამოიყენებოდეს ელექტრონული დოკუმენტების ავტომატური კლასიფიკაციის მიზნით.

წიგნადი ფონდების შედარებითი შეფასება

<http://www.oclc.org/research/projects/mi/default.htm>

პროექტი მიზნად ისახავს ბიბლიოთეკათმორისი სესხების მოდელის იდენტიფიკაციას; საერთაშორისო მასშტაბით წიგნადი ფონდების იდენტიფიკაციას ბიბლიოთეკების ტიპების მიხედვით; ელექტრონული წიგნების ფონდების განვითარების სტრატეგიის ფორმულირებას და შესაბამისი სტანდარტების შემუშავებას.

ელექტრონული რესურსების დაცვის ეკონომიკა

<http://www.oclc.org/research/projects/digipres/economics.htm>

პროექტი იკვლევს ელექტრონული რესურსების შენახვის პრობლემებს, მათ შორის: ელექტრონული არქივების საორგანიზაციო სტრუქტურას, ეკონომიკურ წანამძღვრებს და შესაბამისი მდგრადი ბიზნეს-ეკონომიკური მოდელის განვითარების საკითხებს.

ePrints-UK

<http://www.oclc.org/research/projects/mswitch/epuk.htm>

პროექტის მიზანია, დიდ ბრიტანეთში განავითაროს ეროვნული სერვისი, რომლის საშუალებითაც დიდი ბრიტანეთის კოლეჯებისა და უნივერსიტეტების კვლევითი ნაშრომების რეპოზიტორები ხელმისაწვდომი გახდება ქვეყნის სხვა სკოლებისა და უნივერსიტეტების სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისათვის.

FAST - საგნობრივი ტერმინოლოგიის ფასეტური გამოყენება

<http://www.oclc.org/research/projects/fast/default.htm>

კონგრესის ბიბლიოთეკის საგნობრივი რუბრიკატორი ყველაზე ფართო და სრულყოფილი რუბრიკატორია და წარმოადგენს მოდელს საგნობრივი რუბრიკატორების განვითარებისათვის მრავალ ქვეყანაში, მაგრამ ამავე დროს იგი ხასიათდება რუბრიკების რთული სინტაქსით, რაც მოითხოვს მომხმარებლის მაღალ კვალიფიციაციას და ზღუდავს ავტომატური ავტორიტეტული კონტროლის ეფექტიანობას. ამიტომ OCLC-ის ზემოხსენებული პროექტის მიზანია, გაამარტივოს რუბრიკატორის სინტაქსი, რაც გააადვილებს მის გამოყენებას. რუბრიკატორის გამოყენება შესაძლებელი იქნება აგრეთვე ავტომატური კლასიფიკაციის მიზნით.

კომპიუტერული პროგრამების ღია წყარო

<http://www.oclc.org/research/software/default.htm>

OCLC ბიბლიოთეკებს სთავაზობს საბიბლიოთეკო კომპიუტერული პროგრამების ღია წყაროს, სადაც მოცემულია საბიბლიოთეკო კომპიუტერულ პროგრამებში გამოსაყენებლად განკუთვნილი მზა კომპონენტები.

გამომცემლობების სახელწოდებების სერვერი

<http://www.oclc.org/research/projects/publishers/default.htm>

პროექტის მიზანია თითოეულ გამომცემლობას მიენიჭოს პრეფიქსი, რომელიც ასახული იქნება ISBN-ში, თითოეული გამომცემლობის სახელწოდებების რამდენიმე ვარიანტიდან გამოიყოს ერთი, უპირატესი ფორმა. ამავე დროს მონაცემთა ბაზაში წარმოდგენილი იქნება შემდეგი ინფორმაცია: გამომცემლობის ადგილი, გამოცემების ენა და ფორმატი, ჟანრი, დომინანტური საგანი, გამომცემლობის ფილიალები.

ამერიკის ბიბლიოთეკების მომავალი

დღეს ამერიკის ბიბლიოთეკები ცდილობენ, პასუხი გასცენ შემდეგ კითხვებს: როგორ გაუმკლავდებიან ბიბლიოთეკები ტექნიკურ რევოლუციას? დაამარცხებენ ბიბლიოთეკებს ინტერნეტ საძიებო სისტემები? როგორ უნდა აუწყონ ნაბიჯი ბიბლიოთეკებმა საზოგადოების განვითარებას? საჭირო იქნება თუ არა ბიბლიოთეკები მომავალში?

ამ კითხვებზე საინტერესო პასუხები აქვს ოჰაიოს შტატის ვესტერვილის საჯარო ბიბლიოთეკას, რომელიც ინოვაციებით და მომავლის განსაკუთრებული ხედვით გამოირჩევა. ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ძირეულად უნდა გარდაიქმნას საბიბლიოთეკო სერვისები და მოერგოს თანამედროვე მომხმარებლის ინტერესებს; ბიბლიოთეკა თავად უნდა მივიდეს მომხმარებელთან ახალი ტექნოლოგიების საშუალებით; ბიბლიოთეკა უნდა ემსახურებოდეს არა მხოლოდ ადგილობრივ მომხმარებელს, არამედ მომხმარებელს მსოფლიო მასშტაბითაც; ბიბლიოთეკა მომხმარებელს უნდა ემსახურებოდეს არა მხოლოდ საკუთარ კედლებს შიგნით არსებული მასალებით, არამედ მის კედლებს მიღმა არსებული რესურსებითაც; ბიბლიოთეკა მომხმარებელს უნდა ემსახურებოდეს არა მხოლოდ ტრადიციულ ფორმატში წარმოდგენილი მასალებით, არამედ ყველა სახის ფორმატში წარმოდგენილი მასალებით. „Content not Container” – ასეთია ამერიკის ბიბლიოთეკების ახალი მოწოდება, რაც იმას გულისხმობს, რომ მნიშვნელოვანია შინაარსი და არა ის, თუ რა სახის „კონტეინერში” ანუ ფორმატშია მოთავსებული ეს შინაარსი.

ვესტერვილის საჯარო ბიბლიოთეკა, რომელიც დღეს ერთ-ერთი წარმატებული ბიბლიოთეკაა ამერიკაში, შემდეგნაირად ხედავს თავის მომავალს: „ვესტერვილის საქალაქო ბიბლიოთეკა იქნება ერთ-ერთი წამყვანი საჯარო ბიბლიოთეკა ამერიკაში. ინოვაციების და წარმოსახვის საშუალებით ჩვენ შევძლებთ შევქმნათ გარემო, სადაც ნებისმიერი ინტერესებისა და ნებისმიერი ასაკის ადამიანს შეუძლია იოცნებოს, გამოძერწოს თავისი იდეები, მიიღოს ინტელექტუალური საზრდო, გამოჰქედოს წარმატება და შეიქმნას უკეთესი მომავალი”.

სწორედ ახალი იდეების ძერწვა და უკეთესი მომავლისაკენ სწრაფვა წარმოადგენს ამერიკის გრანდიოზული წარმატებების საფუძველს და ამ წარმატებებში თავიანთი წვლილი შეაქვთ ქვეყნის ბიბლიოთეკებს, ცოდნის უდიდეს ოაზისებს.

Л. НАНУАШВИЛИ

ОСЛС И БИБЛИОТЕКИ АМЕРИКИ

Резюме

Развитие информационных технологий и Интернета оказало огромное влияние на работу библиотек и существенно изменило формы и содержание библиотечного обслуживания. Так же, как и в других сферах, в библиотечной сфере заметны интеграционные процессы в виде создания библиотечных консорциумов, как в местном, так и в международном масштабах. OCLC (Online Computer Library Center) представляет собой наибольший в мире библиотечный консорциум, объединяющий 57 000 библиотек из 112 стран. В статье описаны библиотечные услуги OCLC, которые способствуют повышению доступа к накопленным человечеством знаниям с понижением стоимости необходимых технических операций.

бствуют повышени

L. NANUASHVILI

OCLC AND AMERICAN LIBRARIES

Summary

The Development of the Internet and modern information technologies has made a huge impact on library operations and deeply modified forms and the content of library services. Similarly to other fields, the process of integration is taking place in the library sphere as well, which means creation of library consortiums at the local or international levels. OCLC Institute (Online Computer Library Center) represents the largest library consortium in the world, uniting 57,000 libraries in 112 countries. The article describes the library services provided by OCLC, which promote access to the universal knowledge while reducing costs and time of technical services.

ს ე რ გ ი დ ა თ უ ა შ ვ ი ლ ი

ინტერნეტ-გაზეთები და ელექტრონული გამოცემების ერა

ინფორმაცია, კერძოდ, ახალი ამბები თანამედროვე საზოგადოების ყველაზე მოთხოვნილი პროდუქტია, როგორც ჩვეულებრივ ადამიანებს, ასევე გამორჩეულ ფენებს შორის, როგორებიც არიან მეცნიერები ან პოლიტიკოსები. ინფორმაციას, რომელიც ინტერნეტის საშუალებით ვრცელდება, გეოგრაფიული და პოლიტიკური საზღვარი არ გააჩნია.

ინტერნეტის გამოგონების შემდეგ მრავალმა გაზეთმა დაიწყო საკუთარი ინტერნეტ-გამოცემის ბეჭდვა და განთავსება ე.წ. მსოფლიო მასშტაბის აბლაბუდაში.

ინტერნეტი საშუალებას აძლევს მკითხველს, გაეცნოს უცხოეთის ქვეყნებში გამოცემულ ჟურნალ-გაზეთებს და მიიღოს სრულყოფილი ინფორმაცია მსოფლიოში მიმდინარე მოვლენათა შესახებ. ინტერნეტ-გაზეთებმა მთელი მსოფლიო კომპიუტერის ეკრანთან მოიტანეს და მომხმარებელი ყველა საკითხში გაარკვიეს.

მოცემულ სტატიაში ვისაუბრებთ ინტერნეტ-გაზეთების შესახებ ისეთი ცნობილი გამოცემების მაგალითებზე, როგორებიცაა: New York Times, Washington Post, TIMES და სხვ.

შესავალი. ინფორმაცია არის თანამედროვე საზოგადოების ხერხემალი. ადამიანთა საზოგადოების აქტივობა წარმოდგენილია ინფორმაციის, როგორც ერთ-ერთი ძირითადი სასიცოცხლო პროცესის გარეშე. ამ ინფორმაციის უმნიშვნელოვანესი ნაწილია ჟურნალ-გაზეთები.

ინტერნეტ-გამოცემებმა სისრულეში მოიყვანა კანონმდებლობა «ინფორმაცია ყველასათვის», «ინფორმაციის უფლება» და «ინფორმაციის დემოკრატიულობა» იმით, რომ ყველა ადამიანისთვის ის ღია და ხელმისაწვდომი გახადა.

ინტერნეტ ჟურნალ-გაზეთების გენეზისი. ელექტრონულმა გაზეთებმა პოპულარობა ჯერ კიდევ 40-იანი წლებიდან მოიპოვა. მაგალითად, ზოგიერთი გამოცემა გაზეთს ხელმომწერთან აგზავნიდა ბინის ფაქსზე, ხოლო შემდეგ სატელევიზიო მიმღებზე. «კომპუსერვის» მსგავსმა კომპანიებმა 1980-იან წლებში მომხმარებლებს შესთავაზა ეროვნული გაზეთების ელექტრონული ვერსიები და გამოაქვეყნეს ისინი ახალი ამბების სერვისზე – Bulletin Board Services. მაგრამ მრავალი ასეთი ცდა მხოლოდ ექსპერიმენტული იყო. ისინი არ აღმოჩნდნენ წარმატებული ღირებულების გამო და ჰყავდათ, მხოლოდ რამოდენიმე გამომწერი ანუ მომხმარებელი.

წარმატებებმა ტექნიკურ და პროგრამულ უზრუნველყოფაში, ინტერნეტის გამოგონებამ და სწრაფმა განვითარებამ 1990-იან წლებში ახალი სიცოცხლე შეიტანა ბეჭდურ მედიაში. მათ აქტიურად დაიწყეს ინტერნეტ-გამოცემების ბეჭდვა. გაჩნდა ახალი და პოპულარული ამბების ინფორმაციის პროვაიდერები. ტრადიციულ გაზეთებს ძალიან გაუჭირდათ ასეთ გამოცემებთან ნაბიჯის აწყობა. 1996 წელს ინტერნეტ-გამოცემების რაოდენობამ მთელ მსოფლიოში 1 300-ს მიაღწია, ხოლო 1997 წელს უკვე 3622-ს გადააჭარბა.

1995 წელს ევროპისა და ამერიკის გაზეთების უმრავლესობამ შექმნა ინტერნეტ-გამოცემები. დარწმუნდნენ რა, რომ მრავალი პოლიტიკური, სოციალური და სპორტული მოვლენა შეიძლება დაბეჭდილიყო ინტერნეტში იმაზე სწრაფად, ვიდრე ეს შესაძლებელი იყო ტელევიზიითა თუ რადიოთი.

რაც შეეხება შემადგენლობას, ელექტრონული გამოცემები არ წარმოადგენენ ბეჭდური გამოცემების აბსოლუტურ კოპიებს არც შემადგენლობის და არც შინაარსის მიხედვით. შინაარსითა და შემადგენლობით ეს გამოცემები არის უფრო დიდი, გააჩნია საძიებო ინდექსი, იყოფა სხვადასხვა სექციებად, ქვესექციებად, თემებად, გააჩნია უამრავი ფოტო, ვიდეო და აუდიო მასალები, რაც აცოცხლებს გაზეთს, დამაჯერებლობას მატებს ბეჭდურ გამოცემასთან შედარებით.

ასეთივე წარმატება ჰქონდა ინტერნეტ-ჟურნალებს, პირველ რიგში, სამეცნიერო გამოცემებს, ხოლო შემდეგ – ზოგადი ინტერესების ჟურნალებს.

ჟურნალ-გაზეთები ციფრულ სამყაროში. ჟურნალ-გაზეთების კომპიუტერების ციფრულ სამყაროში გადატანამ მათ ახალი განზომილება შესძინა. ეს არის ინტერაქტიურობა. ინტერნეტი უზრუნველყოფს მომხმარებლის ანუ მკითხველის კონტროლს მოწოდებული ინფორმაციის შემადგენლობაზე. ინტერნეტი იგივე მსოფლიო აბლაბუდა, სხვადასხვა მიმართულებით მოქმედებს ბეჭდურ მედიაზე.

ყველაზე თვალშისაცემი კი ის არის, რომ შემცირდა ბეჭდური მედიის მკითხველთა რაოდენობა, შემცირდა რეკლამა და, შესაბამისად, შემოსავლები.

დააყენეს რა ახალი ამბები წინა ხაზზე, შედეგად, სეპერატული ბეჭდური გამოცემები მულტი-მედიური პროდუქციის კომპანიებად გადაიქცა და მრავალ ასპექტში ტელევიზიასა და რადიოს გადააჭარბა. ინფორმაციას ძალიან ხშირად თან ახლავს გრაფიკა, სურათები, აუდიო და ვიდეო-კლიპები, რაც უზრუნველყოფს ახალი ამბების სრულყოფილ მიწოდებას. პროცესები ისეთი სისწრაფით ვითარდება, რომ შეუძლებელია მათში ჩარევა ან სტრატეგიული დაგეგმვის ღრმა ანალიზი.

ციფრული ინფორმაციის ტრანსფერი, წყაროდან დანიშნულებამდე, გაცილებით მარტივია ბეჭდურ მედიასთან შედარებით. ინტერნეტ-ტექნოლოგიების წყალობით, ეს ტრანსფერი ძალზე სწრაფი გახდა. ამიტომ არაა გასაკვირი, რომ უახლესი ინფორმაცია ინტერნეტ-გამოცემაში ასწრებს ბეჭდურ გამოცემას. შედეგად, ინტერნეტ-გაზეთების ინფორმაციის მომხმარებელთა რაოდენობა გაუტოლდა და შეიძლება გადააჭარბა კიდევ ტრადიციული ბეჭდური მედიის მომხმარებელთა რაოდენობას.

ინტერნეტ ჟურნალ-გაზეთების არქიტექტურა. დღეს მრავალი ჟურნალ-გაზეთი უშვებს საკუთარ ინტერნეტ-გამოცემას. მრავალი საკვანძო სიტყვა წარმოადგენს ბმულს (ინიშნება ლურჯად ან ხაზგასმით) და უზრუნველყოფს გადასვლას სრულ სტატიასზე ამ საგანში.

ზოგიერთი ინტერნეტ-ჟურნალ-გაზეთი საშუალებას იძლევა, შეიცვალოს ახალი ამბების ფორმატი და შემადგენლობა ისე კონკრეტული მომხმარებლის საჭიროებებისამებრ. ექსპერტების მიხედვით, თუ ინტერნეტ ჟურნალ-გაზეთებს უნდათ დაიპყრონ ყველა ტიპის მომხმარებელთა ფენა, მათ უნდა მიეცეთ შესაძლებლობა, თავად შეცვალონ ზოგიერთი რამ, კერძოდ, შემადგენლობა, დიზაინი და ინფორმაციის წარმოდგენის ფორმა.

ყველაზე მნიშვნელოვანია შემდეგი: გასული წლების ჟურნალ-გაზეთები წარმოადგენდნენ პასიურ ინფორმაციის წყაროებს, ხოლო დღევანდელ ინტერნეტ-გამოცემებს გააჩნიათ უკუკავშირებიც. მომხმარებლებს სურთ პასუხები გარკვეულ შეკითხვებზე რეპორტიორებისგან, გამომცემლებისგან, სხვადასხვა სტატიების ავტორებისგან. ეს ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. მეტიც: თუ ჟურნალისტი საკუთარ სტატიასთან დაკავშირებით ბევრ წერილსა და შეკითხვას მიიღებს, ეს ნიშნავს, რომ დიდია მისდამი ინტერესი და იგი საჭიროებს წინ წაწევას ახალი ამბების სვეტში, განხილვას ან დისკუსიას ინტერნეტ-ფორუმზე. ინტერნეტ-განხილვების სხვა ფორმებია ხმის მიცემა ანდა ე.წ. CHAT - ი.

ინტერნეტ ჟურნალ-გაზეთები ამოუწურავი წყაროებია. ისინი დაემსგავსნენ ენციკლოპედიებს და კონკურენციას უწევენ ახალი ამბების ისეთ დიდ სააგენტოებს, როგორცაა: BBC, CNN და ა.შ.

თითქმის ყველა საგაზეთო ვებ-საიტი შეიცავს ძველი გამოცემების საარქივო კოლექციებს საძიებო მექანიზმებით. მათ უკვე დაიწყეს თავიანთი ინფორმაციის განახლება დღის 24 საათის განმავლობაში. ეს დიდი პროგრესია ბეჭდურ მედიასთან შედარებით.

ელექტრონული გაზეთების ეკონომიური ასპექტები. ელექტრონულ გამოცემებში მნიშვნელოვანია რეკლამების განთავსება. ტრადიციული ბეჭდური გამოცემები განიცდიან დიდ რისკს, გახდნენ ნაკლებად შემოსავლიანი იმის გამო, რომ ინტერნეტ-გამოცემები უზრუნველყოფენ რეკლამას უკეთესი ხარისხით. შედარებით მცირე თანხები, რომლებიც საჭიროა ინტერნეტში რეკლამის განსათავსებლად,

შესაძლებელს ხდის მძლავრი კონკურენცია გაუწიოს სატელევიზიო, რადიო და ბეჭდურ საინფორმაციო სააგენტოებს. ინტერნეტს გააჩნია აგრეთვე მრავალი ახალი სარეკლამო სერვისი, რაც შეუძლებელი იყო ადრე. ზოგიერთი კომპანიის შემოსავალი, მხოლოდ ერთი რეკლამიდან, წელიწადში 10 მილიონ დოლარს აღწევს.

ეკონომიური თვალსაზრისით, ინტერნეტ-გაზეთებში ინფორმაციის არქივირებისთვის გამოყენებული უნდა იქნას მონაცემთა ბაზების მოდელები, რათა მოხდეს გენერირებული ინფორმაციის მარკეტირება და გაყიდვა სხვადასხვა ფორმატებში.

ვაშინგტონ პოსტის ინტერნეტ-გამოცემის შესახებ. 1995 წელს, ერთი წლისა და რამდენიმე თვის აქტიური მუშაობის შედეგად, ვაშინგტონ პოსტის ინტერნეტ-სამსახური გაშვებულ იქნა ქსელში.

როგორც უმრავლესობა ინტერნეტ-გაზეთებისა, იგი არ იმეორებს საკუთარ ბეჭდურ ვერსიას. ზოგიერთი რამ უკეთესია ბეჭდურ გამოცემაში, მაგრამ ელექტრონული გამოცემა მრავალ ახალ საშუალებასა და სერვისს იძლევა, რაც მიუწვდომელია გაზეთში.

ეს გამოცემა, როგორც სხვა ანალოგიური გამოცემები, ტრადიცი-ულისგან განსხვავებით, საშუალებას იძლევა, გასული სტატიები უცვლელად დარჩეს წლების განმავლობაში ინფორმაციათა უზარმაზარ კოლექციებში, რომლებიც არასოდეს მოთავსდება ნაბეჭდ პროდუქციაში. მრავალი ასპექტის მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ ეს უკვე საერთოდ აღარ არის გაზეთი. საჭირო სტატიის მოძებნა კი მეტად ტრივიალურია და სრულდება წამებში, რაც წარმოუდგენელი იყო ტრადიციულ ბიბლიოთეკაში. დასარწმუნებლად საკმარისია აკრიფოთ საძიებო ფრაზა, თარიღი, წლების პერიოდი ან თემატიკა.

ამავე დროს, ელექტრონული გამოცემა მოიცავს უმეტესად იმავე სტატიებს, რომლებსაც გაზეთი, თუმცა, მისგან განსხვავებით, შეიძლება განახლდეს 24 საათის განმავლობაში.

ვაშინგტონ პოსტის ელექტრონული ვერსიის შექმნისას ყურადღება მიექცა შემდეგ ძირითად საკითხებს:


1. რას უნდა უზრუნველყოფდეს ელექტრონული ვერსია, რაც მიუწვდომელია ბეჭდური გამოცემისთვის;
2. როგორი უნდა იყოს ინფორმაციის სტრუქტურა;
3. ტრადიციული გაზეთის რა ნაწილები უნდა იქნას შენარჩუნებული და რა ნაწილებია ზედმეტი.

აღნიშნულ პუნქტებს კვლავ შევხებით ოდნავ ქვემოთ.

ტრადიციული გაზეთის ეკონომიური მოდელი მოითხოვს სარედაქციო მასალისა და რეკლამების გარკვეულ პროპორციას. ჩვეულებრივი პროპორციაა 60-40 (60% რეკლამა). ეს საშუალებას იძლევა შენარჩუნდეს გაზეთის დაბალი ფასი. მაგრამ ეს ნიშნავს იმასაც, რომ ყოველი დღის სარედაქციო მასალა დამოკიდებულია იმაზე, რამდენად ეტევა ის გაზეთის მოცულობაში. განსხვავებით ამისა, ინტერნეტში გვაქვს უსასრულო სივრცე. ამიტომ, შესაძლებელია იმ ინფორმაციის მიწოდებაც, რაც იკვეცება და არასოდეს ჩნდება გაზეთში. იგი მუდმივად რჩება ელექტრონულ ვერსიაში.

საინფორმაციო სივრცის ორგანიზაცია. დიდი მოცულობის ინფორმაციის ორგანიზაცია მნიშვნელოვანი პრობლემაა, რომელიც იზრდება საინფორმაციო სივრცის ზრდასთან ერთად.

ელექტრონული გაზეთების ორგანიზაციული სქემა მიყვება გაზეთებისას: ნაციონალური, საერთაშორისო, ბიზნესი, სპორტი, ცხოვრება, მეცნიერება, ხელოვნება, გართობა. თითოეულ მათგანს გააჩნია ათამდე ქვესექცია. რეკლამები შეგიძლიათ ნახოთ მარკეტის განყოფილებაში, თუმცა ბმულები მოცემულია ყველა გვერდზე მთლიანად სერვისში.



ერთი შეხედვით, სქემები მარტივია და პირდაპირი, მაგრამ ის არღვევს სამომხმარებლო ინტერფეისის დიზაინის ძირითად პრინციპს - ერთ ეკრანზე 5-ზე მეტი სანავიგაციო ბმულის განთავსება ითვლება ზედმეტად და აზნევს მკითხველს. 'ვაშინგტონ პოსტის' სამსახურის თავფურცელი მოიცავს 10 ბმულს, შიგა მასალებთან თუ არ ჩავთლით მრავალრიცხოვან ბმულებს ჰედლაინებიდან. მიუხედავად იმისა, რომ მომხმარებლები ხვდებიან თუ რომელია შინაარსის ჩამონათვალი, მათ მაინც ებადებათ კითხვები, სად შეიძლება მოინახოს I გვერდი - «მე მინდა წავიკითხო მხოლოდ ახალი ამბები, სად არის ეს?»

ძირითადი სექციების ქვეშაც არის ორგანიზაციული პრობლემები. ეს ეხება თემატიკაში სტატიების განთავსებას. ჩვეულებრივი გაზეთისგან განსხვავებით, ელექტრონულ ვერსიაში ერთი და იგივე სტატია შეიძლება აღმოჩნდეს სხვადასხვა სექციის ქვეშ.

რეტროსპექტივაში საწყისი სტრუქტურა დაწყებული 1994 წლიდან განუწყვეტელ გაუმჯობესებას განიცდის.

ინფორმაციის ორგანიზაცია ინტერნეტ ჟურნალ-გაზეთებში ძალიან განსხვავდება იმისგან, რაც მოცემულია ბეჭდურ გამოცემაში. ინტერნეტში ვიწყებთ ეკრანით, რომელიც გავს ხის დიაგრამის სათავეს, რომელზედაც არის წერტილები, საიდანაც, როგორც ხის ტოტები, ისე იშლება გზები სხვა ეკრანებისკენ. მომხმარებლისთვის გასაგები უნდა იყოს, რომ რაღაცას პირველ ეკრანზე ლოგიკურად უნდა მივყავდეთ

საგნებისკენ ქვემოთ. ხის მოდელი იძლევა კარგ საშუალებას, რომ ერთბაშად მივიღოთ იმის მიმოხილვა, თუ რა შეიძლება ვნახოთ საიტზე.

არჩევადობა, ნავიგაცია და ძიება. ძირითადი კრიტიკა ინტერნეტ-გამოცემებზე ეხება ინფორმაციის ე.წ. დაზვინებას. ეს ნიშნავს იმას, რომ ინფორმაცია არის უზარმაზარი მასივი მისი შემადგენლობის, მნიშვნელობისა და შინაარსის გაუთვალისწინებლად. მაგრამ სხვა ასპექტი დაზვინებისა, არის ორგანიზაციის ნაკლებობა. თუ აიღებთ ენციკლოპედია ბრიტანიკას და განათავსებთ მას ინტერნეტში საძიებო მექანიზმის გარეშე, ის იქცევა ინფორმაციის ზვინად, სადაც რაიმეს პოვნა პრაქტიკულად შეუძლებელი იქნება.

პირველი ნაბიჯი ამის ასაცილებლად არის არჩევადობა იმისა, თუ რას ვიხილავთ ინტერნეტში. მეორე ნაბიჯი არის ნავიგაცია ბრაუზინგით და ძიებით.

ტრადიციულ გაზეთში ნავიგაცია მდგომარეობს გვერდების უბრალო გადაფურცვლაში, მაგრამ ინტერნეტში ეს მოითხოვს მოძრაობას ერთი ეკრანიდან მეორეზე და ა.შ. ადამიანს შეუძლია გადაფურცლოს გაზეთის ყველა გვერდი რამდენიმე წუთში თუ არა-წამში, მაგრამ რომ გახსნას იგივე რაოდენობის გვერდი ინტერნეტში, განსაკუთრებით გრაფიკული ინტერფეისით, მოითხოვს გაცილებით მეტ დროს. ამიტომ, აუცილებელი ხდება ისეთი მეთოდების მოძებნა, რომლებიც საშუალებას მისცემს მომხმარებელს, გადაახტეს არა საჭირო სექციებს და გვერდებს.

ძიება არის ერთ-ერთი გზა, რომელიც საშუალებას აძლევს მომხმარებლებს, სწრაფად გადავიდნენ ერთი პუნქტიდან მეორეზე. ყველა ინტერნეტ-სერვისი უზრუნველყოფს ძიების ამა თუ იმ ფორმას, თუმცა ხშირად ისინი არაადაპტაციულებელია. კარგი საძიებო სისტემის შექმნა მოითხოვს საკვანძო სიტყვების მინიჭებას ყოველი სტატიისადმი, რაც თავის მხრივ მეტად შრომატევადია და მოითხოვს თანამშრომელთა სპეციალურ შტატებს, რათა მიანიჭონ საკვანძო სიტყვები ყველა სტატიას, რომელთა რაოდენობა «ვაშინგტონ პოსტში» ყოველდღიურად აჭარბებს 200-ს.

საძიებო მექანიზმები კარგად მუშაობენ იმ მომხმარებელთათვის, რომლებმაც ზუსტად იციან, თუ რას ეძებენ, მაგრამ საჭიროა აგრეთვე შენარჩუნებულ იქნას კომფორტული ბრაუზინგი თემებისა და სექციების მიხედვით, ისევე, როგორც ბეჭდურ გამოცემაში. მუდმივობა ორგანიზაციულ სექციებში საშუალებას აძლევს მომხმარებლებს, იმუშაონ უფრო ეფექტურად. კარგი ბრაუზინგის სხვა ასპექტები, რომელთა დაცვაც აუცილებელია, არის კვალი და ლოკალიზაცია ვებ-საიტზე და ადვილი შესაძლებლობა, დაბრუნდეს იქ, რაც ერთხელ უკვე ნახა.

განსხვავება ინტერნეტ-გაზეთსა და ბეჭდურ გამოცემას შორის. «ვაშინგტონ პოსტის» და სხვა ინტერნეტ-გაზეთების ელექტრონულ ვერსიებში მოცემულია სამთავრობო და სხვადასხვა საზოგადოებრივი სამსახურების საცნობარო და სხვა ინფორმაცია, რაც არასოდეს ქვეყნდება ბეჭდურ გამოცემაში. ეს ინფორმაცია არ არის რეკლამა და მისი მიზანია საჭირო და საინტერესო ინფორმაციით უზრუნველყოს მკითხველები ვაშინგტონის ოლქში. თუმცა ყოველთვის მიეთითება, რომ ეს ინფორმაციები არ არის შეგროვებული და შემოწმებული ვაშინგტონ პოსტის რედაქციის მიერ.

არქივები და ბმულიანი სტატიები. სხვა ტიპის მასალები, რომლებიც არ არის მოცემული ბეჭდურ გამოცემაში, არის «ვაშინგტონ პოსტის» არქივები. აქ განთავსებულია სტატიების მონაცემთა ბაზა 1986 წლიდან და მანამდე, რომელთა ამოკრეფაც შეიძლება ძიებით.

ინტერაქტივი. ინტერნეტ-დისკუსიები, განსხვავებით ბეჭდური გამოცემებისა, საყოველთაოდ გავრცელებულია ყველა ინტერნეტ-გამოცემაში. ამკარაა, რომ ყველა დისკუსია ინტერნეტ-გაზეთში წაკითხული უნდა იქნას გამოცემის რომელიმე თანამშრომლის მიერ ყოველდღე არა იმისთვის, რომ შეცვალოს ან გაასწოროს, არამედ უპასუხოს მომხმარებელთა კითხვებს.

«ვაშინგტონ პოსტის» რეპორტიორები და ჟურნალისტები მუდმივად არიან ხაზზე, რათა მონაწილეობა მიიღონ გარკვეულ დისკუსიებში.

ინტერნეტ-გამოცემების უარყოფითი მხარეები. ძირითადი პრობლემა აქ მეტად ტრივიალურია. ელექტრონული ჟურნალ-გაზეთები მიუწვდომელია უწყვეტი კვების წყაროს, კომპიუტერისა და ინტერნეტის ქსელის გარეშე.

სხვა ასპექტში, გაცილებით მარტივია გაზეთის წაკითხვა მისი ფოტოებით და უახლესი ინფორმაციის მიღება, ვიდრე ამის განხორციელება ინტერნეტ-გაზეთიდან. ამისათვის საჭიროა ინტერნეტის საშუალებით საჭირო ინფორმაციის მოძიება.

გარდა ამისა, ინტერნეტის კულტურამ შექმნა ფინანსური პრობლემა ინტერნეტ-გამოცემებისათვის. სარეკლამო აგენტებს ეშინიათ თავიანთი რეკლამების განთავსება კონკურენტის გამო.

New York Times ინტერნეტ-გამოცემის შესახებ.

The screenshot shows the New York Times website interface. At the top, there are navigation links like 'HOME PAGE', 'MY TIMES', 'TODAY'S PAPER', 'VIDEO', 'MOST POPULAR', and 'TIMES TOPICS'. The main header features the 'The New York Times' logo and the date 'Wednesday, July 26, 2006'. Below the header, there are several content blocks: a left sidebar with category links (JOB MARKET, REAL ESTATE, AUTOS, etc.), a main article titled 'Israel to Occupy Area of Lebanon as Security Zone' with a photo of soldiers, a 'DINING' section with 'Tacos En Casa', a 'New Tastes' section, a 'TALK TO THE NEWSROOM' section, and a 'This Week's Magazines' section. On the right side, there are 'OPINION' articles, 'MARKETS' data, and advertisements for Samsung and Fidelity.

New York Times-ის ინტერნეტ-გამოცემა არ არის ბეჭდური გამოცემის ანალოგი. მიუხედავად იმისა, რომ აქ ნახავთ იმავე სექციებსა და თემებს, არის დამატებითი ფოტოებიც, ხმოვანი და ვიდეო-კლიპების არქივები (შესაბამისი ძიების

მექანიზმებით). გარდა ამისა, არის მრავალი სასარგებლო საცნობარო ინფორმაცია, რომელიც არ არის ბეჭდურ ვერსიაში.

გაზეთების ელექტრონული არქივები. გარდა ელექტრონული გამოცემებისა, რომლებსაც ახორციელებენ უშუალოდ გამომცემელი კომპანიები, არსებობს ბევრი ინტერნეტ (ციფრული) ბიბლიოთეკა და არქივი, სადაც წარმოდგენილია არა ერთი კონკრეტული გამოცემა, არამედ ბევრი გაზეთი ერთდროულად. ასეთ ციფრულ ბიბლიოთეკებში მოცემულია, ძირითადად, სტატიების ტექსტები, რომელთა ამოკრეფა შეიძლება ან სრულტექსტოვანი ძიებით, ან ინდექსით, ან გადასვლით შესაბამის სექციაზე დასახელების, თემის და თარიღის მიხედვით. ასეთი სრულტექსტოვანი ციფრული ბიბლიოთეკის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია **EBSCO**-ს ციფრული არქივი. ეს არის გრანდიოზული ციფრული ბიბლიოთეკა, სადაც მხოლოდ ერთ-ერთი სექცია ეკუთვნის გაზეთებს. აქ შეიძლება მოიძებნოს მსოფლიოს ყველა ქვეყნის ყველა ძირითადი გაზეთის პრაქტიკულად ნებისმიერი სტატია. აქ არის მხოლოდ სუფთა ტექსტები. აქ ვერ ნახავთ რეკლამებს, საცნობარო ინფორმაციას, ფოტოს ან გამოსახულებას, რომლებიც ყველა საგაზეთო ნომერშია. ყოველ სტატიას მოყვება ძალიან მოკლე ბიბლიოგრაფიული აღწერა. კერძოდ, ინვენტარიზაციის კოდი, გაზეთის დასახელება, თარიღი და სათაური. უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ბიბლიოთეკა არ არის თავისუფლად მისაწვდომი, იგი ფასიანია. ზოგ შემთხვევაში მასში შესვლის ნებართვა ეძლევათ ზოგიერთი ქვეყნის გარკვეულ სამთავრობო ორგანიზაციებს, ბიბლიოთეკებს, სასწავლებლებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს.

PRESSDISPLAY.COM ითვლება მსოფლიოში გაზეთების საუკეთესო ციფრულ ბიბლიოთეკად. მასში გამოყენებულია მონაცემთა ბაზებისა და კომპიუტერული ინტერფეისების შექმნის თანამედროვე მეთოდები. **EBSCO**-სგან განსხვავებით, აქ მთლიანი საგაზეთო გვერდების ზუსტი ასლებაა წარმოდგენილი PDF ტიპის ფაილების გამოყენებით. შეგიძლიათ აირჩიოთ ქვეყანა და გაზეთი, გადმოიწეროთ ეს გაზეთი კომპიუტერზე გვერდების მიხედვით. მას გააჩნია სრულყოფილი ძიების მექანიზმი. საწყის გვერდზე იხილავთ მსოფლიოს ყველა ძირითადი გაზეთის მოწინავე სტატიებს. ყოველივე ეს გრაფიკულად მდიდრულად არის ილუსტრირებული, მომხმარებლისთვისაც მოხერხებულია და საინტერესო. აქაც სერვისი ფასიანია და საჭიროებს რეგისტრაციას.



საგაზეთო გამოცემების სრულტექსტოვანი ციფრული ბიბლიოთეკა- არქივები გააჩნია მსოფლიოს ბევრ დიდ ნაციონალურ ბიბლიოთეკას. მაგალითად, გაერთიანებული სამეფოს ეროვნულ ბიბლიოთეკას აქვს მსოფლიოს ყველა მნიშვნელოვანი გაზეთის სტატიების სრულტექსტოვანი ციფრული არქივი. თუმცა, მუშაობა ამ არქივში შესაძლებელია მხოლოდ ბრიტანეთის ეროვნული ბიბლიოთეკის დარბაზებში.

გაზეთების სრულტექსტოვანი ციფრული ბიბლიოთეკების დიდი არქივები გააჩნია ამერიკის კონგრესის ბიბლიოთეკასაც. აქ, ძირითადად, არის ამერიკული გამოცემები. აქაც, მასალების ამოკრეფა არ არის მისაწვდომი ყველასთვის, ანდა შესაძლებელია მხოლოდ ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზიდან.

გაზეთების ელექტრონული გამოცემების არქივები გააჩნია ავსტრალიის ნაციონალურ ბიბლიოთეკას. აქ ბმულებით მითითებულია საკუთრივ გამოცემების ვებ-საიტები. ფინეთის ნაციონალურ ბიბლიოთეკას გააჩნია ისტორიული გაზეთების ციფრული კოლექციები. თუმცა, აქ არის არა ტექსტები, არამედ საგაზეთო გვერდების მთლიანი ფოტოასლები. მიუხედავად ამისა, გააჩნია ძიების მეტად მოქნილი მექანიზმი, თუმცა, საბოლოოდ ვიღებთ ისევ საგაზეთო გვერდების ფოტოასლების გამოსახულებებს.

ბოლოსიტყვა – მომავლის გაზეთის ევოლუცია. ამრიგად, მესამე ათასწლეულის მიჯნაზე გამოჩნდა ყოვლისშემძლე ძალა, რომელიც ცვლის მასობრივ საკომუნიკაციო მოდელს. ეს ძალა არის კომპიუტერის გამოყენება ინფორმაციის დამუშავებისა და ანალიზის სფეროში, მისი სულ უფრო მზარდი განვითარება.


ძველი მოდელი არის ერთი მრავალთაგანი, როდესაც ერთეულები ფლობენ მასობრივ საკომუნიკაციო საშუალებებს, არის ეს ტელევიზია, რადიო თუ გამომცემლობა. ახალმა ტექნოლოგიამ, რომელიც ხასიათდება ტექსტის, აუდიო და ვიდეო-მასალების ციფრული გადაცემით, უკვე შეცვალა ბევრი რამ. აუდიტორიებს ანუ მომხმარებლებს დღეს ადვილად შეუძლიათ თავად გახდნენ ინფორმაციის მიმწოდებლებიც. ვისაც აქვს მოდემი, კომპიუტერი და სატელეფონო ხაზი, შეუძლია გახდეს გამომცემელი, რომელიც განათავსებს ინტერნეტში სასურველ ინფორმაციას. ეს უკვე არის ახალი ტიპის საკომუნიკაციო მოდელი. შეცდომა იქნებოდა ძველი მოდელის ტოტალური მოსპობა ახლის საკეთილდღეოდ. ამ შემთხვევაში გამოყენებული უნდა იქნას ორივე მოდელის საუკეთესო მხარეები.

რადგან ცვლილებები მასობრივ საკომუნიკაციო სისტემებში უსწრაფესად ვითარდება, ადამიანები მას ტექნოლოგიურ, ანუ საინფორმაციო რევოლუციას უწოდებენ. თუმცა, ჩვენ რეალურად ვდგამთ ნაბიჯს ევოლუციურ პროცესში – ზეპირსიტყვიერებიდან და ლიტერატურიდან ტოტალური კომპიუტერიზაციისაკენ. თუ ჩვენ დავუშვებთ, რომ წერა არის ტექნოლოგიის ერთ-ერთი ფორმა, მაშინ უნდა დავუშვათ, რომ ელექტრონული გამოცემები, კერძოდ, ინტერნეტ-გაზეთები წარმოადგენენ კომუნიკაციის სხვა ტექნოლოგიურ გზას.

იყენებენ რა კომპიუტერულ ტექნოლოგიას ინფორმაციის წარმოებისა და გავრცელებისათვის, ელექტრონულმა გაზეთებმა დააკავშირა ორივე ძველი (ლიტერატურული – ბეჭდური) მოდელი ახალთან (კომპიუტერიზირებული – ციფრული) და შექმნა ახალი ჰიბრიდი – სუპერსაკომუნიკაციო მოდელი.

რეკომენდაციები საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისათვის

როგორც ვნახეთ, გაზეთების ციფრული არქივები გამოირჩევიან მრავალფეროვნებით, მაგრამ მაინც იკვეთება სამი ტიპის არქივი:



1. მხოლოდ ტექსტური;
2. მხოლოდ გრაფიკული, სადაც მოცემულია საგაზეთო გვერდების ფოტო-ასლების გამოსახულებები, თუმცა ძიება ხორციელდება ფონურ ტექსტებში;
3. ტექსტური, გრაფიკული, ვიდეო და აუდიო-კლიპებით.

განხორციელების სირთულის მიხედვით, ყველაზე იოლია I ტიპი. ვინაიდან აქ მხოლოდ საჭირო ფორმატის ტექსტური მასალის მოპოვებაა აუცილებელი. მე-2 ტიპი შედარებით რთულია ვინაიდან მოითხოვს გაზეთების ფოტო-ასლების მოპოვებას და მათ შესაბამის გრაფიკულ დამუშავებას, რომ არაფერი ვთქვათ საკვანძო სიტყვების მინიჭებაზე, საძიებო ინდექსის შესაქმნელად. რაც შეეხება მე-3 ტიპს, იგი მოითხოვს როგორც ტექსტური, ასევე გრაფიკულ მასალათა განსაკუთრებულ დამუშავებას, აგრეთვე მეტად რთული პროგრამული უზრუნველყოფის შექმნას ან შექმნას, რაც საკმაოდ ძვირადღირებული წამოწყება იქნება, როგორც ადამიანური რესურსების, ასევე ფინანსების მხრივ.

1-ლი ტიპის გაზეთების ციფრული ბიბლიოთეკის შექმნის შემთხვევაში სავსებით მიზანშეწონილია გრინსტოუნის ციფრული ბიბლიოთეკების პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენება. ეს პროდუქტი უკვე ათვისებულია ეროვნულ ბიბლიოთეკაში. აღნიშნული პროგრამული უზრუნველყოფა ფართოდ არის გავრცელებული მსოფლიოში. იგი სპეციალურად შეიქმნა იუნესკოს ეგიდით სხვადასხვა ტიპის ციფრული ბიბლიოთეკების შესაქმნელად. ამ პროდუქტის გამოყენება ეფექტური იქნება და დააჩქარებს გაზეთების ელექტრონული არქივის რეალიზაციის პროცესს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში.

С. ДАТУАШВИЛИ

ИНТЕРНЕТ-ГАЗЕТЫ И ЭПОХА ЭЛЕКТРОННЫХ ИЗДАНИЙ

Резюме

В статье описывается влияние компьютерных технологий в сфере газетных изданий и революционные перемены, вызванные развитием этого процесса. Приводятся примеры крупнейших газетных изданий и электронных архивов в интернете. На основе их обсуждения указываются тенденции превращения традиционной газетной меди в цифровые библиотеки и перспективы будущего.

S. DATUASHVILI

INTERNET NEWSPAPERS AND EPOCH OF DIGITAL PUBLISHING'S

Summary

The article describes the influence of the computerized technologies in the field of newspaper publishing and revolutionary changes caused by evolution of this process. There are cited some examples of the world's greatest newspapers and digital archives on the web. It indicates the global tendencies of transformation of the traditional newspaper media to the digital libraries and perspectives of the future.

თ ე ი მ უ რ ა ზ ჩ ხ ე ნ კ ე ლ ი

საინფორმაციო ტექნოლოგიები მსოფლიოს ეროვნულ ბიბლიოთეკებსა და საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკაში

1. ელექტრონული კატალოგები და მონაცემთა ბაზები

საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახ. ეროვნული ბიბლიოთეკა წარმოადგენს საქართველოს ბიბლიოთეკების მეთოდური ხელმძღვანელობის ცენტრს საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების დარგში და ქვეყნის მოწინავე ბიბლიოთეკას საინფორმაციო რესურსების შექმნისა და გამოყენების თვალსაზრისით. ეროვნული ბიბლიოთეკის ლოკალურ კომპიუტერულ ქსელში 2006 წლის ივლისში 130-ზე მეტი კომპიუტერი იყო, რომელთაგან 90 ჩართული იყო ინტერნეტში. ამასთანავე ა. დიუმას სახ. ფრანგულ მედიათეკაში, ჰუმბოლდტის სახ. გერმანულ სამკითხველო დარბაზში, აირექსის ინტერნეტთან დაშვებისა და სწავლების ცენტრსა და გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში გახსნილ e-კლუბში მკითხველებისთვის ხელმისაწვდომია ინტერნეტი 30-მდე კომპიუტერის გამოყენებით. 2005 წელს ეროვნულ ბიბლიოთეკაში დასრულდა ქართული წიგნების ბარათული კატალოგის რეტროკონვერსია. 2006 წლის 27 ივლისის მონაცემებით ქართული წიგნების შესახებ ბიბლიოგრაფიული ჩანაწერების მთლიანი რაოდენობა 121 856 შეადგენს და განთავსებულია სამ ელექტრონულ კატალოგში: ქართული წიგნი (1629 – 1952), ქართული წიგნები (1953 – 1986) და ქართული წიგნები (1987-დან დღემდე). ეს ელექტრონული კატალოგები შექმნილია იუნესკოს პროგრამული უზრუნველყოფის CDS/ISIS-ის გამოყენებით, ხოლო ინტერნეტში გამოქვეყნებულია WebISIS-ის მეშვეობით. ISIS-ის გამოყენებით შექმნილია 14 ელექტრონული

კატალოგი და მონაცემთა ბაზა, რომელთა ბიბლიოგრაფიული ჩანაწერების საერთო რაოდენობა 350 ათასამდეა, ხოლო მოცულობა - 530 Mb:

მონაცემთა ბაზები	გთხოვთ, ამოირჩიეთ მონაცემთა ბაზა	ჩანაწერები
AMAT - ჟურნალების მატთანე (1939-...)	ქართული ჟურნალების სტატიების მატთანე (1939-...)	68,078
CART - ქართული წიგნები (1987-....)	ქართულენოვანი წიგნების ელექტრონული კატალოგი (1987-....)	28,667
CDROM - კომპაქტ-დისკები	კომპაქტ-დისკების ელექტრონული კატალოგი	2,207
DIS - დისერტაციები	საქართველოში დაცული დისერტაციების ელექტრონული კატალოგი	7,447
GFB - უცხოენოვანი ლიტერატურა	საქართველოში გამოცემული უცხოენოვანი ლიტერატურა	17,110
LEVAN - ქართული წიგნი (1629-1952)	ქართული წიგნის ელექტრონული კატალოგი (1629-1952)	33,887
MICRO - მიკროფორმები	მიკროფორმები	1,531
MUS - სანოტო გამოცემები	სანოტო გამოცემების ელექტრონული კატალოგი	10,080
PERA - ჟურნალების მატთანე (1906-1912)	ქართული ჟურნალების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია (1906-1912)	11,162
RDLIB - საქართველოს პარლამენტის კვლევითი დეპარტამენტის ბიბლიოთეკა (საცდელი ვერსია)	საქართველოს პარლამენტის კვლევითი დეპარტამენტის ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი	12,957
REF - დისერტაციების ავტორეფერატები	1988 წლიდან ეროვნულ ბიბლიოთეკაში შემოსული დისერტაციების ავტორეფერატები	12,548
SATI - გაზეთი '24 საათი' (2004-....)	გაზეთ „24 საათის“ ანალიტიკური მონაცემთა ბაზა (2004-....)	15,129
SER - გაზეთი 'საქართველოს რესპუბლიკა' (1992-2000)	გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ანალიტიკური მონაცემთა ბაზა (1992-2000)	41,022
SER00 - გაზეთი 'საქართველოს რესპუბლიკა' (2001-...)	გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ანალიტიკური მონაცემთა ბაზა (2001-...)	41,413
USSR - ქართული წიგნები (1953-1986)	ქართული წიგნის ელექტრონული კატალოგი (1953-1986)	59,302

WebISIS-ის მეშვეობით ხელმისაწვდომი ელექტრონული კატალოგებისა და მონაცემთა ბაზების მისამართი ინტერნეტში შემდეგია:

<http://www.nplg.gov.ge/ec/changedb.php?lang=ge>

გარდა CDS/ISIS-ისა და WebISIS-ისა ეროვნულ ბიბლიოთეკაში ელექტრონული კატალოგებისა და მონაცემთა ბაზების შესაქმნელად გამოყენებულია MS ACCESS - ქართული გაზეთების ელექტრონული კატალოგი (82 Mb), რომლის მისამართია: <http://www.nplg.gov.ge/paper/start.php> და MySQL - ის მონაცემთა ბაზები: ქართველი

ავტორები (3,7 Mb), მისამართი: <http://www.nplg.gov.ge/authors/> ; კომპიუტერული და საბიბლიოთეკო ტერმინების ინგლისურ-რუსულ-ქართული ლექსიკონი (2,3 Mb), მისამართი: <http://www.nplg.gov.ge/dictionary/>

ყველა ელექტრონულ კატალოგსა და მონაცემთა ბაზაში ჩანაწერების საერთო რაოდენობა 360 ათასს აღემატება, ხოლო მოცულობა - 630 Mb -ს.

ეროვნულ ბიბლიოთეკაში CDS/ISIS-ისა და MS ACCESS -ის გამოყენებით მხოლოდ კატალოგიზაცია ავტომატიზებული და ისიც არასრულყოფილად, ვინაიდან შეუძლებელია საკუთარი სახელებისა და რუბრიკატორის ავტორიტეტული ფაილების გამოყენება, დუბლეტური ჩანაწერების გამოყოფა და ა.შ. მაგრამ ავტორიტეტული ფაილების გამოყენების საშუალება რომც იყოს შესაძლებელი, საკუთარი სახელებისა და რუბრიკატორის ავტორიტეტული ფაილების შექმნა, თავის მხრივ, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისთვის გარკვეულ სამეცნიერო პრობლემას წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ ეს პრობლემა ეროვნული ბიბლიოთეკების უმრავლესობაში დიდი ხანია გადაწყვეტილია, ევროპული ეროვნული ბიბლიოთეკები განაგრძობენ ავტორიტეტული ფაილების სრულყოფას და მრავალენოვან საგნობრივ რუბრიკატორებზე მუშაობას (<http://www.telmemor.net/results.php>). კერძოდ, გერმანიის ეროვნული ბიბლიოთეკა ახორციელებს პროექტს „The CrissCross project”, რომლის ფარგლებში ამყარებს კავშირებს დიუის ათობით კლასიფიკაციასა და რამდენიმე რუბრიკატორს შორის (LCSH, RAMEAU and SWD). აღსანიშნავია, აგრეთვე, გერმანიის ეროვნული ბიბლიოთეკის ვებ-საიტზე სტანდარტების გვერდი (<http://www.ddb.de/eng/standardisierung/index.htm>), საიდანაც ჩანს სტანდარტიზაციის რამდენიმე მიმართულებებია დღეს მათთვის მნიშვნელოვანი:

S t a n d a r d i s a t i o n

Office for Library Standards

- [Survey](#)
- [Selected links](#)
- [Newsletter Standardisierung und Erschließung](#)

Cataloguing codes

- [Development of codes](#)
- [Codes, work tools and drafts](#)

Formats and Interfaces

- [Moving to MARC 21](#)
- [MAB](#)
- [MABxml](#)

Authority files

- [Corporate Body Authority File \(GKD\)](#)
- [Name Authority File \(PND\)](#)
- [Subject Headings Authority File \(SWD\)](#)

Long-term Preservation

- [Long-term preservation metadata for electronic resources \(LMER\)](#)
-

Metadata

- [Metadata](#)
-

Persistent Identifier

- [Persistent Identifier](#)
-

ელექტრონული კატალოგებისა და მონაცემთა ბაზების შესაქმნელად და გამოსაყენებლად, ოთხი პროგრამული პროდუქტის ნაცვლად, უმეტეს ეროვნულ ბიბლიოთეკებს დიდი ხანია დანერგილი აქვთ რომელიმე ერთი ავტომატიზებული ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემა, რომლის მეშვეობითაც, კატალოგიზაციის გარდა, ავტომატიზებულია აგრეთვე ისეთი საბიბლიოთეკო პროცესები, როგორცაა დაკომპლექტება, მკითხველის მომსახურება, სტატისტიკა, მართვა და სხვ. წესისამებრ, ინტეგრირებულ საბიბლიოთეკო სისტემებში გამოიყენება Z39.50 სტანდარტი, რომელიც, MARC ფორმატთან ერთად, ბიბლიოთეკარს ბიბლიოგრაფიული მონაცემების ინტერნეტში გაცვლისა და, შესაბამისად, კორპორაციული კატალოგიზაციის საშუალებას აძლევს. მაგალითად, უცხოური მასალის კატალოგიზაციის დროს ბიბლიოთეკარს შეუძლია თავის ელექტრონულ კატალოგში გადმოიწეროს ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი კონგრესის ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგიდან და დაუმატოს შენახვის შიფრი და უაკის ინდექსი. საქართველოს მასშტაბით კი, მაგალითად, ქუთაისში გამოცემული წიგნი შეიძლება იქვე იყოს კატალოგიზებული და გადმოწერილი ეროვნული ბიბლიოთეკის ელექტრონულ კატალოგში და პირიქით. მთელი მსოფლიოს ბიბლიოთეკები რესურსების ეკონომიის და ხარისხის ამაღლების მიზნით იყენებენ კორპორაციულ კატალოგიზაციას. ეროვნულ ბიბლიოთეკაშიც არსებობს ისეთი პროგრამული პროდუქტი - ProCite, რომელშიც განხორციელებულია Z39.50 სტანდარტის კლიენტის ფუნქცია, ანუ გადმოწერა შეიძლება, მაგრამ ჩვენგან გადაწერა (სერვერის ფუნქცია) - არა. სამწუხაროდ, ProCite ნაწილობრივად იყო გამოყენებული მხოლოდ კომპაქტ-დისკების კატალოგიზაციის დროს. ამჟამად საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში მიმდინარეობს ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემის ИРБИС-ის გამოცდასთან და დანერგვასთან დაკავშირებული სამუშაოები. ИРБИС-ის მოდულების გაქართულება უკვე დაწყებულია, უნდა შემოწმდეს მისი ყველა მოდული რეალურ პირობებთან დაახლოებულ სიტუაციაში და განსაკუთრებით Z-ИРБИС-ის სერვერისა და კლიენტის ფუნქციები. ИРБИС-ის ან სხვა თანამედროვე ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემების დანერგვა საქართველოს მასშტაბით, რომლებშიც დაცულია Z39.50 სტანდარტი, საშუალებას მოგვცემს, კორპორაციულ კატალოგიზაციასთან ერთად, ვაწარმოთ საბიბლიოთეკო მასალების შეერთებული კატალოგები ინტერნეტის გამოყენებით. ИРБИС-ის ელექტრონულ კატალოგში შესაძლებელი იქნება ბმულების ჩასმა შესაბამის ვებ-დოკუმენტებზე. CDS/ISIS-ის კატალოგებში ჩვენი ბიბლიოთეკა იყენებს UNIMARC-ს, ბიბლიოგრაფიული ჩანაწერების კომპიუტერულ საერთაშორისო სტანდარტს, გარკვეული დარღვევებით. ჩვენი CDS/ISIS-ის ელექტრონული კატალოგების ИРБИС-ის ელექტრონულ კატალოგში გადატანა (CDS/ISIS-ის იმპორტ-ექსპორტის ფუნქციით, რომელშიც

დაცულია ბიბლიოგრაფიული მონაცემების მაგნიტურ მატარებლებზე გაცვლის ISO2709 საერთაშორისო სტანდარტი) გამოასწორებს ამ დარღვევებს. რაც შეეხება MS ACCESS-ში ქართული გაზეთების ელექტრონულ კატალოგს, რომელშიც არც UNIMARC-ის ჭდეებია და არც სტანდარტული იმპორტ-ექსპორტის ფუნქცია, მისი გადატანისთვის ИРБИС-ში საჭირო იქნება სპეციალური პროგრამის დაწერა. თბთუ-ისთვის არსებობს MARC21-ში კონვერტირების პროგრამა, რომელიც გაცილებით უფრო გავრცელებული სტანდარტია მსოფლიოში, ვიდრე UNIMARC-ი. კარგი იქნებოდა, რომ ИРБИС-ის დახმარებით შეგვძლებოდა ჩვენი ელექტრონული კატალოგის ბიბლიოგრაფიული ჩანაწერების გამოტანა მომხმარებლისთვის 4 სახით: ტრადიციული ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის, UNIMARC-ისა და MARC21-ის ჭდეებიანი ჩანაწერების და აგრეთვე ისეთი ჩანაწერის სახით, რომელშიც მოყვანილი იქნებოდა ველების დასახელებები.

ინტეგრირებული ავტომატიზებული საბიბლიოთეკო სისტემები 25 წელიწადზე მეტია რაც არსებობს და სხვა ეროვნულმა ბიბლიოთეკებმა უკვე მათი რამდენიმე თაობა გამოიყენეს. რაც შეეხება ელექტრონულ ბიბლიოთეკებს, მათი მასობრივი დანერგვა ეროვნულ ბიბლიოთეკებში თითქმის 10 წელიწადია რაც დაიწყო. ამჟამად სხვა ეროვნული ბიბლიოთეკების მთელი ძალისხმევა მიმართულია ელექტრონული ბიბლიოთეკებისა და ეროვნული ინტერნეტ არქივების განვითარებისკენ, ჩვენ კი გვიხდება, აგრეთვე, მესამე მიმართულების სერიოზული მხარდაჭერა: საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, ბოლოს და ბოლოს, უნდა დაინერგოს პირველი ინტეგრირებული ავტომატიზებული საბიბლიოთეკო სისტემა. მართალია, რამდენიმე წლის შემდეგ იგი მოძველდება, მაგრამ მისი შეცვლა შემდეგი თაობის სისტემით გაცილებით უფრო ადვილი იქნება.

2. ელექტრონული ბიბლიოთეკები მსოფლიოში

2003 წლის იუნესკოს გენერალურ კონფერენციაზე მიიღეს „ციფრული მემკვიდრეობის დაცვის ქარტია“ [1], რომლის თანახმად ციფრული მემკვიდრეობა შედგება ადამიანის ცოდნისა და შემოქმედების გამოსახვის უნიკალური რესურსებისგან. იგი მოიცავს ტექსტებს, მონაცემთა ბაზებს, უძრავ და მოძრავ გამოსახულებებს, ხმოვან და გრაფიკულ ფაილებს, პროგრამულ უზრუნველყოფასა და ვებ-გვერდებს. ციფრული მემკვიდრეობის დაცვის მიზანია მისი საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. არსებობს საფრთხე, რომ მსოფლიოს ციფრული მემკვიდრეობა დაიკარგოს შთამომავლობისთვის. ამის რეალური მიზეზებია ციფრული მემკვიდრეობის შენარჩუნებისთვის აუცილებელი კომპიუტერული ტექნიკისა და პროგრამული უზრუნველყოფის სწრაფი მორალური მოძველება, მემკვიდრეობის შემადგენელი საინფორმაციო რესურსების განუსაზღვრელობა, გაურკვეველობა ამ რესურსების დაცვისა და შენახვის მეთოდებსა და პასუხისმგებლობაში, ციფრული მემკვიდრეობის მხარდამჭერი კანონმდებლობის უქონლობა.

2005 წელს კონგრესის ბიბლიოთეკის დირექტორმა ჯეიმს ბილინგტონმა წამოაყენა „მსოფლიო ციფრული ბიბლიოთეკის შექმნის წინადადება“ [2], რომლის თანახმად, კულტურის ნიმუშების ის მდიდარი მარაგი, რომელიც ამერიკულ ორგანიზაციებშია დაცული, მსოფლიო ციფრული ბიბლიოთეკის მეშვეობით უფასოდ დაუბრუნდება მსოფლიოს ახალი ფორმით, რომლითაც უზრუნველყოფილია გაცილებით უფრო უნივერსალური და საყოველთაო ხელმისაწვდომობა ვიდრე ოდესმე ყოფილა. აშშ დაინტერესებულია მსოფლიო ციფრული ბიბლიოთეკის შექმნით, რადგან ამერიკა

თვითონ არის მსოფლიო ცივილიზაცია, რომლის მოქალაქეთა შორის უნიკალურად არის წარმოდგენილი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი მსოფლიოს ყველა კუთხიდან. ჯეიმს ბილინგტონის აზრით, მსოფლიო ციფრული ბიბლიოთეკის აგებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანია ორი პრობლემის გადაწყვეტა: 1) როგორ დავიცვათ სწორი ბალანსი საავტორო უფლებების დაცვასა და ინტერნეტში მასალების მაქსიმალურ ხელმისაწვდომობას შორის; 2) როგორ შევქმნათ მეტამონაცემები (კატალოგიზაციის ქსელური ექვივალენტი) და ინტეროპერაბულობა (სხვადასხვა ნაწილებისგან შემდგარი სისტემის უნარი იმუშაოს ავტომატურად, რაც შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სისტემის ნაწილები აკმაყოფილებენ მიღებულ სტანდარტებს - განმარტებულია ინტერნეტის ცნობილ ლექსიკონში - <http://www.netlingo.com/lookup.cfm?term=interoperability>).

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ელექტრონული ბიბლიოთეკები სხვადასხვა მიზანს ემსახურებიან, კერძოდ, მთელი ეროვნული დოკუმენტური კულტურული მემკვიდრეობის (მათ შორის იშვიათი გამოცემების, დაზიანებული საბიბლიოთეკო მასალების, ხშირად მოთხოვნადი გამოცემების, მცირეტირაჟიანი გამოცემების და სხვათა) გაციფრებას, შენახვას, დაცვასა და მასთან ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, ახალი ბეჭდური გამოცემების ვირტუალური გამოფენის შექმნას მოსახლეობის ინფორმირებისა და გამომცემელთა დაინტერესების მიზნით, ბეჭდური გამოცემების ელექტრონული არქივისა და საძიებო სისტემის შექმნას, ქართული ინტერნეტის ელექტრონული არქივისა და საძიებო სისტემის შექმნას, რაც შეიძლება მეტი კატეგორიის მკითხველთა საინფორმაციო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, მოსახლეობის გარკვეული ნაწილის განათლების დონის ამაღლებას გარკვეულ საკითხებში (მაგ., სამოქალაქო განათლება), მსოფლიო ციფრულ ბიბლიოთეკაში ღირსეული ადგილის დაკავებასა და ეროვნული კულტურის წარმოჩენას, საქართველოს ინტერესების დაცვას ვირტუალურ სამყაროში და ა.შ. ცხადია, რომ ამ მიზნების მიღწევას ეროვნული ბიბლიოთეკა მხოლოდ საკუთარი რესურსებით ძალიან დიდ დროს მოანდომებს. ამიტომაც მნიშვნელოვანია ციფრული ბიბლიოთეკების შექმნაში ეროვნული ბიბლიოთეკის მხარდაჭერა ფართო საზოგადოებრიობის მიერ, მათ შორის საქმიანი წრეებისა და სხვა ორგანიზაციების, გამომცემლობებისა და ავტორების მიერ.

მსოფლიოში ელექტრონული ბიბლიოთეკების გავრცელებას ხელი არ შეუშლია ბეჭდური პროდუქციის ზრდისათვის, მიუხედავად იმისა, რომ შესაბამის ინფორმაციულ-საკომუნიკაციო გარემოს არსებობის შემთხვევაში, ელექტრონულ ბიბლიოთეკას შემდეგი უპირატესობები აქვს: 1. ვირტუალური წიგნი ყოველთვის, ყველგან და სხვადასხვა ფორმით არის ხელმისაწვდომი; 2. ელექტრონულ ბიბლიოთეკაში საჭირო წიგნის მონახვა გაცილებით უფრო ეფექტური ხერხებით შეიძლება როგორც ავტორით, სათაურით, საგნობრივი რუბრიკით, საკლასიფიკაციო ინდექსით და სხვა მეტამონაცემებით, ასევე ელექტრონულ ბიბლიოთეკაში შემავალი ყველა ნაწარმოების სრულ ტექსტში სიტყვების ძებნით; 3. ერთი ვირტუალური წიგნი ერთდროულად შეიძლება იკითხოს ბევრმა მკითხველმა; 4. ერთ ელექტრონულ ბიბლიოთეკაში შეიძლება ჩართული იქნეს სხვადასხვა სახის ნაწარმოებები - წერილობითი, მუსიკალური, ფერწერული, გრაფიკული, გახმოვანებული ტექსტები, კინო და სხვა; 5. საერთაშორისო სტანდარტებით შექმნილ ელექტრონულ ბიბლიოთეკას ადვილად შეუძლია გაუზიაროს (გადააწერინოს) სხვა ანალოგიურ ბიბლიოთეკას თავისი შენახვის ერთეულები, ანუ უზრუნველყოს ინტეროპერაბულობა; 6. ელექტრონული ბიბლიოთეკის წყალობით, მნიშვნელოვნად

იზრდება შესაბამისი ბეჭდური გამოცემის დაცულობა და ა.შ. მეორე მხრივ, ბეჭდურ გამოცემებს აქვს და ყოველთვის ექნება უპირატესობა ელექტრონულ გამოცემებთან შედარებით, რაც, პირველ რიგში, იმაში მდგომარეობს, რომ წიგნის კითხვას არ სჭირდება თანამედროვე ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება.

საერთაშორისო გამოცდილების თანახმად [3] ციფრული კოლექციის შექმნა გარკვეული გეგმის მიხედვით უნდა ხორციელდებოდეს:

1. განისაზღვროს ციფრული კოლექციის შექმნის მიზანი, საჭიროება და მომხმარებელთა საინფორმაციო მოთხოვნები;

2. შეირჩეს ციფრულ კოლექციაში შესატანი მასალები სარედაქციო კოლეგიის მიერ, ჩამოიწეროს შერჩეული მასალების ნუსხა, შემოწმდეს და დახასიათდეს მათი ფიზიკური მდგომარეობა, განისაზღვროს გვერდების საერთო რაოდენობა;

3. შემოწმდეს შერჩეული მასალები საავტორო უფლებების არსებობაზე, საჭიროების შემთხვევაში, საავტორო უფლებების მფლობელებისგან მიღებულ უნდა იქნეს ნებართვა გამოცემის გაციფრებისა და გაციფრებული მასალით მკითხველთა მომსახურებაზე;

4. განისაზღვროს მოთხოვნები გაციფრებული მასალის ხარისხის მიმართ და შესაბამისად, სკანერებისა და სიმბოლოების ოპტიკური ამოცნობის პროგრამის (OCR) პარამეტრები;

5. განისაზღვროს ციფრული მასალების ფორმატები: რა ფორმატში უნდა იყოს ციფრული მასალა ხელმისაწვდომი მკითხველისთვის და რა ფორმატში უნდა იყოს დაცული ელექტრონულ არქივში; როდესაც მასალა ციფრული სახითაა, საჭიროა თუ არა მისი კონვერტაცია დადგენილ ფორმატებში;

6. განისაზღვროს ელექტრონული დოკუმენტების კატალოგიზაციის (ბიბლიოგრაფიული აღწერილობის, კლასიფიკაციისა და საგნობრივი რუბრიკაციის) წესები, ანუ ელექტრონული დოკუმენტებისთვის მეტამონაცემების მიწერის წესები;

7. ჩამოყალიბდეს მოთხოვნები ელექტრონული ბიბლიოთეკის პროგრამული უზრუნველყოფის მიმართ და მიღებულ იქნას გადაწყვეტილება შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის შეძენის, ოპენ სორსის (ან თუნდაც უფასოს) გამოყენების, ან საკუთარის შექმნის შესახებ;

8. მიღებულ იქნას გადაწყვეტილება სკანერებისა და გაციფრებასთან დაკავშირებული სხვა კომპიუტერული ტექნიკის შეძენის თაობაზე ან გაციფრების მთელი სამუშაოს გარეშე ორგანიზაციისთვის შეკვეთის შესახებ;

9. გაციფრებასთან დაკავშირებული სამუშაოების შესასრულებლად. მოხდეს თანამშრომლების გამოყოფა და გადამზადება

მხოლოდ ამ 9 მოსამზადებელი პუნქტის შესრულების შემდეგ უნდა დაიწყოს

საკუთრივ გაციფრებისა და ციფრული კოლექციის შექმნის პროცესი:

10. შერჩეული მასალების გაციფრებისთვის მომზადება, სკანირება, სკანირების ხარისხის შემოწმება, თუ საჭიროა გატექსტება OCR-ის საშუალებით, გატექსტებული მასალის კორექტირება და ხარისხის შემოწმება;

11. მეტამონაცემების მიწერა ანუ გაციფრებული მასალების კატალოგიზაცია და კატალოგიზაციის ხარისხის შემოწმება;

12. ციფრული კოლექციის შექმნა შერჩეული პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით;

13. ციფრული კოლექციის ინტერნეტში განთავსება სპეციალურ საიტზე და, მოთხოვნილების მიხედვით, შესაბამისი კომპაქტ-დისკის გამოცემა;

14. ციფრული კოლექციის ელექტრონულ არქივში ჩართვა.

ელექტრონული ბიბლიოთეკის წარმოებისათვის აუცილებელია, რომ თითქმის ყველა ზემოთ დასახელებული პუნქტისთვის შედგეს ზუსტი ინსტრუქცია ან დოკუმენტაცია, რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ ბიბლიოთეკის შესაბამისმა თანამშრომელმა.

2006 წელს საქართველო გახდა ევროპული საერთაშორისო ორგანიზაციის „ევროპის ეროვნული ბიბლიოთეკების დირექტორების კონფერენციის“ (CENL) წევრი, რომლის საქმიანობის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს ევროგაერთიანებაში შემავალი ქვეყნების საერთო ელექტრონული ბიბლიოთეკის შექმნა და ჩვენც, იმედი გვაქვს, შევიტანთ წვლილს ამ დიდ საქმეში.

ელექტრონული ბიბლიოთეკების შექმნის თეორიული საფუძვლები ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე ჩამოყალიბებული. მეცნიერული კვლევის საგნად რჩება საავტორო უფლებების მორგება ვირტუალურ სამყაროსთან, ინტეროპერაბულობის უზრუნველყოფა სტანდარტების სრულყოფის მეშვეობით, ციფრული მასალების აღწერილობის ერთიანი სტანდარტის შემუშავება, დინამიკური მონაცემებისა და მონაცემთა ბაზების ელექტრონული არქივების შექმნა, ციფრული მასალების სხვადასხვა ფორმატში დაცვის სასიცოცხლო ციკლის შეფასება და მრავალი სხვა [2: 4]. მიუხედავად ამისა, მას შემდეგ რაც „მსოფლიო აბლაბუდამ“ საყოველთაოდ დაიმკვიდრა ადგილი ყოველდღიურ ცხოვრებაში, გაციფრება, ელექტრონული ბიბლიოთეკების შექმნა და მათი ინტერნეტში გამოქვეყნება მთელი მსოფლიოს ბიბლიოთეკებში მასობრივად მიმდინარეობს. ამან წარმოქმნა შესაბამისი კვალიფიკაციის სპეციალისტების მწვავე დეფიციტი, რომლის გადასალახავად შეიქმნა ონლაინ სახელმძღვანელოები [3, 5, 6] და კვალიფიკაციის ამაღლების კურსები [7]. წინამდებარე მიმოხილვა ეყრდნობა სწორედ ზემოთ დამოწმებულ კორნელის უნივერსიტეტის ორ სახელმძღვანელოს, რომლებიც, ბრიტანეთის ბიბლიოთეკის ცნობით [4], ტირაჟირებულია მთელ ევროპაში, და გაეროს საკვებისა და სოფლის მეურნეობის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ შექმნილ სახელმძღვანელოს, რომელიც რეკომენდებულია აგრეთვე იუნესკოს მიერ. მიუხედავად ამ სახელმძღვანელოების საერთაშორისო აღიარებისა, ისინი მაინც არ შეიცავენ დეტალურად ელექტრონული ბიბლიოთეკების შექმნის ყველა თანამედროვე ასპექტს, მაგალითად „კონტენტ მენეჯმენტ სისტემების“ ადგილს ელექტრონული ბიბლიოთეკების შექმნისას. თითოეულ მათგანში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საავტორო უფლებების დაცვის საკითხებს, მაგრამ ამაზე აქ არ იქნება საუბარი.

3. ელექტრონული ბიბლიოთეკის ფუნქციონალური კომპონენტები

ელექტრონულ ბიბლიოთეკას ტრადიციული ბიბლიოთეკის მსგავსი ფუნქციონალური კომპონენტები აქვს [3]: დაკომპლექტება და დამუშავება, კატალოგიზაცია, საძიებლების (ინდექსების, კატალოგების) წარმოება, შენახვა და დაცვა, ძებნა და გაცემა, ხელმისაწვდომობა ვებ-საიტით, ქსელური მომსახურება და მართვა.

დაკომპლექტება და დამუშავება შეიცავს დოკუმენტების შერჩევას, საპრეზენტაციო და დაცვის ფორმატების შერჩევას, დოკუმენტების ციფრული ვარიანტების მიღებას სხვადასხვა გზით (სკანირებისთვის მომზადება, სკანირება,

სკანირების ხარისხის შემოწმება, გატექსტება სიმბოლოების ოპტიკური ამოცნობის პროგრამის საშუალებით, ინტერნეტიდან გადმოწერა, გამომცემლებისგან და ავტორებისგან მიღება და ა.შ.), საჭიროების შემთხვევაში გადაყვანა შერჩეულ ფორმატებში.

კატალოგიზაცია წარმოადგენს ელექტრონული დოკუმენტისთვის მეტამონაცემების მიწერას რომელიმე საერთაშორისო სტანდარტის, მაგალითად, Dublin Core (დაბლინ კორის) მიხედვით.

სადიებლების წარმოება გულისხმობს სხვადასხვა სახის (ავტორების, სათაურების, თემების, თარიღების და სხვ.) ინდექსების შექმნას, რომლებიც წარმოადგენენ დოკუმენტების ძებნის უძველეს საშუალებას.

შენახვა და დაცვა გულისხმობს მიღებული ციფრული მასალის დაცვას კომპიუტერის მეხსიერებაში სხვადასხვა ფორმატებში, რომლებიც უზრუნველყოფენ ციფრული მასალების შენახვას, ძებნას, გაცემას და „ხელუხლებელ“ არქივებში დაცვას. ამისათვის გათვალისწინებულ უნდა იქნეს სხვადასხვა სახის „კომპიუტერული საცავები“, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია სერვერები.

ძებნისა და გაცემის ქვესისტემა წარმოადგენს უშუალოდ მომხმარებლის ინტერფეისს, რომლის გამოყენებითაც მომხმარებელი ეძებს, ათვალიერებს და იღებს ელექტრონულ ბიბლიოთეკაში შეტანილ მასალას.

ელექტრონული ბიბლიოთეკის ვებ-საიტი წარუდგენს მომხმარებელს ინტერნეტში ელექტრონულ ბიბლიოთეკას და წარმოაჩენს ელექტრონული ბიბლიოთეკის მომსახურების შესაძლებლობებს.

ქსელური მომსახურება განსაზღვრავს ელექტრონული ბიბლიოთეკის სხვადასხვა ნაწილების გამოყენებას ან ადგილზე, ორგანიზაციის კომპიუტერულ ქსელში ინტრანეტით ან მსოფლიო ქსელში - ინტერნეტით.

ელექტრონული ბიბლიოთეკის მართვის ქვესისტემა შეიცავს გამოყენების სტატისტიკის ანალიზს, ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის უზრუნველყოფას, ქსელურ უსაფრთხოებას, ფასიანი მომსახურების ასპექტებს და ა.შ.

4. ელექტრონული დოკუმენტების კატალოგიზაცია

კონგრესის ბიბლიოთეკისთვის დაწერილ კოლექტიურ ნაშრომში [8] „გაციფრების სტრატეგია კონგრესის ბიბლიოთეკაში“ დამტკიცებულია, რომ ნებისმიერი გამოცემის ან საინფორმაციო მასალის (ბეჭდური იქნება იგი თუ ელექტრონული) ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ყველაზე ეფექტური საშუალებაა მისი კატალოგიზაცია. ეს ძალიან ძვირადღირებული პროცესია - ერთი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის შედგენა MARC ფორმატში კონგრესის ბიბლიოთეკას უჯდება 50-დან 110 დოლარამდე. ბიბლიოგრაფიული აღწერილობის საერთაშორისო სტანდარტები (ISBD) სწორედ იმიტომ იქნა შემოღებული, რომ სხვადასხვა ქვეყნის ბიბლიოთეკებს შესძლებოდათ ბიბლიოგრაფიული ჩანაწერების გაცვლა საკატალოგო ბარათებით და ამ გზით გაიაფებულიყო კატალოგიზაცია. ამ სტანდარტებში მიღებული ბიბლიოგრაფიული მონაცემების (ანუ მეტამონაცემების) განლაგება და სასვენი ნიშნები გასაგებს ხდიდა ნებისმიერი ქვეყნის ბიბლიოთეკარისთვის სხვადასხვა ენაზე შედგენილ საკატალოგო ბარათს. კომპიუტერულ კატალოგიზაციაზე გადასვლის შემდეგ MARC ფორმატი გახდა არა მხოლოდ მეტამონაცემების გაცვლის ფორმატი, არამედ MARC ფორმატის ველებმა, ქვეველებმა და ჭდეებმა შეცვალეს ISBD-ს მეტამონაცემების განლაგებისა და სასვენი ნიშნების ენა. საკატალოგო ბარათი ელექტრონული კატალოგიდან ავტომატურად იბეჭდება. ამჟამად MARC ფორმატის

ბიბლიოგრაფიული ჩანაწერების გაცვლა ხდება ელექტრონული კატალოგიდან ელექტრონულ კატალოგში Z39.50 სტანდარტის გამოყენებით. კატალოგიზაციის გაიაფების მიზნით შექმნილია კორპორაციული კატალოგიზაციის ცენტრები, როგორცაა, მაგალითად OCLC. MARC ფორმატი ძალიან დიდი (400-ზე მეტი ველი და ქვეველი) და შრომატევადი სტანდარტია, ხოლო ელექტრონული გამოცემების რაოდენობა ინტერნეტში გაცილებით მეტი სისწრაფით იზრდება ვიდრე ბეჭდურის. ეს გარემოება კიდევ უფრო აძლიერებს სწრაფვას ვებ-დოკუმენტების კატალოგიზაციის გაიაფებისკენ. ამ მიზნით OCLC-ში 1994 წელს შეიქმნა ვებ-დოკუმენტების კატალოგიზაციის მარტივი სტანდარტი დაბლინ კორი (Dublin Core), რომელშიც გათვალისწინებულია ვებ-დოკუმენტების არამდგრადი ხასიათი და სადაც თავდაპირველად სულ 15 ელემენტი იყო (მოგვიანებით მათ დამატათ კვალიფიკატორები და სხვა ელემენტები). მაგრამ დარჩა ორი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც შეადგენს კატალოგიზაციის ყველაზე ინტელექტუალურ ნაწილს: 1. ვებ-დოკუმენტისთვის შესაბამისი საკლასიფიკაციო ინდექსისა და საგნობრივი რუბრიკის მიწერა; 2. საკუთარი სახელების სისწორის კონტროლი და სხვადასხვა სახით ჩაწერილი სახელების ნორმატიული სახელით შეცვლა ავტორიტეტული ფაილების გამოყენებით. ამ ამოცანის გაიაფება შესაძლებელია ორი გზით: 1. კორპორაციული კატალოგიზაციით (OCLC-ის პროექტი - CORC) ან 2. კატალოგიზაციით პუბლიკაციაში ვებ-დოკუმენტის შემქმნელის მიერ (რომელიც საკუთარ სახელებსაც სწორად დაწერს, თუ იქნა შესაბამისი ავტორიტეტული ფაილი, და საკლასიფიკაციო ინდექსსა და საგნობრივ რუბრიკასაც კარგად მიუწერს, თუ მისთვის ხელმისაწვდომი იქნა საკლასიფიკაციო სისტემა და საგნობრივი რუბრიკატორი). მეორე გზა მიღებულია ელექტრონული ბიბლიოთეკების თანამედროვე პროგრამულ პროდუქტებში, მათ შორის გრინსტოუნში. მიუხედავად იმისა, რომ ელექტრონული დოკუმენტების კატალოგიზაცია დღეისათვის, უმეტესწილად, მიმდინარეობს დაბლინ კორის სტანდარტით, უკვე დაწყებულია მუშაობა ახალ სტანდარტზე სახელწოდებით „Resource Description and Access“, რომელმაც ერთდროულად უნდა შეცვალოს დაბლინ კორიც და, მთელ მსოფლიოში გავრცელებული, ბეჭდური გამოცემების ანგლო-ამერიკული საკატალოგიზაციო წესები [9]. ამჟამად კი ელექტრონული ბიბლიოთეკების ცნობილი პროგრამული უზრუნველყოფათა უმეტესობა იყენებს დაბლინ კორს ან მის ვარიანტებს.

5. ელექტრონული ბიბლიოთეკები ეროვნულ ბიბლიოთეკაში

წინამდებარე ნაშრომის დაწერის დროისთვის საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში სამი ელექტრონული ბიბლიოთეკა არსებობს, ამავე დროს, მიმდინარეობს მათი რეკონსტრუქცია, რომელიც 2006 წლის ბოლოს დასრულდება. ჩვენ მოკლედ აღვწერთ ამ სამ ელექტრონულ ბიბლიოთეკას ისე, რა სახითაც არსებობდნენ ისინი 2006 წლის ივლისისთვის და ვინც მომავალ წელს მაინც მოისურვებს მათ ხილვას ამ სახით, შეუძლია მიმართოს ინტერნეტ-არქივს: <http://www.archive.org/index.php>

სამწუხაროდ, ამ არქივში საქართველოს (და არა მარტო საქართველოს) ინტერნეტი სრულად არ არის წარმოდგენილი, ამიტომ თითქმის ყველა ქვეყნის ეროვნული ბიბლიოთეკა თავად ქმნის ეროვნული ინტერნეტის ელექტრონულ არქივს.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საიტზე ელექტრონული რესურსების განყოფილებაში არსებობს რუბრიკა „ელექტრონული ბიბლიოთეკა“, რომელშიც მოცემულია შემდეგი ბმულები:

ელექტრონული ბიბლიოთეკა

- o ციფრული ბიბლიოთეკა
- o ქართული კლასიკური ლიტერატურის ანთოლოგია
- o სამოქალაქო განათლება
- o კავკასიოლოგთა საერთაშორისო ასოციაცია

კავკასიოლოგთა საერთაშორისო ასოციაციის საიტი შექმნილია ძირითადად ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომლების მიერ ისევე, როგორც ქართული ინტერნეტის ვებ-ცნობარი და საძიებო სისტემა <http://www.geres.ge/>.

„ციფრულ ბიბლიოთეკაში“ არსებობს ბმული „ელექტრონული ბიბლიოთეკა 2006“, რომელსაც მივეყვართ საგნობრივ რუბრიკატორამდე. ეს არის სწორედ ციფრული ბიბლიოთეკა საგნობრივი საძიებლით, რომელშიც ჩართულია ძირითადად ქართველი ავტორების 100-მდე ნაწარმოები ქართულ ენაზე და ზოგი მათგანის თარგმანები რუსულ და ინგლისურ ენებზე. ამ ციფრული ბიბლიოთეკის საერთო მოცულობაა 452 Mb.

მეორე ელექტრონული ბიბლიოთეკა „ქართული კლასიკური ლიტერატურის ანთოლოგია“ წარმოადგენს გრინსტოუნის ციფრული ბიბლიოთეკის პროგრამულ უზრუნველყოფაში შექმნილ ქართველი 93 მწერლის რჩეული 2500 ნაწარმოების სრულტექსტოვან ელექტრონულ ბიბლიოთეკას. იქვე არის შეტანილი ავტორების ბიოგრაფიები და სურათები. გრინსტოუნის ციფრული ბიბლიოთეკის პროგრამული უზრუნველყოფა აკმაყოფილებს ელექტრონული ბიბლიოთეკების თითქმის ყველა საერთაშორისო სტანდარტს და რეკომდებულია იუნესკოს მიერ. მისი ინტერფეისი გაქართულებულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში. „ქართული კლასიკური ლიტერატურის ანთოლოგიის“ ელექტრონულ ბიბლიოთეკას აქვს ავტორების, სათაურების და საუკუნეების საძიებლები. გარდა ამისა, მასში ძებნა შესაძლებელია სიტყვებით და ფრაზებით, რომლებიც ძებნის შედეგებში მონიშნულია. მეორე ელექტრონული ბიბლიოთეკის საერთო მოცულობაა 1886 Mb.

მესამე ელექტრონული ბიბლიოთეკა „სამოქალაქო განათლება“ შექმნილია MS ACCESS-ის გამოყენებით. მასში შესულია სამოქალაქო განათლების დარგში 247 ავტორის 388 წიგნის გარეკანის გამოსახულება და ბიბლიოგრაფიული აღწერილობა, ხოლო ზოგი ნაწარმოები ავტორებმა თვითონ შემოიტანეს ციფრულ ფორმატში. ამ ელექტრონულ ბიბლიოთეკაში განთავსებულია აგრეთვე ადამიანის უფლებების ინგლისურ-ქართული ლექსიკონი. გარდა ამისა, იქ შესულია 83 სტატია სხვადასხვა გაზეთებიდან ვარდების რევოლუციის შესახებ. მესამე ელექტრონული ბიბლიოთეკის საერთო მოცულობაა 13 Mb.

ელექტრონული ბიბლიოთეკებისთვის შექმნილია მართვის სისტემები, მაგალითად, MIT-ის DSpace, OCLC-ის CONTENTdm და ExLibris-ის Digitool, რომლებიც ეფუძნებიან კონტენტ მენეჯმენტ სისტემების იდეოლოგიას. მსგავსი სისტემები უკვე ფართოდ გამოიყენება ელექტრონული ბიბლიოთეკების აგებისას. ამიტომ მომავალში ჩვენც მოგვიწევს ანალოგიური სისტემის შესწავლა და დანერგვა.

ელექტრონული ბიბლიოთეკების განვითარება კულტურული მემკვიდრეობის გადარჩენის თვასაზრისით საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დამოკიდებულია ძვირადღირებული უკონტაქტო სკანერისა და სპეციალური სერვერების შეძენაზე, რაც საშუალებას მოგვცემს შევქმნათ ელექტრონული არქივები და ციფრული ბიბლიოთეკები კულტურული მემკვიდრეობის ისეთი მასალებისთვის,

როგორცაა ძველი გაზეთები და ჟურნალები, ძველი და იშვიათი წიგნები, მასალები საქართველოს კულტურის ძეგლების შესახებ, პლაკატები და ფოტოსურათები, რუკები და ა.შ.

თანამედროვე გამოცემების ელექტრონული არქივებისა და ციფრული ბიბლიოთეკების განვითარება კი დამოკიდებულია საკანონმდებლო ბაზაზე, კერძოდ, სავალდებულო ეგზემპლარის ახალი კანონის მიღებაზე და თანამშრომლობაზე გამომცემლობებთან და ავტორებთან ურთიერთდა-ინტერესების საფუძველზე. ევროპული საერთაშორისო ორგანიზაციის „ევროპის ეროვნული ბიბლიოთეკების დირექტორების კონფერენციის“ 2005-2008 წლების სტრატეგიული გეგმის მე-5 მიზანს წარმოადგენს სწორედ გამომცემლებთან თანამშრომლობის დამყარება [10]. ამასთანავე, დეპოზიტური დაცვის მიზნით, 2005 წელს მიღებულია დოკუმენტი ელექტრონული გამოცემების ნებაყოფლობით გადაცემის შესახებ ეროვნული ბიბლიოთეკებისთვის, ან ეროვნული მემკვიდრეობის დამცველი სხვა ორგანიზაციებისთვის [11].

T. ЧХЕНКЕЛИ

**ИНФОРМАЦИОННЫЕ ТЕХНОЛОГИИ В НАЦИОНАЛЬНЫХ БИБЛИОТЕКАХ МИРА И В
НАЦИОНАЛЬНОЙ ПАРЛАМЕНТСКОЙ БИБЛИОТЕКЕ
ГРУЗИИ ИМ. И. ЧАВЧАВАДЗЕ**

Резюме

В работе рассмотрены вопросы применения информационных технологий в национальных библиотеках вообще и, в частности, в Национальной Парламентской библиотеке Грузии (НПБГ). Отмечается, что большинство национальных библиотек уже сменило несколько поколений интегрированных библиотечных систем (ИБС), в то время как НПБГ внедряет такую систему впервые. Несмотря на это, НПБГ создала много баз данных и электронных каталогов, а также завершила ретроконверсию традиционного каталога грузинских книг с использованием CDS/ISIS и UNIMARC. На пути внедрения ИБС придется решить научную проблему, связанную с разработкой национального рубрикатора с переходами рубрик в используемые во всем мире рубрикаторы, а также с созданием авторитетных файлов рубрикатора, собственных имен и наименований организаций.

Подробно описана мировая передовая методология создания электронных библиотек. Рассмотрены позиции ЮНЕСКО и Библиотеки конгресса о цифровом наследии. Показана важность каталогизации электронных документов и сотрудничества библиотек с владельцами авторских прав.

T. CHKHENKELI

**INFORMATION TECHNOLOGIES IN THE WORLD NATIONAL LIBRARIES AND IN THE
NATIONAL PARLIAMENTARY LIBRARY OF GEORGIA**

Summary

The implementation of Information Technologies in national libraries, and particularly in the National Parliamentary Library of Georgia (NPLG), is considered in the work. Most national libraries already changed several generations of Integrated Library System (ILS), whereas the NPLG only now implements ILS. Nevertheless the NPLG created many electronic catalogues and databases using various software. It also completed retroconversion of manual catalogues of Georgian books using CDS/ISIS and UNIMARC. Implementation of ILS poses a problem of authority files for names, corporate bodies and subject headings.

The world's best methodology of creation of digital libraries is described. UNESCO and Library of Congress positions on digital heritage are considered. The importance of cataloging digital documents and libraries' collaboration, with copyright owners, is shown.

ლიტერატურა - ЛИТЕРАТУРА - REFERENCES

1. იუნესკოს ციფრული მემკვიდრეობის დაცვის ქარტია // <http://laag.iatp.org.ge/texts/CharterGe.doc>.
2. ბილინგტონი, ჯეიმს. მსოფლიო ციფრული ბიბლიოთეკის შექმნის წინადადება // <http://laag.iatp.org.ge/texts/ProposalGe.doc>.
3. Information Management Resource Kit. // http://www.imarkgroup.org/index_en.asp
4. The response of the British Library to the i2010: Digital Libraries online consultation on digitisation and digital preservation. // http://europa.eu.int/information_society/activities/digital_libraries/consultation/replies/consult_result_s/britis%20library_st_pancras_a302387.pdf.
5. Moving Theory into Practice: Digital Imaging Tutorial // <http://www.library.cornell.edu/preservation/tutorial/contents.html>.
6. Digital Preservation Management Tutorial // http://www.library.cornell.edu/iris/tutorial/dpm/eng_index.html; <http://www.library.cornell.edu/iris/tutorial/dpm/tutorialprint.pdf>.
7. Cornell University Library Workshop: Digital preservation management // <http://www.library.cornell.edu/iris/dpworkshop/>.
8. LC21: A Digital Strategy For the Library of Congress / Committee on an Information Technology Strategy for the Library of Congress, Computer Science and Telecommunications Board, National Research Council. – 2000. – 288 p.
9. Danskin, Alan. „Tomorrow never knows”: the end of cataloguing?”. – IFLA 2006 // <http://www.ifla.org/IV/ifla72/papers/102-Danskin-en.pdf>
10. Conference of European National Librarians (CENL) Strategic Plan 2005-2008 // http://www.nlib.ee/cenl/docs/CENL_StrategicPlan_2005_08.pdf.
11. Conference of European National Librarians/Federation of European Publishers (CENL/FEP) „Statement on the Development and Establishment of Voluntary Deposit Schemes for Electronic Publications” // http://www.nlib.ee/cenl/docs/05-11CENLFEP_Draft_Statement050822_02.pdf.

ბიბლიოგრაფია და საბიბლიოთეკო საქმე - - БИБЛИОГРАФИЯ И БИБЛИОТЕЧНОЕ ДЕЛО - - BIBLIOGRAPHY AND LIBRARIANSHIP / LIBRARY SCIENCE

ელენე ზურაბაშვილი

მხატვრული ლიტერატურისა და ლიტერატურათ-მცოდნეობის
ბიბლიოგრაფიის, როგორც დარგის, თანამედროვე გაგება და განვითარების
პირობები

ლიტერატურის ბიბლიოგრაფიის, როგორც დამოუკიდებელი დისციპლინის ჩამოყალიბება მე-19 საუკუნის 50-იანი წლებიდან დაიწყო. ლიტერატურის კრიტიკა და ლიტერატურა დიდი ხნის განმავლობაში განუყოფელ მთელს წარმოადგენდა. ამიტომაც ლიტერატურის ბიბლიოგრაფიის ობიექტის გამოცალკეება ერთგვარ სირთულეს ქმნიდა. დღეს უკვე ლიტერატურის ბიბლიოგრაფია დამხმარე ლიტერატურათმცოდნეობის დისციპლინად განიხილება.

ლიტერატურის ბიბლიოგრაფია წარმოადგენს მხატვრული ლიტერატურისა და ლიტერატურათმცოდნეობის სტრუქტურულ ერთეულს.

ლიტერატურათმცოდნეობა, როგორც სინამდვილის ასახვის დამოუკიდებელი ფორმა, ცხოვრებასთან შეფარდებით აფასებს, აცნობიერებს, მკითხველს მხატვრული ლიტერატურის არსში ახედებს და გადმოსცემს ნაწარმოების შინაარსს.

ლიტერატურის ბიბლიოგრაფიის სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ მკითხველს დარგის სამეცნიერო-პრაქტიკული ღირებულებები აჩვენოს, დაანახოს მისი შესაძლებლობანი, თუ რა დახმარების აღმოჩენა შეუძლია მას და, იმავდროულად, მისცეს მხატვრული ნაწარმოების, კრიტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის მასალის ირგვლივ ბიბლიოგრაფიული ინფორმაცია.

ლიტერატურის ბიბლიოგრაფიისათვის დამახასიათებელია სასწავლო პედაგოგიური და სააგიტაციო-პროპაგანდისტული ფუნქციებიც, განსაკუთრებით, როდესაც ის სარეკომენდაციო მიზნებს ისახავს. როგორც ცნობილია, ზოგადად, ბიბლიოგრაფიის ერთ-ერთ დანიშნულებას მკითხველისათვის სათანადო დახმარების გაწევა და, ამავე დროს, ბეჭდური პროდუქციის შესახებ ინფორმაციის გავრცელება წარმოადგენს. იგი მკითხველს ეხმარება სამეცნიერო-შემეცნებითი ცოდნის გაღრმავებასა და მოწესრიგებაში. ბიბლიოგრაფიული მასალა, რომელიც ლიტერატურის შესახებ უზარმაზარ ინფორმაციას ფლობს, შეიძლება განვიხილოთ, როგორც ლიტერატურათმცოდნეობის დამხმარე წყარო. იგი თავისთავად წარმოადგენს ლიტერატურის ბიბლიოგრაფიის შესწავლის ობიექტს, რომელსაც დახმარების გაწევა შეუძლია მისთვის, ვინც საფუძვლიანად სწავლობს მხატვრულ ლიტერატურასა და კრიტიკას, ვინც მუშაობს ლიტერატურათმცოდნეობის დარგში.

ობიექტურად ლიტერატურის ბიბლიოგრაფია და მისი შემსწავლელი დისციპლინა არ არიან ერთმანეთისგან გამიჯნულნი. ისინი ისტორიულად ერთად ვითარდებიან. ეს მოითხოვს ისტორიულ მიდგომას ამ საგნის შესწავლისას. საგნის ისტორიის გარეშე არ არის საგნის თეორია, ისევე როგორც თეორიის გარეშე არ არსებობს მისი ისტორია. საერთოდ, ამის გარეშე არ არსებობს საგნის არსის გაგება, არ განისაზღვრება მისი მნიშვნელობა და საზღვრები.

ლიტერატურის ბიბლიოგრაფია განახლების პროცესშია: მიმდინარეობს ობიექტისა და საგნის განვითარება, ჩამოყალიბება და სრულყოფა, ახალი ტექნოლოგიების საქმეში ჩართვის მეთოდის დამუშავება.

ლიტერატურის ბიბლიოგრაფმცოდნეობა შედგება ერთმანეთთან დაკავშირებული ნაწილებისგან, როგორცაა: თეორია, მეთოდისა, ლიტერატურის ბიბლიოგრაფიის ისტორია. ყოველ მათგანს გააჩნია სპეციალური ამოცანები, საზღვრები და კვლევის საგანი.

ლიტერატურის ბიბლიოგრაფიის თეორია განაზოგადებს პრაქტიკულ გამოცდილებას, განსაზღვრავს საგნის თავისებურებებს, სპეციფიკასა და დამახასიათებელ მოვლენებს, სწავლობს მისი განვითარების კანონზომიერებას, საზოგადოებრივ როლსა და დანიშნულებას.

ლიტერატურის ბიბლიოგრაფიის მეთოდთა შეისწავლის შესაბამისი ლიტერატურის ბიბლიოგრაფირების ხერხებსა და საშუალებებს, მათ გამოყენებას, აგებასა და მოხმარებას.

ლიტერატურის ბიბლიოგრაფიის ისტორია იკვლევს დარგის განვითარების პროცესებს, დარგის წარმოშობას, ცვლილებასა და განვითარებას, თეორიულ შეხედულებებსა და მეთოდური მოქმედების ხელშემწყობ პირობებს, ბიბლიოგრაფიულ წყაროებს, მაჩვენებლებს, მათ გავრცელებას, გამოცემის დროსა და გამომცემელთა მოღვაწეობას, მისდამი საზოგადოების დამოკიდებულებას.

არა ერთი მოღვაწე მიიჩნევს, რომ ბიბლიოგრაფია, რომელსაც სამეცნიერო-დამხმარე ხასიათი გააჩნია, უნდა ახდენდეს ხელნაწერებისა თუ ბეჭდვითი ნაწარმოებების კლასიფიკაციას, ისევე, როგორც ეს კატალოგებს უკეთდება. მეცნიერთა უმრავლესობის აზრით, ბიბლიოგრაფია უნდა იყოს კრიტიკულ-ანალიტიკური, და არა ფორმალურ-რეგისტრაციული, არსებობდეს წინასწარმოფიქრებულად, იყოს სრულყოფილად დამუშავებული და კრიტიკულად გააზრებული. მისი კრიტიკული ფუნქცია იმაში გამოიხატება, რომ ამ დროს ხდება მასალის ემპირიული ნიშანთვისებების შეფასება, მისდამი დამოკიდებულების გამოხატვა, რაც ბევრ საკითხზე პასუხს იძლევა. ბიბლიოგრაფიის კრიტიკულმა ფუნქციამ უნდა გამოდევნოს «ამომწურავი» რეგისტრაციული ბიბლიოგრაფიის ტიპი და პრაქტიკით განამტკიცოს შერჩეული, გადარჩეული და ამორჩეული რეკომენდებული ტიპი.

ისე, როგორც ყოველგვარი ბიბლიოგრაფიის მეთოდთა მკითხველთა მოთხოვნილებების, ინტერესებისა და სხვა თავისებურებათა გათვალისწინებით ყალიბდება, მხატვრული და ლიტერატურათ-მცოდნეობითი ბიბლიოგრაფიაც ამასვე მოითხოვს. ამგვარად შედგენილი ბიბლიოგრაფიული გამოცემები სხვადასხვა კატეგორიის წარმომადგენლებისათვის იმის გათვალისწინებით უნდა იძლეოდეს მასალას, რომ სარგებლობა მოუტანოს მას, ვინც დაინტერესებულია მხატვრული, პუბლიცისტური, საზოგადო მოღვაწეთა და მწერალთა სხვადასხვადროინდელი ლიტერატურათმცოდნეობითი გამოკვლევებით.

კრიტიკისა და, საერთოდ, კულტურული მემკვიდრეობისათვის მნიშვნელოვანია, როგორ იქნება გაშუქებული შეგროვებული მასალა. მკითხველისათვის განსაკუთრებით საგულისხმოა ცნობები მწერლის მოცემული ნაწარმოებებისა თუ მთლიანად მისი შემოქმედების შესახებ. სწორედ ასეთი მკითხველისათვის უნდა იყოს გათვალისწინებული ლიტერატურის ბიბლიოგრაფია, და არა მხოლოდ ლიტერატურათმცოდნეთა და ტექსტოლოგებისათვის, როგორც ეს ზოგს შეიძლება მიაჩნდეს.

მხატვრული ლიტერატურისა და ლიტერატურათმცოდნეობის ბიბლიოგრაფია 30-იან წლებში გამოიკვეთა. თავდაპირველად დამკვიდრებული იყო აზრი, რომ ბიბლიოგრაფიის დამხმარე სახელმძღვანელო მხატვრულ ლიტერატურაში მასიური მკითხველ-ლისათვის არის შექმნილი. ადრინდელ მეთოდურ ნამუშევრებში მხოლოდ ტექნიკურ მხარეზე იყო ლაპარაკი; შემდგენლები კი ბიბლიოგრაფიის დამხმარე სახელმძღვანელოს უყურებდნენ, როგორც უბრალო ცნობარს. მასობრივი მკითხველისათვის ამგვარი ბიბლიოგრაფიული მაჩვენებელი უნდა გამხდარიყო გარჩევისა და გარკვევის კარგი საშუალება. ამით შეიქმნება კითხვის ერთგვარი სისტემა არა მარტო აღნუსხვისათვის, არამედ ხელთ გვექნება მაჩვენებელი, რომელიც მიუთითებს, რა გზით უნდა მიემართებოდეს კითხვა. მთავარია, ლიტერატურის მკითხველთა ყველა კატეგორიისათვის გვექონდეს ლიტერატურის ერთიანი ნუსხა,

ჩამონათვალი, ყველასათვის ერთნაირად მისაღები. მხედველობაში მისაღებია დამწყები მკითხველიც, რომლისთვისაც მასალა უნდა გამოიყოფოდეს თემატურად და იძლეოდეს ავტორთა ჩამონათვალსაც – პირთა საძიებელს. რა თქმა უნდა, ამასთან ერთად, დასახელდება ნაწარმოებებიც, რომლებსაც მკითხველი ლიტერატურის შესწავლის დროს მიმართავს.

ლიტერატურის ბიბლიოგრაფირების დროს მეთოდი, რომელსაც მიმართავენ, თავის გამოხატულებას ანოტაციის აუცილებელ შედგენაში პოვებს. შეიძლება გაერთიანებულადაც კი წარმოვიდგინოთ ლიტერატურის კრიტიკა და ანოტაცია. ამავდროულად, ყურადღება ექცევა მათ შორის პრინციპულ სხვაობასაც. თვალნათლივ ჩანს ნათესაური კავშირი კრიტიკასა და ანოტაციას შორის. მათი საერთო მიზანი – იდეის ფიქსირება, ანოტაცია, ისევე, როგორც კრიტიკა - ხსნის ნაწარმოების იდეას. ამავე დროს, კრიტიკასა და ანოტაციას არ აიგივებენ მხატვრული ლიტერატურის ბიბლიოგრაფიაში. ანოტაცია მკითხველს აძლევს არამარტო ნაწარმოების იდეის ინტერპრეტაციას, არამედ ხაზს უსვამს მის ესთეტიკურ თავისებურებას. მთავარია, მკითხველმა კითხვის დროს შეიგრძნოს მხატვრულობის ინდივიდუალობა; მაგრამ ამას, ცხადია, მხოლოდ ანოტაცია ვერ შეძლებს.

სარეკომენდაციო-ბიბლიოგრაფიული დამხმარე სახელმძღვანელოს მთავარი მიზანია, გაამართლოს თავისი არსებობა და დანიშნულება. ამასთან, მკითხველის – «ადრესატის» – გათვალისწინებასაც გადაამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. საერთოდ, ამას აუცილებლობად მიიჩნევდნენ ცნობილი მეცნიერები ყოველგვარი ბიბლიოგრაფიისათვის, რა ტიპისაც არ უნდა ყოფილიყო ის. ყოვლად მიზანშეუწონელია კონკრეტული მკითხველის – «ადრესატის» – გაუთვალისწინებლობა.

ყოველივე ამის გარდა, დამხმარე სახელმძღვანელოს ეკისრება საბიბლიოთეკო დოკუმენტების პროპაგანდა, მათი გავრცელებისათვის ზრუნვა, განსაკუთრებით იმ პირებისთვის, რომლებიც პროფესიულად დაკავშირებულნი არიან მხატვრულ ლიტერატურასა და ლიტერატურათმცოდნეობასთან.

მხატვრული ლიტერატურის მომხმარებელი მოსახლეობის ფართო აუდიტორიაა. ამ შემთხვევაში ვგულისხმობთ მათ, რომლებიც პროფესიულად არ არიან დაკავშირებულნი მხატვრულ ლიტერატურასა და ლიტერატურათმცოდნეობასთან.

მხატვრული ლიტერატურისა და ლიტერატურათმცოდნეობის ბიბლიოგრაფირების სხვადასხვა ვარიანტი შეიძლება შეიქმნას: სარეკომენდაციო ბიბლიოგრაფიის დამხმარე სახელმძღვანელოები, რომლებიც გაითვალისწინებენ მკითხველთა ინტერესებს, გემოვნებას, მისწრაფებას, მიდრეკილებას, ცხოვრებისეულ გამოცდილებას. მან ხელი უნდა შეუწყოს მომხმარებელს, რაციონალურად მართოს კითხვა, აირჩიოს საუკეთესოთა შორის საუკეთესო ლიტერატურა. ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ კრიტიკა და ლიტერატურათმცოდნეობა სარეკომენდაციო ბიბლიოგრაფიის უმთავრესი ობიექტია. ის მხატვრული ლიტერატურის შესახებ ყოველგვარ კითხვას პასუხობს, ეხმარება მკითხველს წაკითხული ნაწარმოების გაგებაში, მაღალკულტურული და ესთეტიკური გემოვნების გამომუშავებაში, კითხვის თანმიმდევრობასა და მხატვრული ლიტერატურის შესწავლაში.

კითხვა მრავალპლანია. ერთ-ერთ სახეობად შეიძლება მივიჩნიოთ კითხვა ახალი მხატვრული ლიტერატურისა და კითხვა წარსული წლების მხატვრული ლიტერატურისა, ანუ ცნობილ ნაწარმოებთა განმეორებითი წაკითხვა. მხატვრული ლიტერატურის კითხვას, სასურველია, თან ახლდეს კრიტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობითი შრომების გაცნობა. ეს ხელს შეუწყობს მკითხველში ზნეობრივი და ესთეტიკური იდეალის ფორმირებას. მაგრამ ბიბლიო-ოგრაფია არ

წარმოადგენს ლიტერატურული პროცესების განვითარების იარაღს, ის არ აყენებს ესთეტიკურისა და ლიტერატურული თეორიის შემეცნებითი, პუბლიცისტური თეორიის განვითარების პრობლემებს.

ლიტერატურულ კრიტიკასა და სარეკომენდაციო ლიტერატურის ბიბლიოგრაფიას შორის, საერთოდ, ნათესაური კავშირი შეიმჩნევა. ეს, ძირითადად, ეხება იმ საზოგადოებრივ ფუნქციასა და დანიშნულებას, რომლებიც მათ მოქმედებას განაპირობებს.

ბიბლიოგრაფიულ მასალაში მხატვრული ლიტერატურის შეფასებისას ადგილი აქვს საუბარს წიგნის გარშემო, გაშლილ ანოტაციას, ზეპირ ბიბლიოგრაფიულ მიმოხილვებს. მხატვრული ნაწარმოების სპეციფიკა ჩანს, უპირველეს ყოვლისა, მის შინაარსში, ფორმასა და მკითხველზე ესთეტიკურ ზეგავლენაში.

სარეკომენდაციო ბიბლიოგრაფიამ ხელი არ უნდა შეუშალოს მხატვრული ნაწარმოების იდეურ-ესთეტიკურ აღქმას. ამიტომ მას არ აქვს უფლება, გაანელოს ინტერესი ნაწარმოებში აღწერილ მოვლენათა მიმართ, არც ფაბულის გადმოცემა-თხრობა საჭირო და არც ნაწარმოების სიუჟეტის გაშლა.

50-60-იან წლებში ბიბლიოთეკათმცოდნეობაში დაიწყო განვითარების მნიშვნელოვანი ფაზა. იგივე ხდება ბიბლიოგრაფმცოდნეობის თეორიასა და მეთოდის სფეროშიც. ამ წლებში აშკარად შეიმჩნევა გარღვევა მოძველებულ მეთოდურ დებულებათა საფუძვლებში. ბიბლიოგრაფებმა ერთხმად აღიარეს, რომ ნამდვილი სამეცნიერო-დამხმარე ბიბლიოგრაფიული სახელმძღვანელო შეიძლება შეიქმნას მაშინ, როდესაც ის მოთხოვნის მიხედვით იქნება აგებული და გამოყენების პერსპექტივებს გაითვალისწინებს.

ლიტერატურის ბიბლიოგრაფია ლიტერატურის მეცნიერების ძირითადი ელემენტია. ის ხელს უწყობს მხატვრული ლიტერატურის გავრცელებას, კრიტიკასა და ლიტერატურათმცოდნეობის ზეგავლენის გაძლიერებას მკითხველებში. მხატვრული ლიტერატურის პროპაგანდა წარმოადგენს სოციალურ-ფსიქოლოგიურ გაცნობიერებას სხვადასხვა ჯგუფის ადამიანებში.

სარეკომენდაციო ბიბლიოგრაფია იდეურ-აღმზრდელობითი საშუალებაა, ფსიქოლოგიური ზემოქმედების უნარის მქონე წყარო, რომელიც ყოველივე ამას ინფორმაციის გზით ახდენს. არ შეიძლება არ აღინიშნოს ამ ბოლო ხანებში სამეცნიერო-დამხმარე ლიტერატურული ბიბლიოგრაფიის მეთოდის განვითარების ფაქტი. ხდება მისი სხვა მეცნიერებებთან ინტეგრირება, პრინციპების ცვლა და დახვეწა. იგი იღებს უფრო სინთეზურ სახეს, ამყარებს მჭიდრო კონტაქტებს საზოგადოებრივ მეცნიერებებთან (ისტორია, ფილოსოფია, სოციოლოგია). საჭიროა, ლიტერატურის ბიბლიოგრაფია იყოს პრაქტიკასთან მჭიდრო კავშირში. კომპლექსური გამოკვლევები უფრო ღრმად გახსნის ლიტერატურის ბიბლიოგრაფიის სპეციფიკურ მახასიათებლებს, მის თეორიასა და მეთოდისას. ყოველივე ეს განვითარებას პოვებს ფილოსოფიურ საფუძვლებში ლიტერატურის ბიბლიოგრაფიისა და ლიტერატურული ბიბლიოგრაფმცოდნეობის ისტორიული პრინციპების გამოყენებით.

არ შეიძლება უარყოფით მოვლენად არ მივიჩნიოთ ის, რომ დარგობრივი ბიბლიოგრაფიისადმი, კერძოდ, ლიტერატურათმცოდნეობისა და მხატვრული ლიტერატურის ბიბლიოგრაფიისადმი სპეციალისტთა ყურადღება მთლიანად მოდუნდა. ჩვენი ღრმა რწმენით, ეს გამოწვეულია შემდეგი გარემოებით: 1) აქცენტები თავიდან ბოლომდე გადადის ზოგად ბიბლიოგრაფიულ წყაროებზე, რომლებშიც დარგობრივი ბიბლიოგრაფიის ხვედრითი წილი ძალიან დიდია; 2) ელექტრონული

კატალოგიზაციისა და კომპიუტერული ძიების დომინირება აქვეითებს მოთხოვნილებას ბიბლიოგრაფიულ მაჩვენებლებზე; 3) სპეციალისტები ნაკლებად ინტერესდებიან ამგვარი საქმიანობით. ზოგს ისიც კი მიაჩნია, რომ ბეჭდური ბიბლიოგრაფიული მასალა უკვე ანაქრონიზმს წარმოადგენს. ჩვენი აზრით, არც ერთი მოტივი ამართლებს ლიტერატურათმცოდნეობისა და მხატვრული ლიტერატურის ბიბლიოგრაფირების უგულვებელყოფას.

ცხადია, ელექტრონული საშუალებები, კომპიუტერული ევრისტიკა ტრადიციულ ბიბლიოგრაფიულ საქმეს ჩაენაცვლა, მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს, რომ სპეციალური მაჩვენებლები და საძიებლები უკვე აღარ არის საჭირო. ჯერ ერთი, ეს საჭიროა თუნდაც იმიტომ, რომ შეიქმნას კომპიუტერული რესურსები, ძირითადი ბაზა; მეორეც, ის ხელს უწყობს მასალის საყოველთაო გავრცელებას, პოპულარიზაციას, პროპაგანდასა და რეკომენდაციას, მით უმეტეს, როდესაც ტრადიციულ ბიბლიოგრაფიულ აღნუსხვას, ძიებასა და მომსახურებას ჯერაც დიდი ადგილი ეთმობა ჩვენს საქმიანობაში.

ქართული მხატვრული და ლიტერატურათმცოდნეობითი ბიბლიოგრაფია არ გამოირჩევა მასშტაბურობით. ბიბლიოგრაფიული ძიებისათვის მასალის მოპოვების ორ გზას ვიყენებთ – ზოგად ბიბლიოგრაფიულ მაჩვენებლებსა და სპეციალურ ბიბლიოგრაფიულ მაჩვენებლებში თავმოყრილ აღწერილობათა ნუსხებს. ზოგადი ბიბლიოგრაფიული წყაროები საქართველოში საკმაოდ სოლიდური მოცულობით გვაქვს, რაც არ ითქმის დარგობრივ წყაროებზე, კერძოდ, მხატვრული ლიტერატურისა და ლიტერატურათმცოდნეობის ბიბლიოგრაფიაზე. ეს უკანასკნელი ძირითადად ასახულია სარეკომენდაციო-ბიბლიოგრაფიულ მაჩვენებლებში, რომლებიც უმეტესად მწერალთა საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებით გამოიცემოდა. მათი ხარისხი და საერთო დონე, ცხადია, ერთნაირი არ იყო, მაგრამ თვით ფაქტი მათი არსებობისა მნიშვნელოვანი საქმე იყო. ის კარგად ეხმარებოდა ბიბლიოთეკარებსა და კულტმასობრივი მუშაობის სპეციალისტებს თავიანთ საქმიანობაში, აგრეთვე პედაგოგებსა და მოსწავლეებს. ამგვარ გამოცემებს დღესაც უეჭველად ექნება აქტიური გამოყენება, მაგრამ სხვადასხვა ობიექტურ მიზეზთა გამო, ეს არ ხერხდება. საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებით გამოქვეყნებული მაჩვენებლები უკვე საკმაოდ მოძველდა. რუსთაველის გამოცემათა ბიბლიოგრაფიაც კი, რომელიც ყველაზე სოლიდურ მასალას წარმოადგენს, დღეს უკვე მოძველებულ ლიტერატურას გვთავაზობს და, გასაკვირი არ არის, ჩვენი სხვა მწერლების ნაწარმოებთა გამოცემები და მათი ანალიზი სათანადო სიმაღლეზე რომ ვერ დგას. ჩვენს პედაგოგებს, ბიბლიოთეკარებს, მოსწავლეებს, დაინტერესებულ პირებს უდავოდ დიდ დახმარებას აღმოუჩენს ჩვენი ძველი მწერლების, კლასიკოსების, თანამედროვე მოღვაწეთა ბიბლიოგრაფიული და ბიობიბლიოგრაფიული გამოცემები, რაც ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესს, გაზრდის მოთხოვნილებას წიგნზე. ეს უკვე ჩვენი სასიცოცხლო ამოცანაა და არ შეიძლება, სათანადო ყურადღება არ მიექცეს ბიბლიოგრაფიის ამ უმნიშვნელოვანეს დარგს.

Е. ЗУРАБАШВИЛИ

СОВРЕМЕННОЕ ПОНИМАНИЕ И УСЛОВИЯ РАЗВИТИЯ ХУДОЖЕСТВЕННОЙ ЛИТЕРАТУРЫ И ЛИТЕРАТУРОВЕДЧЕСКОЙ БИБЛИОГРАФИИ, КАК ОТРАСЛИ

Резюме

Литературная и литературоведческая библиография начала обосновываться с 40-ых годов 19-го века. Далее наметились принципы и методология этой отрасли. При этом большое внимание уделяется общей библиографии, но для ее развития решающую роль играет ее выделение в виде отраслевой библиографии. Издаются указатели разного вида и разного назначения. Их классификация дает возможность точно изучить существующее положение. На протяжении многих лет в Грузии издается множество подобных указателей. В работе, наряду с анализом, обосновываются соображения, опирающиеся на указанные данные и их дальнейшее развитие.

E. ZURABASHVILI

**MODERN INTERPRETATION AND CONDITIONS OF THE
DEVELOPMENT OF BELLES-LETTERS AND HISTORY OF
LITERARY BIBLIOGRAPHY AS A BRANCH**

Summary

Belles-letters and literary bibliography began to develop in thy forties of thy 19-th century. Some principles and methodology were laid down. A great attention is paid to general bibliograpy and to develop this tendency it is necessary to isolate it as a separate branch. By and by different guids are published. The classification of these guides gives an opportunity to get a profound Knowledge of the situation. Such guides were published in Georgia in different periods of time. Along with thy analysis of thy given material the author develops the conjections related to the furthes development of the given literary branch.

ლიტერატურა - ЛИТЕРАТУРА - REFERENCES

1. ოთაროვა ა. პერიოდული გამოცემების რეტროსპექტული ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლები: სალექციო კურსი. – თბ., 1988. – 38 გვ.
2. ოთაროვა ა., ფოფხაძე ქ. წიგნის ზოგადი რეტროსპექტული ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლები: სალექციო კურსი. – თბ., 1989. – 36 გვ.
3. Библиография: Общий курс / Под. ред. М. А. Брискмана и А. Д. Эйхенгольца. – М., 1989. – 556 с.
4. Коршунов О. П. Проблемы общей теории библиографии: (Монография). – М., 1975. – 190 с.

გ უ რ ა მ თ ა ყ ნ ი ა შ ვ ი ლ ი

ეროვნული ბიბლიოთეკა და ეროვნული ბიბლიოგრაფია

1. ტერმინების გაგება

1.1. ეროვნული ბიბლიოთეკა – ტერმინი - „ეროვნული ბიბლიოთეკა” სათავეს იღებს საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის პერიოდიდან. საფრანგეთის მეფეთა ყოფილი ბიბლიოთეკა ჯერ კიდევ 1537 წლიდან მეფე ფრანცისკ პირველის ედიქტით ღებულობდა სავალდებულო ცალეებს, ხოლო უფრო მოგვიანებით, კერძოდ, 1789 წლიდან საფრანგეთის კონვენტის მიერ ეს ბიბლიოთეკა გამოცხადდა ხალხის საკუთრებად და ეწოდა საფრანგეთის ეროვნული ბიბლიოთეკა.

ტერმინი „ნაციონალური“ დასავლეთ ევროპის ენებში გაგებულია თანაბარი მნიშვნელობის რამოდენიმე ცნებით: „ეროვნული“, „სახალხო“, „სახელმწიფო“, „სამამულო“. რუსულ საბიბლიოთეკო პრაქტიკასა და თეორიაში იგი დამკვიდრდა როგორც „სახელმწიფო ბიბლიოთეკა“. ეს მიუთითებს ამ ტერმინის წარმოშობის ისტორიულ ხასიათზე, რომელიც მჭიდროდ უკავშირდება ეროვნული, სახელმწიფო ბიბლიოთეკის წარმოშობისა და განვითარების ისტორიულ პროცესს. ეროვნული ბიბლიო-თეკა ერთსა და იმავე დროს გამოხატავს ამ ბიბლიოთეკის სახელმწიფო კუთვნილებას, რადგან მას წინ უსწრებს ქვეყნის გეოგრაფიული სახელწოდება.

საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში მთავარი სახელმწიფო ბიბლიოთეკის ფუნქციას სსრ კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სახელმწიფო ბიბლიოთეკა ასრულებდა. სსრკ მრავალეროვანი იყო და, ამდენად არ შეიძლებოდა წოდებულიყო ეროვნულ ბიბლიოთეკად. სსრკ-ის დაშლის შემდეგ, რუსეთის ფედერაციაში ორი მთავარი ბიბლიოთეკაა – რუსეთის სახელმწიფო ბიბლიოთეკა (ყოფილი ვ. ი. ლენინის სახელობის) და რუსეთის ეროვნული ბიბლიოთეკა (ყოფილი სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის-პეტერბურგში). რუსი ბიბლიოთეკათმცოდნის ნ. ი. ტიულინას აზრით, სიტყვა „ნაციონალური“ ატარებს ინტერნაციონალურ ხასიათს და რუსულ ენაში არა რომელიმე ბიბლიოთეკის ერთი ეროვნებისადმი კუთვნილებას მიანიშნებს, არამედ მის საერთო სახელმწიფოებრივ დანიშნულებაზე მიუთითებს.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში არ არსებობს ეროვნული ბიბლიოთეკის ცნების გაგების ბიბლიოთეკათმცოდნეთა ერთიანი შეხედულება, თუ რა ძირითადი ნიშნებით უნდა ხასიათდებოდეს ეროვნული ბიბლიოთეკა. 1938 წელს ინგლისელმა ბიბლიოთეკათმცოდნემ ლ. მ. ხერროდიმ მარტივად ჩამოაყალიბა ეროვნული ბიბლიოთეკის ცნება. მისი აზრით, „ეს არის ბიბლიოთეკა, რომელსაც ინახავს სახელმწიფო, რომელიც მთლიანად ემსახურება ერს, სახელმწიფოს. ასეთი ბიბლიოთეკის ფუნქციას შეადგენს ქვეყანაში გამოცემული წიგნების შეგროვება და დაცვა მომავალი თაობებისათვის.“[11: 9].

ეროვნული ბიბლიოთეკის საკითხებს მიეძღვნა 1958 წელს ვენაში გამართული სიმპოზიუმი. სიმპოზიუმის პრეზიდენტმა კ. ბერჟუამ განაცხადა: „ჩვენ, სხვადასხვა ქვეყნების სპეციალისტებმა, დღემდე არ ვიცით, თუ რა არის ეროვნული ბიბლიოთეკა, რა თვისებებსა და ხარისხს უნდა აკმაყოფილებდეს ასეთი ბიბლიოთეკა, რომ ჩვენ გვქონდეს უფლება ვუწოდოთ მას ეროვნული“. იაპონიის, აშშ-ის კონგრესის, სხვა ქვეყნებისა და საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა ერთსა და იმავე დროს ასრულებენ პარლამენტის ბიბლიოთეკის ფუნქციებს. არსებობს დარგობრივი ეროვნული ბიბლიოთეკები. საქართველოში ამჟამად მიმდინარეობს ეროვნული ბიბლიოთეკების ჩამოყალიბება ფუნქციონალური დანიშნულებისა და დარგობრივი კუთვნილების მიხედვით (საბავშვო და ახალგაზრდობის ეროვნული, ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა). თუმცა სახელწოდებათა მინიჭება სრულიადაც არ ნიშნავს, რომ აღნიშნული ბიბლიოთეკები სრულყოფილად შეასრულებენ იმ ფუნქციასა და ამოცანებს, რასაც ასრულებენ განვითარებულ ქვეყნებში არსებული დარგობრივი ეროვნული ბიბლიოთეკები. ამ ეტაპზე საჭიროა განისაზღვროს ტიპოლოგიური ფუნქციები და გამოიკვეთოს მთავარ ეროვნულ ბიბლიოთეკასთან მათი დამოკიდებულების საკითხი.

ეროვნული ბიბლიოთეკის სახელწოდების ქვეშ განისაზღვრება მისი რეგიონალური მასშტაბი, თუმცა საბიბლიოთეკო და საინფორმაციო ტექნოლოგიების თანამედროვე პირობებში ეროვნული ბიბლიოთეკის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციათაგანი მნიშვნელოვნად სცილდება ერთი ქვეყნის ფარგლებს.

ინგლისელი ფ. ფრენსისის აზრით, ეროვნული ბიბლიოთეკა ისეთი ბიბლიოთეკაა, რომელიც ქვეყნის წიგნად პროდუქციას აგროვებს და იცავს მათ მომავალი თაობებისათვის. ბელგიელი ბიბლიოთეკათმცოდნის გ. ლიბერისის აზრით, ეროვნული ბიბლიოთეკის ძირითადი მახასიათებელი ნიშანია მისი ლიდერობა ქვეყნის სხვა ბიბლიოთეკებთან შედარებით. IFLA-ს მიერ 1963 წელს მიღებულ ხანგრძლივი მოქმედების პროგრამაში აღნიშნული იყო, რომ ტერმინი „ეროვნული ბიბლიოთეკა“ შეიცავს დაწესებულებათა ფართო წრეს, რომლებიც ასრულებენ ეროვნული და საერთაშორისო მასშტაბის ამოცანებს. ეროვნული ბიბლიოთეკების ინგლისის კომიტეტმა 1967 წელს ეროვნული ბიბლიოთეკების მთავარ მახასიათებელ ნიშნად მისი მოღვაწეობის ეროვნული მასშტაბი აღიარა.

1970 წელს ЮНЕСКО-მ სპეციალურ სესიაზე ჩამოაყალიბა ბიბლიო-თეკების კლასიფიკაცია, სადაც ეროვნული ბიბლიოთეკის ძირითად მახასიათებელ ნიშნად აღიარა ქვეყნის ტერიტორიაზე გამოცემული ბეჭდური და სხვა სახის მასალების შეგროვება და დაცვა. როგორც მოყვანილი განმარტებები ცხადყოფენ, ეროვნული ბიბლიოთეკა, უპირველეს ყოვლისა, იმ ერის კუთვნილებაა, სადაც იგი ფუნქციონირებს. ასეთი ბიბლიოთეკა ქვეყნის მთავარი ბიბლიოთეკაა, მთავარი წიგნთსაცავი, თავისი ფონდების განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა ქვეყნის მთავარ სამეცნიერო ბიბლიოთეკას წარმოადგენს. ამ ბიბლიოთეკის ოფიციალური სახელწოდება და სტატუსი ერთდროულად განსაზღვრავს მის სახელწიფოებრივ კუთვნილებას და ერთ-ერთ ფუნქციას.

1.2. ეროვნული ბიბლიოთეკის ძირითადი ფუნქციები

ეროვნული ბიბლიოთეკის ძირითადი ფუნქციების ჩამოყალიბებას ისეთივე ხანგრძლივი ისტორია აქვს, როგორც თვითონ ტერმინის განმარტებას. იმთავითვე, როდესაც საბოლოოდ გაირკვა ცნების შინაარსი და ტერმინის მნიშვნელობა, ეროვნული ბიბლიოთეკის ძირითად ფუნქციად აღიარებულ იქნა საკუთარი ქვეყნის მასშტაბით გამოცემული ბეჭდური და სხვა სახის მასალების შეგროვება და ორგანიზებული დაცვა. ეროვნული ბიბლიოთეკის ეს ფუნქცია მსოფლიოს ყველა სპეციალისტმა ერთხმად აღიარა.

ბრიუსელში 1955 წელს IFLA-ს 21-ე სესიაზე გაიმართა საერთაშორისო ხასიათის დისკუსია, სადაც დიდი ადგილი დაეთმო ეროვნული ბიბლიოთეკების ძირითადი ფუნქციების განსაზღვრას და ჩამოყალიბებას.

ინგლისელმა ბიბლიოთეკათმცოდნემ კ. ხამფრიზმა მსოფლიოს უდიდესი ეროვნული ბიბლიოთეკების ანალიზი ჩაატარა. ამით სათავე დაუდო ამ ბიბლიოთეკების შედარებით კვლევას და ძირითად ფუნქციებად ჩამოაყალიბა:

- სამამულო გამოცემებით ბიბლიოთეკების სრული დაკომპლექტება;
- სავალდებულო ცალების მიღება და დაცვა;
- უცხოური გამოცემების მიღება და დაცვა;
- ეროვნული ბიბლიოგრაფიების გამოქვეყნება;
- ბიბლიოგრაფიული ინფორმაციით მოსახლეობის უზრუნველყოფა;
- თავისი ფონდების კატალოგების გამოქვეყნება [11: 26].

აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნების სემინარმა ეროვნული ბიბლიოთეკების განვითარების საკითხებზე (მანილა, 1984) ეროვნული ბიბლიოთეკების ძირითად ფუნქციებად მიიჩნია: ქვეყნის საბიბლიოთეკო ქსელში წამყვანი ბიბლიოთეკის ფუნქციის შესრულება; სამამულო გამოცემების მუდმივი დაცვა; ქვეყნის

ბიბლიოთეკების მუშაობის კოორდინაცია და კოოპერირება; მთავრობის მომსახურება.

ეროვნული ბიბლიოთეკის ფუნქციები უფრო გაფართოებით იქნა წარმოდგენილი ლათინური ამერიკის ქვეყნების საბიბლიოთეკო ექსპერტების თათბირზე (კიტო, 1966). ეროვნული ბიბლიოთეკების მთავარ ფუნქციად აღიარებული იქნა, სამამულო გამოცემების შეგროვება და დაცვა, სამამულო და საზღვარგარეთის ქვეყნების მკითხველთა საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული მომსახურება, შეერთებული კატალოგების მომზადება და გამოცემა, ეროვნული ბიბლიოგრაფიის წარმოება, შიდა და საერთაშორისო წიგნგაცვლის ორგანიზება, საერთაშორისო ბზა-ს წარმოება, ქვეყნის ბიბლიოთეკების დაკომპლექტების კოორდინაცია, ცენტრალიზებული კატალოგიზაცია, კლასიფიკაცია და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკების ფუნქციების გაფართოებას მიეძღვნა აფრიკის ქვეყნების საბიბლიოთეკო ექსპერტთა თათბირი (კამპალა, 1970). ეროვნული ბიბლიოთეკის ერთ-ერთ ფუნქციად, სხვა ფუნქციებთან ერთად, აღიარებული იქნა იმ უცხოური გამოცემებით დაკომპლექტება, რომლებიც მოცემულ ქვეყანას შეეხება.

ЮНЕСКО-ს მე-16 სესიაზე, 1970 წელს, ეროვნული ბიბლიოთეკების ერთ-ერთ ფუნქციად აღიარებული იქნა ეროვნული ბიბლიოგრაფიის წარმოება, უცხოური პროფილური გამოცემების შეძენა, ბიბლიოგრაფიული ინფორმაციის ცენტრის ფუნქციის შესრულება, ეროვნული შეერთებული კატალოგის წარმოება, რეტროსპექტული ეროვნული ბიბლიოგრაფიის წარმოება.

1970-1980 წწ. სოციალისტური ქვეყნების ეროვნული ბიბლიოთეკების ძალებით ჩატარდა ეროვნული ბიბლიოთეკების ფუნქციების კვლევა. კვლევის შედეგად ჩამოყალიბდა ეროვნული ბიბლიოთეკების ფუნქციების იერარქიების სამი ჯგუფი:

1. ეროვნული ბიბლიოთეკა, როგორც ქვეყნის ცენტრალური წიგნთსაცავი, სამამულო და საზღვარგარეთული გამოცემებით ამომწურავი დაკომპლექტება, ქვეყნის ცენტრალური საჯარო ბიბლიოთეკა, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ცენტრი ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის დარგში;

2. ეროვნული ბიბლიოთეკა, როგორც ქვეყნის შიგნით ბიბლიოთეკების დაკომპლექტების, დამუშავებისა და მომსახურების მთავარი საკოორდინაციო ცენტრი; როგორც მთავარი მეთოდური ცენტრი ქვეყნის ყველა ტიპისა და უწყების ბიბლიოთეკებისათვის; როგორც სახელმწიფო ცენტრი სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის დარგში;

3. ფონდების ცენტრალიზებული დამუშავება, საბიბლიოთეკო პროცესების ავტომატიზაციის ცენტრი, საბიბლიოთეკო კადრების მომზადება და წიგნისა და ბიბლიოთეკის მუზეუმი.

ეროვნული ბიბლიოთეკის ძირითად ფუნქციებად აღიარებულია: ქვეყნის მთავარი წიგნთსაცავი, ეროვნული ბიბლიოგრაფიის წარმოება, ქვეყანაში საბიბლიოთეკო მომსახურების კოორდინატორი. ეს ფუნქციები უფრო ფართო ასპექტითა და ლოგიკური თანმიმდევრობითაა ჩამოყალიბებული 1977 წელს გამოცემულ ეროვნული საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მომსახურების მართვის სახელმძღვანელოებში, რომელთა ავტორები არიან: კ. პენინა, დ. ფოსკეტი და პ. სიუელი. უფრო მოგვიანებით 1980 წელს ბრიტანეთის ბიბლიოთეკის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა მ. ლაინმა ეროვნული ბიბლიოთეკის ძირითადი ფუნქციების გრადაცია ჩამოაყალიბა. ეროვნული ბიბლიოთეკების ფუნქციები გ. ლაინმა დაყო ძირითადად, დამატებით და შესაძლებელ ფუნქციებად. ეროვნული ბიბლიოთეკის ერთ-ერთ ძირითად ფუნქციად მან მიმდინარე და რეტროსპექტული ეროვნული

ბიბლიოგრაფიის გამოქვეყნება მიიჩნია. ამით მ. ლაინმა ხაზი გაუსვა ეროვნული ბიბლიოთეკის, როგორც ეროვნული ბიბლიოგრაფიის ცენტრის მნიშვნელობას. დამატებით პროცესებში მას გამოყოფილი აქვს საბიბლიოთეკო პროცესების ექსპერტიზის წარმოება. საინტერესოა აღინიშნოს, რომ საზღვარგარეთელი სპეციალისტებიდან მ. ლაინმა პირველმა მიაქცია ყურადღება ეროვნული ბიბლიოთეკის ერთ-ერთ ფუნქციას – დეპოზიტარული ბიბლიოთეკის ფუნქციის შესრულებას. აქ პირდაპირ ნათქვამია, რომ ეროვნულ ბიბლიოთეკაში თავს უნდა იყრიდეს ქვეყნის სხვადასხვა ბიბლიოთეკებიდან ჩამოწერილი ისეთი გამოცემები, რომელთაც გააჩნიათ სამეცნიერო, საინფორმაციო თუ მხატვრული ღირებულება [11: 28].

ეროვნული ბიბლიოთეკების ფუნქციების განსაზღვრასა და ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი შეიტანეს რუსმა ბიბლიოთეკათმცოდნეებმა: ო. ი. ბაბკინამ, ა. ს. ჩისტიაკოვამ, ი. ბაგროვმა, რ. ზოტოვამ, ნ. კარტაშოვმა, ტ. კუზნეცოვმა, ი. ოსიპოვამ, ტ. სადოფეევამ, გ. სემიონოვამ, ი. სტოლიაროვმა, ო. ჩუბარინამ და სხვებმა. ეროვნული ბიბლიოთეკების ფუნქციონალური ანალიზი მონოგრაფიული ფორმით შეისწავლა და გამოაქვეყნა ნ. ტიულინამ. ეს ნაშრომი თავისი მეცნიერული კვლევის მეთოდებით, რეკომენდაციებითა და მანამდე გამოქვეყნებული მასალების ღრმა ანალიზით უდავოდ იქცევს სპეციალისტების ყურადღებას იმის გამო, რომ აქ პირველად არის მკაფიოდ ჩამოყალიბებული ეროვნული ბიბლიოთეკების ფუნქციები და ამოცანები.

1.3. ეროვნული ბიბლიოგრაფია – ეროვნულ ბიბლიოგრაფიას უწოდებენ ისეთ ბიბლიოგრაფიას, რომელშიც ასახულია რომელიმე ქვეყნის ან ერის, სახელმწიფოს ტერიტორიაზე გამოცემული ლიტერატურა. ეროვნული ბიბლიოგრაფია საერთაშორისო ტერმინოლოგიური სტანდარტების შესაბამისად გაგებულია როგორც საინფორმაციო ინფრასტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს უნივერსალური შინაარსის ბიბლიოგრაფიული ინფორმაციის მომზადებას, გავრცელებასა და გამოყენებას. ასეთი სახის ბიბლიოგრაფიაში დოკუმენტები ასახულია ავტორობის ან ენობრივი პრინციპის საფუძველზე. ამავე შინაარსისაა სახელმწიფო ბიბლიოგრაფია. მასში ასახულია ერთი ქვეყნის ტერიტორიაზე გამოცემული დოკუმენტები მათი სახელმწიფო რეგისტრაციის საფუძველზე. სახელმწიფო ბიბლიოგრაფიის ფუძემდებლური როლი იმით განისაზღვრება, რომ სწორედ ამ დონეზე წარმოებს მთლიანი დოკუმენტალური ნაკადის პირველადი ანალიტიკურ-სინტეტიკური დამუშავება, რომელიც შემდგომში სახელმწიფო ბიბლიოგრაფიულ ინფორმაციაში აისახება. ეროვნული ბიბლიოგრაფია წარმოადგენს ბიბლიოთეკებისა და საინფორმაციო დაწესებულებათა სამეცნიერო-დამხმარე და სარეკომენდაციო ბიბლიოგრაფიული მუშაობის საბაზო ბიბლიოგრაფიას.

ეროვნული ბიბლიოგრაფია დგება ერთიანი მეთოდისა და საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნილებათა საფუძველზე. ამასთან გათვალისწინებულია თითოეული დოკუმენტის სპეციფიკა, ეროვნული თავისებურებანი და ბიბლიოგრაფიული აღწერილობის ცალკეული ელემენტების ფორმირების ენობრივი მოთხოვნილებანი.

ეროვნული ბიბლიოგრაფიის მომზადებას წინ უძღვის რამოდენიმე სტატისტიკურ-ბიბლიოგრაფიული პროცესი, რომელთა წარმოების დონეზე ბევრად არის დამოკიდებული ეროვნული ბიბლიოგრაფიის ხარისხი და მეცნიერული ღირებულება. ეროვნული ბიბლიოგრაფიის შედგენა, უპირველეს ყოვლისა,

გულისხმობს ერთი ქვეყნის ტერიტორიაზე გამოცემული ბეჭდური და სხვა სახის მასალების სახელმწიფო რეგისტრაციას სავალდებულო ეგზემპლარების საფუძველზე. სახელმწიფო რეგისტრაციის სისრულე განაპირობებს ეროვნული ბიბლიოგრაფიის სისრულეს, ყოველმხრივობას და უნივერსალურ ხასიათს. ეროვნული ბიბლიოგრაფიის შედგენას ასევე წინ უსწრებს სახელმწიფო სარეგისტრაციო ბიბლიოგრაფიული ორგანოების (ე. წ. მატთანეების) გამოცემა.

მატიანეების დანიშნულებას შეადგენს მკითხველთა ოპერატიული ინფორმირება ქვეყნის ტერიტორიაზე გამოცემული ბეჭდური პროდუქციისა და პერიოდულ გამოცემათა მასალების შესახებ. ეროვნული ბიბლიოგრაფიის აუცილებელი წინაპირობაა ოფიციალური დოკუმენტის არსებობა სავალდებულო ცალების შესახებ, რომელსაც ეროვნული ბიბლიოგრაფიის მწარმოებელი დაწესებულება ღებულობს. აქ მითითებული წინაპირობებია: სახელმწიფო რეგისტრაცია, სარეგისტრაციო ბიბლიოგრაფიული ორგანოების გამოცემა და სავალდებულო ცალების შესახებ კანონის (დადგენილების) არსებობა, ქმნის მყარ ნიადაგს ეროვნული ბიბლიოგრაფიის წარმოებისათვის. ეროვნული ბიბლიოგრაფიის შედგენა არ არის ერთჯერადი ბიბლიოგრაფიული პროცესი. მისი მომზადება, გამოცემა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა მოითხოვს ხანგრძლივ მეცნიერულ, ბიბლიოგრაფიულ-ევრისტიკულ კვლევასა და მკითხველთა ფართო აუდიტორიის ინტერესების გათვალისწინებას.

ეროვნული ბიბლიოგრაფიის წარმოება, როგორც ეროვნული ბიბლიოთეკის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციათაგანი, ეროვნული ბიბლიოთეკების მახასიათებელი ნიშანია. ეს ფუნქცია ეროვნულ ბიბლიოთეკებს სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვა პერიოდში განესაზღვრათ და დაუდგინდათ. ამ პრობლემას ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში, 1955 წელს ბრიუსელში IFLA-ს 21-ე სესიამ ჯეროვანი ყურადღება დაუთმო. სესიის რეზოლუციებში პირდაპირ არის მითითებული ეროვნული ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფიული ფუნქციის შესახებ. 1958 წელს ევროპის ქვეყნების ეროვნული ბიბლიოთეკების სიმპოზიუმმა ასევე ძირითად ფუნქციად აღიარა ეროვნული ბიბლიოგრაფიის წარმოება, იმ განსხვავებით, რომ ამ ფუნქციაში იგულისხმებოდა ეროვნული ბიბლიოგრაფიის ბიბლიოგრაფიის (მეორე საფეხურის ბიბლიოგრაფიის) წარმოება.

ეროვნული ბიბლიოთეკების აქტიური მონაწილეობის შესახებ საერთაშორისო ბიბლიოგრაფიული თანამშრომლობის თვალსაზრისით სპეციალური რეზოლუცია მიიღო IFLA-ს 1963 წლის კონგრესმა. ამ რეზოლუციაში პირველადაა ხაზი გასმული შეერთებული კატალოგების წარმოების აუცილებლობაზე.

ეროვნული ბიბლიოგრაფიის შედგენა და მკითხველთა საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული მომსახურება ეროვნული ბიბლიოთეკებისათვის ძირითად ფუნქციად იქნა მიჩნეული დიდი ბრიტანეთის საბიბლიოთეკო ასოციაციის საუნივერსიტეტო და ეროვნული ბიბლიოთეკების სექციის მიერ მიღებულ რეზოლუციაში 1963 წელს. ამავე პერიოდში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ინგლისელმა ბიბლიოთეკათმცოდნემ კ. ხამფრიზმა IFLA-ს რეკომენდაციით ჩამოაყალიბა ეროვნული ბიბლიოთეკის ძირითადი ფუნქციები, სადაც ჯეროვანი ყურადღება დაეთმო ეროვნული ბიბლიოგრაფიის გამოქვეყნების პრობლემებს. 1970-იანი წლების შემდეგ ბიბლიოგრაფიული მუშაობის სახელმწიფო დონეზე წარმოების აუცილებლობის შესახებ მიუთითებენ მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ბიბლიოთეკათმცოდნეები, საბიბლიოთეკო ექსპერტები.

რუსეთში სახელმწიფო ბიბლიოგრაფიის წარმოებას მეოცე საუკუნის დასაწყისში ჩაეყარა საფუძველი. სსრ კავშირის პირობებში ეროვნულ ბიბლიოგრაფიებს აწარმოებდნენ მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო წიგნის პალატები. ქვეყნის მთავარი, სახელმწიფო ბიბლიოთეკები ასეთი სახის ბიბლიოგრაფიებს ქმნიდნენ წიგნის პალატებთან კოორდინაციული მუშაობის გზით. თანამედროვე ეტაპზე რუსეთის ფედერაციაში და ყოფილი საბჭოთა კავშირის ზოგიერთ ქვეყანაში კვლავ ფუნქციონირებენ წიგნის პალატები, თუმცა ეროვნულ ბიბლიოთეკებს თავიანთი წვლილი შეაქვთ ეროვნული ბიბლიოგრაფიების შედგენა-გამოცემის საქმეში.

1.4. ქართული ეროვნული ბიბლიოგრაფიის ნიმუშები – ქართული ბიბლიოგრაფიის ისტორია სათავეს მე-10 საუკუნიდან იღებს. ეკლესია-მონასტრებში დაცული ქართული ხელნაწერი წიგნების შესახებ ცნობები გვხვდება საეკლესიო პირთა მიმოწერებში, ანდერძებსა და მზითვის წიგნებში. ხელნაწერი და ბეჭდური წიგნების მომრავლებამ, უფრო მოგვიანებით კი საბიბლიოთეკო ქსელის ზრდამ, დღის წესრიგში დააყენა ბიბლიოთეკებში ორგანიზებული მასალების აღრიცხვა და საცნობარო აპარატის წარმოება.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში განხორციელდა რამდენიმე ბიბლიოთეკის ბეჭდური კატალოგის შედგენა (თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის, ა. ს. პუშკინის სახ. საქალაქო, პირველი გიმნაზიის და სხვ.). მე-20 საუკუნის დასაწყისისათვის ორგზის გამოიცა ქ.შ.წ.კ. გამავრცელებელი საზოგადოების წიგნთსაცავის კატალოგი, 1916 წელს ი. ჯავახიშვილის თაოსნობით დაარსებული პეტერბურგის ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრემ შეადგინა ქართული პერიოდული გამოცემების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია, რომელიც იქვე, პეტერბურგში დაიბეჭდა 1916 წელს „ქართული ბიბლიოგრაფიის“ სახელწოდებით. წიგნის შიდა ბიბლიოგრაფიის ნიმუშები გვხვდება მე-19 საუკუნის პერიოდულ ორგანოებში. ცალკე ბიბლიოგრაფიული ნაშრომების სახით ხდება წიგნსავაჭრო კატალოგების გამოცემა, საყმაწვილო წიგნების სიები, გამომცემლობათა პროსპექტები. ბიბლიოგრაფიული მუშაობის მდიდარი გამოცდილება გააჩნდათ ქ.შ.წ.კ. გამავრცელებელი საზოგადოების სასკოლო და სახალხო ბიბლიოთეკებს. მე-20 საუკუნის პირველი მეოთხედისათვის საქართველოში მყარი ნიადაგი მომზადდა უნივერსალური შინაარსის ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლების შესადგენად.

ქართული ეროვნული ბიბლიოგრაფიის მეცნიერულ და მეთოდურ წარმოებას სახელმწიფოებრივი ხასიათი 1924 წლიდან მიეცა, როდესაც თბილისში დაარსდა სახელმწიფო წიგნის პალატა. იგი იმთავითვე შეუდგა ქართული წიგნის სახელმწიფო ბიბლიოგრაფიის რეგისტრაციას. 1926 წლისათვის პალატამ 1917 – 1925 წწ. პერიოდის მნიშვნელოვანი რაოდენობის ქართული წიგნების აღწერილობები დააგროვა. „წიგნის მატთანის“ პირველი ნომერი 1926 წელს გამოიცა. ფაქტობრივად, იგი ატარებდა რეტროსპექტული ბიბლიოგრაფიული ნაშრომის სახეს. ეს იყო პირველი სახელმწიფო სარეგისტრაციო ბიბლიოგრაფიული ორგანო და პირველი ბიბლიოგრაფიული პროდუქცია წიგნის პალატის ორწლიანი ნაყოფიერი მუშაობისა.

„წიგნის მატთანე“ 1993 წლამდე გამოიცემოდა თვეში ერთხელ. გარდა სახელმწიფო სარეგისტრაციო ბიბლიოგრაფიული მუშაობისა, თბილისის ბიბლიოთეკებში მუშაობა მიმდინარეობდა შეერთებული კატალოგების შესადგენად. ამ საქმეს ხელმძღვანელობდა სკოლისგარეშე განათლების სახლთან არსებული საბიბლიოთეკო-საბიბლიოგრაფიო კაბინეტი, რომელმაც სპეციალური კომისია შექმნა თბილისის ბიბლიოთეკებში არსებული ქართული წიგნების შეერთებული

კატალოგის შესადგენად. კატალოგი 1924 წლისათვის მზად იყო. ამ პერიოდში თბილისის ბიბლიოთეკებში აღირიცხა 7000 სახელწოდების ქართული წიგნი. ამ კატალოგის შედგენამ სტიმული მისცა ქართული წიგნის შეერთებული, უფრო სრულყოფილი, უნივერსალური შინაარსის კატალოგის შექმნას.

„ქართული წიგნის“ ბიბლიოგრაფიის I ტომის მოსამზადებელი სამუშაოები 1935 წელს დაიწყო. შეერთებული კატალოგის შედგენის მიზნით, შემოწმდა და ერთიმეორეს შეუდარდა საქართველოს დიდი ბიბლიოთეკების კატალოგები - თბილისში, ქუთაისში, ზუგდიდში. რუსეთის ბიბლიოთეკებიდან ასეთი სამუშაოები მოსკოვსა და პეტერბურგში ჩატარდა. ქართული წიგნის შეერთებული კატალოგის ქრონოლოგიურ ჩარჩოებად განისაზღვრა 1629-1920 წწ. თბილისში ქართული წიგნების შედარებით სრულყოფილი კოლექცია დაცული იყო საჯარო ბიბლიოთეკაში, რომელსაც 1927 წელს გადაეცა ქ.მ.წ.კ. გამავრცელებელი საზოგადოების მდიდარი წიგნსაცავი. შეერთებული კატალოგის შედგენაზე გულდასმით მუშაობდა წიგნის პალატის კოლექტივი თ. ნაკაშიძის, ვლ. ჯოჯუას და პლ. ხუნდაძის ხელმძღვანელობით. „ქართული წიგნის“ ბიბლიოგრაფიის I ტომის შედგენაში პროფესიულ კონსულტაციებს უწევდნენ ცნობილი ბიბლიოთეკათმცოდნეები და ბიბლიოგრაფები: გ. ბაქრაძე, გ. გიორგაძე, შ. დოლაქიძე, ნ. ლორთქიფანიძე, ი. ციციშვილი, ს. ხუციშვილი. ძველი ქართული ნაბეჭდი წიგნების აღწერილობისას შემდგენლებს მეცნიერული რჩევები მისცეს: ი. ჯავახიშვილმა, კ. კეკელიძემ, ა. შანიძემ, ს. ჯანაშიამ.

ქართული ეროვნული ბიბლიოგრაფიის პირველი სრულყოფილი უნივერსალური შინაარსის ნიმუში, „ქართული წიგნის“ ბიბლიოგრაფიის პირველი ტომი, 1941 წელს გამოიცა. იგი მოიცავს 1629 - 1920 წწ. პერიოდის ქართული წიგნების ბიბლიოგრაფიულ აღწერილობებს. აღწერილი მასალა განლაგებულია ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, რაც დაინტერესებულ პირებს საშუალებას აძლევს, თვალყური ადევნონ ქართული წიგნის ბეჭდვის დინამიკას თითქმის სამი საუკუნის განმავლობაში. თითოეული ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი შესრულებულია იმ დროისათვის მოქმედი სტანდარტებისა და კოდექსების საფუძველზე. პირველი ტომი მდიდარი საცნობარო აპარატითაა აღჭურვილი, რაც მეცნიერ-მკვლევარს საშუალებას აძლევს ბიბლიოგრაფიული ძიება მისთვის საინტერესო კუთხით წარმართოს. პირველ ტომში სულ წარმოდგენილია 5833 ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი. ამ ბიბლიოგრაფიული ნაშრომის გამოცემით წიგნის პალატამ თავისი თავდაპირველი და ძირითადი მისია შეასრულა. ეს იყო სერიოზული განაცხადი ქართული ეროვნული ბიბლიოგრაფიის განვითარების გზაზე. როგორც აღვნიშნეთ, ამ ტომის გამოცემას წინ უძღვოდა შეერთებული კატალოგების შედგენისა და საერთოდ, ბიბლიოგრაფიული მუშაობის მდიდარი პრაქტიკა, რამაც განაპირობა ეროვნული ბიბლიოგრაფიის პირველი ნიმუშის მაღალი მეცნიერული და პროფესიული დონე. ქართული წიგნის პირველი ტომის, როგორც ეროვნული ბიბლიოგრაფიული რეპერტუარის გამოცემას გამოეხმაურა რუსული პროფესიული პრესა, სადაც აღნიშნეს, რომ მაჩვენებლის ეს ტიპი - ეროვნული რეპერტუარისა და შეერთებული კატალოგის შერწყმა, აუცილებელია დამკვიდრდეს საბჭოთა კავშირში მომავალი რეპერტუარის შედგენის პრაქტიკაში.

პირველი სერიოზული წარმატებისა და აღიარების შემდეგ წიგნის პალატა აგრძელებდა ქართული წიგნის ბიბლიოგრაფიის შედგენის სამუშაოებს. ქართული წიგნის ბიბლიოგრაფიის მეორე ტომი მოიცავს 1921 - 1945 წწ. პერიოდს. მასალის სიმრავლისა და დიდი ისტორიული პერიოდის გამო, ტომი გამოიცა 3 ნაკვეთად 1950-

1954 წლებში. მასში მასალა დარგობრივი პრინციპითაა სისტემატიზირებული. სისტემატიზაციას საფუძვლად უდევს მაშინდელი საკავშირო წიგნის პალატის საკლასიფიკაციო სქემა. აღწერილი მასალა მეორე ტომში 31 განყოფილებაშია განთავსებული. მეორე ტომი შედგება სამი ნაკვეთისაგან. პირველი და მეორე ნაკვეთი შეიცავს ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერებს, ხოლო მესამე, დამატებით ნაკვეთში წარმოდგენილია საძიებლები. მეორე ტომის ორივე ნაკვეთი მოიცავს 16 698 ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერს. „ქართული წიგნის“ ბიბლიოგრაფიის მე-3 ტომის გამოცემით (1984) დასრულდა ქართული ეროვნული ბიბლიოგრაფიის, როგორც უნივერსალური შინაარსის სახელწიფო ბიბლიოგრაფიის ამ ფორმითა და მასშტაბით გამოცემა. „ქართული წიგნის“ სამი ტომის გამოცემა მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ქართული კულტურის ისტორიაში. ეროვნული წიგნის რეპერტუარი, რომელიც საერთო ჯამში 1629 – 1950 წლების ქართული წიგნების აღწერილობებს მოიცავს, მნიშვნელოვან პირველწყაროს წარმოადგენს ქართული წიგნის ისტორიის, წიგნმცოდნეობისა და კატალოგიზაციის საკითხების კვლევისათვის.

ქართული ეროვნული ბიბლიოგრაფიის შედგენის საქმეში ფასდაუდებელი წვლილი მიუძღვის საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას. აღნიშნულმა ბიბლიოთეკამ, საკუთარ სტრუქტურაში ჩამოაყალიბა რამდენიმე მხარეთმცოდნეობის კაბინეტი, 1930-იანი წლებიდან საფუძველი ჩაუყარა ბიბლიოგრაფიული ნაშრომების გამოცემას. კაბინეტმა თ. მაჭავარიანის ხელმძღვანელობით 1940-1944 წლებში გამოსცა „ქართული ჟურნალებისა და კრებულების ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის“ სამი წიგნი, სამი ნაკვეთი. სამივე ნაკვეთი მოიცავს 1852 – 1905 წლების პერიოდში საქართველოში გამოცემული ჟურნალებისა და კრებულების მასალების ანალიტიკურ აღწერილობებს. სამივე ტომში წარმოდგენილია ქართული ჟურნალებისა და კრებულების მასალები. ესენია: „ცისკარი“, „ივერია“, „საქართველოს მოამბე“, „მნათობი“, „გუთნის დედა“, „კრებული“, „სასოფლო გაზეთი“, „ჩონგური“, „მოამბე“, „იმედი“, „ნობათი“, „მწყემსი“, „თეატრი“, „ჯეჯილი“, „ნაკადული“, „საქართველოს სიძველენი“ და სხვ.

„ქართული ჟურნალებისა და კრებულების ანალიტიკურ ბიბლიოგრა-ფიაში“ დაზუსტდა ბევრი დეტალი, გაირკვა ავტორის ვინაობა, გაიხსნა ფსევდონიმები. ამით ამ ეროვნული მნიშვნელობის საძიებელმა მეცნიერული ღირებულების უნივერსალური შინაარსის ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლის ღირსება და ხასიათი შეიძინა. აღნიშნული ბიბლიოგრაფიული ნაშრომის პირველი ნაკვეთის გამოცემას (1940) დიდი ინტერესით გამოეხმაურა ივ. ჯავახიშვილი, რომელმაც კარგად იცოდა ასეთი ნაშრომის მნიშვნელობა მეცნიერული კვლევის საქმეში.

მეორე სახის ეროვნული ბიბლიოგრაფიის ნიმუშს წარმოადგენს იმავე - საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მიერ გამოცემული „ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის“ 6 ტომი. მათგან მე-4, მე-5, და მე-6 ტომები წარმოდგენილია ნაკვეთების სახით. ექვსივე ტომში აღწერილია ქართული გაზეთების მასალა დაწყებული პირველი ქართული გაზეთი „საქართველოს გაზეთით“ (1819), „ივერიითა“ (1901-1904) და „ცნობის ფურცლით“ (1901-1904) დამთავრებული. მასალა ექვსივე ტომში სისტემატიზირებულია დარგობრივი პრინციპით. თითოეული ტომი აღჭურვილია შესაბამისი საცნობარო აპარატით. „ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის“ ექვსივე ტომი ასახავს ქართული პერიოდიკის გამოცემის დიდ პერიოდს (1819-1904). ეს ნაშრომი არის ბიბლიოგრაფთა ღრმად პროფესიული საქმიანობის დიდი შედეგი. ტომებში გახსნილია მე-19 საუკუნის მეორე ნახევრისა და მე-20 საუკუნის დასაწყისის

ქართული გაზეთების შინაარსი. აღნიშნული ბიბლიოგრაფიული ნაშრომები, როგორც ეროვნული ბიბლიოგრაფიის ნიმუშები, დღესაც ასრულებენ სამაგიდო წიგნების ფუნქციას მეცნიერ-მუშაკთათვის და არა მარტო მათთვის.

აქ ჩვენ მოკლედ მიმოვიხილეთ ქართული წიგნისა და პერიოდული გამოცემების უნივერსალური შინაარსის ბიბლიოგრაფიული ნაშრომები. მათი ვრცელი დახასიათება მოცემულია ქართულ სპეციალურ ლიტერატურაში. სხვადასხვა დროს ქართული ბიბლიოგრაფიის პრობლემებს მეცნიერულ დონეზე იკვლევდნენ: გ. ბაქრაძე, ი. ციციშვილი, ნ. ლორთქიფანიძე, გ. გიორგიძე, გ. აბაშიძე, ვლ. კახიანი, შ. დოლაძეძე, ნ. აკერმანი და სხვ. ქართული ბიბლიოგრაფიის დარგში სასწავლო და პრაქტიკულ მოღვაწეობას ეწეოდნენ: თ. მაჭავარიანი, ქ. ფოფხაძე, ა. ოთაროვა, ფ. ყურაშვილი, თ. ნაკაშიძე, ა. კასრაძე, გ. კიპაროიძე, გ. ბერულავა, ც. ჩიკვაშვილი, ი. გორგაძე, ნ. გურგენიძე, ფ. კვაჭანტირაძე და სხვები.

ქართული ეროვნული ბიბლიოგრაფიის უკვე გამოქვეყნებული ნაშრომები ფართოდაა ცნობილი სპეციალისტებისა და მეცნიერ-მკვლევარებისათვის. გარდა აქ მიმოხილული დიდტანიანი ბიბლიოგრაფიული ნაშრომებისა, საქართველოში გამოცემულია მრავალი დარგობრივი, ცალკეული პერიოდული გამოცემებისა და კრებულების ანალიტიკური ბიბლიოგრაფიები, რომელთა შედგენაში დიდი წვლილი მიუძღვით: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურ სამეცნიერო ბიბლიოთეკას, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფუნდამენტურ სამეცნიერო ბიბლიოთეკას და სხვა სპეციალურ და დარგობრივ ბიბლიოთეკებს. სამწუხაროდ ჩვენ არ გავაჩნია საქართველოში გამოცემული ბიბლიოგრაფიული ნაშრომების ბიბლიოგრაფია (მეორე საფეხურის ბიბლიოგრაფია). ამ საკითხებზე მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან გარკვეული მუშაობა ჩატარდა ბიბლიო-თეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის კათედრის, საქართველოს სახელ-მწიფო წიგნის პალატისა და საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ძალებით. მათ თავი მოუყარეს უძველესი პერიოდიდან 1990-იან წლებამდე გამოცემულ ბიბლიოგრაფიულ ნაშრომებს, რომელიც ამჟამად ხელნაწერის სახით დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში. ეროვნული ბიბლიოგრაფიის დანიშნულება სამამულო მეცნიერების დარგში კარგად ჰქონდათ შეგნებული ზემოთ დასახელებულ მეცნიერებს, მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებს.

თანამედროვე ეტაპზე, როდესაც საქართველოს სახელმწიფო წიგნის პალატა ეროვნული ბიბლიოგრაფიის დეპარტამენტის სახით შუერთდა საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას, ამ უკანასკნელმა, ფაქტობრივად, უნდა შეასრულოს ეროვნული ბიბლიოგრაფიის შედგენისა და გამოცემის სახელმწიფო ფუნქცია. ამისათვის პირველ რიგში აუცილებელია მოგვარდეს საქართველოში სავალდებულო ცალკების მიღების საკანონმდებლო ბაზა, როგორც დოკუმენტების სახელმწიფო ბიბლიო-გრაფიული რეგისტრაციისა და სტატისტიკის საფუძველი. უამისოდ რთულია ეროვნული ბიბლიოგრაფიის სრულყოფილი წარმოება.

ეროვნული ბიბლიოგრაფია სხვა სახის ბიბლიოგრაფიებისაგან ნიშანდობლივი მახასიათებელი ნიშნებით განირჩევა, კერძოდ:

- იგი ატარებს სახელმწიფოებრივ ხასიათს;
- წარმოგვიდგება როგორც უნივერსალური შინაარსის ბიბლიოგრაფია;
- მასში ასახულია სამამულო გამოცემების ერთი რომელიმე სახე (წიგნი, სერიალური გამოცემის რომელიმე ნიმუში);

- მისი სრულყოფილ დონეზე წარმოებისათვის აუცილებელია მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება (დოკუმენტების სავალდებულო ცალეების მიღება, სტატისტიკა), კომპიუტერული ევრისტიკის გამოყენება;

- მასში ასახულია წინა (რეტროსპექტული) პერიოდის დოკუმენტები;

- მასალის სისტემატიზაციისა და ბიბლიოგრაფირების პროცესში გათვალისწინებულია საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნები და დოკუმენტების აღწერილობის ენობრივი სპეციფიკა.

დოკუმენტების გამოვლენის, ბიბლიოგრაფიული აღწერისა და სისტემატიზაციის პროცესში კომპიუტერული ევრისტიკის შესაძლებლობების გამოყენება ფართო შესაძლებლობებს იძლევა ეროვნული ბიბლიოგრაფიის ზუსტი და ოპერატიული წარმოებისათვის.

ეროვნულ ბიბლიოთეკაში წლების განმავლობაში გრძელდებოდა ქართული პერიოდული გამოცემების ანალიტიკური ბიბლიოგრაფიული დამუშავება, ხოლო ყოფილი წიგნის პალატა ასევე ამზადებდა ქართული წიგნის ბიბლიოგრაფიის მომდევნო ტომებს (1950 წლის შემდგომ) გამოსაცემად. ხელნაწერი სახით არსებული ეს მასალები საჭიროებენ ბეჭდური სახით გამოცემას.

საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას, როგორც ეროვნული ბიბლიოგრაფიის ცენტრსა და სახელმწიფო დაწესებულებას, თანამედროვე ეტაპზე გააჩნია როგორც ინტელექტუალური, ასევე ეკონომიკური შესაძლებლობები საიმისოდ, რომ დროდადრო, სისტემატური და თანამიმდევრული მუშაობით აღმოფხვრას ეროვნული ბიბლიოგრაფიის წარმოებაში არსებული ხარვეზები. ამის საფუძველს გვაძლევს საქართველოში ბიბლიოგრაფიული მუშაობის მდიდარი ტრადიცია, გამოცდილება და შეგნება იმისა, რომ ეროვნული ბიბლიოგრაფიის შედგენითა და გამოცემით ეროვნული მნიშვნელობის საქმე კეთდება.

Г. ТАКНИАШВИЛИ

НАЦИОНАЛЬНАЯ БИБЛИОТЕКА И НАЦИОНАЛЬНАЯ БИБЛИОГРАФИЯ

Резюме

Автор освещает роль, функциональные возможности и значение национальных библиотек сегодня и перспективы их развития. Реорганизация и адаптация, которая произошла в Национальной Парламентской библиотеке Грузии, также нашли отражение в работе. Описаны дополнительные функции, возложенные на Национальную библиотеку после присоединения к ней в качестве департамента Книжной палаты Грузии. Подчеркивается, что национальные библиотеки являются носителями коллективной и научной памяти нации и ее культурного наследия.

G. TAKNIASHVILI

NATIONAL LIBRARIES AND NATIONAL BIBLIOGRAPHY

Summary

The article discusses the role, functional ability and the significance of the National libraries in the present, as well as future prospects of its development in the world. Re-organization and adaptation which have occurred in the National Parliamentary Library of Georgia is also depicted. The author highlights the duties of the National Library after Book Chamber became one of the departments of the National Library among which – the duty of composing National

Bibliography. It is stressed that National Libraries are bearers of the nation's collective, cultural and scholarly memory and cultural heritage.

ლიტერატურა - ЛИТЕРАТУРА – REFERENCES

1. ქართული წიგნი: ტ.1-3: 1941-1964.
2. ქართული ჟურნალებისა და კრებულების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია: წ. 1-3.-თბ., 1940-1944.
3. ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია: ტ. 2-6.- თბ., 1952-1975.
4. ბაქრაძე გ. ქართული ბიბლიოგრაფია როგორც წიგნმცოდნეობის დარგი // თბილისის პედაგოგიური უნივერსიტეტის შრომები:- ტ. 6.- თბ., 1949.
5. ციციშვილი ი. ქართული ბიბლიოგრაფიის ისტორიისათვის // კ. მარქსის სახ. საქართველოს საჯარო ბიბლიოთეკის შრომები:- წ. 1. – თბ., 1934. – გვ. 197 – 202.
6. კრებული / ი.ჯავახიშვილის რედ-ით. - თბ., 1915.
7. ლორთქიფანიძე ნ. კატალოგრაფია, ბიბლიოგრაფია და არქეოგრაფია // საქ. სსრ კ. მარქსის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის შრომები: - წ. 1 . - თბ., 1934 . – გვ. 120-134
8. წიგნის ზოგადი რეტროსპექტული ბიბლიოგრაფიული წყაროები / შემდგ. ქ.ფოფხაძე, ა. ოთაროვა. - თბ., 1989. – 36 გვ.;
9. ოთაროვა ა. პერიოდული გამოცემების რეტროსპექტული ბიბლიოგრაფიული წყაროები. - თბ., 1988. – 38გვ.;
10. Справочник библиографа.- М., 2002. – 528 с.;
11. Тюлина М. Национальная библиотека: Опыт типологического анализа .-М., 1988. -183 с.

მ ა ი ა მ ი ქ ა ბ ე რ ი ძ ე

საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის გამოცემები (1847-2006)

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, როგორც ქვეყნის მთავარი წიგნთსაცავი და სამეცნიერო-საინფორმაციო და საბიბლიოთეკო-ბიბლიოგრაფიული მომსახურების სოციალური ინსტიტუტი, თავის საქმიანობას ყოველ ისტორიულ პერიოდში წარმართავდა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ პროცესებთან შესაბამისობაში. მისი საქმიანობა არასდროს შემოფარგლულა მხოლოდ მკითხველთა მომსახურებით. სრულყოფდა რა თავისი უნივერსალური შინაარსის ფონდებს, ბიბლიოთეკა ამავე დროს ასრულებდა საქართველოს მთავარი ბიბლიოთეკის ფუნქციას. ათეული წლების განმავლობაში აქ მიმდინარეობდა საბიბლიოთეკო საქმის თეორიული თუ პრაქტიკული საკითხების მეცნიერული დამუშავება, ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლების შედგენა. ამავე დროს, იგი მეთოდოლოგიურ დახმარებას უწევდა ქვეყნის სხვა ბიბლიოთეკებსაც. სწორედ ამ მიზნით გამოსცემდა ეროვნული ბიბლიოთეკა პროფესიული საქმიანობის შესაბამის ლიტერატურას – წიგნებს და პერიოდულ გამოცემებს.

საქართველოს პარლამენტის ი. ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის გამოცემები მისი ისტორიისა და განვითარების სხვადასხვა ეტაპის ერთგვარი სახეა.

როგორც ცნობილია, ეროვნული ბიბლიოთეკა სათავეს იღებს 1846 წლიდან. ამავე პერიოდს განეკუთვნება მისი პირველი გამოცემებიც, რომლებიც დაკავშირებულია პირველი დირექტორის გავრილ ტოკარევის სახელთან. თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის დაარსების დროს კავკასიაში არ გამოდიოდა საბიბლიოთეკო საქმის არც ერთი პროფესიული პერიოდული ორგანო, რომელშიც შეიძლებოდა ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლების განთავსება. გავრილ ტოკარევა თბილისში გამომავალ რუსულ გაზეთ „კავკაზში“ 1847-1848 წლებში, გამოაქვეყნა ბიბლიოგრაფიული სახის სტატიები სახელწოდებით „Об источниках сведений о Кавказе (Статья библиографическая)“, რომლებშიც თავმოყრილი იყო ინფორმაცია კავკასიის ამსახველი მასალების შესახებ. ეს ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლები მოგვიანებით შევიდა კრებულებში „Сборник газеты „Кавказ“. შეიძლება ითქვას, რომ გ. ტოკარევის ბიბლიოგრაფიული სტატიები საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის პირველი პროფესიული გამოცემები იყო.

1861 წელს ბიბლიოთეკის მაშინდელმა დირექტორმა ადოლფ ბერჟემ გამოსცა მნიშვნელოვანი წიგნი: Краткий каталог Тифлисской Публичной библиотеки (1846-1861) / Сост. и напеч. под ред. : А. Берже. – Тфл., 1861. – 1116 с.

კატალოგი საკმაოდ დიდი მოცულობისა იყო. მასში აღწერი-ლობები განლაგდა გ. ტოკარევის მიერ შემუშავებული პრინციპით. კატალოგი ორი ნაწილისგან შედგებოდა: სისტემატური და ანბანური. სისტემატურ კატალოგში წიგნები შევიდა მათი შინაარსის მიხედვით და დანაწილდა თხუთმეტ თემად: I. ღვთისმეტყველება; II. ფილოსოფია; III. სამართალი; IV. ისტორია; V. ფილოლოგია; VI. სტატისტიკა; VII. გეოგრაფია; VIII. კამერალური მეცნიერებანი; IX. საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი; X. მედიცინა, ასტრონომია, ფიზიკა, მეტეოროლოგია, მექანიკა, არქიტექტურა, ზღვაოსნობა და სხვა. მათემატიკა, სამხედრო მეცნიერებანი; XI. მოგზაურობა; XII. სიტყვიერება; XIII. ენციკლოპედია; XIV. პერიოდული გამოცემები; XV. ნარევი; XVI. ხელნაწერები.

1866 წელს ამ კატალოგს დაემატა გაგრძელება: Продолжение краткого каталога Тифлисской Публичной библиотеки. с 1861 по 1865 год / Сост. и напеч. под ред. А. Д. Берже. – Тфл., 1866. – [302] с.

თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის კატალოგების მეორე და მესამე გაგრძელებები გამოიცა ბიბლიოთეკის მომდევნო დირექტორების – გ. ი. სივერსისა (1875-1881 წწ.) და პ. ე. მელერის (1881-1903 წწ.) რედაქციით: 1881 წელს „Второе продолжение краткого каталога Тифлисской публичной библиотеки“ / Сост. и напеч. под ред. Г. Сиверса. – Тфл., 1881. – XI, 1304 с., ხოლო 1895 წელს „Третье продолжение краткого каталога Тифлисской публичной библиотеки“ / Сост.: П.Э. Меллер – Тфл., 1895. – 379с. ამ კატალოგებით დასრულდა თბილისის საჯარო ბიბლიო-თეკის პროფესიული ლიტერატურის გამოცემათა პირველი ეტაპი.

საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში საბიბლიოთეკო ლიტერატურის შექმნა განსაკუთრებით გააქტიურდა XX საუკუნის 30-იანი წლებიდან. ამ პერიოდისათვის მას უკვე ეწოდებოდა არა თბილისის საჯარო ბიბლიოთეკა, არამედ საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა.

კომუნისტური იდეოლოგიის დამკვიდრებისა და განმტკიცების საქმეში საბჭოთა მთავრობა დიდ დატვირთვას ანიჭებდა ბიბლიოთეკებს. ეროვნულ ბიბლიოთეკას კი,

როგორც საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმთავრეს ბიბლიოთეკას, არა მარტო თავისი მუშაობა უნდა წარემართა კომუნისტური იდეოლოგიის გათვალისწინებით, არამედ უნდა ეხელმძღვანელა კიდევ რესპუბლიკის სხვა ბიბლიოთეკებისთვის ამ თვალსაზრისით. სწორედ ამით აიხსნება ეროვნული ბიბლიოთეკის საბჭოთა პერიოდში კომუნისტური იდეოლოგიის მატარებელი ბიბლიოგრაფიული საძიებლებისა და მეთოდური ლიტერატურის გარკვეული რაოდენობით არსებობა. ეს იყო ერთგვარი ხარკი, რომლის გარეშე ბიბლიოთეკა იმ პერიოდში ვერ შეძლებდა ფუნქციონირებას.

მიუხედავად იმისა, რომ ბიბლიოთეკა მთლიანად იმართებოდა (და კონტროლდებოდა) კომუნისტური ხელისუფლების მიერ, მან მაინც შეძლო უმაღლეს დონეზე შეესრულებინა ეროვნული ბიბლიოთეკის უპირველესი დანიშნულება – დაეცვა ბეჭდური ერთეულები, აღენუსხა და მკითხველისთვის მიეწოდებინა საინტერესო ინფორმაცია.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში შეიქმნა რამდენიმე საეტაპო მნიშვნელობის ბიბლიოგრაფიული ნაშრომი. მაგალითად, 1937-1940 წლებში საქართველოს ეროვნულმა ბიბლიოთეკამ ლ. მელიქსეთ-ბეგის რედაქციით ოთხ ტომად გამოსცა მეორე საფეხურის ბიბლიოგრაფიის ნიმუშები – „მასალები ამიერკავკასიის ბიბლიოგრაფიის ბიბლიოგრაფიისათვის“, რომლებშიც შევიდა შემდეგი ნაშრომები: მასალები ქართული ბიბლიოგრაფიის ბიბლიოგრაფიისათვის (ნ. აკერმანი); მასალები სომხური ბიბლიოგრაფიის ბიბლიოგრაფიისათვის (ლ. მელიქსეთ-ბეგი); მასალები ქართულ ხელნაწერთა კატალოგების ბიბლიოგრაფიისათვის (ლ. მელიქსეთ-ბეგი); *Материалы для полной библиографии работ Н. Я. Марра* (Л. Меликсет-Беков); *Материалы для библиографии каталогов армянских рукописей. Miscellanea* (доп. к вып. II-III)

(Л. Меликсет-Беков); მასალები ქართულ ხელნაწერთა კატალოგების ბიბლიოგრაფიისათვის – დამატება (ლ. მელიქსეთ-ბეგი); მასალები რუსთველოლოგიური ბიბლიოგრაფიის ბიბლიოგრაფიისათვის (ივ. შილაკაძე); *Из истории Кавказского языкознания* (Л. Меликсет-Беков).

1941-1944 წლებში საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში დამუშავდა და სამ ტომად გამოიცა „ქართული ჟურნალებისა და კრებულების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია“ (გ. აბზიანიძის რედ. და წინასიტყვაობით; ბიბლიოგრაფიის რედ. და საძიებლები თ. მაჭავარიანის). ამ გამოცემის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი იყო ცნობილი ბიბლიოგრაფი თამარ მაჭავარიანი. ამ ტომებში ბიბლიოგრაფიულად დამუშავდა 1852-1905 წლებში საქართველოში გამოსული ჟურნალები და კრებულები: „ცისკარი“, „სასოფლო გაზეთი“, „საქართველოს მოამბე“, „მნათობი“, „კრებული“, „დროების კალენდარი“, „თეატრი“, „მწყემსი“, „კვალი“, „საქართველოს კალენდარი“, „მოგზაური“ და სხვა.

აღწერილობები განაწილდა სისტემატურად, ცნობილი ბიბლიოთე-კათმცოდნე ნიკო ლორთქიფანიძის მიერ სპეციალურად ამ გამოცემისათვის შემუშავებული ცხრილის მიხედვით. ცხრილი შედგება 20-23 (ნაკვეთის მიხედვით) ძირითადი განყოფილებისაგან. ბიბლიოგრაფიას დაერთო დამხმარე საძიებო აპარატი: პირთა სახელები, გეოგრაფიული სახელწოდებანი, ქართული თეატრის რეპერტუარი (რეცენზიები), რედაქციების, დაწესებულებებისა და საზოგადოებების საძიებელი, აღწერილი წყაროების საძიებელი.

„ქართული ჟურნალებისა და კრებულების ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის“ პარალელურად ეროვნულმა ბიბლიოთეკამ 1942 წელს გამოსცა ბიბლიოგრაფ ან.

კასრაძის მიერ შედგენილი წიგნი „პირველი ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია“, რომელშიც შევიდა ინფორმაცია ძველ ქართულ გაზეთებში – „საქართველოს გაზეთი“ (1819წ. №1-43) და „ქართული გაზეთი“ (1820წ. №40 და 1821წ. №12 და 37) გამოქვეყნებული მასალების შესახებ.

სამწუხაროდ, ქართული გაზეთების ანალიტიკურ ბიბლიოგრაფიაზე მუშაობა ამ ნაშრომით შეწყდა და მხოლოდ ათი წლის შემდეგ განახლდა. 1952 წელს გამოიცა „ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის“ II ტომი ბიბლიოთეკის მაშინდელი დირექტორის ს. ეული-ქურიძის რედაქტორობით. II ტომში შევიდა ბიბლიოგრაფიული ინფორმაცია გაზეთებისა: „დროება“ (1866-1885 წწ.) და „შრომა“ (1881-1883 წწ.).

1963-1964 წლებში, ასევე დიდი დაგვიანებით, გამოიცა „ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის“ III ტომის I და II ნაკვეთი, რომლებშიც შევიდა ბიბლიოგრაფიული მონაცემები გაზეთებისა: „ივერია“ (1886-1892 წწ.), „ცისკარი“ (1887 წ.), „თეატრი“ (1890 წ.) [რედ.: პ. კანდელაკი].

დღეისათვის ამ ბიბლიოგრაფიის სულ ექვსი ტომი არსებობს ცხრა წიგნის სახით. ბოლო, VI ტომის II ნაკვეთი გამოვიდა 1975 წელს (გაზეთები – „ცნობის ფურცელი“ და „ცნობის ფურცლის“ სურათებიანი დამატება). მასალა ამ ბიბლიოგრაფიაშიც განლაგებულია სისტემატურად, იმავე ცხრილის მიხედვით, რომელიც გამოყენებულია „ქართული ჟურნალებისა და კრებულების ანალიტიკურ ბიბლიოგრაფიაში“. მასალის აღწერისა და განლაგების პრინციპი ყოველ ტომში ერთნაირია. თითოეულ ტომს დაერთვის დამხმარე საძიებლები.

„ქართული ჟურნალებისა და კრებულების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია“ და „ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია“, შეიძლება ითქვას, საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის ყველაზე ღირებული გამოცემებია, რადგან მათი საშუალებით ქართველ მკითხველებს, მათ შორის, არა მარტო რიგით მომხმარებელს, არამედ მეცნიერებს, შესაძლებლობა მიეცათ, უფრო სწრაფად და ეფექტურად მოეპოვებინათ სასურველი ინფორმაცია ძველი ქართული პერიოდული გამოცემებიდან. მუშაობის პროცესში გაიხსნა ან დაზუსტდა ბევრი ქართველი საზოგადო მოღვაწის ფსევდონიმი და კრიპტონიმი, მაგალითად, „ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის“ მარტო მესამე ტომში თ. მაჭავარიანის მიერ გახსნილი ი. ჭავჭავაძის 21 უცნობი წერილი რომლებიც არ შესულა მწერლის მანამდე გამოცემულ თხზულებათა კრებულებში.

1954 და 1964 წლებში ორ ნაწილად გამოიცა თამარ მაჭავარიანის მიერ შედგენილი „ნ. ნიკოლაძის არქივის კატალოგი“. 1975 წელს დაიბეჭდა ამავე ბიბლიოგრაფის მიერ შედგენილი „ილია ჭავჭავაძის პირადი ბიბლიოთეკის კატალოგი“, რომელიც შევსებული სახით ხელმეორედ გამოიცა 1987 წელს (რედ. ვ. რამიშვილი).

საყურადღებო ნაშრომია „თეიმურაზ ბატონიშვილის წიგნსაცავის კატალოგი“ (1948), რომელიც გამოსაცემად მოამზადა ს. იორდანიშვილმა. ანოტირებულ კატალოგს დანართის სახით ახლავს: მასალები თეიმურაზ ბატონიშვილის ბიოგრაფიისათვის; რუსეთის უმაღლესი მმართველობის მიწერილობანი; ავტორ-მთარგმნელთა და აღწერილობათა საძიებლები.

ამ ბიბლიოგრაფიების შექმნაზე იმუშავეს გამოცდილმა ბიბლიოგრაფებმა, რომლებმაც საფუძველი შეუქმნეს ეროვნულ ბიბლიოთეკაში სამეცნიერო-ბიბლიოგრაფიულ საქმიანობას, რომელიც განსაკუთრებით XX საუკუნის 60-70-იან და 80-იან წლებში გააქტიურდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა არა მარტო საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიულ ხასიათის ნაშრომებს გამოსცემდა, არამედ საბიბლიოთეკო საქმიანობისთვის აუცილებელ პროფესიული შინაარსის მასალებსაც, რომელთა ერთი ნაწილი მთლიანად რუსულიდან იყო ნათარგმნი, ნაწილი მუშავდებოდა ქართული ბეჭდური პროდუქციის სპეციფიკური ელემენტების შესაბამისად, ნაწილი კი იქმნებოდა ეროვნული ბიბლიოთეკის ინტელექტუალურ ბაზაზე დაყრდნობით.

1936 წელს გამოიცა „სამნიშნა საავტორო ტაბულები. შედგ. კეტერის მიხედვით“ (მაჭავარიანი თ., თოთიბაძე თ., ხაბურჭანია ე.). თავდაპირველად ეს ნაშრომი დაიბეჭდა ბიბლიოთეკის პერიოდულ ორგანოში – „კარლ მარქსის სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის შრომები“, შემდეგ კი, 1952 წელს, შესწორებული და შევსებული, ცალკე წიგნად გამოვიდა.

ორჯერ, 1957 და 1963 წლებში გამოიცა, აგრეთვე, „ორნიშნა საავტორო ტაბულები“ (შემდგ.: თ. მაჭავარიანი, გ. ბერულავა, თ. თოთიბაძე).

სხვადასხვა წლებში გამოიცა „ბეჭდვით ნაწარმოებთა აღწერილობის ერთიანი წესები (საშუალო მოცულობის ბიბლიოთეკების კატალოგებისა და ბიბლიოგრაფიული საძიებლებისათვის)“ (1954); „მეთოდური მასალები მასობრივი ბიბლიოთეკების დასახმარებლად“; „სახელმძღვანელო მასალები საბიბლიოთეკო მუშაობის საკითხებზე“: ცნობარი (გ. კიპაროიძე, 1970 წ.); „ცვლილებანი აღწერილობის ერთიან წესებში და სერიული გამოცემის აღწერილობის ზოგიერთი ნიმუში“ (მ. პაპიძე, 1970 წ.); „დოკუმენტების ბიბლიოგრაფიული აღწერა“: დამხმ. პრაქტიკული სახელმძღვ. მასობრივი ბიბლიოთეკებისათვის“ (შემდგ.: გ. თაყნიაშვილი, ო. ოსაძე); „საბიბლიოთეკო კლასიფიკაციის ცხრილები: მასობრივი, საბავშვო და სასკოლო ბიბლიოთეკებისათვის“ (შემდგ.: გ. თაყნიაშვილი, 1998 წ.) და ა.შ.

მკითხველთა ინტერესების შესაბამისად ბიბლიოთეკა გამოსცემდა ბიბლიოგრაფიულ მაჩვენებლებს მწერალთა და კულტურის სხვა წარმომადგენელთა შესახებ. წესისამებრ, მასალა იკრიბებოდა მათ იუბილეებთან დაკავშირებით. ბიბლიოთეკის გამოცემებში თემატიკის მხრივ სჭარბობდა კულტურისა და ხელოვნების ამსახველი ლიტერატურა. მაგალითად, 1975-1985 წლებში გამოვიდა ბიბლიოგრაფიის „ქართველი და საბჭოთა კავშირის ხალხთა კულტურული და ლიტერატურული ურიერთობები“ 10 წიგნი, 1979 წელს მკითხველმა მიიღო ბიბლიოგრაფია „საქართველოს ისტორიული ძეგლები“ ორი წიგნი - კახეთი და ქართლი, „ვეფხისტყაოსანი“: გამოცემების ბიბლიოგრაფიული საძიებელი“ (1966), „შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატები“ (1975 და 1986 წლებში), „ლიტერატურის სარეკომენდაციო საძიებელი ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა დასახმარებლად“ (1993) და ა.შ.

ეროვნული ბიბლიოთეკაში ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლები სხვა თემატიკაზეც იქმნებოდა, მაგალითად, „კიბერნეტიკა და ელექტროგამომთვლელი მანქანები“ (1957), „ალერგია და ალერგიული დაავადებანი“ (1975), „გულ-სისხლძარღვთა დაავადებების პროფილაქტიკა“ (1976), „საქართველოს ნაკრძალები“ (1977), „გარემოს დაცვა“ (1979) და სხვა.

გარდა წმინდა საბიბლიოთეკო გამოცემებისა, ეროვნულმა ბიბლიოთეკამ სხვადასხვა დროს გამოსცა შემეცნებითი და მხატვრული შინაარსის წიგნები. მაგალითად: _ ჩხენკელი თ. ჩხენკელი ნ. ინტერნეტი: ინფორმაციის ძიება „მსოფლიო აბლაბუდაში“ (1999). ეს გამოცემა დახმარებას უწევს ინტერნეტის მოძიებებს.

(რომელთა რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა უკანასკნელ წლებში) ამ სისტემის უკეთ გაცნობასა და მის ეფექტურ გამოყენებაში.

2002 წელს გამოიცა წიგნი „თავადი ჭავჭავაძეები“, რომელიც მთლიანად მომზადდა ეროვნული ბიბლიოთეკის გენეალოგიის კვლევის ცენტრის თანამშრომელთა მიერ. მასში სათანადო დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ნაჩვენებია ჭავჭავაძეთა სახელოვანი გვარის გენეალოგიური ხაზი. 2004 წელს ბიბლიოთეკის გამომცემლო-ბამ დასტამბა ავთანდილ გაფრინდაშვილის ლექსები.

პერიოდული გამოცემები

საქართველოს ეროვნულმა ბიბლიოთეკამ 1934 წლიდან დაიწყო პირველი პროფესიული პერიოდული ორგანოს – „კარლ მარქსის სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის შრომების“ გამოცემა, გამოვიდა მხოლოდ ხუთი ტომი ამ დრომდე, ე. ი. XX საუკუნის პირველ მესამედში, ეროვნულ ბიბლიოთეკაში არ გამოიცემოდა პროფესიული ლიტერატურა. შრომების გამოსვლას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საბიბლიოთეკო საქმის მეცნიერულ დონეზე დასაყენებლად, რადგან სწორედ აქ გახდა შესაძლებელი ბიბლიოთეკათმცოდნეობითი ნაშრომების გამოქვეყნება, რამაც ხელი შეუწყო საბიბლიოთეკო კადრების მომზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას.

„შრომებში“ შესული მასალები შეეხებოდა საბიბლიოთეკო საქმის სხვადასხვა საკითხს, როგორც ბიბლიოთეკების მუშაობის თეორიულ და პრაქტიკულ მხარეს, ასევე ბიბლიოგრაფიულ მუშაობასაც, მაგალითად:

ნ. ლორთქიფანიძე. საგნობრივი კატალოგის და ქართულ საგნობ-რივ რუბრიკათა კონსტრუქციის ძირითადი პრინციპები. - ტ. I. - 1934;

ივ. ციციშვილი. „კატალოგრაფიის კვანძადი საკითხები“, IIIტ. 1937;

ტ. კასრაძე. „პერიოდიკის ინვენტარიზაციის დაწყობის და ერთეულის საკითხისათვის“, IIIტ. 1937;

ქრ. შარაშიძე. „ძველი ქართული საბიბლიოთეკო ფონდებისა და მათი დაცვისა საქმისათვის“, IIIტ. 1937;

ივ. ციციშვილი. „ქართული ბიბლიოგრაფიის ისტორიისათვის“, Iტ. 1934;

ლ. მელიქსეთ-ბეგი. შოთა რუსთაველი და მისი „ვეფხისტყაოსანი“ სომხურ ლიტერატურაში, IVტ. 1938;

ე. ზაქტრეგერი. „ინსტრუქცია რუკების დამუშავების შესახებ“, Vტ. 1940.

„შრომების“ II ტომი მთლიანად დაეთმო თ. მაჭავარიანის, თ. თოთიბაძისა და ე. ხაბურზანიას მიერ შედგენილ ნაშრომს „სამნიშნა საავტორო ტაბულები. შედგ. კეტერის მიხედვით“ (1936).

სხვადასხვა წლებში გამოიცემოდა საინფორმაციო პერიოდული ბიულეტენები, რომლებშიც მოთავსებული იყო ინფორმაცია ბიბლიოთეკაში შემოსული ახალი ლიტერატურის შესახებ, მაგალითად, „ახალი წიგნები სოფლის მეურნეობაში“, „ახალი წიგნები სატყეო მეურნეობაში“, „ახლადშემოსული უცხოური ლიტერატურის სია“, „ახალი ლიტერატურა საქართველოს სსრ კულტურასა და ხელოვნებაში“ და ა. შ.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ განვითარებული პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისის გამო ეროვნულ ბიბლიოთეკაში ერთხანს შეფერხდა, როგორც ერთჯერადი, ასევე პერიოდული გამოცემების ბეჭდვა.

2000-2001 წლები საქართველოს საბიბლიოთეკო ცხოვრებაში იმით იყო საყურადღებო, რომ დაარსდა ორი ახალი ქართულენოვანი პროფესიული პერიოდული ორგანო – ჟურნალი „საქართველოს ბიბლიოთეკა“ და გაზეთი „ქართული წიგნი“. ამ გამოცემებმა ერთგვარად შეავსო ის ვაკუუმი, რომელიც შეიქმნა ამ სფეროში XX საუკუნის ბოლო ათწლეულში. ამავე წელს განახლდა ანოტირებული ბიბლიოგრაფიული სამიებლის – „საქართველოს“ გამოცემა, რომელიც მომზადებულია ქართველოლოგიის განყოფილების მიერ.

ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“ მიზანი იყო, ხელი შეეწყო ქვეყანაში საბიბლიოთეკო საქმიანობის წარმართვისათვის თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე, გაეზარდა ამ სფეროში მომუშავე სპეციალისტთა პროფესიული დონე, წარემართა მათი კოორდი-ნირებული საქმიანობა, საზოგადოებისათვის გაეცნო ბიბლიოთეკასთან დაკავშირებული პრობლემები და იმ ადამიანთა ღვაწლი, რომლებიც დღენიადაგ ემსახურებიან ამ საქმეს. (ჟურნალის ელექტრონული მისამართია <http://www.library/ge>).

გაზეთმა – „ქართულ წიგნმა“ მხოლოდ წელიწადნახევარი იარსება და უსახსრობის გამო, სამწუხაროდ, დაიხურა. იგი ყოველთვის ურად გამოდიოდა და პოპულარობით სარგებლობდა არა მარტო წიგნის მოყვარულთა და საბიბლიოთეკო სფეროს წარმომადგენელთა შორის, არამედ საზოგადოების სხვა ფენებშიც. გაზეთში იბეჭდებოდა ქართული კულტურის ისტორიის ამსახველი სტატიები, რეცენზიები, ანალიტიკური ინფორმაცია ახალგამოსული წიგნების შესახებ. ბიბლიოფილებს და კოლექციონერებს შესაძლებლობა ეძლეოდათ გაზეთის საშუალებით მიეღოთ და თავიდაც თვითონაც განეთავსებინათ ინფორმაცია მათთვის საინტერესო წიგნებზე.

2000 წელს საფუძველი ჩაეყარა საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის კავკასიოლოგიურ კვლევათა ცენტრისა და კავკასიოლოგთა საერთაშორისო ასოციაციის ყოველწლიურ აღმანახს „კავკასიის მაცნე“, რომლის მიზანი იყო, გაეგრძელებინა XIX-XX საუკუნეების მანძილზე კავკასიის მრავალეროვან რეგიონში შექმნილი სამეცნიერო და კულტურული ტრადიციები. ჟურნალი სამენოვანია, მასალა იბეჭდება ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე. ჟურნალში ქვეყნდება კავკასიის პრობლემებთან დაკავშირებული სამეცნიერო სტატიები მეცნიერების სხვადასხვა დარგიდან.

ამავე ცენტრის მიერ 2002 წელს დაარსდა ჟურნალი „Кавказо-ведение,»ხოლო 2003 წელს „Кавказский реферативный журнал“, რომლებშიც მასალა რუსულ და ინგლისურ ენებზე ქვეყნდება. სამივე პერიოდული ორგანოს ელექტრონული ვერსიით სარგებლობა მკითხველს შეუძლია ინტერნეტის შემდეგ მისამართებზე:

- <http://www.nplg.gov/ge/caucasia/messenger>
- <http://www.nplg.gov/ge/caucasia/caucasology>
- <http://www.nplg.gov/ge/caucasia/caucasology/abstracts>

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მეცნიერული პროდუქცია და მეთოდურ-პრაქტიკული ხასიათის გამოცემები მყარ ნიადაგზე აყენებდა საქართველოში საბიბლიოთეკო საქმეს. ეროვნული ბიბლიოთეკის მიერ

გამოცემული ფუნდამენტური ხასიათის ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლები ასრულებდნენ და დღესაც ასრულებენ მკითხველთა ფართო წრეებისათვის სამაგიდო წიგნების დანიშნულებას.

M. MIKABERIDZE

**ПУБЛИКАЦИИ НАЦИОНАЛЬНОЙ ПАРЛАМЕНТСКОЙ БИБЛИОТЕКИ ГРУЗИИ
(1847-2006)**

Резюме

Национальная Парламентская библиотека Грузии на протяжении 160-летнего периода своего существования успешно сочетала библиотечную и научно-информационную деятельность. В статье на основе анализа издательской продукции Национальной Парламентской библиотеки Грузии, начиная с 1846 до 2006 года, прослеживается история развития библиотечной науки в Грузии. Автор даёт детальную картину информационной и библиотечной деятельности, начиная с первой публикации – аннотированного библиографического обзора, составленного ее первым директором Г.А. Токаревым – “Об источниках сведений о Кавказе ” – до фунда-ментального труда – библиографии грузинской прессы (ред.Т. Мачавариани). Отмечается, что в трудах рассматриваются проблемы организации книжных фондов, классификации, обработки и каталогизации, межбиблиотечного сотрудничества и т.д. Здесь же обсуждаются проблемы грамотности в широком смысле слова, издательского дела и библиомании в Грузии и за её пределами.

M. MIKABERIDZE

**PUBLICATIONS OF THE NATIONAL PARLIAMENTARY
LIBRARY OF GEORGIA
(1847-2006)**

Summary

The National Parliamentary Library of Georgia during 160 years of its existence conducted its work within the library and information sciences activity. In the article author traces the history of Library Sciences in the National Parliamentary Library of Georgia (NPLG), focusing on its publications from 1846 up to 2006. Through review of publications, author pieces together a reasonably detailed picture of Research in Information and Library Services. The annotated bibliography activity from the work of its first Director G. Tokarev “The sources for the investigation of the Caucasus” up to several volumes of Annotated bibliography of Georgian Press (edited by T.Machavariani) is also depicted. The article discusses the wide variety of subjects covered in the publications of the NPLG such as composition of library stock, classification, book processing and cataloguing, interlibrary cooperation etc. The literacy, publishing and bibliomania in Georgia and abroad are widely discussed and also depicted.

**ნინელი მელქაძე, მალი ლიუ-ყანდარელი, ალექსანდრე
ლორია, ლალი ჩიხრაძე, სოფო ჯაშიაშვილი**

ქართული ბიბლიოგრაფიის ჩამოყალიბების ისტორიიდან

უძველესი ხანიდან ჩინეთი თითქოს ახლად აღმოჩენილ უცნობ პლანეტას წარმოადგენდა. იდუმალეზა და საოცრებანი ერთგვარ ბურუსში ახვევდა მას. ამ უზარმაზარი ქვეყნის სიღრმეში შეღწევა, მისი სულიერი სამყაროს წვდომა ურთულეს საქმეს წარმოადგენდა. ფორტიფიკაციული ხელოვნების უბადლო ნიმუში – „ჩინეთის დიდი კედელი“ გასაიდუმლოების სიმბოლოდ იქცა მთელ მსოფლიოში; ადრეულ პერიოდში ხაზგასმულად წარმოადგენდა უდიდესი მემკვიდრეობის ხელუხლებლად დაცვის სისტემას, რომელმაც შემდეგ საკაცობრიო მნიშვნელობა შეიძინა.

ჩინეთის ცივილიზაცია უძველესი დროიდან იღებს სათავეს. თავისი პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, ეთნიკური თუ ლინგვისტური სირთულეებით ჩინეთი ყოველთვის იდგა კაცობრიობის ყურადღების ცენტრში, მაგრამ მიდგომა მისი შესწავლისათვის, მასთან მიახლოება ურთულეს საქმეს წარმოადგენდა. ამიტომაც იყო ხშირად ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრებები ამ ქვეყნის ცხოვრებასა და კულტურაზე.

ჩინელებმა თავისი განვითარების გზაზე, მიუხედავად მძიმე ისტორიული პირობებისა, მსოფლიო მასშტაბის კულტურა შექმნეს. ჯერ კიდევ 3 ათასი წლის წინ ისინი ბრინჯაოს დამუშავების ოსტატებად მიიჩნეოდნენ. ცინის დინასტიის პერიოდში (ძვ. წ. 221-206) შეიქმნა ჩინური ფაიფურის ჭურჭელი, რომელიც დღემდე ეტალონად ითვლება. განსაკუთრებით გამოირჩეოდა ჩინეთის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა, რაზეც თვით იმპერატორები ზრუნავდნენ. ფაიფური, კომპასი, აბრეშუმი, ქაღალდი და ბევრი სხვა რამ, ჩინელების მიერაა კაცობრიობის საგანძურში შეტანილი. ჩინელებმა ერთ-ერთმა პირველებმა შექმნეს რუკები, რომელთა გარეშე შეუძლებელი იქნებოდა უმნიშვნელოვანესი გეოგრაფიული აღმოჩენები. ჩინელები ყველაზე ადრე ლაშქრავდნენ ზღვებსა და ოკეანეებს საოცარი კონსტრუქციის დიდი ხომალდებით [2: 88; 8: 44-49].

ისტორიულად ცნობილ მრავალ მოვლენათა შორის, შეიძლება ითქვას, გამორჩეულად დგას წიგნისა და წიგნიერების საქმე. ქაღალდის წარმოება, ქსელოგრაფია, წიგნების ორიგინალურად გაფორმება, მათი დაცვის კულტურა, წიგნით ვაჭრობა, ბიბლიოთეკები აქ უაღრესად დახვეწილ, მაღალ დონეს აღწევს.

ჩინეთის უზარმაზარი კულტურული მემკვიდრეობა, რომელიც საუკუნეების შემდეგ დღემდე შემორჩა, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ჰპოვებს თავის ასახვას, ხოლო შორეული და შუა აღმოსავლეთის, აგრეთვე ოკეანეთის ქვეყნებში მისი პირდაპირი გავლენა უტყუარია [3: 111-168; 4: 87-134]. ჩინეთი ჩვენში ყოველთვის ითვლებოდა სიბრძნის, სიუხვის, ნატიფი ხელოვნების სიმბოლოდ.

ჩინეთი ჩვენში დღესაც ითვლება ერთ-ერთ უდიდეს, უაღრესად საინტერესო, მიმზიდველ და უმდიდრესი შესაძლებლობების ქვეყნად, რომელთან ურთიერთობაც სასიკეთოდ წაადგება ჩვენს ქვეყანას. საჭიროა უფრო მეტად, უფრო ღრმად და საფუძვლიანად გავეცნოთ ერთმანეთს. განსაკუთრებით დიდ ყურადღებას იწვევს ამ გიგანტი ქვეყნის წიგნიერი კულტურა, რაც ათასეულ წლებს ითვლის.

ბიბლიოგრაფია ერთ-ერთი უძველესი დარგია, რომელიც ადრეული პერიოდიდან იღებს სათავეს. მისი პირველადი დანიშნულება – დოკუმენტების აღწერა – მალე მრავალ ასპექტს იძენს. მათ შორის უპირველესი იყო დამხმარე საძიებლები, რომლებიც თან ერთოდა წიგნებს და ხელს უწყობდა სწავლულთ მათთვის საჭირო დეტალების შეცნობასა და მოძიებაში. თანდათან ჩნდება ანოტაციები, რომლებიც კიდევ უფრო აადვილებენ ნაწარმოებში ორიენტაციას.

ჯერ კიდევ ხანის ეპოქის ჩინელი მეცნიერი და ბიბლიოგრაფი ლიუ-სინი ჩვენამდე მოღწეული პირველი ანოტაციების ავტორი, ასევე რომელი ბიბლიოგრაფები,

რომლებიც თავიანთ გრაგნილებს თან ურთავდნენ „ინდექსებს” ანუ „ტიტულებს», მიუთითებდნენ გრაგნილში მოთავსებული ნაწარმოების სათაურებსა და მათში განხილულ საკითხთა მოკლე მიმოხილვას [6: 64-78; 9: 141-148; 7: 249-269;].

1. ქართული პერიოდული ორგანოები (მოკლე ისტორიული მიმოხილვა)

მიუხედავად იმისა, რომ ბიბლიოგრაფია უძველესი დროიდან იწყებს ჩამოყალიბებას, დამხმარე მაჩვენებელთა შექმნის ტრადიცია საკმაოდ გვიან ჩამოყალიბდა. შუა საუკუნეების ევროპაში მან ღრმად ვერ გაიდგა ფესვი. მხოლოდ XIV საუკუნის ხელნაწერებში ვხვდებით მცირე რაოდენობით (თანამედროვე გაგებით) ერთგვარ პრიმიტიულ დამხმარე მაჩვენებლებს, რომლებიც ფაქტობრივად, ტექსტიდან ამოკრეფილ ძირითად აზრთა და წინადადებათა ნუსხას წარმოადგენს. მანამდე წიგნებს საგნობრივი რუბრიკები არ ერთვოდა, მაგრამ თანდათან დამხმარე აპარატი იხვეწებოდა, რაც სულ უფრო მეტად იჩენდა თავს ძველ წიგნებში. ეს აადვილებდა ინფორმაციის ხელმისაწვდომობას და ცოდნის გავრცელებას [6: 64-78; 9 : 141-148].

საქართველო შუა საუკუნეების ადრეულ პერიოდში ჩაერთო ბიბლიოგრაფიულ საქმიანობაში და მსოფლიოს საუკეთესო გამოცდილებას ტოლს არ უდებდა. ამის დასტურია ქართული წიგნის უძველესი კატალოგი – სინას მთის მონასტერში დაცული წიგნების აღწერილობა – აღნუსხვის ერთი ფრაგმენტი, რომელიც X საუკუნეს განეკუთვნება.

ბიბლიოგრაფიული ტრადიციები შუა საუკუნეების საქართველოსათვის უცხო არ არის. ევროპასა და წინა აზიაში არსებული ქართული სამონასტრო ცენტრები, ცხადია, კარგად იქნებოდნენ გაცნობილნი იმდროინდელ გამოცდილებას. წიგნების შერჩევა-გადარჩევა ქრისტიანულ სასულიერო სამყაროსათვის დამახასიათებელ მოვლენას წარმოადგენდა. აღირიცხებოდა როგორც აღიარებული, ისე „წიგნი რომელთაც ეკლესია არა შეიწყნარებს”, როგორც ამას X-XI საუკუნის უდიდესი საეკლესიო მოღვაწე ექვთიმე მთაწმინდელი წერდა საქართველოში გიორგი ბერს.

პირველ გზამკვლევადა გვევლინება ამიენის საკათედრო ტაძრის წინამძღვარი – რიშარ დე ფურნივალი (1201-1260) თავისი კაპიტალური ნაშრომით – «ბიბლიონომია» («წიგნმცოდნეობა»). ეს იყო პრაქტიკული გამოცდილების თეორიული გააზრება. ფურნივალი ეყრდნობოდა იმ ბიბლიოთეკის კონკრეტულ საქმიანობას, რომელშიც თვითონ მოღვაწეობდა. ნაშრომში მოცემულია ბიბლიოთეკის მოწყობის, ფონდების განლაგების, წიგნების აღწერისა და სისტემატიზაციის წესები.

ფურნივალი კატეგორიულად უგულებელყოფდა იმ დროს ჩამოყალიბებულ მეცნიერებათა სისტემატიზაციის სქემას, რომელიც შემუშავებული ჰქონდა როჯერ ბეკონს (1214-1294). ამ თეორიას დიდხანს გავრცელება არ ეწერა, რაც გამოწვეული იყო სქოლასტური თეორიების ჰეგემონური მდგომარეობით.

მე-14 საუკუნეში ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და წიგნმცოდნეობის თეორიის განვითარებას დიდად შეუწყო ხელი რიშარ დე ბერმა.

ბერის ნაშრომი – «ფილოზოფიკონი» – გამოირჩევა თეორიული მოსაზრებების დამუშავებით. მან დიდი როლი ითამაშა ბიბლიოთეკათმცოდნეობის მეცნიერულ დებულებათა ჩამოყალიბების საქმესა და დარგის წიგნმცოდნეობითი კომპლექსის იდეის შექმნაში.

შუა საუკუნეებში განსაკუთრებით იზრდება ინტერესი კატალოგებისადმი. იმდენად, რამდენადაც ამ დროს საბიბლიოთეკო საქმე ძირითადად სასულიერო დაწესებულებათა პრეროგატივაა, გასაგები ხდება, რომ მისი თეორიაც სასულიერო მოღვაწეთა ინტერესის სფეროს შეადგენს, ხოლო კატალოგები ამ დროს უმთავრესი პრობლემატური მოვლენაა. ისიც საყურადღებოა, რომ შუა საუკუნეების საწყის და შუა პერიოდში სასულიერო დაწესებულებები სწორედ იტალიის მთელ ტერიტორიაზე იყო მომძლავრებული და სწორედ აქ ჩაეყარა საფუძველი საბიბლიოთეკო თეორიის მძლავრ აღორძინებას; განსაკუთრებით ეს XV-XVI საუკუნეებზე ითქმის.

1560 წელს გამოქვეყნდა ბენედიქტელი ბერის – ფლორიან ტრეფლერის ნაშრომი ბიბლიოთეკების შესახებ. მასში განზოგადებულია იტალიისა და ზოგიერთი სხვა ქვეყნის საბიბლიოთეკო საქმის გამოცდილება. ავტორს მიაჩნია, რომ ბიბლიოთეკაში აუცილებლად უნდა იყოს ანბანური, სისტემატური და საგნობრივი კატალოგები. ეს მოსაზრება ახალ საუკუნეებშიც სიცოცხლისუნარიანი იყო და დღემდე ინარჩუნებს სიცხოველეს. ის მანამდე წარმო-ადგენდა დისკუსიის საგანს, ვიდრე ელექტრონულმა კატალოგმა არ დაიწყო გავრცელება, რამაც ერთბაშად განახორციელა კატალოგისტა ოცნება – ერთიან სისტემად შეერწყათ სამივე კატალოგი, რაც ტექნიკის გარეშე ვერაფრით მოხერხდებოდა.

ტრეფლერი სრულებით არ გამოირჩეოდა დემოკრატიზმით. ის ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ბიბლიოთეკა რჩეულთა საქმეა და მასთან ხელი არ აქვს ყველას, ვისაც ეს მოესურვება. ამ იდეოლოგიის საპირისპიროდ, რენესანსმა ხელი შეუწყო

ბიბლიოთეკების კარის გაღებას უბრალო მკითხველთათვის, რაშიც დიდი როლი ითამაშა კერძო პირთა მოღვაწეობამ საბიბლიოთეკო საქმეში. ამ მხრივ, უნდა აღინიშნოს პეტრარკას, ბოკაჩოს, განსაკუთრებით კი – ნიკოლი ნიკოლის კერძო ბიბლიოთეკების მნიშვნელობა. მართალია, მათ რაიმე მნიშვნელოვანი ნაშრომი არ შეუქმნიათ, მაგრამ მეტად საყურადღებო იყო მოსაზრებები წიგნის შესახებ და ჰუმანისტური დამოკიდებულება მკითხველების მოთხოვნილებათა მიმართ. ამით მათ კარი გაუღეს ბიბლიოთეკათმცოდნეობაში ახალ პრობლემას – მკითხველს, როგორც მომხმარებელს, მის ინტერესებსა და მოთხოვნილებებს.

იტალიური რენესანსის ზეგავლენით საბიბლიოთეკო საქმითა და თეორიით შუა საუკუნეებში არაერთი დიდი მოღვაწე და მეცნიერი დაინტერესდა. მათ შორისაა ცნობილი სასულიერო მოღვაწე და რეფორმატორი – მარტინ ლუთერი (1483-1546). იგი კარგად იცნობდა გერმანიის წიგნსაცავებს და ცდილობდა, მათი უფრო ფართოდ გამოყენების ტრადიცია დანერგილიყო. ამიტომაც მოითხოვდა სამონასტრო ბიბლიოთეკების ხელმისაწვდომობას ყველა მსურველი-სათვის. ეს საბიბლიოთეკო საქმეში ერთგვარი დემოკრატიულობის პრინციპის აღიარებას წარმოადგენდა.

შუა საუკუნეების საფრანგეთში საბიბლიოთეკო საქმეს განსაკუთრებული გულისყურით აღორძინების ხანაში ეკიდებიან. შესამჩნევად იხვეწება საბიბლიოთეკო საქმიანობა. ამას საფუძველი ჩაუყარა ეროვნული ბიბლიოთეკის ფუძემდებელმა, XVI საუკუნის ცნობილმა მოღვაწემ - დელაკრუამ. 1583 წელს მან შეიმუშავა სამეფო ბიბლიოთეკის წიგნების განლაგების თავისებური სისტემა, რომელსაც საფუძვლად ასეულობით დაყოფის პრინციპი დაუდო. 100 კარადაში ათ-ათი თარო უნდა ყოფილიყო; ყოველ კარადაში - მხოლოდ ერთი თემატიკის წიგნები. 100 კარადა გაიყოფოდა 7 ძირითად დარგობრივ კომპლექტად. ყველაზე მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენდა ის, რომ დარგები ციფრებით აღინიშნებოდა, რაც, შემდგომში, მთელ მსოფლიოში გავრცელდა. განლაგება იყო «მიმამაგრებითი» სისტემის ერთგვარი ვარიანტით. დელაკრუას თეორიული მოსაზრებები და რეკომენდაციები 1584 წელს მის ნაშრომში გამოქვეყნდა.

1585 წელს ლონდონში გამოდის დიუ ვერდიეს მიერ შედგენილი ბიბლიოგრაფიული ნაშრომი. მისი და დელაკრუას ნაშრომები, მრავალ ახალ იდეასთან ერთად, გამოირჩევა წყობით, წესრიგით, თანმიმ-დევრობით, აღწერილობის ორიგინალობით. დიუ ვერდიეს ნაშრომში, ძირითადად, მოცემულია ფრანგული წიგნების აღწერილობანი, უმეტესად, XVI საუკუნისა. ამგვარი ნაშრომის შექმნა მოითხოვდა განსაკუთრებული წესების დამუშავებას, რაც თეორიულ საფუძვლებზე უნდა ყოფილიყო დამყარებული.

მე-16 საუკუნესა და მე-17 საუკუნის დასაწყისში ევროპაში ვრცელდება ინგლისელი თვალსაჩინო მეცნიერის – ფრენსის ბეკონის (1561-1626) მოძღვრება მეცნიერებათა კლასიფიკაციის შესახებ. ამ სისტემამ დიდი გავლენა მოახდინა საბიბლიოთეკო-ბიბლიოგრაფიული კლასიფიკაციის განვითარებაზე, რაც სისტემატური კატალოგისთვის ერთ-ერთი ფუძემდებლური ვარიანტის შექმნის შესაძლებლობას იძლეოდა.

შეიძლება ითქვას, რომ ბიბლიოთეკათმცოდნეობის განვითარების ისტორიაში ეს მონაკვეთი ადრინდელი თეორიიდან ახალ თეორიულ სამყაროში გადასვლის ერთგვარ ზღურბლს წარმოადგენს.

შუა საუკუნეების დასასრული და ახალი ისტორიის დასაწყისი – ეს არის უფრო მაღალი საფეხურის თვისებრივად განსხვავებული ეტაპი ბიბლიოთეკების განვითარებაში. ამ ეპოქის კარის გამღებად შეიძლება მივიჩნიოთ ლუდოვიკო XIII-ის

ექიმი, წიგნმცოდნე, პუბლიცისტი, პროფესორი – გაბრიელ ნოდიე (1600-1653). იგი ერთხანს კარდინალ ჯულიო მაზარინის მიერ 1634 წელს დაარსებულ საჯარო ბიბლიოთეკაში მოღვაწეობდა. მაზარინის გარდაცვალების შემდეგ სტოკჰოლმის სამეფო ბიბლიოთეკაში გადავიდა, გაეცნო მრავალ დიდ ბიბლიოთეკას და კარგი გამოცდილებაც შეიძინა. მან თავისებური მეთოდები შეიმუშავა და ორიგინალური რეკომენდაციებიც მოგვცა; გამოაქვეყნა თეორიული ნაშრომი – «რჩევანი ბიბლიოთეკების მოსაწყობად», რომელიც ამ ეპოქის ყველაზე სერიოზულ მეთოდურ სახელმძღვანელოს წარმოადგენს.

ინგლისში გავრცელებულ სქოლასტიკურ საკლასიფიკაციო სისტემებს აქტიურად დაუპირისპირდა ბიბლიოგრაფი და წიგნმცოდნე – ენდრიუ მაუნსელი. მან 1595 წელს გამოსცა ნაშრომი – «ინგლისური ნაბეჭდი წიგნების კატალოგი», რომელშიც მოცემულია ახალი მითითებები კატალოგების შედგენის წესებთან დაკავშირებით.

1651 წელს ლონდონში გამოდის ჯონ დიურის – «რეფორმირებული სკოლა და რეფორმისტული ბიბლიოთეკის მცველი», რომელშიც გატარებულია აზრი, რომ ბიბლიოთეკარი არის არა მხოლოდ წიგნის მცველი, არამედ კითხვის ორგანიზატორი. როგორც ვხედავთ, ბიბლიოთეკათმცოდნეობაში შემოდის ახალი თემატიკა, რაც მკითხველთა მომსახურებას უკავშირდება.

ბიბლიოთეკათმცოდნეობის განვითარებას ძლიერი ბიძგი მისცა დიდმა გერმანელმა მოაზროვნემ, მეცნიერმა – გოტფრიდ-ვილჰელმ ლაიბნიცმა (1646-1716). იგი ცდილობდა, სასახლის ბიბლიოთეკაში განეხორციელებინა პროგრესული იდეები. მან წამოაყენა მოსაზრება ფონდების შევსების გეგმაზომიერების თაობაზე, შექმნა წიგნების განლაგების ახლებური სისტემა, მოახდინა საბიბლიოთეკო პრაქტიკის მეცნიერული განზოგადება. ბიბლიოთეკის მუშაობის ორგანიზაციას ეძღვნება მისი ერთ-ერთი საუკეთესო ნაშრომი, რომელიც მან 1700 წელს შექმნა, მაგრამ, სამწუხაროდ, ნაშრომი, ავტორის გარდაცვალების შემდეგ, 1763 წელს გამოქვეყნდა. ხუთტომეულში, რომელიც ჟენევაში გამოიცა, ერთ-ერთი ტომი სწორედ ბიბლიოთეკებს ეძღვნება.

1766 წელს გერმანელმა იოჰან მიქაელ ფრანკემ გამოსცა დრეზდენის ბიბლიოთეკის კატალოგი, რომელიც სავსებით ახლებური სისტემით იყო აგებული.

ფრანკემ ძალიან ბევრი იღვაწა ბიბლიოთეკაში პრაქტიკული საქმიანობის მოსაწესრიგებლად, ამავე დროს, თავის თეორიულ შეხედულებებსაც ავრცელებდა. მისმა საქმიანობამ დიდად შეუწყო ხელი საბიბლიოთეკო საქმისა და თეორიის განვითარებას.

გამოჩენილ მოღვაწეთა შორის საბიბლიოთეკო საქმისა და თეორიის განვითარებაზე ზეგავლენა იქონია დიდმა გერმანელმა პოეტმა და საზოგადო მოღვაწემ – იოჰან ვოლფგანგ გოეთემ (1749-1832). მან თავის მოხსენებაში – «თანამედროვე მოღვაწეობის სხვადასხვა ასპექტების შესახებ» - ბიბლიოთეკა მიიჩნია სამეცნიერო და კულტურული აღორძინების ერთ-ერთ უმთავრეს ინსტრუმენტად. ის არის ავტორი «ვირტუალური ერთიანობის იდეისა», რომელიც გულისხმობს ბიბლიოთეკებს შორის კოორდინაციასა და კოოპერირებას. გერმანელი მეცნიერის – კარლ გეორგ ბრანდისის გამოკვლევით, გოეთემ პირველთაგანმა წამოაყენა შეერთებული კატალოგების შექმნის იდეა. ეს მოსაზრება სწრაფად გავრცელდა მთელ ევროპაში. გოეთეს მოსაზრებას წარმოადგენდა აგრეთვე ზედმეტი ეგზემპლარისგან ფონდების გაწმენდისათვის აუცილებელი სამუშაოების ჩატარება, აღრიცხვის წარმოება და სხვა მრავალი რამ. გერმანელი მკვლევარი – ირმტრაუდ შმიდტი მიიჩნევს, რომ მარტინ შრეტინგერმა, რომელიც გერმანიაში

ბიბლიოთეკათმცოდნეობის ფუძემდებლად ითვლება, სწორედ გოეთეს იდეების ასახვა მოგვცა თავის სახელმძღვანელოში.

სრულიად ახალ ეტაპს წარმოადგენდა საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციისა და მისი შემდგომი განვითარების პერიოდი. მე-19 საუკუნის დასაწყისში საფუძველი ეყრება ბიბლიოთეკათმცოდნეობას, როგორც საბიბლიოთეკო საქმის მეცნიერულ სისტემას. თითქმის ყველა ქვეყანაში იწყება ეროვნული საბიბლიოთეკო პრაქტიკის ჩამოყალიბება. სხვადასხვა ქვეყანაში იწყება ეროვნული ბიბლიოგრაფიების შედგენა და გამოცემა. ამას თან ახლავს ბიბლიოგრაფიაში ახალი თეორიების წარმოქმნა. იგივე ითქმის კატალოგრაფიაზეც; ძლიერდება საორგანიზაციო საკითხებით დაინტერესება.

საბიბლიოთეკო საქმე კვლავ უფრო მეტად იძენს სახელმწიფოებრივ ხასიათს. ხელისუფლების ორგანოები ძირეულად უკავშირდებიან საბიბლიოთეკო საქმის პრაქტიკას. სპეციალური მოხელენი განაგებენ მას, რამაც დადებითი გავლენა იქონია თეორიის განვითარებაზეც. ცნობილია, რომ ბევრი დიდი სახელმწიფო მოხელე ინტერესდება საბიბლიოთეკო სფეროთი. სწორედ ამგვარ პიროვნებას წარმოადგენდა ამერიკის პრეზიდენტი – ჯონ ადამსი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა აშშ კონგრესის ბიბლიოთეკას. განსაკუთრებით ბევრი გააკეთა ამ ბიბლიოთეკისათვის თომას ჯეფერსონმა. 1814 წელს, კონგრესის ბიბლიოთეკის ხანძრისგან განადგურების შემდეგ, მან საკუთარი წიგნების დიდი ნაწილი ბიბლიოთეკას დაუთმო. ჯეფერსონმა შეიმუშავა წიგნების განლაგების სქემა, რომელიც ამ ბიბლიოთეკაში თითქმის ასი წლის განმავლობაში.

იწყება საბიბლიოთეკო საქმის ინტეგრაცია. თეორიული ნაშრომები მსოფლიო საზოგადოების საკუთრებად იქცევა. პრაქტიკულად იშლება ყოველგვარი ზღვარი ამერიკისა და ევროპის სამეცნიერო საზოგადოებათა შორის. შედარებით პატარა ქვეყნებშიც შეიმჩნევა საბიბლიოთეკო თეორიით დაინტერესება. ბელგიელმა ჟან პიი ნომიურმა შეადგინა «ბიბლიოთეკარის სახელმძღვანელო», რომელშიც დიდი ადგილი დაუთმო კლასიფიკაციის საკითხებს. მანვე გამოსცა მეტად მნიშვნელოვანი ნაშრომი – «კაცობრიობის ცოდნის ბიბლიოგრაფიული სისტემის ახალი პროექტი», რომელიც წარმოადგენდა ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდის განლაგების მეცნიერულად დამუშავებულ სქემას. ორივე წიგნმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საბიბლიოთეკო თეორიის განვითარების საქმეში.

1877 წელს ლონდონში გაიმართა პირველი საერთაშორისო საბიბლიოთეკო კონფერენცია. ეს იყო საბიბლიოთეკო პრაქტიკისა და თეორიის მსოფლიო ინტეგრაციის დასაწყისი. სწორედ ამ კონფერენციაზე წარმოადგინა პირველად მეღვიღე დიუმ თავისი საკლასიფიკაციო სისტემა, რომელმაც უდიდესი აღიარება მოიპოვა და მსოფლიოში სწრაფად გავრცელდა. კონფერენციას 9 ქვეყნის წარმომადგენელი ესწრებოდა და მრავალი საკითხი იქნა განხილული.

1897 წელს ლონდონში კვლავ გაიმართა ამგვარი კონფერენცია, რომელშიც 14 ქვეყნის წარმომადგენელი ღებულობდა მონაწილეობას. განსაკუთრებით საყურადღებო იყო ფ. მილკაოს, მ. დიუსა და ჩ. კეტერის მოხსენებები, რომელთა იდეებმა, მოსაზრებებმა და გამოცდილებამ უდიდესი როლი ითამაშა ბიბლიოთეკათმცოდნეობის განვითარებაში.

1898 წელს შვეიცარიაში გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია ხელნაწერთა დაცვის თაობაზე.

1910 წელს ასეთივე კონფერენცია ბრიუსელშიც გაიმართა, რომელზეც ბიბლიოთეკარებთან ერთად არქივარიუსებიც იყვნენ მიწვეულნი.

1895 წელს ბელგიაში უნივერსიტეტის პროფესორის, ნობელის პრემიის ლაურეატის – ანრი ლაფონტენის (1854-1948) და ცნობილი იურისტის – პოლ ოტლეს (1868-1944) თაოსნობით შეიქმნა საერთა-შორისო ბიბლიოგრაფიული ინსტიტუტი. პოლ ოტლეს არაერთი მნიშვნელოვანი ნაშრომი აქვს შექმნილი საბიბლიოთეკო და ბიბლიოგრაფიის დარგში.

აღნიშნულ ინსტიტუტს ფილიალები ჰქონდა ისეთ განვითარებულ ქვეყნებში, როგორცაა: შვეიცარია, საფრანგეთი, გერმანია, ნიდერლანდები, პოლონეთი და სხვ. იგი გამოსცემდა პერიოდულ ორგანოს – «საერთაშორისო ბიბლიოგრაფიული ინსტიტუტის ბიულეტენი». რომელშიც სისტემატურად ქვეყნდებოდა მეთოდური და სამეცნიერო სტატიები. ამ ინსტიტუტში საბოლოოდ დამუშავდა «საერთაშორისო კლასიფიკაცია», რომელიც მთელ მსოფლიოში გავრცელდა.

ამგვარი მსოფლიო გაერთიანებები დიდად უწყობდა ხელს ბიბლიოთეკათმცოდნეობის, როგორც მეცნიერების, საყოველთაო ჩამოყალიბებას. ეს იყო ერთგვარი მთავარი მდინარეა, რომელსაც უამრავი მცირე თუ დიდი შენაკადი ერთვოდა. ცალკეული გამოჩენილი სპეციალისტები აქტიური მოღვაწეობით კიდევ უფრო მეტად აღრმავებდნენ განვითარების პროცესს.

XX საუკუნის დასაწყისში გერმანელმა ვილჰელმ ჰოფმანმა (1879-1952), რომელიც ლაიფციგის საქალაქო ბიბლიოთეკის ორგანიზაციულ საქმეებს განაგებდა, პირველად სცადა, მეცნიერულად ჩამოეყალიბებინა შეხედულებები მკითხველთა ფსიქოლოგიის შესახებ. იგი მიიჩნევდა, რომ ინდივიდუალური მუშაობა საფუძვლად უნდა ედოს ბიბლიოთეკის საქმიანობის ყველა სფეროს – ფონდებს, კატალოგებს და პედაგოგიური მეთოდების შემოღებას მოითხოვდა. მან პირველმა ჩაუყარა საფუძველი მკითხველთა სოციალურ, ასაკობრივ და სხვა ნიშნებით დაყოფას, მათგან ჯგუფების შექმნასა და ინტერესების შესწავლას. მანვე დაამუშავა ფონდების ფორმირებისას ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლების გამოყენების თეორია და სტატისტიკის გამოყენებას სათავე დაუდო, გამოთქვა მოსაზრებანი კითხვის ხელმძღვანელობის შესახებ.

საქმემ იმგვარი მიმართულება მიიღო, რომ კითხვის ხელმძღვანელობის პრაქტიკა და თეორია განსაკუთრებით რუსეთში, უმთავრესად, სოციალისტური ორიენტაციის დროს გავრცელდა. საერთოდ, რუსეთში საბიბლიოთეკო საქმის თეორია დამკვიდრებას იწყებს მე-19 საუკუნის დასაწყისში და სწრაფად ვითარდება. აქ შექმნილმა მეცნიერულმა პროდუქციამ საკმაოდ დიდი გავლენა იქონია ბიბლიოთეკათმცოდნეობის განვითარებაზე.

1809 წელს გამოდის ა. ოლენინის «ახალი ბიბლიოგრაფიული რიგის ცდები სანკტ-პეტერბურგის საიმპერატორო ბიბლიოთეკისათვის». მასში მოცემულია როგორც ბიბლიოგრაფიული კლასიფიკაციის სისტემის განხილვა, ისე ავტორის მიერ შექმნილი ახალი სისტემა და აღწერილობის წესები. ეს იყო რუსეთის პირობებში ევროპული საბიბლიოთეკო პრაქტიკისა და თეორიის გადმოღების საკმაოდ სერიოზული განაცხადი. ამასთან, მან საფუძველი დაუდო რუსეთში საბიბლიოთეკო თეორიის განვითარებას.

1811 წელს ვ. გ. ანასტასევიჩი ჟურნალ «უღეიში» ათავსებს სტატიას ბიბლიოგრაფიის შესახებ. მან მეცნიერებას ბიბლიოგრაფიის შესახებ «ბიბლიოლოგია» უწოდა, რითაც წინ წამოსწია ბიბლიოთეკათმცოდნეობაში ტერმინოლოგიური ძიების საკითხები.

1858 წელს იბეჭდება ვ. ი. სობოლშჩიკოვის შრომა ბიბლიოთეკების მოწყობისა და კატალოგების შესახებ, თავდაპირველად, განათლების სამინისტროს ჟურნალში,

ხოლო შემდეგ – ცალკე წიგნად სახელწოდებით: «საზოგადოებრივი ბიბლიოთეკების მოწყობისა და მათი კატალოგების შედგენის შესახებ».

1879 წელს ქ. იაროსლავში გამოდის ა. ბორზენკოს წიგნი – «წიგნების კატალოგები».

1904 და 1911 წლებში მეცნიერულ-მეთოდოლოგიურ ნაშრომებს აქვეყნებს ლ. ხავკინა – «ბიბლიოთეკები, მათი ორგანიზაცია და ტექნიკა» და «სახელმძღვანელო მცირე ბიბლიოთეკებისათვის».

1912 წელს პეტერბურგში გამოვიდა ვ. ნ. ვასილიევის წიგნი – «საბიბლიოთეკო საქმე», რომელიც რამდენჯერმე გამოიცა და საკმაოდ დიდი სამსახური გაუწია რუსული ბიბლიოთეკათმცოდნეობის განვითარებას.

მე-19 საუკუნის დასასრულსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში რუსეთში დიდი რაოდენობით იბეჭდება მასალები საბიბლიოთეკო საქმის შესახებ, რომლებშიც მრავლად ვხვდებით თეორიულ საკითხებს, რაც ხელს უწყობდა მეცნიერული აზროვნების გაფართოებას.

დარგის განვითარების საქმეში განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის ისეთ ცნობილ სპეციალისტებს, როგორებიც იყვნენ: ბ. ს. ბოდნარსკი, პ. მ. ბოგდანოვი, განსაკუთრებით კი – ნ. ა. რუბაკინი (1862-1946). ამ უკანასკნელმა 1911 წელს მის მიერ გამოცემულ ბიბლიოგრაფიულ ნაშრომში – «წიგნთა შორის» - ჩართო წინასიტყვაობა, რომელიც ვრცელ კვლევაძიებას წარმოადგენს, ხოლო 1920-იან წლებში წიგნის ინსტიტუტი დააარსა შვეიცარიაში და ახალი თეორია ჩამოაყალიბა წიგნისა და მკითხველის შესახებ: «ბიბლიოლოგიური ფსიქოლოგია» («ბიბლიოფსიქოლოგია»).

შეიძლება ითქვას, რომ მე-20 საუკუნისათვის სავსებით მომწი-ფებული იყო პირობები, დასმულიყო საკითხი საბიბლიოთეკო თეორიის მწყობრი მეცნიერული სისტემის შექმნის შესახებ. საჭიროება შეიქმნა, უკვე მკვეთრად განსაზღვრულიყო ბიბლიოთე-კათმცოდნეობის განმარტება, რაც მოითხოვდა ამ მეცნიერების კვლევის საგნის ჩამოყალიბებას, მისი მეთოდოლოგიის, მიმართულებების, დანიშნულებისა და ამოცანების გარკვევას.

ამის პირველი ცდა მოგვცა ჯერ კიდევ მიუნხენის სახელმწიფო ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარმა – შრეტინგერმა, რომელმაც ჩამო-აყალიბა პირველი განსაზღვრება: «ბიბლიოთეკათმცოდნეობა არის სისტემურად აგებული და გარკვეული, მეცნიერულად დასაბუთებულ პრინციპებამდე აყვანილი ყველა დებულებათა ჯამი, რომელიც აუცილებელია ბიბლიოთეკების მიზანშეწონილი ორგანიზაციისათვის» [3: 7].

აქედან მოყოლებული, დღემდე არ დასრულებულა ბიბლიოთეკათმცოდნეობის, როგორც მეცნიერების, ახლებურად გაგების ცდები. ამჟამადაც მრავალი მოსაზრება და განმარტება არსებობს ამასთან დაკავშირებით, მაგრამ ერთიანი, საყოველთაოდ მიღებული განმარტება ჯერ კიდევ არ გვაქვს. ამ საკითხის თეორიული დამუშავება, ძირითადი პრობლემების დაძლევა, პრინციპების, ამოცანების, ფუნქციების ორგანიზაციული სრულყოფისა და სხვა მრავალი მიმართულებით კვლევა-ძიების საქმე ყოველთვის იყო და არის ბიბლიოთეკათმცოდნეობის კვლევის ობიექტი.

მე-20 საუკუნის დასაწყისში ბიბლიოთეკათმცოდნეობის კვლევის ცენტრი ევროპიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში ინაცვლებს. აქ უამრავი რამ, რაც ევროპიდან იყო შემოტანილი, იხვეწება, განიცდის ტრანსფორმაციას, ამასთან, ბევრი სიახლეც იწერება, რაც შემდგომში მთელ მსოფლიოში პოვებს გავრცელება-განვითარებას.

მე-19 ს. დასასრულსა და მე-20 ს-ის დასაწყისში განსაკუთრებით აქტიური მეცნიერული პროცესები მიმდინარეობს ამერიკის შეერთებულ შტატებში.

განსაკუთრებით დასაფასებელია ღვაწლი, რომელიც საბიბლიოთეკო საქმეს დასდო სოლომონ ჯოზეფსონმა (1860-1944). ის ჩიკაგოს შტატში მოღვაწეობდა და განსაკუთრებული გულისყურით ეკიდებოდა საბიბლიოთეკო საქმის ორგანიზაციულ საკითხებს, მონაწილეობდა კატალოგების აგების წესების სრულყოფაში, ქმნიდა ბიბლიოგრაფიულ ნაშრომებს. ასევე დიდი როლი ითამაშეს: ამერიკელმა ჯ. კოტონ დანიმ, ჩარლზ კეტერმა და მელვილ დიუმ. მელვილ დიუმს საკლასიფიკაციო ცხრილები 1876 წლიდან ავტორის სიცოცხლეში 12-ჯერ გამოიცა. ამ სისტემის შექმნა საბიბლიოთეკო პრაქტიკასა და თეორიაში უდიდესი მოვლენა იყო. მელვილ დიუ რედაქტორობდა საერთაშორისო ასოციაციის ჟურნალს – «საბიბლიოთეკო ჟურნალი», რომელშიც თეორიული თუ მეთოდი-კური ხასიათის უამრავი მასალა იბეჭდებოდა. დიუმს იდეა იყო საკატალოგო ბარათების სტანდარტიზაციის შემოღება, შემოკლებათა ერთგვაროვნების დაფუძნება. იგი პრაქტიკისა და თეორიის მჭიდრო დაკავშირებას ხელს უწყობდა. მას საბიბლიოთეკო საქმიანობა დამოუკიდებელ პროფესიად მიაჩნდა, რომელიც მეცნიერულ საფუძვლებზე დაყრდნობით უნდა განვითარებულიყო.

სხვადასხვა ქვეყნებს შორის ინტეგრირება მრავალი საკითხის სტანდარტიზაციას მოითხოვდა. ამიტომაც მნიშვნელოვანი იყო ჩარლზ კეტერის მიერ აღწერილობათა წესების მეცნიერული დამუშავება. მისი ნაშრომი ზედიზედ 4-ჯერ გამოიცა და დიდი გამოხმაურება პოვა. მან დაამუშავა სისტემატური, ანბანური და საგნობრივი კატალოგების წარმოშობის საფუძვლები და შექმნა საავტორო ნიშანთა ტაბულები. 1879 წელს მის მიერ გამოქვეყნებული სტატია ე. წ. «წელვადი» [გამჭოლი] კლასიფიკაციის შესახებ» თეორიულ სიახლეს წარმოადგენდა, რომლის ზოგიერთი იდეა გაიზიარეს, თუმცა ეს კლასიფიკაცია არ იქნა გამოყენებული, რადგან მელვილ დიუმს სისტემამ მიენიჭა უპირატესობა. კეტერმა მრავალი სიახლე დანერგა კატალოგების თეორიასა და პრაქტიკაში. მის მიერაა შექმნილი «განმსაზღვრელების სისტემა», რომელიც შემდგომში საყოველთაოდ გავრცელდა და «ათწილადი სისტემა» გააუმჯობესა. 1911 წლიდან კეტერი სისტემატურად აქვეყნებდა კონგრესის ბიბლიოთეკის საკლასიფიკაციო სქემებს.

საბიბლიოთეკო თეორიის განვითარების საქმეში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა 1876 წლიდან ფილადელფიაში გამომავალი ამერიკის ბიბლიოთეკების ასოციაციის «ბიბლიოგრაფიული ჟურნალი». ასოციაცია გამოსცემდა სახელმძღვანელოებს, მეთოდურ კრებულებს, მონოგრაფიებს. მისი ინიციატივით დამუშავდა კატალოგიზაციის ერთიანი წესები, გამოქვეყნდა სტატისტიკური მონაცემები მეცნიერული კომენტარებით, კავშირები დამყარდა უცხოელ სპეციალისტებთან.

ამერიკის შეერთებულ შტატებში «საბიბლიოთეკო ასოციაციის» გვერდით დაარსდა «სპეციალური ბიბლიოთეკების ასოციაცია» (1909), რომელსაც ცნობილი სპეციალისტი – კოტონი ჩაუდგა სათავეში. 1910 წლამდე ამ ასოციაციის ფილიალები შეიქმნა ყველა შტატში, ასევე კანადაში, კერძოდ, მონრეალსა და ტორონტოში. ასოციაცია დიდ მეთოდიკურ საქმიანობას ეწეოდა. აქ დამუშავდა პერიოდიკის ამონაჭრებით მუშაობის მეთოდები, დაკომპლექტების პრინციპები და სხვ. ასოციაცია გამოსცემდა ჟურნალს – «სპეციალური ბიბლიოთეკები».

1929 წელს ამერიკაში გამოიცა ჰენრი იულიან ბლისის საკლასიფიკაციო სქემის სამტომეული. მეცნიერები – ლანდი და ტრიუმე – ღრმა მეცნიერული წვდომით აშუქებენ სისტემატური კატალოგის დახვეწა-განახლების პრობლემებს. პერიოდიკის შეერთებული კატალოგების თეორიული და მეთოდიკური საფუძვლების

შექმნისთვის იღვწოდნენ უილსონი და გრეგორი. ამ პერიოდში ქვეყნდება უამრავი მეთოდოლოგიური და სამეცნიერო სტატია, გამოსვლას იწყებს სხვადასხვა საბიბლიოთეკო ჟურნალი სხვადასხვა შტატსა და ქალაქში.

1900-იანი წლების პირველ ნახევარში აშშ ერთბაშად წინაურდება საბიბლიოთეკო საქმისა და თეორიის სფეროში. ეს გამოწვეული იყო იმითაც, რომ პირველი მსოფლიო ომის პერიოდში ფრონტის ხაზები ევროპის ქვეყნებში გადიოდა და მეცნიერებს საბიბლიოთეკო საქმისათვის ნაკლებად ეცალათ. როგორც კი სიტუაცია შეიცვალა, კვლავ აღორძინდა ქვეყნებს შორის ურთიერთობა, რასაც ხელს უწყობდა საერთაშორისო პროფესიული ორგანიზაციები, რომლებიც თანდათან უფრო და უფრო მრავლდებოდნენ. ასეთ პირობებში ევროპამაც შეძლო საქმის გამოცოცხლება.

ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა 1927 წელს «საერთაშორისო საბიბლიოთეკო ასოციაციის» – IFLA-ს – დაარსება. მართალია, მისი მიზანი პრაქტიკული საქმიანობისთვის ხელშეწყობა იყო, მაგრამ ამ ფონზე თეორიული საკითხებიც მუშავდებოდა. შემდგომში, IFLA-ს კონგრესებზე, საგანგებოდ კეთდებოდა თეორიული ხასიათის მოხსენებები, რომლებიც ქვეყნდებოდა და მთელ მსოფლიოში ვრცელდებოდა.

«იფლას» დაარსება წარმოადგენდა სრულიად ახალი ეტაპს ბიბლიოთეკათმცოდნეობის განვითარების გზაზე. მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო ისიც, რომ პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ გაძლიერდა ინტეგრაციის პროცესები. ტექნიკური პროგრესი თავის გამოხატულებას პოულობს ყველა დარგში, მათ შორის, საბიბლიოთეკო სფეროშიც. მაგრამ სულ მალე განვითარების პროცესს დიდად შეუშალა ხელი მძაფრმა ისტორიულმა მოვლენებმა, რომლებიც მსოფლიოს მეორე ომისკენ მიაქანებდნენ. საბოლოოდ ისე მოხდა, რომ მეორე მსოფლიო ომმა სავსებით მოშალა და მოარღვია არათუ ინტეგრაციის პროცესები, არამედ მთელი რიგი ქვეყნების საბიბლიოთეკო საქმე. ფაქტობრივად, ამან შეუძლებელი გახადა თეორიული საქმის განვითარება. მხოლოდ მე-20 ს-ის მეორე ნახევარში, განსაკუთრებით 50-60-იან წლებში, შესაძლებელი გახდა ინტეგრაციის განახლება, მეტიც – საგრძნობლად გაფართოება. ეს უკვე სულ სხვა ეტაპია ბიბლიოთეკათმცოდნეობაში.

ბიბლიოთეკათმცოდნეობა საბოლოოდ იძენს «სამოქალაქო უფლებებს», ხდება მისი ფორმირების სრულყოფა, იქმნება უამრავი თეორიული მასალა, ინტენსიურად იზრდება საბიბლიოთეკო საქმე, მიმდინარეობს მისი მეთოდოლოგიური უზრუნველყოფა და ფართოვდება მეცნიერული მოღვაწეობის საზღვრები.

მიუხედავად ორი პოლიტიკური სისტემის უკიდურესი დაპირისპირებისა, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ განსაკუთრებით გამწვავდა, მაინც გამოინახებოდა გზები და საშუალებები სხვადასხვა მიმართულების ქვეყნების საბიბლიოთეკო საქმის თეორიისა და პრაქტიკის ურთიერთგაცნობისათვის. მკვეთრად გამოიხატა მოვლენისადმი დამოკიდებულების პრინციპების სხვაობა, მათი რადიკალური დაპირისპირება. ერთი იყო ბურჟუაზიული მიმართულება, რომელიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას მომსახურების ტექნიკურ და მეთოდოლოგიურ მხარეს ანიჭებდა, მეორე – სოციალისტური, რომლის მოქმედების ქვაკუთხედს საბჭოური იდეოლოგია წარმოადგენდა.

ამ დამაბულ საპირისპირო მიმართულებათა ჭიდილში საბიბლიოთეკო თეორიაში მაინც აღწევდა პროგრესული პროფესიული იდეები, ყალიბდებოდა და ფორმირდებოდა საყოველთაოდ მისაღები დებულებები, ერთიანი მოწინავე შეხედულებები. არც ერთი და არც მეორე მიმართულება საბოლოოდ მთლიანად

მისაღები არ აღმოჩნდა. თავისთავად ჩამოყალიბდა რაციონალური და მისაღები, რაც საზოგადოებას სასიცოცხლოდ აუცილებელი ეჩვენა. იდეოლოგიზაციის თანდათანობითმა შერბილებამ ხელი შეუწყო ერთიანი, ინტეგრირებული თეორიული საფუძვლების ჩამოყალიბებას, რაც საკმაოდ რთულ და ხანგრძლივმოქმედ პროცესს წარმოადგენს. ამ პერიოდში ძირითადი ყურადღება საკლასიფიკაციო სისტემის დახვეწასა და მასში სიახლის შეტანის მცდელობას ეთმობა. სსრ კავშირში ჯერ 30-იან წლებში შეიტანეს შესწორებები «უნივერსალურ დეციმალურ კლასიფიკაციაში» და საგრძნობლად დაამახინჯეს იგი, ხოლო შემდეგ შემოიღეს «ახალი საბჭოთა კლასიფიკაცია» – ББК, რომელიც, თუმცა საკმაოდ გავრცელდა სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში და ამჟამადაც ინერციით მოქმედებს, მაგრამ საყოველთაო აღიარება მაინც ვერ მოიპოვა და ბიბლიოთეკების უმრავლესობა თავს ანებებს მას, ბევრგან კი დიდი ხანია, რაც უგულებელყოფილია.

დასავლეთში განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ ტექნიზაციის პროცესებს, ხვეწენ «საერთაშორისო დეციმალურ კლასიფიკაციას», მუშავდება სხვადასხვა სისტემები ცენტრალიზებული კატალოგიზაციისა და ცენტრალიზებული მომსახურებისა, ინტერესს იწვევს ბიბლიოგრაფიულ-საინფორმაციო მუშაობა, ბავშვთა მომსახურების საკითხები, ბიბლიოთეკების ტიპოლოგია, საბიბლიოთეკო სისტემისა და ქსელის შექმნა და სხვ. ყოველივე ეს კი არა ერთი რომელიმე მიმართულების, არამედ საყოველთაო კვლევის ობიექტად იქცა.

70-იანი წლებისათვის ერთბაშად მრავლდება საკვლევო პრობლემები და გადასაწყვეტი ამოცანები, ფეხს იკიდებს საკვლევო საგნების შემდგომი დიფერენციაციის ტრადიცია.

ეს ეტაპი, შეიძლება ითქვას, არის ბიბლიოთეკათმცოდნეობის განვითარების, მისი მეცნიერული საფუძვლების ჩამოყალიბებისა და საბოლოო ფორმირების პერიოდი, რის გარეშეც შეუძლებელი იყო იმ დონეზე ასვლა, რომელიც თანამედროვე ბიბლიოთეკათ-მცოდნეობას უჭირავს.

შემდგომი ეტაპი – ეს უკვე თანამედროვე ხანაა – საკმაოდ მაღალი საფეხური, რაც მიღწეულია საბიბლიოთეკო პრაქტიკის არნახული განვითარებითა და მეცნიერული მეთოდოლოგიის სრულყოფით. საბიბლიოთეკო საქმე მნიშვნელოვან ტრანსფორმაციას განიცდის და, ცხადია, ბიბლიოთეკათმცოდნეობაც მთლიანად სახეს იცვლის. ყველაზე თვალსაჩინო მოვლენაა საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მოღვაწეობის ორგანული გამთლიანების ცდები. იუნესკო ბიბლიოთეკების შესახებ მანიფესტში ხაზგასმით აღნიშნავს: დღეს ყველა საჯარო ბიბლიოთეკა ინფორმაციის ცენტრს წარმოადგენს. ეს მანიფესტი მომზადებულია საბიბლიოთეკო ასოციაციებისა და ინსტიტუტების საერთაშორისო ფედერაციასთან (IFLA) თანამშრომ-ლობით. ასეთ პირობებში შესამჩნევად ფართოვდება ბიბლიოთეკის ფუნქციები, დანიშნულება, ამოცანები, მიზნები; ყალიბდება ახალი კონცეფციები, მკვიდრდება ინოვაციური ფორმები, ახალი ტექნო-ლოგიები, მენეჯმენტი, საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული უზრუნველყოფის საშუალებები, მაღლდება სამიზნო სისტემის გამოყენების ხარისხი, ჩნდება ფონდში დოკუმენტების ელექტრონული ნაირსახეობანი, მტკიცდება აუდიო-ვიზუალური ტექნიკის ბაზა, მყარდება ინტეგრაცია ქვეყნებს შორის, ახლებურად გაიგება ბიბლიოთეკებისა და მათთან მომხმარებელთა ურთიერთობის პირობები მოცემულ ინფრასტრუქტურაში. ყოველივე ეს, ცხადია, დიდად განსაზღვრავს ბიბლიოთეკათმცოდნეობის კვლევის საგანსა და ობიექტს, მისი გავრცობის მასშტაბებს, დანიშნულებასა და ამოცანებს, რაზეც დიდადაა დამოკიდებული დარგის შემდგომი განვითარება.

ამჟამად, ბიბლიოთეკათმცოდნეობის ყურადღების ცენტრში უნდა მოექცეს კვლევის პერსპექტივები. მისი ზუსტად განსაზღვრა სრულიად განაპირობებს თეორიისა და პრაქტიკის განვითარებას. შეიმჩნევა, რომ თანამედროვე ბიბლიოთეკათმცოდნეობა უმეტესწილად დაკავებულია პრაგმატული ხასიათის საკითხებით, რაც დღევანდელი დროების მოთხოვნილებითაა განპირობებული, მაგრამ რა იქნება ხვალ, როდესაც ელექტრონული კითხვა სულ უფრო და უფრო მასშტაბური ხდება, როცა ჩნდება ე. წ. «ვირტუალური ბიბლიოთეკები», როდესაც ინფორმაციის მიღების გზები და საშუალებები უფრო მეტად და მეტად მრავალფეროვნდება, როდესაც კითხვის მართვა და ორგანიზაცია სავსებით განსხვავებულ ფორმებს იძენს?!

ბიბლიოთეკათმცოდნეობას წინ ახალი ამოცანების გადაწყვეტა და საკმაოდ რთული პრობლემები უძევს.

АЛ. ЛОРИА

**ЭТАПЫ ОСНОВАНИЯ И РАЗВИТИЯ
БИБЛИОТЕЧНОЙ ТЕОРИИ**

Резюме

Библиотековедение берет основу с XIII века, когда опыт практики прошлых веков перерастает в теоретическую деятельность. В этой области трудились великие ученые мира. Обзор их трудов показывает, насколько глубокие и фундаментальные исследования происходили в разные эпохи. Сначала главное внимание уделялось фондам и каталогам, потом постепенно исследовательская деятельность расширяется и охватывает другие направления. В конце XIX столетия начинается формирование научной системы. Этому способствовало создание международных библиотечных организаций, научных и специальных учебных заведений. XX век является эпохой становления библиотековедения, как науки.

AL. LORIA

**THE THEORETICAL STUDY OF LIBRARIAN
SCIENCES AND ITS DEVELOPMENT**

Summary

The theoretical study of librarian sciences started in XIII century. The practical experiences of previous centuries turned over into theoretical analysis. The most famous scientists were working in this field. The revision of their work indicates to the fact that the researches conducted in the field of the Librarian Sciences were very valuable. In the beginning, theoretical studies were conducted mostly on library collection and cataloguing, later on, research in other fields have as well developed. At the end of XIX century, the study of Librarian Sciences as a field of science was finally established. The letter was supported by establishing international librarian societies and professional educational organizations. The XX century was the century of the final establishment of the Librarian Sciences as such.

ლიტერატურა - ЛИТЕРАТУРА - REFERENCES

1. ბაქრაძე გ. ბიბლიოთეკათმცოდნეობა და საბიბლიოთეკო სპეციალობა ჩვენში // საქ. სსრ სახ. საჯარო ბიბლიოთეკის შრომები: ტ. 4. _ თბ., 1938. _ გვ. 15-43.

2. თაყნიაშვილი გ. ბიბლიოთეკათმცოდნეობის განვითარება საქართველოში: (1900-1985). – თბ., 1989. – 150 გვ.
3. ლორთქიფანიძე ნ. ბიბლიოთეკათმცოდნეობა, მისი საგანი და ამოცანები. – თბ., 1987. – 11 გვ.
4. ლორია ალ., გურგენიძე ნ. საბიბლიოთეკო საქმე საქართველოში: (1921 წლამდე). – თბ., 1974. – 383 გვ.
5. ყურაშვილი ფ. საბიბლიოთეკო საქმის განვითარება საბჭოთა საქართველოში. – თბ., 1976. – 390 გვ.
6. ყურაშვილი ფ., გურგენიძე ნ. ბიბლიოთეკათმცოდნეობის საფუძვლები: (ბიბლიოთეკის მუშაკებისა და მკითხველთა დასახმარებლად). – თბ., 1996. – 161 გვ.
7. გურგენიძე ნ., ლორია ა. ბიბლიოთეკათმცოდნეობა: ქსე ტ.: 2. – თბ., 1977. – გვ. 359-360.
8. Библиотековедение: Общий курс. – М., 1988. – 370 с.
9. Володин Б. Ф. Всемирная история библиотек. – СПб, 2002. – 351 с.
10. Володин Б. Ф. Российская библиотечная история в Европейском контексте // История библиотек: Исследования, материалы, документы: Вып. 1. – СПб, 1996. – с. 11-22.
11. Каневский В.П. Сравнительное библиотековедение в Великобритании и США: (Крат. анализ теории и содерж.): Дис. канд. пед. наук. – М., 1980. – 121 с.
12. Харнак А. Библиотековедение, как наука оценочная. Библиотечная политика, как политика мировая / Публикация Б. Фомина // История библиотеки: Исследования, материалы, документы: Вып. 5. – СПб, 2004. – с. 248-256.

გ უ რ ა მ თ ა ყ ნ ი ა შ ვ ი ლ ი

საქართველოს ბიბლიოთეკების მუშაობის კოორდინაცია თანამედროვე ეტაპზე

საქართველოს საბიბლიოთეკო სისტემა აერთიანებს სხვადასხვა ტიპისა და უწყების სახელმწიფო საბიბლიოთეკო ქსელებს, სადაც გაერთიანებულია უნივერსალური სამეცნიერო, სახელწიფო საჯარო და სპეციალიზებული ბიბლიოთეკები. საბიბლიოთეკო სისტემა, როგორც ეს საბიბლიოთეკო საქმის შესახებ მიღებულ კანონშია ჩამოყალიბებული (მუხლი 16), წარმოადგენს ეროვნული საინფორმაციო ინფრასტრუქტურის ძირითად რგოლს. ამდენად ამ სისტემის მიზანმიმართული მართვა საქართველოს საბიბლიოთეკო პოლიტიკის ფუძემდებლურ მიმართულებას წარმოადგენს.

საბიბლიოთეკო ქსელის კოორდინაციული მართვა, რომელსაც ახორციელებს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან ერთად, ეფუძნება საქართველოში მიღებულ იურიდიულ-ნორმატიულ აქტებს, საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და IFLA-სა და იუნესკოს მიერ მიღებულ საერთაშორისო ხასიათის ნორმატიულ დოკუმენტაციას. საბიბლიოთეკო საქმის კოორდინაციის პრობლემებზე ხშირად იმართება ეროვნული ბიბლიოთეკების ხელმძღვანელ პირთა თათბირები, ამავე პრობლემებს სისტემატურ ყურადღებას აქცევს IFLA-ს საჯარო ბიბლიოთეკების სექცია. კოორდინაციულ მუშაობას შემუშავებულ რეკომენდაციებში სულ უფრო მზარდ მნიშვნელობას ანიჭებენ საბიბლიოთეკო პოლიტიკის ეფექტური წარმართვის გზაზე, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო მასშტაბით.

საბიბლიოთეკო საქმის ქვეყნის შიგნით კოორდინაციის განხილვა სხვადასხვა ასპექტებითა და მიმართულებებითაა შესაძლებელი. ერთ-ერთი ასეთი მიმართულებაა საბიბლიოთეკო პროცესების კოორდინაცია. პრაქტიკულად ეს ეხება ბიბლიოთეკებისათვის სასიცოცხლო პროცესების კოორდინირებულ, შეთანხმებულ დაგეგმარებას. ესენია: დაკომპლექტების, საბიბლიოთეკო პროცესების ავტომატიზაციის, ბზა-ს მუშაობის, ეროვნული ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლების შედგენა-გამოცემების სამუშაოთა კოორდინაცია და ა. შ. ესე იგი, ისეთი პროცესების

ერთობლივი ძალებით წარმოება, რომელთა რეალიზაცია ერთი რომელიმე თუნდაც დიდი ბიბლიოთეკისათვის, ნაკლებად ეფექტური იქნება. საბიბლიოთეკო საქმის კოორდინაციის მეორე ასეთი მიმართულება არის სხვადასხვა ტიპისა და უწყების ბიბლიოთეკების მუშაობის კოორდინაცია.

კოორდინაცია, რა თქმა უნდა, არ გულისხმობს შიდა საბიბლიოთეკო პროცესების კოორდინაციის უგულვებელყოფას. სხვადასხვა საბიბლიოთეკო ქსელების მართვა მათი დამფუძნებლების მიერ ურთიერთკოორდინირებული მუშაობის გარეშე წარმოდგენელი და არაეფექტურია. საბიბლიოთეკო სისტემები, ერთის მხრივ, ეწვეიან თანამშრომლობას ფონდების ურთი-ერთგამოყენებისა და ელექტრონული ინფორმაციების გაცვლის გზით, ხოლო მეორეს მხრივ, ეს სისტემები აქტიურად თანამშრომლობენ ეროვნულ საინფორმაციო ინფრასტრუქტურებთან. სწორედ, კოორდინაციის ეს ფორმა განსაზღვრავს ქვეყნის საბიბლიოთეკო პოლიტიკის ხარისხს.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა მოღვაწეობის ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე სისტემატურად ეწეოდა კოორდინაციულ მუშაობას როგორც ქვეყნის შიგნით მოქმედ სხვადასხვა ტიპისა და უწყების ბიბლიოთეკებთან, ისე ქვეყნის გარეთ არსებულ სხვადასხვა ეროვნულ, სამეცნიერო, თუ სამხარეო ბიბლიოთეკებთან, წიგნის პალატებთან, გამომცემლობებთან. დიდია მისი ღვაწლი საბიბლიოთეკო საქმის კოორდინაციის თვალსაზრისით. ხელშესახები, რეალური საქმიანობა ეროვნულმა ბიბლიოთეკამ ამ მიმართულებით უფრო ფართო მასშტაბით 1930-იანი წლებიდან გაშალა. სწორედ აქ, საჯარო ბიბლიოთეკაში ეწყობოდა კვალიფიკაციის ამაღლების კურსები, წარმოებდა შეერთებული კატალოგების შედგენა, საფუძველი ეყრებოდა ეროვნული ბიბლი-ოგრაფიების შედგენა-გამოცემის საქმეს. ამ მხრივ იდეოლოგიური ნიადაგი შეამზადა 1931 წელს ეროვნულ ბიბლიოთეკაში ჩამოყალიბებულმა ბიბლიოთეკათმცოდნეობის კაბინეტმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა ამ პერიოდიდან სისტემატურად თანამშრომლობდა უცხოეთის წამყვან საბიბლიოთეკო დაწესებულებებთან და სხვადასხვა სიახლე შემოჰქოდა ქართულ საბიბლიოთეკო პრაქტიკაში. ქართველი ბიბლიოთეკათმცოდნეები სისტემატურად მონაწილეობდნენ კავშირის მასშტაბით გამართულ საბიბლიოთეკო სიმპოზიუმებსა და კონფერენციებში. ყოველივე ამის შედეგი იყო ინოვაციური პროცესების შემოტანა და დანერგვა, რაც საქართველოში მაღლა სწევდა საბიბლიოთეკო მომსახურების ხარისხს. საქართველოს დიდი ბიბლიოთეკების კოორდინაციული მუშაობის შედეგია ქართული ეროვნული ბიბლიოგრაფიის გამოცემები.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის კოორდინაცი-ული მუშაობის შინაარსი და ძირითადი მიმართულებები განსაზღვრულია ამ ბიბლიოთეკის შესახებ მიღებული კანონით (მუხლი 5). ამ კანონის თანახმად, საბიბლიოთეკო საქმის კოორდინაცია შემდეგ ძირითად მომენტებს მოიცავს: ერთიანი სახელმწიფო საბიბლიოთეკო პოლიტიკის გატარება, საბიბლიოთეკო საქმის შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და კონვენციების შესრულების უზრუნველყოფა, საბიბლიოთეკო კადრების მომზადება-გადამზადების პოლიტიკის განსაზღვრა, საბიბლიოთეკო დარგში სახელმწიფო სტანდარტების დაცვის კონტროლისა და საბიბლიოთეკო სტატისტიკური მონაცემების ცენტრალიზებული შეგროვება და ანალიზი. საბიბლიოთეკო საქმიანობის კოორდინაციის აღნიშნული მიმართულებების ზოგადი ანალიზიც კი ცხადყოფს, რაოდენ დიდი სამუშაოებია ჯერ კიდევ ჩასატარებელი ქვეყნის შიგნით სრულყოფილი კოორდინაციისათვის.

ერთიანი სახელმწიფო საბიბლიოთეკო პოლიტიკის გატარება თანა-მედროვე ეტაპზე, ძირითადად, არსებული საბიბლიოთეკო ქსელების ოპტიმიზაციის სამუშაოებით შემოიფარგლება. ამ საქმეს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო აწარმოებს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან და საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციასთან ერთად. ამ ეტაპზე საბიბლიოთეკო პოლიტიკის არსი ბიბლიოთეკების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაში, ოპტიმალური საბიბლიოთეკო ქსელის ჩამოყალიბებასა და შენარჩუნებაში მდგომარეობს. კულტურული პოლიტიკის ერთ-ერთ მიმართულებას საქართველოს ბიბლიოთეკების მსოფლიო საინფორმაციო პროცესში ჩართვა შეადგენს. ამ ამოცანის უზრუნველსაყოფად აუცილებელია შიდა საბიბლიოთეკო პროცესების ოპტიმალური კოორდინაციის დახვეწა, ცალკეული ბიბლიოთეკების საინფორმაციო რესურსებისა და ინტელექტუალური შესაძლებლობების გამოყენება, მრავალეროვანი მოსახლეობის საინფორმაციო და საბიბლიოთეკო მომსახურების სრულყოფა.

ამჟამად საქართველოში ჯერ კიდევ არ დასრულებულა ბიბლიოთეკებისა და საბიბლიოთეკო ქსელების რეორგანიზაციისა და ოპტიმიზაციის სამუშაოები. ეს პროცესები არამყარ ეკონომიკური სიტუაციის პირობებში მიმდინარეობს. ბიბლიოთეკების ბედს, საკუთარი ეკონომიკური შესაძლებლობების მიხედვით, ადგილობრივი ხელისუფლება წყვეტს, რითაც, მნიშვნელოვანწილად, ზღუდავს მოსახლეობის უფლებებს საბიბლიოთეკო მომსახურების სფეროში. აქაც, ჩვენის აზრით, საჭიროა რეგიონებში მოქმედი სხვადასხვა უწყების ბიბლიოთეკების შესაძლებლობებისა და მოსახლეობის მოთხოვნილებების გათვალისწინება. ეს სამუშაოები ბიბლიოთეკების დამფუძნებელთა შორის კოორდინაციული მუშაობის გზით უნდა წარიმართოს. ბიბლიოთეკების მართვის დეცენტრალიზაციის პროცესი არამდგრადი ეკონომიკური ფონის პირობებში გრძელდება.

პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილიზაცია ყოველთვის პოზიტიურ ზეგავლენას ახდენს ქვეყნის საბიბლიოთეკო და საინფორმაციო ინფრასტრუქტურის გეგმაზომიერ განვითარებაზე. აქედან გამომდინარე, საქართველოში ამჟამად რეალიზებული ნებისმიერი დონის მარეგლამენტირებელი დოკუმენტი უნდა ითვალისწინებდეს ქვეყნის ხვალინდელ დღეს. საბიბლიოთეკო ქსელის რაციონალიზაცია მხოლოდ ეკონომიკური ბერკეტებით მნიშვნელოვნად შეაფერხებს ბიბლიოთეკების როლის ზრდას განვითარებად ინფორმაციულ საზოგადოებაში. ქმედითი, რადიკალური ღონისძიებების გატარება ეფექტურია მაშინ, როდესაც ბიბლიოთეკების ფუნქციონირებისადმი მიდგომა განიხილება საერთო სახელმწიფოებრივ კონტექსტში, რათა შეიქმნას ისეთი პირობები, როდესაც საბიბლიოთეკო რესურსები ადვილად ხელმისაწვდომი იქნება სამამულო და უცხოელი მომხმარებლისათვის. ამ პრობლემის გადაჭრას მივყავართ საბიბლიოთეკო და საინფორმაციო რესურსების კოორდინირებული გამოყენების აუცილებლობამდე. ეს არის პოზიტიური პროცესი, რომელშიც მთავარ როლებს ასრულებენ ქვეყნის დიდი სამეცნიერო და უნივერსალური ტიპის ბიბლიოთეკები, სადაც შედარებით უფრო განვითარებულია საბიბლიოთეკო პროცესების ავტომატიზაცია.

ეროვნულ ბიბლიოთეკაში საბიბლიოთეკო პროცესების ავტომატიზაცია ხელს უწყობს საბიბლიოთეკო და ბიბლიოგრაფიული ფუნქციების ყველა ელემენტის შინაგან კონსოლიდაციასა და დიალექტიკურ განვითარებას. ავტომატიზაცია ამ პროცესებს ანიჭებს შინაგან ერთიანობას, რაც მომსახურების ხარისხზე აისახება. ამ

ამოცანის წარმატებით გადაწყვეტა ბევრად დამოკიდებულია ბიბლიოთეკის შიგნით მიმდინარე პროცესების კოორდინაციულ მუშაობაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა თავისი კოორდინაციული მუშაობით დიდ როლს ასრულებს ეროვნულ დონეზე საბიბლიოთეკო ფონდების ფორმირებაში. თავს უყრის რა სარეზერვო ფონდებს, ეროვნული ბიბლიოთეკა, იმავდროულად, აწარმოებს სხვა ბიბლიოთეკების ფონდების მიზანშეწონილ შევსებას. ამ თვალსაზრისით მიმდინარე ეტაპზე მეტი სამუშაოების ჩატარებაა საჭირო, რამდენადაც რაიონებში და დიდ ქალაქებში ქსელის ოპტიმიზაციის სამუშაოები ჩატარდა, გამსხვილდა საჯარო ბიბლიოთეკების დიდი ნაწილი, ხოლო მათი გარკვეული რაოდენობა საერთოდ დაიხურა. ამის შემდეგ რეგიონებში უამრავი მეცნიერული თუ მხატვრული შინაარსის გამოცემა იყრის თავს, რომელთა ცენტრალიზებული ორგანიზაცია, დაცვა და კოორდინირების წესით სხვა ბიბლიოთეკებზე გადაცემა კანონით ეროვნულ ბიბლიოთეკას ევალება (იხ. შესაბამისი კანონის მუხლი 9, პუნქტი - ე.).

ბიბლიოთეკების მუშაობის კოორდინაცია საქართველოში უფრო ეფექტურ მიდგომას საჭიროებს. 2006 წელს უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ბიბლიოთეკების ერთი ნაწილი შეერთდა. აუცილებელი გახდა ფონდების ფორმირება კოორდინირებული წესით, პარალელიზმის აღმოფხვრა და საბიბლიოთეკო ფონდების გათავისუფლება ზედმეტი, შინაარსობრივად მოძველებული და არაპროფილური გამოცემებისაგან. ზედმეტ ეგზემპლარებს, უპირველეს ყოვლისა, თავი უნდა მოუყაროთ სამხარეო ცენტრებში, საიდანაც უნდა მოხდეს მათი გეგმაზომიერი გადანაწილება. პროცესში მთავარია სრულყოფილ ეროვნული საბიბლიოთეკო ფონდი, როგორც ქვეყნის ფასდაუდებელი ინტელექტუალური სიმდიდრე.

საბიბლიოთეკო მუშაობის კოორდინაციის საქმეში თავიანთი წვლილი შეაქვთ საბიბლიოთეკო დარგში მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციებს. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ავტომატიზაციის დეპარტამენტი კოორდინაციას უწევს სხვა უწყების ბიბლიოთეკებს ელექტრონულ მონაცემთა ბაზების შექმნასა და ბიბლიოთეკართა კომპიუტერულ სწავლებას. ბიბლიოგრაფიული და სრულტექსტოვანი მონაცემთა ბაზები თანაბრად ხელმისაწვდომია დაინტერესებული ბიბლიოთეკების, ორგანიზაციებისა და კერძო პირებისათვის.

საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია აქტიურად თანამშრომლობს საბიბლიოთეკო ქსელების მფლობელ სახელმწიფო სტრუქტურებთან, ადგილობრივი ხელისუფლების ოფიციალურ პირებთან, რაც მნიშვნელოვნად ამაღლებს ბიბლიოთეკების ავტორიტეტსა და ქმედითუნარიანობას. მკითხველებთან და ინფორმაციის მომხმარებლებთან ბიბლიოთეკების მჭიდრო თანამშრომლობის მაგალითია საქართველოს ბიბლიოთეკების კვირეული, რომელიც საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის ინიციატივით 2002 წლიდან ყოველწლიურად იმართება. აღნიშნული ასოციაცია ნაყოფიერ კოორდინაციულ მუშაობას აწარმოებს საზღვარგარეთის ქვეყნების საბიბლიოთეკო ასოციაციებთან, ეროვნულ ბიბლიოთეკებთან. მათი ინიციატივითა და მხარდაჭერით არა ერთი პროექტი განხორციელდა საქართველოს რაიონების მთავარი ბიბლიოთეკების კომპიუტერიზაციისა და ფონდების განახლების თვალსაზრისით.

საქართველოს ბიბლიოთეკართა ინტელექტუალური შესაძლებლობების გამოვლენის, პროფესიული ცოდნის გაღრმავებასა და საბიბლიოთეკო სფეროში არსებული ინოვაციური პროცესების პოპულარიზაციის თვალსაზრისით გარკვეულ

მუშაობას ატარებს პირველი ქართული პროფესიული ჟურნალის - „საქართველოს ბიბლიოთეკის“ რედაქცია.

1998 წლიდან საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან ფუნქციონირებს საკოორდინაციო საბჭო. იგი წარმოადგენს სათათბირო ორგანოს. საბჭოში გაერთიანებულნი არიან თბილისის სხვადასხვა უწყების მსხვილი სამეცნიერო და უნივერსალური ბიბლიოთეკების დირექტორები, საბიბლიოთეკო ექსპერტები საქართველოს კულტურის, მეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროდან, საქართველოს საბიბლიოთეკო დარგში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების პასუხისმგებელი პირები. თავისი მუშაობის პერიოდში საბჭომ გარკვეული წვლილი შეიტანა ქვეყნის დიდი ბიბლიოთეკების დაახლოების, საბიბლიოთეკო დარგში არსებული პრობლემების წარმოჩენისა და რეკომენდაციების შემუშავების საქმეში. საკოორდინაციო საბჭომ შემდგომში უფრო აქტიურად უნდა დააყენოს ქვეყნის საბიბლიოთეკო პრაქტიკაში არსებული პრობლემები და მიაღწიოს, რომ მის გადაწყვეტილებებსა და რეკომენდაციებს ანგარიშს უწევდნენ ბიბლიოთეკების დამფუძნებლები.

თბილისის დიდი ბიბლიოთეკების მუშაობის კოორდინაციის მიზნით საჭიროა შედგეს ერთობლივი საგამომცემლო გეგმები, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ბიბლიოგრაფიული ნაშრომების, სარეკომენდაციო და მეთოდური ხასიათის მასალების ერთობლივი გამოცემა. ამ პროცესის ასახვა აუცილებელია შესაბამისი ბიბლიოთეკების იურიდიულ-ნორმატიულ დოკუმენტებში.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, როგორც მთავარი საკოორდინაციო ცენტრი, თავისი ინტელექტუალური შესაძლებლობებით, ტრადიციებითა და ინოვაციური მიდგომებით, კოორდინაციული მუშაობის ეფექტური მართვით გამორჩეულ ადგილს იკავებს ქვეყნის საბიბლიოთეკო ცხოვრებაში.

Г. ТАКНИАШВИЛИ

СОВРЕМЕННОЕ СОСТОЯНИЕ КООРДИНАЦИОННОЙ РАБОТЫ В БИБЛИОТЕКАХ ГРУЗИИ

Резюме

Статья описывает современное состояние координации между библиотеками в Грузии и отмечает перспективы её оптимизации. По существующим нормативным актам Парламентская Национальная библиотека Грузии совместно с Министерством культуры, охраны памятников и спорта Грузии имеют права и обязанности координации библиотечной деятельности в масштабах всей страны. Существующие инструкции и положения, регулирующие деятельность районных библиотек в рамках национальной библиотечной системы направлены на то, чтобы у всех библиотек была возможность лучше и эффективней организовать обслуживание читателей библиотек.

G. TAKNIASHVILI

CURRENT STATE OF COOPERATION AMONG LIBRARIES IN GEORGIA

Summary

Article describes current state of cooperation between libraries in Georgia and highlights the prospects of its optimization. The National Parliamentary Library of Georgia and The Ministry of Culture, Protection of Monuments and Sports of Georgia, under existing statutory acts, have the right and responsibility for designing the library system and tools required for promoting cooperation among

libraries. The drafting of the regulations for regional public libraries and Georgian library system were created to give better organization and effectiveness to all libraries in Georgia. Thus, providing service to the public must be understood in this context.

ლიტერატურა - ЛИТЕРАТУРА – REFERENCES

1. საქართველოს კანონი საბიბლიოთეკო საქმის შესახებ, 1996.
2. საქართველოს კანონი საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის შესახებ, 1997.
3. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დებულება, 2006.
4. Тюлина Н. И. Национальная библиотека: Опыт типологического анализа.- М. - 1988. - 180 с.

ი ნ გ ა ფ ი ლ ა უ რ ი

სამეცნიერო-სასწავლო ბიბლიოთეკები და ფონდების ფორმირება

ყველა ბიბლიოთეკის უმთავრეს კომპონენტს მისი ფონდი წარმოადგენს, რაზეც დიდად არის დამოკიდებული ბიბლიოთეკების ხარისხობრივი მაჩვენებელი, მისი დონე.

ბიბლიოთეკის ფონდი ერთიანი სისტემაა, რომელიც სხვადასხვა სახის, შინაარსის, დანიშნულებისა და კონსტრუქციის დოკუმენტისაგან შედგება. აქ თავს იყრის როგორც ხელნაწერი, ისე ბეჭდური და ელექტრონული მასალა, რაც მთლიანობაში საბიბლიოთეკო ფონდს ქმნის. მათი აღწერა, აღნუსხვა, სისტემატიზაცია და გამოყენება სხვადასხვაგვარად ხდება. განსხვავებულია მათი მოპოვების საშუალებები და წყაროები, თუმცა მთლიანად მისი ფორმირება ერთიან პრინციპებზეა აგებული. უმთავრეს პრინციპს წარმოადგენს ფონდის ხარისხის განსაზღვრის აუცილებლობა. თუ რას გულისხმობს ხარისხი, ამის შესახებ ბევრი აზრი გამოთქმულა და ამჟამად ეს დავისა და დისკუსიის საგანს არ წარმოადგენს.

როდესაც საბიბლიოთეკო ფონდის ხარისხზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს ორი რამ: 1). ფონდის შინაარსობრივი შემადგენლობა და მისი რელევანტურობა; 2). ფონდის ფიზიკური მდგომარეობა, განლაგების რაციონალურობა და ოპერატიულად მიწოდებისათვის საჭირო საშუალებათა მექანიზმი.

ფონდების ფორმირებისას ყველა ბიბლიოთეკა თავის დანიშნულებასა და ამოცანებს ეფუძნება. სწორედ ეს განსაზღვრავს მის ტიპს და, ამდენად, მნიშვნელოვანია, თუ რა სახის ბიბლიოთეკასთან გვაქვს საქმე. ფონდების ფორმირების თვალსაზრისით ყველაზე რთულ ტიპს სამეცნიერო-სასწავლო, ძირითადად უმაღლესი სასწავლებლების ბიბლიოთეკები წარმოადგენს. როგორც ვხედავთ, მათი დანიშნულება ორმაგია და ამიტომაც ძნელად გადასაწყვეტი ამოცანებიც დგება გადასაჭრელად. ფონდმა, ერთის მხრივ, უნდა დააკმაყოფილოს მეცნიერთა, მკვლევართა, პედაგოგთა ურთულესი მოთხოვნილებები, ხოლო, მეორეს მხრივ, სტუდენტთა სასწავლო მიზნები, მათი პროფესიული დაოსტატებისათვის

საჭირო მოთხოვნები და ინტერესები. ამავე დროს, გასათვალისწინებელია მომხმარებელთა კულტურულ-საგანმანათლებლო და ესთეტიკურ აღზრდელ-ლობითი თავისებურებებიც.

ფონდების ფორმირებისა და ორგანიზაციის დროს ყურადღება ეთმობა უმაღლესი სასწავლებლის პროფილსაც – რამდენად უნივერსალურია ის, ან რამდენად პროფილირებული, ორივე შემთხვევაში მოქმედებაში მოდის თავისებურებათა გათვალისწინების პრინციპი.

ფონდების ფორმირების პრინციპებიდან ერთ-ერთ მნიშვნელოვანს წარმოადგენს პლურალიზმის პრინციპი, რომელიც გამორიცხავს ფონდის აგებას რაიმე დისკრიმინაციული ნიშნით, უმნიშვნელოვანესია აგრეთვე პროფილირების და კოორდინაციის პრინციპი, რომელიც, ფაქტობრივად, ფონდის ლოგიკურ შევსებასა და დიფერენცირებას გულისხმობს, რომლის დროსაც ხდება დოკუმენტების შერჩევა, როგორც ფონდის შევსების, ისე მისი წმენდის დროს.

ასევე მნიშვნელოვანი პრინციპია ფონდის შემადგენლობის შექმნა ჭეშმარიტად მეცნიერული, მაღალმხატვრული და ფართო ინფორმაციული პროდუქციისაგან.

ფონდის ამ პრინციპებისადმი ადექვატურობა განსაზღვრავს მის ხარისხსა და დონეს.

პრინციპები არ გაიგება როგორც დოგმატურ-სტატიკური კატეგორიები, მათ შემოქმედებითი ხასიათი აქვთ – დრო-ჟამის შებამისად დინამიურ თვისებებს ავლენენ – იცვლებიან და ვითარდებიან – რაღაც ემატებათ – რაღაც აკლდებათ. მათ ჩამოყალიბებაზე დიდ გავლენას ახდენს ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური და კულტურული ვითარება. ამის ნათელი მაგალითია, თუ როგორ შეიცვალა საბჭოთა ხელისუფლების დაშლის შემდეგ პარტიული მიდგომის საყოველთაო პრინციპი პლურალიზმით.

უმაღლესი სასწავლებლების ბიბლიოთეკების ფონდების ფორმირება ამაჟამად კრიზისულ სიტუაციაშია, ეს განსაკუთრებით მის ორგანიზაციულ მხარეს შეეხება, თუმცა არც შინაარსობრივი თვალსაზრისით არის საქმე მოგვარებული.

ჩვენი დაკვირვების შედეგად გამოვლენილი პრობლემები შეიცავს როგორც შინაარსობრივ, ასევე ორგანიზაციულ-მეთოდურ მხარეებს. ამათგან მთავარია:

- ფონდების დაკომპლექტების ახლებური სისტემის შექმნა;
- ფონდების მეორადი შერჩევა (ფონდების გამონთავისუფლება);
- დოკუმენტების გადაჯგუფება-გადალაგება, განლაგების რედაქტირება;
- დოკუმენტების ზუსტი აღნუსხვა და შემოწმება;
- ახლებური სტანდარტების მიხედვით დოკუმენტების აღწერისა და სისტემატიზაციის კორექტირება;
- ელექტრონული კატალოგიზაცია, უმაღლეს სასწავლებელთა ბიბლიოთეკებს შორის კომპიუტერული ქსელის შექმნა;
- დოკუმენტების ფიზიკური მდგომარეობის მკვეთრი გაუმჯობესება;
- სათავსოების ნორმატიულ მონაცემებთან შესაბამისობაში მოყვანა;
- ტექნიკური საშუალებების დანერგვა.

ყოველივე ეს გადასაწყვეტია იმ ფონზე, როდესაც აქტიურად მიმდინარეობს ზოგი უმაღლესი სასწავლებლის შეერთება სხვა სასწავლებლებთან (ცხადია, მათი ბიბლიოთეკებით).

რა თქმა უნდა, ასეთი ფართო მასშტაბებით, მთელ ფრონტზე, ფაქტობრივად, შეუძლებელია მუშაობის გაშლა, მაგრამ პრიორიტეტები მაინც უნდა იქნეს

გამონახული, რისი გადაწყვეტაც შესაძლებელია სპეციალისტთა მოსაზრებების გათვალისწინებით და უწყების უმაღლესი ეშელონების ძალისხმევით.

სამწუხაროდ, ბევრი რამ ისე კეთდება, რომ ნაკლებად არიან პროცესში ჩაბმულნი გამოცდილი, პროფესიონალი სპეციალისტები, სწორედ ეს ართულებს და აფერხებს საქმის სათანადო წარმოებას.

ყველაზე საპასუხისმგებლო და სასწრაფო საქმეს წარმოადგენს ფონდების შეერთება-გამთლიანება, აქ იგულისხმება როგორც ფიზიკური ერთეულების შერწყმა, ისე მათი აღწერილობა-კატალოგების რედაქტირება და ურთიერთჩართვა (ტრადიციულად თუ ელექტრონული ვერსიით).

საქართველოს საბიბლიოთეკო საქმის მაგალითზე ნათლად ვხედავთ, რა მძიმე შედეგებს იწვევს არა ერთგან ბიბლიოთეკების გაუქმება თუ გამსხვილება-შეერთება. გაურკვეველია, როგორ და სად მიდის ლიკვიდირებული ბიბლიოთეკების ფონდები, რამდენად ზუსტად სრულდება საკანონმდებლო აქტები და ნორმატივები, ვის ეკისრება ამ ბიბლიოთეკების ფონდებზე პასუხისმგებლობა, მეთოდურად რამდენად სწორად მიმდინარეობს ფონდების მოწესრიგებისა და დაცვის საქმიანობა და სხვა.

აბსოლუტურად მოუწესრიგებელია ფონდების დაკომპლექტების საქმე. სრული ქაოსია ელექტრონული რესურსების შექმნის, დამზადების, დაცვისა და გამოყენების თვალსაზრისით. ჩვენს დროში ყოვლად მოუთმენელია დაკომპლექტების თავიდან ბოლომდე სპონტანურად წარმოება და გეგმიური ხასიათის მთლიანად დაკარგვა.

ვფიქრობთ, სრულიად ახლებური მიდგომა ესაჭიროება ამ საქმეს, განსაკუთრებით დაკომპლექტების წყაროების მოძიების თვალსაზრისით. სახელმწიფო ბიუჯეტზე მუდმივად ყოფნის იმედიც აღარ უნდა გვქონდეს. ამიტომ სახსრების მოპოვებისათვის ზრუნვა მუდმივი და გეგმიური უნდა გახდეს. ბიბლიოთეკებმა დამოუკიდებლადაც უნდა მოიძიონ დაფინანსების გზები, რაშიც მათ აქტიურად უნდა უწყობდეს ხელს უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელობა.

არსებული ვითარება საკმაოდ მძიმეა. განათლების უახლესი რეფორმა, თეორიულად, მისაღები და, უმეტესწილად, გამართლებულია, მაგრამ მისი არასრულფასოვნად შესრულების შემთხვევაში, შესაძლოა ბევრი გამოუსწორებელი შედეგი მივიღოთ, რომლის გამოსწორება, ალბათ, გაჭირდება.

მოცემულ მომენტში ორ ურთულეს საქმეს უნდა მივაქციოთ მთავარი ყურადღება: მეთოდოლოგიურ-ორგანიზაციულსა და ფინანსურს. ამ უკანასკნელის სრულყოფა არ არის დამოკიდებული საბიბლიო-ოთეკო საქმეზე, ან, ყოველ შემთხვევაში, ნაკლებად დამოკიდებულია, მაგრამ მეთოდოლოგიურ-ორგანიზაციული პროცესების წარმოება თავიდან ბოლომდე საბიბლიოთეკო სფეროს განეკუთვნება.

მენეჯმენტის უმთავრესი კანონის თანახმად, ყოველგვარ საქმიანობას მართვის სწორი სტრუქტურის ჩამოყალიბება ესაჭიროება, რაც შესაბამისი შედეგების მისაღწევად მთავარ მექანიზმს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, საჭიროა არსებობდეს რაღაც სტრუქტურული რგოლი, რომელზეც საქმის კონკრეტული მართვა და წარმოება იქნება დამოკიდებული. ჩვენს შემთხვევაში გონივრული იქნება, თუ შეიქმნება დროებით მოქმედი უმაღლესი სკოლების ბიბლიოთეკების ფონდების რეორგანიზაციისა და მართვის კომპეტენტური კომისია, რომელიც უშუალოდ დაექვემდებარება უწყების უმაღლეს ორგანოს. კომისიის დანიშნულება, მოვალეობა, ფუნქციები და ვალდებულებები გაპირობებული იქნება სპეციალური კანონ-ქვემდებარე აქტით და სათანადო ბრძანებით.

კომისიის ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქციაა, შექმნას მუშა-ჯგუფი სხვადასხვა დარგის სპეციალისტებისაგან, რომლებიც შეიმუშავებენ მოქმედების გეგმა-

პროგრამებს, ინსტრუქციებს, სადოკუმენტაციო ფორმებს, განკარგულებებს და აქტიურად დაეხმარებიან ადგილზე მომუშავე სპეციალისტებს, გაუწევენ მათ მეთოდურ დახმარებას, კონსულტაციებსა და რეკომენდაციებს, მისცემენ მითითებებსა და დაუწესებენ კონტროლს.

ასეთ ჯგუფებში უნდა შედიოდნენ: ადმინისტრაციის წარმომადგენლები, ფინანსისტები, ბიბლიოთეკათმცოდნე-ბიბლიოგრაფები, მეთოდისტები, ინფორმატიკოსები – ბიბლიოთეკის პრაქტიკოსი მუშაკები. ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ადგილებზე შეიქმნება ჯგუფები, რომლებიც ოპერატიულად გადაწყვეტენ საკითხებს და შეასრულებენ დასახულ გეგმებს.

მხოლოდ ასეთ პირობებშია შესაძლებელი შეიქმნას სტრუქტურული გეგმა, ოპერატიული გეგმა, საქმის წარმოების ინსტრუქციები და სახელმძღვანელო დოკუმენტები.

ცხადია, ყოველივე ეს მოითხოვს დამატებულ შრომას, ზედმეტი დროის ბიუჯეტს, კადრების მოზიდვას და სხვა. ამ გზით, ზედმეტი ხარჯების გარეშე, მიიღწევა მაღალი შედეგები და გაიზრდება შრომის ნაყოფიერება.

И. ПИЛАУРИ

НАУЧНО-УЧЕБНЫЕ БИБЛИОТЕКИ И ФОРМИРОВАНИЕ ФОНДОВ

Резюме

Научно-учебные или вузовские библиотеки являются наиболее сложными типами среди других библиотек. Это особенно сказывается в определении функции и формировании фондов. Учитывается свойство, присущее профилю, характеру и задачам ВУЗ-а, что исследуется с помощью установленной методологии. Усматриваются и особенности процессов, касающихся содержания и организации фондов, что и показывает общий уровень всей библиотеки. Важнейшим делом является четко определить и систематизировать приоритеты на данном этапе.

I. PILAURI

SCIENTIFIC - EDUCATIONAL LIBRARIES AND DEVELOPMENT OF LIBRARY CATALOGUES

Resume

The organizational structure of Scientific- Educational Libraries is quite complicated. The profile and activities of the educational institutions determine the function and structure of the library catalogues. The development of Scientific-Educational Library Catalogues largely depends on the level and quality of existing sources and materials. It is also necessary to analyze the users' needs and priorities.

ლიტერატურა - ЛИТЕРАТУРА – REFERENCES

1. ინტნერი შეილა. საბიბლიოთეკო განათლება, ფონდების განვითარება და ბიბლიოთეკების რესურსები // საქართველოს ბიბლიოთეკა. - 2004. - №3. - გვ. 73-82.
2. ფილაური ინგა. საბიბლიოთეკო ფონდები: (სასწავლო მეთოდური სახელმძღვა-ნელო). – თბ., 1997.
3. ყურაშვილი ფ., გურგენიძე ნ. ბიბლიოთეკათმცოდნეობის საფუძვლები: (ბიბლიოთეკების მუშაკებისა და მკითხველთა დასახმარებლად). - თბ., 1996.
4. Бинхем Р., Херрисон К. Основы библиотечного дела: Учебное пособ. - М., 1999.
5. Столяров В. Б. Библиотечный фонд: Учебн. - М., 1996.

მზია ტოგონიძე


ბიბლიოთეკის მართვის სოციალური ასპექტები

საწარმოო ძალთა განვითარება, ეკონომიკურ ურთიერთობათა სწრაფი აღმავლობა და თანმდევნი სირთულეები, რაც ასე დამა-ხასიათებელია 21-ე საუკუნისათვის, წინა პლანზე აყენებს მოხმარების პროცესების მოწესრიგებული მართვის ამოცანებს.

საბაზრო ეკონომიკის თანამედროვე ეტაპი ინფორმაციული მრავალმხრივობითაა ცნობილი. დღეს განსაკუთრებით ვითარდება ინფორმაციის შენახვასა და გადამუშავებასთან დაკავშირებული დარგები. მათი ორიენტირი, უპირველეს ყოვლისა, ეფუძნება მომხმარებელთა ინდივიდუალურ მოთხოვნებს.

უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს წარმოადგენს ბიბლიოთეკა როგორც ინფორმაციის შენახვის, გადამუშავებისა და გაცემის ცენტრი, რომლის თანამედროვე მოთხოვნილებების შესაბამისად ადეკვატური გამოხატულება დიდად არის დამოკიდებული მართვის ხელოვნებაზე.

მართვა წარმოადგენს განსაზღვრული შედეგების მიღწევისა და წინასწარ გათვალისწინებულ ამოცანათა განსახორციელებლად რომელიმე ობიექტზე მიზანმიმართულ ზემოქმედებას. მართვა გულისხმობს მმართველი და მართული სისტემის, მართვის ობიექტისა და სუბიექტის ურთიერთობას. ტერმინი „მართვა“ ფართო მცნებაა, რადგან იგი გამოიყენება როგორც ცოცხალ, ისე არაცოცხალ ბუნებაში, ტექნიკასა და საზოგადოებაში, ანუ სოციალურ სისტემაში მიმდინარე პროცესების ასახვისათვის. ამიტომ ცალ-ცალკე განიხილება მართვის 3 ტიპი: მართვას ცოცხალ ბუნებაში შეისწავლის საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი, ხოლო არაცოცხალ ბუნებაში – ტექნიკური მეცნიერებანი. მართვა საზოგადოებაში, ანუ სოციალური მართვა საზოგადოებრივ მეცნიერებათა შესწავლის საგანია. ყველა შემთხვევაში „მართვა“ გულისხმობს მართვის სუბიექტის მართვის ობიექტზე ზემოქმედებას, მაგრამ სოციალური მართვის განსაკუთრებულობა იმაში მდგომარეობს, რომ აქ მართვის სუბიექტის მართვის ობიექტზე ზემოქმედებასთან ერთად საქმე გვაქვს ობიექტის სუბიექტზე უკუქმედებასთან. სოციალური მართვის ეს თავისებურება გრაფიკულად შემდეგნაირად გამოიყურება:



სოციალური მართვის შემთხვევაში, აქ მონაწილე ორ მხარეს ადამიანი წარმოადგენს, რითაც განპირობებულია ქმედება-უკუქმედების კავშირი. მართვის სუბიექტმა, ე.ი. ხელმძღვანელმა, უნდა იცოდეს თუ როგორ შეიცვალა მართვის ობიექტი მისი ზემოქმედების შედეგად, ხოლო უკუკავშირის საშუალებით მან ან უნდა შეინარჩუნოს მართვის ობიექტის მდგომარეობა, თუ იგი სასურველია მისთვის, ან შეცვალოს ზემოქმედება. ამიტომ მართვა, როგორც სოციალური მოვლენა, საზოგადოების წინსვლის აუცილებელი კომპონენტია. ადამიანთა დიდი ან მცირე ჯგუფების მართვის პროცესი მართვის ერთ-ერთი რთული სახეა.

ბიბლიოთეკა თავისი არსით სოციალურ-კულტურული დანიშნულების ცენტრია, რომელშიც სხვადასხვა ფორმით არის შემონახული ინფორმაცია, იქნება ეს ინკუნაბულები, ე.წ. პირველნაბეჭდი წიგნები თუ თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიები. ბიბლიოთეკის უპირველეს ამოცანას ოდითგანვე წარმოადგენს ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და მისი ოპერატიული მიწოდება მომხმარებლისათვის, რაც შესაძლებელია საბიბლიოთეკო სისტემის სწორი ორგანიზაციისა და მართვის საფუძველზე. როგორი მცირე მოცულობისაც უნდა იყოს ბიბლიოთეკა, მასში, როგორც სოციალურ ინსტიტუტში, აუცილებელია არა მარტო ადამიანთა მცირე ან დიდი ჯგუფების მართვა, არამედ კითხვის ორგანიზაცია და, შესაბამისად, მისი მართვა. სწორედ, ბიბლიოთეკაშია აუცილებელი ხელმძღვანელის მიერ ზემოთ ნაჩვენები სქემის გამოყენება.

მართვის სამამულო თეორია საბიბლიოთეკო საქმის თეორეტიკოსებისა და პრაქტიკოსების მიერ ათწლეულების განმავლობაში ყალიბდებოდა. ვერ ვიტყვით, რომ მართვის ძველი სტილი მთლიანობაში უვარგისი იყო, რადგან იგი საშუალებას იძლეოდა ისეთი მართვის სტრუქტურის შესაქმნელად, რომელიც ბიბლიოთეკებში ბიბლიოგრაფიული წყაროების ხელმისაწვდომობის საფუძველზე უზრუნველყოფდა ინფორმაციის შეგროვებას ყოფილი საბჭოთა და სოციალისტური სისტემის ყველა ქვეყნის მასშტაბით. გარდა ამისა, მაშინდელი ბიბლიოთეკების მთავარ ამოცანას შეადგენდა ინფორმაციის მომხმარებლისათვის ოპერატიულად მიწოდება, რაც

შეუძლებელი იყო ეფექტური, ადვილად ადაპტირებადი, მოქნილი მენეჯმენტის სტილის დანერგვის გარეშე. ხოლო მართვის მაშინდელი ფორმალური ანუ ბიოკრატიული სტილი გულისხმობდა მართვის საბიბლიოთეკო ტექნოლოგიური პროცესების ფორმალიზებას და იერარქიული სტრუქტურის დანერგვას, რაც ხელს უშლიდა მკითხველთა მოთხოვნილებების სრულად და ოპერატიულად დაკმაყოფილებას. მართვის სოციალური ასპექტები, ჰორიზონტალური სტრუქტურები ფორმალურ ხასიათს ატარებდა, რის გამოც დომინირებდა ვერტიკალური სისტემები. ეს უკანასკნელი კი ხელშემშლელი იყო დემოკრატიული ელემენტების ბიბლიოთეკის მართვაში შემოსატანად.

თანამედროვე ეკონომიკურ სივრცეში დაფინანსების საფუძველზე, აუცილებელია მართვის პრობლემების სახეცვლილ სოციალურ და პოლიტიკურ სიტუაციაში ახლებური გაშუქება და განხორციელება.

საქართველოში უკანასკნელი წლების განმავლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა, რამაც მთლიანად შეცვალა ჩვენი ცხოვრების მრავალი სფერო: პოლიტიკური – საქართველომ მოიპოვა დამოუკიდებლობა და მკვიდრდება ქვეყნის მართვის დემოკრატიული სტილი, სოციალური – საქართველოში ძლიერდება სამოქალაქო საზოგადოება, ტექნოლოგიური – დამკვიდრდა ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიები. ყველა ეს ცვლილება მოითხოვს საბიბლიოთეკო, როგორც სოციალური სისტემის მუშაობის მნიშვნელოვან რეფორმას, ბიბლიოთეკებმა ხელახლა უნდა გაიაზრონ თავიანთი მისია, მომხმარებელთა კატეგორიები, ძირითადი ამოცანები და ფუნქციები, ორგანიზაცია და განსაკუთრებით მართვის სოციალური ასპექტები.

აქვე გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული გარდაქმნები, განსაკუთრებით ტექნოლოგიური, სწრაფად ინერგება საბიბლიოთეკო პრაქტიკაში, რასაც შესაბამისი თეორიული მომზადება და ბაზა სჭირდება. აუცილებელია სათანადო თეორიული და საკანონმდებლო ბაზის მომზადება, რომელიც ხელს შეუწყობს საბიბლიოთეკო პრაქტიკაში ძალზე მოქნილი და გარდაქმნების შესაბამისი მენეჯმენტის სტილის დანერგვას, რომელიც ჩვენში 21-ე საუკუნეში შემოიჭრა საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრებასთან ერთად.

„მენეჯმენტი“, ტერმინი ამერიკული წარმოშობისაა და თავისი სრული შინაარსით სხვა ენაზე არ ითარგმნება, თუმცა იგი „მართვის“ ანალოგად მიიჩნევა, მაგრამ ეს შესატყვისობა არ არის ზუსტი, რადგან „მენეჯმენტი“ წარმოადგენს სოციალურ-ეკონომიკური მართვის ერთ-ერთ რგოლს და მისი საგანია „მატერიალურ ღირებულებათა შექმნაში მონაწილე ადამიანთა მმართველობითი ურთიერთობანი“. ასე რომ, მენეჯმენტი, როგორც მეცნიერება, ჩამოყალიბდა საბაზრო ეკონომიკის პირობებში და თავისი განვითარების 150 წლის მანძილზე გარდაქმნათა დიდი გზა გაიარა. ჩვენში ეს პროცესი ახლახან შემოიჭრა, ამიტომ მენეჯმენტის კანონები ჯერ კიდევ ყალიბდება. მართვის სოციალური ასპექტების შედარებისას საზღვარგარეთის ანალოგებთან საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ მათ შორის ბევრი მსგავსებაა. მთავარი და არსებითი განსხვავება მათ შორის ის არის, თუ რამდენად იყვნენ ბიბლიოთეკის ხელმძღვანელები დამოკიდებულნი კონკრეტული ქვეყნის მართვის ვერტიკალურ სისტემაზე. ხოლო რაც შეეხება მმართველობით საქმიანობას, თუ რას ვუწოდებთ მას (მართვას, მენეჯმენტს, ხელმძღვანელობას თუ ადმინისტრირებას), მათი ფუნქციები და მეთოდები ერთია.

მართვის პრობლემები, მათი დაფინანსება ახალ ეკონომიკურ სივრცეში აღელვებს სპეციალისტებს. აღნიშნულ პრობლემას მიეძღვნა მრავალი სამეცნიერო ნაშრომი

რუსეთსა და საზღვარგარეთ. ამ ნაშრომების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ყოფილ საბჭოთა სივრცეში საბიბლიოთეკო პრაქტიკაში შემოჭრილმა ეკონომიკურმა მეთოდებმა ძირეულად შეცვალეს ბიბლიოთეკის მართვის სოციალური მეთოდები. დღეისათვის მართვის სისტემაში გამოიყოფა სამი ძირითადი ელემენტი: ადმინისტრაციული ხელმძღვანელობა, აღმასრულებელი ორგანოების საშემსრულებლო კულტურა და საშემსრულებლო თვითმმართველობა, (პროფესიული ასოციაციები, საბიბლიოთეკო საზოგადოებები, საბიბლიოთეკო ყრილობები), რომელიც წარმოადგენს მართვის სოციალურ ასპექტებს.

დღეისათვის ფართოდ მოიკიდა ფეხი ვირტუალური ბიბლიოთეკის ცნებამ ეს არის ბიბლიოთეკა, საინფორმაციო და საგანმანათლებლო ცენტრი, რომელიც აკმაყოფილებს მკითხველთა მოთხოვნილებებს არა მხოლოდ კონკრეტული ბიბლიოთეკის საცავებში არსებული საინფორმაციო რესურსებით, არამედ მის გარეთ, ინტერნეტში და მსოფლიოს სხვა ბიბლიოთეკების ელექტრონულ ბანკებში არსებული ინფორმაციით. თავისთავად, საბიბლიოთეკო საქმეში მომხდარმა ასეთმა ცვლილებებმა გამოიწვია ეკონომიკური გარდაქმნები საბიბლიოთეკო საქმეში, რაც საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში შეუძლებელი იყო, რადგან ბიბლიოთეკები მთლიანად ფინანსდებოდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან და ბიბლიოთეკის დირექცია ვალდებული იყო, რომ მისდამი დაქვემდებარებული ბიბლიოთეკის ბიუჯეტი სახელმწიფოს მიერ დაწესებული მკაცრი ხარჯთაღრიცხვით ეწარმოებინა.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში, როდესაც ყოველწლიურად სულ უფრო იზრდება ბიბლიოთეკებში ფასიანი მომსახურების ფორმები, ბიბლიოთეკებმა მეტი იურიდიული და ფინანსური დამოუკიდებლობა მიიღეს, რაც ახალ მოთხოვნებს უყენებს ბიბლიოთეკების ხელმძღვანელებს. მათ პირველად საკუთარ პრაქტიკაში, დაიწყეს ფინანსური, ტექნოლოგიური და საინფორმაციო ბაზრების დამოუკიდებლად ათვისება. სრულყოფილი ხდება მართვის ინოვაციური მეთოდები. საბიბლიოთეკო საქმის მართვის ახალი მიმართულებები: მენეჯმენტი, მარკეტინგი, სტრატეგიული დაგეგმვა, ინოვაციური მოღვაწეობა და სხვა, რაც მოითხოვს სათანადო თეორიულ გააზრებას და შესაბამისი მეთოდური მითითებების შემუშავებას.

ბიბლიოთეკების ხელმძღვანელების დამოუკიდებლობას და მათი უფლებების გაფართოებას ხელს უწყობს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რესპუბლიკების მიერ მიღებული დამოუკიდებელი საბიბლიოთეკო კანონები.

პირველი დამოუკიდებელი საბიბლიოთეკო კანონი მიღებულია აშშ-ში (ნიუ-იორკის შტატში) - 1845 წელს, დიდ ბრიტანეთში - 1850, ფინეთში - 1963, დანიაში - 1964, ხოლო უგანდაში - 1965 წელს.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, პირველი დამოუკიდებელი საბიბლიოთეკო კანონი რუსეთში მიიღეს 1995 წელს, საქართველოში 1996 წელს,

უფლებების გაფართოებასთან ერთად, მეტი პასუხისმგებლობა ეკისრება ბიბლიოთეკის დირექტორს. თუ ცენტრალიზებული ხელმძღვანელობის დროს მის მოვალეობაში შედიოდა ცენტრიდან მიღებული ყველა სახის ბრძანების განურჩევლად შესრულება, დღეისათვის მის მოვალეობას შეადგენს მიმდინარე და პერსპექტიული მიზნების, ამოცანების და მიმართულებების განსაზღვრა, რომელიც ბიბლიოთეკას საინფორმაციო-კულტურულ ცენტრად აქცევს.

ბიბლიოთეკის ხელმძღვანელისათვის ინოვაციას წარმოადგენს მართვის ეკონომიკური მეთოდების მკვეთრი გაზრდა, რაც მათგან მოითხოვს საბიბლიოთეკო მენეჯმენტის კონცეფციის საუკეთესო ფლობას და სწორ ორგანიზაციას.

თანამედროვე ბიბლიოთეკის დირექტორს, მენეჯმენტის თანამედროვე მეთოდების ფლობასთან ერთად, აუცილებლად მოეთხოვება მარკეტინგის საფუძვლებში გარკვევა და მომხმარებელთა ინფორმაციული უზრუნველყოფა. გარდა ამისა, დღეისათვის აქტუალურია მართვაში საბიბლიოთეკო კოლექტივების, ასოციაციებისა და სხვა კოლეგიალური ორგანოების ჩართვა, მათი ინფორმაციული უზრუნველყოფა სახელმძღვანელო დოკუმენტაციით.

მართვის სოციალურ ასპექტებში დემოკრატიული ელემენტების ჩართვა თანამედროვე ბიბლიოთეკების მუშაობის აუცილებელი პირობაა. მართვის ვერტიკალური სტრუქტურის, ანუ ცენტრალიზებული ხელმძღვანელობის ნაცვლად, უფრო დიდი როლი ბიბლიოთეკის მართვაში ეკისრება მართვის ჰორიზონტალურ სტრუქტურებს. ამ უკანასკნელის ძირითადი ამოცანაა ბიბლიოთეკის სტრუქტურულ ქვედანაყოფებს შორის კავშირების დამყარება, განვითარება, კოორდინაცია და კოპერირება ბიბლიოთეკის განყოფილებებსა და სექტორებს შორის. მართვის ჰორიზონტალური სტრუქტურის განვითარება ხელს უწყობს გადაწყვეტილებების მიღებას განყოფილებებისა და სექტორების ხელმძღვანელების დონეზე. ამავე დროს აუცილებელია ბიბლიოთეკების მართვის დეცენტრალიზაცია და საბიბლიოთეკო კოლექტივების როლის გაზრდა ბიბლიოთეკების მართვაში. თანამედროვე საბიბლიოთეკო საქმის მართვაში აუცილებელ პირობას წარმოადგენს ადმინისტრაციული ხელმძღვანელობის, ადმსრულებელი ორგანოების და საზოგადოებრივი თვითმმართველობის კოორდინაციული და ჰარმონიული მუშაობა, რომელიც უზრუნველყოფს მართვის სოციალური ასპექტების გაძლიერებას და დემოკრატიული ელემენტების როლის გაზრდას ბიბლიოთეკების მართვაში.

ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის ფართო უფლებებთან ერთად ბიბლიოთეკის მართვაში იზრდება პროფესიული საზოგადოებების, საბიბლიოთეკო ასოციაციებისა და კოლექტივების როლი და ამოცანები. ამიტომ ერთმმართველი, დიქტატორული უფლებებით აღჭურვილი ხელმძღვანელის ნაცვლად, ბიბლიოთეკის მუშაობას წარმართავს ასევე გარკვეული უფლებებით აღჭურვილი და შესაბამისი მოვალეობით დატვირთული კოლეგიალური ორგანო, რომელიც არჩევითობის საფუძველზე ანგარიშვალდებულია ზემდგომი ორგანოებისა და ბიბლიოთეკის კოლექტივისა და მომხმარებლების წინაშე.

მართვის სოციალური ელემენტების შემოტანა საბიბლიოთეკო საქმეში მეტად რთულ და საპასუხისმგებლო ამოცანას შეადგენს. ამას სათანადო თეორიული და იურიდიული ბაზის შექმნა ესაჭიროება, რაც მომავლის საქმეა.

საბიბლიოთეკო საქმისათვის აუცილებელი სიახლეების დანერგვა შეუძლებელია საბიბლიოთეკო კადრების მომზადების სისტემის გარდაქმნის გარეშე. მიღებულია გადაწყვეტილება საბიბლიოთეკო კადრების უცხო ენების სპეციალიზაციით უმაღლესი კვალიფიკაციით მომზადების თაობაზე, რომელიც მათ ბაკალავრის კვალიფიკაციას მიანიჭებს. ჩვენი აზრით, ასევე აუცილებელია სამაგისტრო პროგრამების უახლოეს მომავალში შემუშავება და ამოქმედება, რაც კიდევ უფრო აამაღლებს ბიბლიოთეკართა და ბიბლიოგრაფთა კვალიფიკაციას. უახლეს სამეცნიერო ლიტერატურაში ხაზგასმულია უმაღლესი განათლების ბაზაზე ბიბლიოთეკის ხელმძღვანელისა და მენეჯერის გადამზადების აუცილებლობა, რასაც ჯერ კიდევ XX საუკუნის 60-იან წლებში შორსმჭვრეტელო და ანალიზური ხედვით ასაბუთებდა გამოჩენილი ქართველი ბიბლიოთეკათმცოდნე, დოცენტი ნიკოლოზ თქიფანიძე და რომელსაც, ჩვენი აზრით, ნამდვილად ეკუთვნის მომავალი.

М. ТОГОНИДЗЕ
СОЦИАЛЬНЫЕ АСПЕКТЫ УПРАВЛЕНИЯ БИБЛИОТЕКОЙ

Резюме

Современный этап рыночной экономики известен как информационная эра, а библиотека является центром хранения и обработки информации. На сегодняшний день актуально правильное понятие своеобразия социальных аспектов управления библиотекой и её практическое использование на практике руководителем библиотеки. Библиотечный менеджмент широко использует социальные аспекты управления библиотекой, что способствует внедрению инновационных методов управления библиотекой.

M. TOGONIDZE
SOCIAL ASPECTS OF THE MANAGEMENT OF LIBRARY

Summary

The modern stage of market economics is known as an informational era, but the library is the centre of keeping and remaking the information. Nowadays, manager`s correct understanding of social aspects of the library management and his/her practical usage is very important. The librarian management widely uses social aspects which favors the implantation of inovatic methods in library management.

ლიტერატურა - ЛИТЕРАТУРА – REFERENCES

1. დამხმარე სახელმძღვანელო ბიბლიოთეკებისა და ინფორმაციის სპეციალისტებისათვის. – თბ., 2000. – 236 გვ.
2. მესტვირიშვილი გივი და სხვ. მენეჯმენტის საფუძვლები: სახელმძღვ. /მესტვირიშვილი გივი, ე. ბარათაშვილი, გ. ჯავახაძე. -მმე-2 განახლ. და შევსებული გამოც. – თბ., 1997. – 406 გვ.
3. Управление библиотекой, новые идеи, практические решения. // Сборник научных трудов .- М., 1995. - 108 с.
4. Управление библиотекой: учебно-практическое пособие / (Аверьянов А. С., Ванеев А. Н., Горев В. Г. и др. .- СПб.; Профессия, 2002. - 302 с. - (Серия «Библиотека»).

ნ ა ტ ო მ ჭ ე დ ლ ი შ ვ ი ლ ი

**სასკოლო ბიბლიოთეკა და მოსწავლეთა
კითხვის კვლევა**

თანამედროვე საგანმანათლებლო თეორიებში, როგორც აშშ-სა და დასავლეთ ევროპაში, ასევე ჩვენშიც მკვიდრდება აზრი ბიბლიოთეკისა და სკოლის

ინტეგრირების თაობაზე, თუმცა აღნიშნულ მოსაზრებას ჯერ არ მიუღია მკვეთრად გამოხატული კონცეფციის სახე. ერთადერთი, რასაც დასავლური გამოცდილება მკვეთრად მისდევს და გარკვეული წარმატებითაც, არის იდეა სასკოლო ბიბლიოთეკების მედია-ცენტრებად გადაკეთების შესახებ.

აღზრდისა და განათლების პროცესების წარმატებული განვითარება დიდად არის დამოკიდებული ბიბლიოთეკის მიერ ბავშვთა მომსახურების დონეზე: მის ხარისხზე, მოცულობაზე, ორგანიზაციულ სრულყოფაზე, მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე, ტექნოლოგიებზე, რომლებსაც ბიბლიოთეკა იყენებს, ფაქტობრივად, მთელ სოციალურ გარემოზე, რომელშიც მას მუშაობა უხდება. საბიბლიოთეკო საქმის წარმართვისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს განსაზღვროს, როგორია საბიბლიოთეკო საქმის პრაქტიკა, მისი პოლიტიკა, რამდენად სწორად არის განსაზღვრული განვითარების გრძელი თუ მოკლევადიანი პროგრამები, როგორ ხორციელდება და რა პრიორიტეტული მიმართულებებია ამ საქმეში.

სასკოლო ბიბლიოთეკების ფუნქციონირების გაფართოებამ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში მთლიანად უცვალა სახე სასკოლო ბიბლიოთეკებს. ძირითადად, ამას ბიძგი მისცა სასკოლო ბიბლიოთეკებში ახალი ტექნოლოგიების დანერგვამ, განსაკუთრებით, საინფორმაციო მომსახურების ფართო გამოყენებამ. შეიცვალა სკოლის ბიბლიოთეკების მოდელი. იგი თანდათან, მაგრამ დაბეჯითებით ერწყმოდა აღზრდა-განათლების იმ დინამიკას, რაც განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა გასული საუკუნის ბოლოს, როდესაც კაცობრიობამ XXI საუკუნის სკოლაზე ფიქრი დაიწყო. ამას ემატებოდა სკოლის დემოკრატიზაციის, თავისუფალი სწავლების, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესების რაციონალიზაციისადმი მიდრეკილება.

თანამედროვე მოსწავლისათვის პრობლემას აღარ წარმოადგენს საინტერესო წიგნის პოვნა. ამას ის ბიბლიოთეკის გარეშეც ახერხებს თანატოლთა, უფროსებისა თუ ოჯახის დახმარებით. უფრო საინტერესოა, რამდენად კვალიფიციურად ხდება მისი ინტერესების დაკმაყოფილება და რამდენად სასარგებლოა იგი პატარა მკითხველისათვის.

სწორედ ამ იდეამ წარმოშვა სასკოლო ბიბლიოთეკების მედია-ცენტრებად გადაკეთების საჭიროება, რამაც მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში სავსებით გაამართლა. თითქმის ყველა ქვეყანაში დაიწყო სასკოლო ბიბლიოთეკების ფუნქციების გაფართოება და ამის გათვალისწინებით მუშაობის გარდაქმნა.

ისე, როგორც ბევრი რამ, მედია-ცენტრებიც საბიბლიოთეკო პრაქტიკაში ამერიკიდან შემოვიდა. აშშ-ში სასკოლო ბიბლიოთეკების რაოდენობა 74.000 აჭარბებს, მაშინ როდესაც აკადემიური, საჯარო თუ სამეცნიერო ბიბლიოთეკები, ერთად აღებული, 30.000 შეადგენს. ცხადია, სასკოლო ბიბლიოთეკების ასეთი რაოდენობა კოლოსალურ ხარჯებს მოითხოვს, რათა ეს საქმე სრულყოფილად იყოს მოგვარე-ბული.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ საინფორმაციო სისტემა ამერიკაში ფართოდაა განვითარებული და გლობალურად მოიცავს მთელ ქვეყანას. ამასთან დაკავშირებით, არის სიძნელეებიც – მასებისათვის დიდ სირთულეს წარმოადგენს საინფორმაციო საქმის ახალ მოთხოვნათა სწრაფი დაუფლება. ამ მდგომარეობიდან თავის დასაღწევად ყველაზე უპრიანია სასკოლო ბიბლიოთეკების აქტიური გამოყენება. მოსწავლეთა პროგრამული სწავლება საინფორმაციო საქმის ასათვისებლად აუცილებელი პირობაა, თუკი გვსურს მომავალში ინფორმაციის გამოყენების დონის ამაღლების უზრუნველყოფა. გარდა ამისა, მიმდინარეობს მომხმარებელთა

პერმანენტული გადაზიდვა კომპიუტერული განათლების მიღებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით.

მხოლოდ კითხვის ინტენსივობა არ წარმოადგენს წიგნიერების შეფასების კრიტერიუმს. პიროვნების ღირსება მომავალში განისაზღვრება ინფორმაციის მოპოვების, შეფასებისა და გამოყენების უნარით. ამიტომაც ბიბლიოთეკების, უპირველეს ყოვლისა კი, სასკოლო ბიბლიოთეკების უმთავრეს მიზანს წარმოადგენს, მომხმარებელს ასწავლონ ინფორმაციის მოპოვება და გამოყენება, საინფორმაციო საშუალებებზე მუშაობა.

საინფორმაციო მომსახურების ჩვევების მიღებისათვის აუცილებელია ორი ინსტიტუტის – სკოლისა და ბიბლიოთეკის ერთობლივი მოღვაწეობა.

მოწინავე ქვეყნების საუკეთესო სკოლებში შექმნილია მედია-ცენტრების დამოუკიდებელი კომპლექსური ნაგებობანი, რომლებიც აღჭურვილია მაღალწარმადული საინფორმაციო ტექნიკით. გაჩნდა მოსწავლეთა სწავლების პროცესის საკლასო ოთახიდან საბიბლიოთეკო მედია-ცენტრში გადანაცვლების ტენდენცია.

ამ სკოლებში მიმდინარეობს საგანმანათლებლო საქმის ისეთი ორი ტენდენციის გაერთიანება, როგორცაა: ინდივიდუალური მიდგომა და დამოუკიდებელი სწავლება, მომხმარებელთან ინფორმაციის მაქსიმალური მიახლოებით, რაც საზოგადოების თვალში საგრძნობლად ცვლის სასკოლო ბიბლიოთეკის სტატუსსა და მნიშვნელობას. შემთხვევითი არ არის, რომ აქ სკოლის ბიბლიოთეკა განათლების მთელი სისტემის სრულყოფის «ღერძად» მიიჩნევა.

მთელ რიგ ქვეყნებში სასკოლო ბიბლიოთეკების პრობლემები განიხილება არა მარტო ქვეყნის შიგნით, არამედ საერთაშორისო მასშტაბებითაც, რასაც ხელს უწყობს სასკოლო ბიბლიოთეკების საერთაშორისო ასოციაციებში გაერთიანება. ამგვარ ასოციაციათა შტაბ-ბინა ამერიკის შეერთებულ შტატებშია (დააარსდა 1971 წ.). ასოციაცია პერიოდულად ატარებს საერთაშორისო კონფერენციებს, რათა ხელი შეუწყოს სასკოლო ბიბლიოთეკების მუშაობის ეფექტურობის ამაღლებას.

დღევანდელი საგანმანათლებლო რეფორმის ფონზე სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში უმაღლესი შედეგების მისაღწევად აუცილებლად მიგვაჩნია სასკოლო ბიბლიოთეკების მედია-ცენტრებად გარდაქმნა, რაც თავისთავად მოითხოვს სასკოლო ბიბლიოთეკების ახალი კონცეფციების შექმნას. საჭიროა, მეცნიერულ ნიადაგზე შემუშავდეს დაწვრილებითი პროგრამა სასკოლო ბიბლიოთეკების ეტაპობრივი გარდაქმნისათვის.

ეს, უპირველეს ყოვლისა, უნდა გაითვალისწინონ არა მარტო პედაგოგიური საქმის მესვეურებმა და საბიბლიოთეკო საქმის სპეცი-ალისტებმა, არამედ მათაც, ვინც საბიბლიოთეკო კადრებს ამზადებს. ამ ეტაპზე განსაკუთრებით ბევრი მოეთხოვებათ შესაბამისი დარგების მკვლევარებს.

2000 წელს «იფლა»-მ (IFLA-საბიბლიოთეკო ასოციაციების საერთაშორისო ფედერაცია) შეიმუშავა პროექტი: „მოსწავლეთა ტესტირება საერთაშორისო მასშტაბით», ანუ „პიზა», რომლის მიზანი იყო 15 წლის ასაკის მოსწავლე-ახალგაზრდობის წიგნიერების დონის განსაზღვრა. მასში 32 ქვეყანა მონაწილეობდა. ტესტირება სამი მიმართულებით განხორციელდა. 2000 წელს ჩატარებული ტესტირების I საფეხური მიზნად ისახავდა კითხვის კულტურის, მკითხველის უნარჩვევების განსაზღვრას; II საფეხური 2003 წელს ჩატარდა და მათემატიკური ცოდნის შემოწმებას ემსახურებოდა; 2006 წელს კი იგეგმება III საფეხურის ჩატარება,

რომელიც მოსწავლეებში საბუნე-ბისმეტყველო დისციპლინათა განათლების დონეს განსაზღვრავს.

პირველი ტესტირების ჩატარება კითხვის უნარ-ჩვევების განსაზღვრისათვის არ იყო საფუძველს მოკლებული, რადგან სწორედ ის განსაზღვრავს მოსწავლე-ახალგაზრდებში ინტელექტუალურობის კოეფიციენტს, ცოდნას, რომლის გარეშეც შეუძლებელია კულტურულ და სოციალურ სფეროში სრულყოფილ პიროვნებად წარმოჩენა.

მონაწილეებს სთხოვეს, შეთავაზებული ტესტებიდან ამოერჩიათ მათთვის სასურველი ტესტები და განეგრცოთ ისინი თავიანთი შეხედულებებისა და შესაძლებლობების მიხედვით. შედეგები შეჯამდა 5 ბალიანი სისტემით. I დონე ყველაზე დაბალ დონედ მიიჩნეოდა, V – ყველაზე მაღალ დონედ; II დონე ითვლებოდა მინიმალურ დონედ დადებითი შეფასების კრიტერიუმთა შორის.

ამ პროექტში მონაწილეობდა გერმანიის 50.000 მოსწავლე 1.500 სკოლიდან. ტესტირების შედეგებმა გერმანია შოკში ჩააგდო. აღმოჩნდა, რომ გერმანიის პროექტში მონაწილე მოსწავლეთა თითქმის მეოთხედმა ვერ დაიმსახურა მინიმალური (II დონე) შეფასებაც კი. მეტიც, ტესტირებამ გამოავლინა, რომ მოსწავლეთა 40% (ძირითადად ვაჟები) საერთოდ არ კითხულობს.

«იგლა»-ს ეს პროექტი იყო პირველი მცდელობა მოსწავლე-ახალგაზრდობის (15 წლის ასაკის) პრაქტიკული შესაძლებლობების საერთაშორისო დონეზე წარმოჩენისა. ამდენად, ის მიიჩნევა საერთაშორისო სწავლებისა და სასკოლო ინტეგრაციის სიმბოლოდ ინდუსტრიული საზოგადოების ინფორმაციულ საზოგადოებაში გადასვლის პერიოდში. ამიტომ, გერმანიის ცუდი შედეგები ამ პროექტში (23-ე ადგილი), გერმანიისა, რომელიც დიდად ამაყობს თავისი ქვეყნის „პოეტური და ფილოსოფიური« გენიით, გამოაგნებელი იყო. შედეგების ასეთი დაბალი დონე, გერმანელი ბიბლიოთეკარების აზრით, არის შედეგი სახელმწიფოს მხრივ სასკოლო ბიბლიოთეკებისადმი გულგრილი დამოკიდებულებისა.

„პიზა«-ს შედეგების ანალიზმა ნაყოფი გამოიღო. გერმანიის საზოგადოება სულ უფრო მეტად მიდის იმ დასკვნამდე, რომ აუცილებელია, რაც შეიძლება ადრეულ ასაკში, ჩავნერგოთ ბავშვებში კითხვის ელემენტარული ჩვევები, რომ კითხვისადმი მისწრაფება სწორედ მშობლებისგან უნდა მომდინარეობდეს.

მეტად საინტერესოა, ამ მიმართებით საქართველოში არსებული მდგომარეობის შეფასება და ანალიზი. ჩვენი აზრით, ურიგო არ იქნებოდა საქართველოს მასშტაბითაც ჩატარებულიყო ტესტირება მოსწავლე-ახალგაზრდობის განათლების დონის განსაზღვრად. შედეგების მიხედვით, ალბათ, არც ჩვენ დავრჩებოდით კმაყოფილნი.

უპირველეს ყოვლისა, უნდა შეიქმნას ტესტირების პროგრამა და კვლევის წარმოების ინსტრუქცია: როდის, რა მოცულობით, როგორ ტიპობრივ ინფრასტრუქტურაში უნდა ჩატარდეს გამოკვლევა. ცხადია, ეს უნდა მოხდეს უმაღლეს დონეზე – განათლების სამინისტროს უშუალო მონაწილეობითა და მხარდაჭერით. პროცესში უნდა ჩაებნენ: პედაგოგები, ფსიქოლოგები, სოციოლოგები, ბიბლიოთეკათმცოდნეები და მონათესავე დარგის სპეციალისტები.

ამავე დროს, გადასაწყვეტია, რამდენად საჭიროა ეს, რას მოგვეცემს, რამდენად გაამართლებს მიზნებსა და ხარჯებს. თუ მიზნად არ დავისახავთ შედეგების ანალიზის საფუძველზე მდგომარეობის გამოსწორებას და მხოლოდ მონაცემთა გაცნობის ინტერესით შემოვიფარგლებით, ღონისძიება აზრს დაკარგავს.

„იფლა“-ს პროექტი ჩვენთვის მისაღებია, მაგრამ, ნაწილობრივ. ჩვენ გვინტერესებს არა მხოლოდ არსებული ვითარების დანახვა, არამედ მის ბაზაზე მდგომარეობის გამოსწორებაც. გამომდინარე აქედან, საჭიროა ვიცოდეთ:

- რით არის განპირობებული არსებული მდგომარეობა, რამ შექმნა ეს ვითარება;
- რამდენად არსებობს პოლიტიკური ნება საქმის გარკვევისა და პერსპექტივის დანახვისა;
- რამდენად რეალისტურია დასახული მიზანი, რამდენად შესრულებადია ამოცანა;
- რა და რა ძალების ჩაბმას საჭირო ამ დონისძიებაში.

ამის შემდეგ განისაზღვრება ასაკობრივი ჯგუფები. ამ შემთხვევაში შეიძლება მოსწავლეები დაჯგუფდნენ შემდეგ მკითხველურ კატეგორიებად:

- 1) I-II კლასელები; 2) III-IV კლასელები; 3) V-VI კლასელები; 4) VII-IX კლასელები;
- 5) მაღალი კლასელები.

თუ გვსურს, ზოგადი, რეალისტური სურათის მიღება, არ უნდა დავუშვათ მოსწავლეთა მკითხველური ინტერესების შესწავლა ამა თუ იმ სასწავლებლის მიხედვით. რომელი სკოლის მოსწავლეთა რეიტინგი როგორია - ამ მომენტში საინტერესო არ არის. საყოველთაო მონაცემები უნდა მოექცეს შესწავლის არეში, მაგრამ რეგიონების გათვალისწინება, მათი ინფრასტრუქტურის მხედველობაში მიღება - ქალაქია თუ სოფელი, რამდენად განვითარებული რეგიონია - აუცილებელია.

ტესტის კითხვების შინაარსი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მიზანს ისახავს გამოკვლევა, მოსწავლის კითხვის რომელი მხარე და სფერო აინტერესებს მას, რის შესწავლას აპირებს.

საერთოდ, კითხვა მრავალგვარია თავისი მიზნებით, მოტივაციით, განზრახულობითა და საკითხავი მასალის გამოყენებით. ყველაფერს აქვს მნიშვნელობა კითხვის შესასწავლად, როდესაც მოსწავლის დონისა და კითხვის კულტურის გარკვევას ახდენენ. მხოლოდ წაკითხულის მოცულობის მონაცემები არ კმარა, რომ გავიგოთ, როგორ მკითხველთან გვაქვს საქმე. უამრავი შეკითხვა შეიძლება დაისვას, მაგრამ მთავარია, განვსაზღვროთ მათი მიმართულებები და, ამ თვალსაზრისით, დავაჯგუფოთ ისინი. ამგვარად, შეიძლება შევქმნათ საკითხთა კომპლექსები, რისი გარკვევა იქნება საჭირო:

- რა შეფარდებაა სინქრონული საკითხავი მასალის გამოყენებასა და დიაქრონულ მასალას შორის (როგორი მოცულობა მოდის კომპიუტერულ კითხვაზე და როგორი - ტრადიციულზე: წიგნი, ჟურნალი, გაზეთი და სხვ.);
- რამდენად დამოუკიდებლად კითხულობს მოსწავლე: თვითონ ირჩევს საკითხავ მასალას თუ დახმარებას იყენებს, და როგორი შეფარდებაა მათ შორის;
- რამდენს კითხულობს და როგორი სისტემატურობით;
- რა როლს თამაშობს მის კითხვაში ბიბლიოთეკა, სკოლა, ოჯახი;
- როგორია მის მიერ წაკითხული წიგნების თემატურ-ჟანრობრივი შედგენილობა, რომელი სახის ლიტერატურას კითხულობს ძირითადად ის;
- როგორ ახდენს წაკითხულისადმი დამოკიდებულების გამოხატვას - აფასებს თუ არა წაკითხულს, გამოხატავს თუ არა მასზე შეხედულებას, უზიარებს თუ არა მას სხვებს, განსაზღვრავს თუ არა წაკითხულის დონეს;
- რა მოტივაციით კითხულობს - რატომ კითხულობს, რისთვის;

- როგორია მოსწავლის კითხვის კულტურის დონე (გეგმიური და თანმიმდევრული კითხვა, შერჩევა და ძიება, ათვისების უნარი და სიღრმე, ტექნიკურ-ჰიგიენური პირობები, წიგნის მოვლა და სხვ.);

- როგორია მისი მოსაზრებანი და შეხედულებები კითხვის თაობაზე;

- რა პერსპექტივა იჩენს თავს.

აი, ამ მიმართულებით უნდა შედგეს კითხვარი და დამუშავდეს ტესტები, რათა საფუძვლიანად იქნეს გარკვეული მოსწავლის მკითხველური თავისებურებანი. მხოლოდ ამგვარად შეიძლება მივიღოთ ჭეშმარიტი შედეგები.

მიუხედავად ამისა, მაინც ძნელია ითქვას, რომ შედეგები მთლიანად ადეკვატური იქნება რეალური სურათისა. ეს რომ მოხდეს, ასე თუ ისე, საჭიროა არა მარტო ერთი მეთოდის გამოყენება, არამედ ყველა მეთოდისა ერთიან კომპლექსში, როგორც წერილობითი, ისე ზეპირი და ექსპერიმენტული. დანარჩენ შემთხვევაში დასკვნები ზედმიწევნით პირობითი იქნება, თუმცა, ყოველგვარი შესწავლა, მეტნაკლებად, მაინც პირობითია, რაც მხედველობაში უნდა მივიღოთ.

Н. МЧЕДЛИШВИЛИ

ШКОЛЬНАЯ БИБЛИОТЕКА И ИЗУЧЕНИЕ ЧИТАЕМОСТИ СРЕДИ ШКОЛЬНИКОВ

Резюме

В современном обществе актуальным остается процесс интеграции библиотеки и школы. Соответственно, большой интерес вызывает опыт ведущих стран по этому направлению. Возникла необходимость создания медиа-центров. Проблемным остается синхронная деятельность педагога и библиотекаря в учебно-воспитательном процессе. На фоне общеобразовательной реформы необходимо изучение интересов школьников, что поможет нашим специалистам улучшить свою деятельность в дальнейшем.

N. MCHEDLISHVILI

SCHOOL LIBRARIES AND READING PROBLEMS OF PUPILS

Summary

In the modern world the process of integration of the school and the library is very popular. In this respect, the experience of modern countries is the great subject of interest. The principal problem in the educational system remains the coordinative work of the teacher and the librarian.

ლიტერატურა - ЛИТЕРАТУРА - REFERENCES

1. ლორია ა. სასკოლო ბიბლიოთეკების პრობლემები თანამედროვე ეტაპზე // მეთოდისტი. – 1998. _ №7. – გვ. 227-233.
2. მჭედლიშვილი ნ. სასკოლო ბიბლიოთეკა, როგორც მედია-ცენტრი// საქართველოს ბიბლიოთეკა. – 2002. _ №1. – გვ. 14-15.
3. Зефельдт Ю., Сире Л. Двери в прошлое и будущее. Библиотеки в Германии / перевод Галины Исаевой. – Хильдесхайм, Цюрих, Нью-Йорк: изд-во Георг Олмс, 2005. – 112 с.

4. Озеров К. Школьные медиа-центры Америки // Библиотека. – 1994. - №2. – с. 65-67.
5. Ястребцева Е. Н. Школьный библиотечный медиа-центр – от идеи до воплощения // http://edu.km.ru/sovet/book_00.htm
6. Patrick K. E. Ideal attitudes: a library for the millennium // School librarian. – 1997. – Vol. 45. - N2. – с. 70-73.
7. http://www.ifla.org/IV/ifla69/rarers/079r_trans-krueger.pdf
8. Virtuelle Fachbibliotheken. – www.virtuellefachbibliothek.de
9. <http://www.ala.org/ala/alsc/alscpubs/children/libraries-htm>
10. <http://www.virtuellefachbibliothek.de>

Н а т а л ь я О р л о в с к а я

Книги по западноевропейской литературе в личной библиотеке И. Чавчавадзе.

В Национальной Парламентской библиотеке Грузии хранится личная библиотека Ильи Чавчавадзе, которая в какой-то мере отражает многообразие его интересов как писателя и общественного деятеля. Книги относятся к разным областям науки, общественной и культурной жизни. Широко представлены и материалы по западноевропейской литературе. Среди них значительное место занимает художественная литература, а также работы по истории литературы и искусства. Сюда входят сочинения таких авторов, как Шекспир, Байрон, Гете, Гейне, В. Скотт, Диккенс, Руссо, Мольер, Золя и др. Довольно основательно представлены литературоведческие источники, которые можно условно разделить на несколько групп: 1) очерки из серии “Жизнь замечательных людей” о Данте, Мольере, Свифте, Мицкевиче и др.; 2) работы теоретического характера об искусстве; 3) книги по истории зарубежной литературы; 4) монографии, посвященные творчеству отдельных авторов – Шекспира, Лессинга и др. В библиотеке имеется также ряд работ по всеобщей истории и по истории отдельных европейских стран.

Уже самый состав библиотеки свидетельствует о серьезном интересе писателя к зарубежной культуре. При этом многие книги испещрены пометками, которые показывают, как внимательно читал Чавчавадзе эти источники. Карандашные линии проведены большей частью на полях, но иногда в самом тексте подчеркнуты отдельные фразы и даже слова. В некоторых местах встречаются приписки на полях. Эти маргиналии различны по характеру: иногда в них выражено отношение писателя к прочитанному, в других случаях приписаны параллели и сравнения. Все эти пометки позволяют определить проблемы, интересовавшие самого Чавчавадзе, на которые при чтении работ разных авторов он постоянно обращал внимание. О значении этих пометок писала составительница каталога личной библиотеки Чавчавадзе, известный библиограф, Тамара Мачавариани [1: 7].

Что касается художественной литературы, то круг интересов Чавчавадзе был очень широк. Об этом можно судить по составу библиотеки и по отмеченным местам в историях литературы. Помимо крупных писателей, Чавчавадзе обращает внимание на

средневековые эпические памятники, на древние мифы, в которых можно видеть “первичную деятельность творческой фантазии и мысли” [10: 45]¹.

XIX век был временем быстрого развития науки, когда влияние научных методов отразилось и в области литературы и критики. Сам Чавчавадзе в статье “Молодым любителям поэзии” (1886) писал, что художник не может только отдаваться порывам вдохновения; он должен приобщиться к науке, быть на высоте знаний и современных достижений. Отсюда понятно, что в книгах по литературоведению отмечены места, где сказано, что “высшее искусство основано на науке” [15: 96] и что только наука “может дать путевую нить для выхода из лабиринта сомнений” [9: 368]. В ряде источников подчеркнуты места, где говорится о связи искусства с жизнью, например, слова Гейне, что “искусство – это зеркало человеческой жизни” [7: 194], и его же характеристика молодых немецких авторов, которые “являются художниками, трибунами и проповедниками” [7: 340].

Но было бы неверно думать, что преклонение перед научными методами доминирует в заметках Чавчавадзе. “У фантазии есть свои собственные законы”, – подчеркнуто в “Разговорах Гете”, собранных Эккерманом [13: 6]; а в книге Брандеса отмечено место, где с возмущением говорится, что в произведениях современных авторов в результате тщательного анализа “любовь перестали обоготворять; в ней вместо поэзии открыли психологию” [4: 47]. Писатель и ценитель красоты ясно чувствуется в ряде отмеченных мест, например: “Назначение человека не ограничивается одним полезным; если из человеческой жизни вычеркнуть все прекрасное, то вы скоро увидите, что земля есть ни что иное, как свиной хлев, в котором нет места богам, вдохновению, искренности чувства” [16: 38]. Чавчавадзе, которого проблема искусства всегда волновала, отмечает слова Лессинга, что “назначение искусства – помочь нам ориентироваться в области прекрасного” [11: 345], что “живопись – немая поэзия, а поэзия – говорящая живопись” [12: IV].

Многое в сделанных пометках воспринимается как отражение раздумий Чавчавадзе о писательском труде. Он обратил внимание на слова Гете: “Нам всем приходится учиться и у тех, кто жил раньше нас, и у тех, кто живет вместе с нами. Даже величайший гений не далеко бы ушел, вздумай он быть обязанным всем только самому себе” [13: 387]. Чавчавадзе, написавший в 1887 году специальную статью о необходимости развития грузинской критической литературы, подчеркнул в истории литературы Гонеггера слова о том, что “истинно художественная критика” исходит не из отрывочных мест, но “отыскивает дух художественного произведения” [9: 87]. Он отметил также в книге И. Тэна, что “самый лучший слог есть искусство заставить себя слушать и быть понятным” [14: 99], а в сочинениях немецкого писателя Людвиг Берне слова, что “без остроумия, будьте вы величайший писатель, вам не подействовать на человечество” [3: 154].

Чавчавадзе высоко ценил Шекспира и сам, вместе с Ив. Мачабели, перевел на грузинский язык “Короля Лира”. Поэтому понятно, что книга немецкого исследователя Гервинуса о Шекспире полна его пометками. Он видит в его произведениях “естественное развитие мысли, полноту чувства, стройность” [8: 218], “краткость, исполненную содержания, достоинство, сообразное с природою” [8: 194].

Грузинского писателя волновала проблема взаимосвязей литератур. Потому в историях литературы много пометок сделано в главах об арабской культуре и ее

значении для развития средневековой европейской литературы и научной мысли. “Ни одна нация не может достигнуть полного развития своих сил, питаясь только собственными соками. Чтобы не остаться в хвосте цивилизации, она должна усвоить себе все лучшее, добытое другими” [6: 417].

Чувствуется, что при чтении книг иностранных авторов мысли грузинского писателя постоянно обращались к своему народу и его культуре. Так, в книге Брандеса, как параллель к рассуждению о чувстве и долге, на полях приписаны имена героев Руставели [4: 69], а имя самого Руставели приписано к следующему высказыванию Гете: “Овладесть надежным образом своим сюжетом, сдержат себя и сосредоточиться только на самом необходимом, - все это требует сил, поэтического таланта и труднее, чем думают” [13: 273].

Заметки, сделанные в книгах, отражают взгляды Чавчавадзе не только как писателя и мыслителя, но как человека и гражданина: “Единственная, пробуждающая к жизни мысль – великая мысль человеческой свободы и прогресса” [4: 133]. В пометках чувствуются высокие нравственные требования, предъявляемые к человеку: “Тот живет согласно с природой, кто никогда не забывает, что существует не для себя одного, но как часть целого, вселенной, человечества” [5: 1213]. Отсюда необходимость бороться с собственными слабостями и искушениями: “Пусть миг борьбы с самим собой / Не долг на часах времен, / Но в мысли беспределен он “ [2: 201]. Эти строки из поэмы Байрона “Гяур” не только подчеркнуты, но к ним еще сделана приписка “Дивно”. Уважение Чавчавадзе на стороне тех, кто живет “трудом своего ума или, что еще благороднее, трудом своих рук” [3: 65]. К этим строкам приписано на полях слово “прекрасно”.

Многие отмеченные места касаются личных чувств, человеческих характеров. Энергия, активность привлекают симпатии Чавчавадзе, который в “Гяуре” Байрона отметил строки: “А смелость с жаждою любить/ Вознаграждается всегда” [2: 13]. Заметим, что сочинения Байрона грузинский писатель читал очень внимательно и отметил ряд стихотворений, в которых звучат и печальные раздумия поэта о жизни, и личные переживания. А в поэме “Чайльд Гарольд” отмечен полезный для мужчин совет: “Люби подругу юных дней, / но ей в глаза смотри ты смело, / не раболепствуй перед ней” [2: 214].

Отмеченные в книгах места содержат психологические наблюдения, острые замечания, остроумные высказывания. Все сделанные в книгах пометки позволяют сделать вывод, что личная библиотека Чавчавадзе представляет ценный материал, позволяющий в какой-то мере ярче представить облик писателя, широту его интересов и метод работы над литературными источниками.

ბ. ორლოვსკაია

წიგნები დასავლეთ ევროპის ლიტერატურიდან

ი. ჭავჭავაძის პირად ბიბლიოთეკაში

რეზიუმე

ამჟამად ილია ჭავჭავაძის პირადი ბიბლიოთეკა ინახება საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში. იგი შეიცავს მრავალ წიგნს სხვადასხვა

თემატიკაზე. მასში ფართოდაა წარმოდ-გენილი მასალები დასავლეთევროპული ლიტერატუიდან. სტატია განიხილავს ამ მასალებს და აანალიზებს წიგნების ფურცლებზე გაკეთებულ ილია ჭავჭავაძისეულ შენიშვნებს. ისინი ნათელყოფენ, თუ რა მეთოდით განიხილავდა იგი ამ ნაშრომებს და გვიჩვენებენ მისი ინტერესების სიღრმეს, როგორც მწერლისა და საზოგადო მოღვაწისა.

N. ORLOVSKAYA

**BOOKS ON WEST EUROPEAN LITERATURE IN THE
PERSONAL LIBRARY OF I. CHAVCHAVADZE**

Summary

The Personal Library of I. Chavchavadze, now preserved in the National Parliamentary Library of Georgia, contains great variety of different works including books and researches concerning West European Literature. The article observes these works and gives analysis of the notes and remarks made on their pages. They reveal Chavchavadze's method of work and show his wide interests as a writer and a public figure.

ლიტერატურა - ЛИТЕРАТУРА - REFERENCES

1. ილია ჭავჭავაძის პირადი ბიბლიოთეკის კატალოგი. / შემდგენელი თ. მაჭავარიანი. _ თბილისი, 1957.
2. Байрон Дж. Г. Сочинения в переводах русских поэтов: т.1. / Под ред. Н.В.Гербея. - СПб., 1874.
3. Берне Л. Сочинения в переводе П. Вейнберга: т.1. - СПб., 1869.
4. Брандес Г. Главные течения литературы XIX столетия. - М., 1881.
5. Всеобщая история литературы: т.1, часть 2 / Под ред. В. Корша. - СПб., 1881.
6. Всеобщая история литературы: т. 2 / Под ред. В. Корша и А. Кирпичникова. - СПб., 1885.
7. Гейне Г. Сочинения в переводах русских писателей: т.5 / Под ред. П. Вейнберга. - СПб., 1865.
8. Гервинус Г. Шекспир. - СПб., 1862.
9. Гонеггер И. Очерк литературы и культуры XIX столетия. - СПб., 1867.
10. Каррьер М. Искусство в связи с общим развитием культуры: т. 1. - М., 1870.
11. Лессинг Г. Гамбургская драматургия. - М., 1883.
12. Лессинг Г. Лаокоон, или о границах живописи и поэзии. - М., 1859.
13. Разговоры Гете, собранные Эккерманом: ч. 2. - СПб., 1891.
14. Тэн И. Критические опыты. - СПб., 1869.
15. Ферриери П. Лекции по теории искусства. - СПб., 1888.
16. Шерр И. Человеческая трагикомедия. Очерки и картины. - М., 1877.

კორექტორები: მ. დოლიძე, მ. კუკულაძე, ნ. კაციტაძე, ნ. ნადირაძე, დ. სუმბაძე-ჩაგელიშვილი, ე. შუბითიძე,

რუსული ტექსტის რედაქტირება და კორექტირება: ნ. ციბიზოვა

კომპიუტერული უზრუნველყოფა: რ. ნინუა

ფასი შეთანხმებით

ტირაჟი 200